

# მზა

N27 (473) ...ანი 1 ლარი  
2/VII-8/VII



რის გამოსაკლავად  
წაიყვანეს  
უსწოები გერმანიაში

„მის სუფელად  
„სასწრაფო“  
არ მოვიდა“



## მასობრივი ქართული „ნერკოზიკი“

რაში არიან  
მისაზამები სერიאלების  
მსახიობები და  
რაში — არა



ზაზა კოლალიშვილის  
„ოვი და ქორნილი“

ვინ აფინანსებს ფილმს




დაუზავოვის  
კანდიდატი,  
როფელიც გია  
მეისაუვილთან  
ძიად მუშაობდა

ციფრი 13 ცნობილი ადამიანების სსოვრებაში

ISSN 1987 - 5029  
9 771987 150209

**ბიბლია-ბიბლუსში!**

სტუდია „სანო“  
და გოგი ხარაბაძე  
წარმოგიდგენთ!



**ბიბლიის პირველ სრულ აუდიოვერსიას ქართულ ენაზე!**

**ბიბლუსი**

BOOKS

ბიბლია-მხოლოდ ბიბლუსის  
წიგნის მაღაზიებში

**თბილისი** რუსთაველის 40/1  
აღმაშენებლის №121  
იოსებძის №49

**ფოთი** ფარნავაზ მეფის №12

**ქუთაისი** ლ.ნუსუბიძის №1

**ბათუმი** მამედ აბაშიძის №62  
ზ.გამსახურდიას №18

**სამგრაღია** სანაკაძის №6

**ჭუბღიძი** რუსთაველის №92

**ხაშური** რუსთაველის №69

**სენაკი** რუსთაველის №241

**ღუშეთი** რუსთაველის №11

ბიბლიის შექმნა აგრეთვე შეგიძლიათ ინტერნეტ მაღაზიაში

[www.elva .ge](http://www.elva.ge)



№27 (473)  
2 - 8 ივლისი, 2009 წ.  
ფასი 1 ლარი

**„უფლისწულისა“ და „ქათმისა“**  
პროზა

„უფლისწული“ და „ქათმი“ – ეს არის ორი პიროვნება, რომლებიც ერთმანეთს ეძებენ. ერთი მათგანი უფლისწულია, მეორე – ქათმი. ისინი ერთმანეთს ეძებენ, რადგან მათ ერთ-ერთი მათგანი უკვე დაკარგეს. ისინი ერთმანეთს ეძებენ, რადგან მათ ერთ-ერთი მათგანი უკვე დაკარგეს.



ერთხელ მეს  
ვჯავებ სირსხვილი

# მსგენილები



თუ შეგი ცუყის,  
ან ის ამ შაის  
შეგი, ან შენ ღამს ხსამ  
მისი თანამშრომელი



სიყვარულის  
ახავაპი

## ნანკა ლექსებს რუსულად წერს...

„შეიძლება, ბევრს არ ესაბოვნოს, მაგრამ ძალიან ლამაზი ენაა რუსული და ბევრი ისეთი სიტყვაა, რომელიც ქართულში არც ვიცოდი. თან, მუზეც მანინდამაინც რუსულად მომდის“.



## გიორგი ჯანელიძე რუსო ჩხეიძეს პატივს სთხოვს



„ისეთ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე, სადაც სინათლე არ იყო. ამიტომაც, ფილმებს ვერ ვუყურებდი. სამაგიეროდ, ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული“.

- **მინიატიურები**
- „ჩემი ოქროს ბიჭი“ 5
- **იუმორი**
- მის საშველად „სანსრაფო“ არ მოვიდა... 6
- **რამობრძე**
- ოში და ქორნილი 6
- **გასაჭირი**
- „ომს გადავურჩით და შიშველი დაგვხმავს!“ 9
- **საქონი**
- რამ ბავიოვა ქორნილი? 10
- **პოლიტიკა**
- ვინ აქონტროლებს საქართველოში „ნარკობრძებს“? 12
- **ერთი მინის შვილები**
- სქოლის მერხიდან – ოშის ქარხანაში და აუხაზთიდან 6 წლის დაბრუნებით მიღებული წერილი 14
- **საქვა**
- „...ჩემი მოქალაქეული წვლილის შეტანის დაეარქმევი“ 17
- ბნო სარჯველაძის დაქარაღვა ბოლო ინტერვიუ 17
- **არხეზღვარი პროფესია**
- ვიზაჟისტი ნანკა ლექსებს რუსულად წერს 18
- **ოსტატი**
- „გზა, რომელიც ბაქართან მიგვიყვანს“ 19
- **აღილი სწორება**
- მოპარული პურის გემო და შოშვლების უყურადღებობის მსხვერპლი 21
- **მეგამოროფი**
- ღალი ბოტიკაჟისლის საყვარელი ფოტოსურათები და შეყვარებულისგან მიღებული 100 პარდი 22
- **ერლიტი**
- გიორგი ჯანელიძე რუსო ჩხეიძის პატივს სთხოვს 24
- **თემა**
- სერილები – ჩვევად ქმნილი „ნარკობიტი“ თუ ახალი დაეარღვა 26
- **სწორების გზა**
- „ვა იმ ვიზისა ვარ, რომელიც არ იჩივებს“ 28
- **ანტიდაქსანტი**
- **აველა**
- ღალი დასურული ქვეყანა და „ნუსას სქოლატი“ დაწინებული ლაზა რამივილი 30

მენაბი ერდოსა და კაჩებს ათვალერებდა.  
– ეშერის ფაცხა გახსოვს, იორამ?  
– მახსოვს, მაგრამ არ მინდა გახსენება!  
– ოჯალეში, ალექსანდროული. ორივე უნდა გახსენჯოთ, იორამ! მენაბისთვის ნამღვილი სუანტკარაც მონახება!  
დარბაზის თაღში გავიდნენ და მტკვარზე გადამყურე გერასაზე მოეწყენენ ფართო გაბლასთან.  
– ახლა ჩამოვთვალთ! – ხელების ფშენებით აყვირდა ნოდარი.



<b>■ სანიძე</b> გვირილაზიანი მღვლო და თეთრ სამოსში გამოწყობილი სტუმრები	32
<b>■ ოჯახი</b> ზიგ თიქოს რეპერი დედამთილი და გარეკილი ჩხუბი	33
<b>■ მოზაიკა</b>	34
<b>■ ჯანმრთელობა</b> ✓ დაავადება და შიშობიერება	36
✓ დიქტონი სირიზი	37
<b>■ ქარნალი ქარნალი</b> ✓ ხსოვნება	39
✓ გზავნილები	55
<b>■ ემიგრანტი</b> ხანგრძლივი იტალიური „პოიაში“ და მინისპირით დაგზავნილი ორი წელიწადი	71
<b>■ საზღვრებს მიღმა</b> პარლამენტის ნევროზის ყოფილი კანდიდატი, რომელიც გია მინსაშვილთან კიბად მუშაობდა	72
<b>■ რომანი</b> ვაჟა გიგაშვილი. ერთი ვინეა ყაფლანუშვილი (გაბრეკაძე)	74
<b>■ ტაიპ-პუბი</b>	78
<b>■ საკითხავი ქალაქისთვის</b> ✓ თუკი მენდელსონის მარჯის მოსმანაძე ოსნებოტ	80
✓ როგორ მოვუაროთ ჟორჯიანს სანის კანს	81
<b>■ სანიჟარული რომანი</b> სვაბა კვარაცხელია. ნითელი შხსასმელი (გაბრეკაძე)	82
<b>■ მანანტი</b> „მევირალა“ მილიარდერი და ბილ გიბსონის დაუდგომელი მონინაღმდება	86
<b>■ პარსკვლავები</b> კამარონ დიანის ნემფილი ბიოგრაფია	89
<b>■ გამოწვება</b> ნიმე არაზაშვილი საქართველოს სახლზე ოსნებოტს	91
<b>■ თინეიჯერული პონება</b> ✓ დაწვებული სანიძე-საბაბარძელები	92
✓ „რქინი“ „ბრედ უიში“, მამყუარა სანიძე და მოღალატე სოლი	93
<b>■ ნემფილი ამბავი</b> ვანგანუნას მამალი...	95
<b>■ აქსია</b> სოხსალი მუსიკა ნარკომანიის ნინაღმდება	96
<b>■ პრაზნებასი</b> პრესლანი პრეზიდენტის აპარტამენტში	97
<b>■ ტაქარი</b> იუდას ნემფლად არჩეული მამათა, ანდრია პირველმოდებული, „ქანი ქანილიანი“ და მათა მანარებალი	98
<b>■ საჭრთხე</b>	100
<b>■ ბალადი</b> იოსებ სტალინი	101
<b>■ ავტო</b>	103
<b>■ სანვორდი</b>	104
<b>■ ასტროლოგია</b>	105
<b>■ დედამთილისი</b>	106

**გარეკანზე: ირმა ლიპარტალიანის კოლაჟი**

საზოგადოებრივ-კოლტიკური ჟურნალი „გზა“  
გამოცემის კვირაში ერთხელ, სუბსაბატივით  
გაზეთი „კვირის პალიტრის“ დამატება  
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქავთაძე  
მენეჯერი: მათე კვიციანი  
**მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49**  
**ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com**  
**რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.**

**შეფარებული სხან მიღებული 100 პარტი**



„სანამ დავქორწინდებოდი, ხშირად, სხვისი ხელით, 100 ულამაზეს ვარდს მიგზავნიდა. ბევრ სხვა ლამაზ სიურპრიზსაც მიკეთებდა. ჩემს ცხოვრებაში ლამაზი და გამორჩეული პერიოდი იყო“.

22

**პარლამენტის ნემფობის ყოფილი კანდიდატი**

„სამსახურს ვემდები და ინგლისურ საიგზე შევედი, სადაც ვაკანსიები ცხადდება. იქ აღმოვაჩინე მანსაშვილების ოჯახის განცხადება, რომ ძიძას ეძებდნენ“.




72

**იოსებ სტალინი**



„...არ ვისახავ მიზნად არც სტალინის გამართლებას და არც მის ძაგებას. ჩემი წიგნი წარმოადგენს მოზიკას, რომელიც ჩემი და სხვა ავტორების მიერ შეკრებილ, სტალინის ნაღვაწის ამსახველ ამბებს აერთიანებს“.

101



– პრივეტ, – მაკამ ჩანთა მაგიდაზე დაღო, სკამზე დაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიღო, – როგორ არის საქმე?  
– რა ვიცი, ძველ-ბურად, შენკენ?  
– ჯერჯერობით ისე, რა, მაგრამ ვიცი, ყველაფერი გადასარეგად იქნება, ამაში ორი ამრი არ არსებობს, ოღონდ შენი დახმარება დამჭირდება.

**ნითელი შხსასმელი**

82

# „ჩემი ოქროს ბიჭი“



## შესავლის ნაცვლად

ფეხბურთის ჩემსავით ბებერ გულშემატკივარს ემახსოვრება: 60-იანი წლების „კალიაროში“ და იტალიის ნაკრებში თამაშობდა ჯანი რივერა — ძალიან მაგარი თავდამსხმელი და ისედაც კარგი ტოპი (ვინც მისი ბიოგრაფია იცის, დამეთანხმება). კარგი ფეხბურთელები იტალიაში ძალიან ბევრი ყოფილან და არც ახლაა დეფიციტი, მაგრამ მატერაიცისნაირი ჩათლახებისგან\* განსხვავებით, სწორედ „კარგი ტოპობის“ გამო შემოიჩინა ფეხბურთის ისტორიას ჯანი რივერას მეტსახელი — „ოქროს ბიჭი“!

ახლა, რა კავშირშია ჩვენთან ეს ამბავი და „ოქროს ბიჭი“: რამდენიმე წლის წინ, როდესაც „პროვოკატორობა“ დაიწყო, ჩვენში ძალზე პოპულარული იყო ერთი პერსონა, რომელიც საკუთარ თავს „ოქროს“ კი არა — „რკინისას“ და „ბიჭს“ კი არა — „კაცს“ უწოდებდა. დიას! „რკინის კაცი“ — კახა თარგამაძე! მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, რომ, რა ჯანი რივერა და რის ეუსებო ფერეირა დუ სილვა?! სწორედ „რკინის კაცი“ იყო „ჩემი ოქროს ბიჭი“! მოიცათ! სანამ რაიმე ცუდს იფიქრებდეთ, „ჩემს ოქროს ბიჭთან“ დაკავშირებით, ავიხსნით: ყოველ კვირას ჰონორარი ხომ მჭირდებოდა?! მერე, იმ „დალოცვილ“ და „დალაგებულ“ დროში, ახლა როა, ისე ხომ არ იყო?! თუკი არაფერი იქნებოდა საშაყირო და კბილგასაკრავი, რა უნდა მექნა?! რა და, აგერ არ იყო „რკინის კაცი“?! ან რამეს იტყოდა, ან პანკისიდან ახალი ამბავი მოვიდოდა, ან „შემთხვევით“, ვინმე გადმოვარდებოდა პოლიციის სამმართველოს მეცხრე სართულის აივნიდან, ან ტერაქტის ორგანიზებისთვის ამავე ტერაქტის მსხვერპლს დაიჭრდნენ... და „პროვოკაცია“ მზად იყო! მაგრამ... როგორც დიდი აკაკი იტყოდა, „ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვისმე განა?!“ წავიდნენ „ისინი“, მოვიდნენ „ესენი“ და დალაგდა ქვეყანა!!! (ვა-ჰა-ჰა!!!) გამოძლია სათქმელ-საღადავო! რის ვინაწრობით გამქონდა თავი და აჰა: ოქროს ხომ იმის ოქროა, რომ არ იუნაგება! ისევ „ჩემი ოქროს ბიჭი“!!!



ყველაზე მაგარი ბერლინის იმ ცნობილ სკანდალთან დაკავშირებით რა არის, იცით? გაჩეჩილაძემ რომ თქვა: რატომ ტექსტსაც არ აქვეყნებს შსს, მხოლოდ კადრებს რომ აჩვენებსო! არადა, როგორ მინტერესებს, რას ეუბნება თარგამაძე, როდესაც გრეჩისა კოპებსა და ქრილობებს ათვალეერებინებს თავზე! კარგად გაიხსენეთ: თარგამაძე დგება, საფარძელს შემოუფლის, პიჯაკის გულის ჯიბიდან სათვალეს იღებს (სალოლ, ვანოოო, ფელინი ხარ, ფელინი!!!) და ისე ათვალეერებს „ძველი ნაცნობის“ (თვითონ ასე თქვა) იარებს; თან სინანულით აქნევს თავს... ახლა, სიმართლე რომ ითქვას, რა საჭიროა აქ ტექსტი? ისედაც შეგვიძლია გამოვიცნოთ:

- ნახე, ძია, ფუა, ფუა...
- ნნ, ნნ, ნნ... რა უქნიათ ბოვმისთვის!.. ნუ გეშინია, ჩამოვალ და მაგენს ყველას ფანჯრიდან გადაყრი...!
- ახლა, აქ რა ხდება, რა ამბავი დახვდება, რომ ჩამოვა?

რა და, ყველაფერი კაი! ბოლოს მაინც ისეთი მოიფიქრეს, საკუთარ თავსაც კი გადააჭარბეს: პატიმრების შინ გაშვებას აპირებენ, თითო კვირით, შვეტულებით!!!

არა, ეს შაშკინი მაინც მაგარი „ნახოდაკა“... ამასთან დაკავშირებით, ერთი საკითხილა დარჩათ დასამუშავებელი: შვეტულების ფული და „მეცამეტე ხელფასი“ ახლავე გადაუხადონ პატიმრებს თუ ბოლოს, ერთად მისცენ და ხელდამშვენებულები გაუშვან სახლებში.

თბილისის ტოტალიზატორები კი უკვე ფსონებს იღებენ იმაზე, თუ რამდენი პროცენტი დაბრუნდება შვეტულების შემდეგ საპატიმროში თავისი ნებით, რამდენს დაიჭერენ პირველი თვის განმავლობაში და რამდენით შეიგება სახელმწიფო ბიუჯეტი შვეტულებზე გადაცილებული დღეების ჯარიმების ხარჯზე...

პარალელურად, როგორც ყოველთვის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევას ანარმოებს. თანაც ისე, რომ ჩვენ წარმოადგენაც არ გვაქვს. მაგალითად, არ სცალიათ ოპოზიციის ლიდერებს იმდენი, რომ ყველა საკითხზე ცალცალკე ესაუბრონ ხელისუფლებას და გააგებინონ თავიანთი გულისტკივილი?

მერე რა, აგერ არ არის ვანო?! თქვენ ნუ შენუხდებით, ისაუბრეთ, მე აქვე, „შტეფსელში“ ჩავჯდები და მოგისმენთ... (ფრთხილად, თუ ძმა ხარ, „ტოკმა“ არ დაგკრას და არ დაგვლუპო).

ისე, ჩვენი ოპოზიციისაც ვერ გამოიგია: ხან ტელესაეთერო დროის უქონლობაზე წუნუნებენ და ხან კი — ნუ გვისმენენ, ნუ გვითვალთვალეებენ, ნუ ინერენ და ნუ იღებენო! კი, მაგრამ, დალოცვილო, თუ არ გადაგიღე, როგორ გაჩვენო ტელევიზორში?!

**P.S.** ცხელა, 6 ივლისის შეხვედრის შემდეგ ომი დაიწყებაო, კუშნერმა — რუსებს ერთი მილიმეტრიც ვერ დაფათობინეთო, ეს ჯექსონიც უცებ გამოგვეცალა ხელიდან — მოკლედ, „პრასვეტი“ არ არის (რუსული სიტყვები კვლავ აქტუალური ხდება)... ბრძენი კაცი იყო ცხონებული სულხან-საბა ორბელიანი — არა მარტო შინაარსი, არამედ სიტყვის ფერადობაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჰოდა, რალა დაგიმალოთ და — რუსეთიც და ამერიკაც, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც, „შავიც“ და „თეთრიც“ კაი მაგარი „უხეიროები“ და „უვარგისები“ არიან!!!

**P.P.S.** „უხეიროს“ და „უვარგისის“ განმარტება იხილეთ ქვემოთ, სქოლიოში.

\*„ჩათლახი“, სულხან-საბას „სიტყვის კონის“ მიხედვით, ასეა განმარტებული: „უხეირო, უვარგისი“.

პროვოკატორი

# მის საზველად „სასწრაფო“ არ მოვიდა...

## რის გამოსაკვლევად წაიყვანეს უცნობი გერმანიაში

გია გაჩეჩილაძის ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. როგორც ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა მამუკა ლლონტმა განაცხადა, ის იმდენად შეუძლოდ გახდა, რომ „საკანში“ ყოფნა ვეღარ შეძლო და იძულებული გახდა, ახლობლების რჩევა ყურად ეღო და სამკურნალოდ გერმანიაში გამგზავრებულიყო.



### ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო მამუკა, ამჟამად როგორია გია გაჩეჩილაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა?

— ამ ეტაპზე ექიმები მის მდგომარეობას საგულდაგულოდ იკვლევენ. ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მის ორგანიზმში სერიოზული ცვლილებები მოხდა და ძალიან ცუდად არის.

— მისი მდგომარეობა მას შემდეგ გაუარესდა, რაც პოლიციამ სცემა?

— აბა, მანამდე არაფერი სჭირდა!.. ცემის შემდეგ, გამუდმებით უჩიოდა ტკივილებს, სიცხეც ხშირად ჰქონდა, მაგრამ იმედოვნებდა რომ ყველაფერი გაუვლიდა. ახლა ფაქტის წინაშე დადგა და დარწმუნდა, რომ სერიოზული

მკურნალობა ესაჭიროება.

— მკურნალობის კურსს სად იტარებს?

— გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგში.

— რატომ? საქართველოს ჯანდაცვამ მის მკურნალობაზე უარი თქვა?

— ცნობილი ფაქტია, რომ ქუთაისში საპროტესტო აქციაზე ყოფნის დროს ცუდად გახდა, მაგრამ „სასწრაფო დახმარება“ მის საშველად არ მოვიდა...

— რა მიზეზით?

— ეს დარჩიაშვილს რომ ჰქონოთ, იტყვიან, გამოძიებას დაველო-

დოთ და გავიგებთ, რატომ თქვეს „სასწრაფო დახმარების“ ექიმებმა უარი, გია გაჩეჩილაძისთვის სამედიცინო დახმარება აღმოეჩინათო...

— ხომ არ იცით, ამჟამად როგორია გია გაჩეჩილაძის განწყობილება?

— ვიცი, რომ ოპტიმისტურად არის განწყობილი. გია მეზრძოლი სულისკვეთების ადამიანია და პროექტის გაგრძელებასაც აპირებს.

### რეპორტაჟი



## ომი და ქორწილი

### „რაც უნდა საშინელება მოხდეს, სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს!“

მსახიობი და რეჟისორი — ზაზა კოლელიშვილი ომის თემაზე ფილმს იღებს, რომელსაც ნამდვილი ამბავი უდევს საფუძვლად. გადაღებები სოფელ დილოში სულ რამდენიმე კვირაა, რაც დაიწყო. გადასაღებ მოედანზე იმ დროს მივედი, როცა მსახიობები და მთელი ჯგუფი ისვენებდა. ისინი ხის ძირას იყვნენ შეკრებილნი. თავიდან ფილმის შესახებ მისი სცენარის ავტორსა და ფილმის პროდიუსერს, თენგიზ თხილაგასა და მთავარი როლის შემსრულებელს, როლანდ ოქროპირიძეს გავესაუბრე.

### მარეხ ჭონიძე

თენგიზ თხილაგა:

— შარშან მე და ზაზა კოლელიშვილი ფილმის გადაღებას სულ სხვა თემაზე ვაპირებდით, მაგრამ ომი დაიწყო და ის პროექტი ვერ განხორციელდა. რამდენიმე ხნის წინ კი ზაზამ მომიტანა და მიჩვენა ქალბატონ ლალი

შაშიაშვილის სტატია, სადაც მოთხრობილი იყო, თუ როგორ გადაიხადეს 9 აგვისტოს, სოფელ ძვერაში ქორწილი, სწორედ იმ დროს, როდესაც აფეთქებებისა და სროლის ხმა ისმოდა. ზაზამ მითხრა, — საინტერესო ფაქტია, ამ თემაზე ფილმი ხომ არ გადაგველო?.. იდეა მეც ძალიან მომეწონა და, მუშაობა დავიწყეთ. პირველ რიგში, ჩავედით

სოფელ ძვერაში, სადაც პირადად შევხვედით იმ ოჯახის წევრებს, ვინც ქორწილი გადაიხადა და მათგან მოვისმინეთ ეს ამბავი. შემდეგ, პაატა ბერიკაშვილმა სცენარის წერა დაიწყო. სხვათა შორის, სცენარზე მე და ზაზაც ვმუშაობდით.

— ფილმის ბიუჯეტი რამხელაა?



ფილმის ბიუჯეტი 350.000 დოლარს შეადგენს

რომელიც ომის გამოც კი არ ამბობს უარს, რომ საყვარელ ადამიანზე იქორწინოს.

— **შენ თვითონ როგორ უყურებ ამ ფაქტს? გვერდით სროლის, აფეთქებების სმა ისმის, ადამიანები იღუპებიან, ესენი კი ქორწილს იხდიან...**

— საკმაოდ დიდია — 350.000 დოლარს შეადგენს. ერთ-ერთი დამფინანსებელი კულტურის სამინისტროა. ასევე, მხარში გვიდგას და გვეხმარება თავდაცვის სამინისტრო, სტუდია „გარიგება“, საპროდიუსერო ცენტრი „არტპარალელი“, დამოუკიდებელი „კინოსერვისი“, „დუტა პროდაქშენსი“, „სინექვი“. რომ არა ამ ორგანიზაციების დახმარება, ფილმის გადაღებას ვერ შევძლებდით. თუმცა, დამატებითი დაფინანსების მოპოვებას ახლაც ვცდილობთ.

**როლანდ ოქროპირიძე:**

— ბატონმა ზაზამ დამირეკა და მითხრა, — ფილმს ვიღებ და სინჯებზე მოდიო. მივედი და სურათები გადამიღეს, რომელიც ძალიან ცუდი გამოვიდა. სინჯებიდან ისე წამოვედი, მეგონა, დამინუნეს, მაგრამ მალე ბატონმა ზაზამ დამირეკა და მითხრა: სურათებს ყურადღებას არ ვაქცევ ვიცი, შენი შესაძლებლობები და ამ ფილმში მჭირდებიო. ბუნებრივია, გამიხარდა და მის შემოთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდი.

**— შენს გმირზე რას იტყვი?**

— ჩემს გმირს კახა ჰქვია და ის ძალიან მომწონს. ერთი ჩვეულებრივი, ქართველი, შეყვარებული ბიჭია,

— ძალიან მაგარი და იშვიათი ფაქტია. არა მგონია, ასეთი რამ სხვა ქვეყანაში მომხდარიყო. ოჯახს დაგეგმილი ჰქონდა ქორწილი და მას ომის გამოც კი არ შლის. ეს ალბათ, იმიტომ, რომ ქართველებისთვის წესი და ტრადიცია პირველად გილზეა.

**ზაზა კოლეიშვილი:**

— ეს ფილმი საკმაოდ მასშტაბურია და მასში 90 მსახიობი მონაწილეობს.

— **თქვენი შვილი, ელენე პატარძალს განასახიერებს. რატომ გადაწყვიტეთ ამ როლში მისი გადაღება?**

— მეც და გადამღებ ჯგუფსაც ამ როლისათვის მოგვეწონა. ამიტომ, სხვა მსახიობის ძებნა აღარ დაგვიწყია. ელენეს გარდა, ამ ფილმში მეც და ჩემი ორი ბიჭიც ვართ დაკავებული — პატარა ეპიზოდური როლებითა, ჩეჩენ მებრძოლებს ვთამაშობთ. ის ფაქტი, რომ ამ ფილმში შვილებთან ერთად ვმონაწილეობ, ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მათთვის: მინდა, ეკრანზე მათთან ერთად დავრჩე.

— **ფილმში ომის კადრების შეტანას სომ არ აპირებთ?**

— ფილმში ნამდვილი ომის კა-

დრები არ იქნება, ყველაფერს თავად გადავიღებთ. ხომ ხედავთ, აქ რამდენი სამხედროა შეკრებილი, ისინი უკვე მესამე დღეა, აქ მუშაობენ და ძალიან გვეხმარებიან. მალე ტექნიკასაც მოგვაშვებენ. დღეს აფეთქების სცენის გადაღებას ვაპირებთ და ამისათვის სამხედრო კონსულტანტიც გვყავს. დამერწმუნეთ, რომ არა თავდაცვისა და კულტურ-



ელენე კოლეიშვილი და როლანდ ოქროპირიძე

ის სამინისტროები და ასევე, ჩვენი გადაღებები ჯგუფის თავგანწირვა, ამ ფილმის გადაღებას ვერ დავინწყებდით.

— **გარდა სოფელ დილომისა, გადაღებები კიდევ სად გაქვთ დაგეგმილი?**

— რამდენიმე ეპიზოდს თელეთსა და კოჯორში, ხოლო ნაწილს — პავილიონებში გადავიღებთ...

— **ბატონო ზაზა, თქვენ როგორ უყურებთ ამ ფაქტს — ომი მძვინ-**



დღეს აფეთქების სცენის გადაღებას ვაპირებთ და ამისათვის სამხედრო კონსულტანტიც გვყავს

ვამზადებთ ღიაჯავშნით  
 უარებს, ტყვიავაუმტარ მინებს,  
 ხონჩას სავალუტო  
 ჯიხურებისთვის, რეინის დამცავ  
 ფარდა-ქალუხებს, სეიფებს,  
 ყოველგვარ რეინის ნაყოთობას.

**შპს „გლოზუსი-2“**  
 ა. ნერეთლის პროსპ. № 141  
 ტელ. 34-49-27; 8(71)41-74-33

სიძის მამას  
ვასახიერებ



ვარებს, ვილაცები კი ქორწილს  
იხდიან...

— ხომ ხედავთ — კინოს ვილებ, რაც იმის დასტურია, რომ ეს ფაქტი ძალიან მომეწონა. საერთოდ, ჭირი და ლხინი ხომ განუყოფელია.

— მაყურებელი ფილმს როდის იხილავს?

— სექტემბრისთვის ფილმი უკვე დასრულებული იქნება.

გადასალებ მოედანზე ჯაზმენი ტონი ომეილი შენიშნე...

ზამუჟა ჩიხრაძე, ფილმის პროდიუსერი:

— დიახ, ის ამ ფილმში უცხოელი ჟურნალისტის როლს ასრულებს. მას სამსახიობო გამოცდილება აქვს. როდესაც დაფუკავშირდით და ფილმში მონაწილეობა შევთავაზებთ, სიამოვნებით დაგვთანხმდა.

დათო დვალისვილი, მსახიობი:

— სიძის მამას ვასახიერებ. ქორწილისთვის ვეზადები და ამ დროს, ქვეყანაში დიდი უბედურება ხდება — ომი იწყება. როგორც ყველა მშობელი, მეც განვიცდი არა მარტო შვილის, არამედ ქვეყნის ბედსაც. ხომ ხედავთ, რამხელა სამხედრო ტექნიკაა თავმოყრილი, ზემოდან ვერტმფრენით გვიტევენ, გვერდიდან კი — ავტო-

მატებით. ამ უბედურებაში ვარ, მაგრამ ქორწილის გადადებას მაინც არ ვაპირებ. ჰოდა, თუ გაინტერესებთ, როგორ ჩაივლის ქორწილი, ეს ფილმი გამოსვლისთანავე, აუცილებლად უნდა ნახოთ (იციინის).

— ფილმის სიუჟეტზე რა აზრის ხართ?

— ჩემი აზრით, თუ ომია, ომი უნდა იყოს, მაგრამ თუ ამ ფაქტს მეორე მხრიდან შევხედავთ, გამართლებაც აქვს: რაც უნდა საშინელება მოხდეს, სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს! გულზე ხელების დაკრეფა არ შეიძლება, ყოველთვის მოქმედება საჭიროა. ამ შემთხვევაში კი ეს მოქმედება და სიცოცხლის გაგრძელება ქორწილით გამოიხატება.

**ელენე კოლეიშვილი:**

— პროფესიით ჟურნალისტი ვარ. ამ ფილმში რომ ვმონაწილეობ, ზაზას და გადაამლები ჯგუფის დამსახურებაა. თავიდან მეშინოდა, რომ როლს თავს ვერ დავართმევდი, მაგრამ დამარწმუნეს, — რთული არაფერი იქნებაო.

— შენს პარტნიორზე, როლანდზე რას იტყვი?

— როლანდი პროფესიონალი მსახიობია, გამოცდილებაც დაუგროვდა და მისი დახმარების იმედი მაქვს. თუ არ დამეხმარება, ამას არასდროს ვაპატიებ (იციინის)... ჩემს გმირს თავიდან ეკა ერქვა, მაგრამ როლანდმა ზაზას უთხრა: ბატონო ზაზა, ეკას ელენე არ სჯობიაო? — კარგი, ელენე იყოსო, — და-

ეთანხმა მამაჩემიც. ასე რომ, ჩემი გმირი ჩემი სენიაა.

— საქორწინო კაბა, რომელიც შენს გმირს ეცმევა, მოგწონს?

— კაბა უკვე შეკერილია. ვეცადეთ, რაც შეიძლება სადა ყოფილიყო, ყოველგვარი არშიისა და „კრუ-ჟაოების“ გარეშე. პირადად მე, ჩემს ქორწილში ასეთ კაბას არ ჩავიცვამ.

— მამაშენი გადასალებ მოედანზე როგორია? შენიშნავს ან კომპლიმენტს გეუბნება?

— როლზე რომ დავთანხმდი, ზაზა გავაფრთხილე, — გადასალებ მოედანზე არ მიყვირო, შენიშვნა არ მომცე, თორემ გავიქცევი და აღარ დავბრუნდები-მეთქი. ერთ-ერთი ეპიზოდის გადაღების შემდეგ, ზაზასთან მივედი და ვკითხე: — მოგწონს, კარგად გამოდის-მეთქი? მიპასუხა, — არ მიწახავს და ვერაფერს გეტყვიო. შემდეგ კი, როგორც გავიგე, მონიტორ-



სინჯებიდან ისე წამოვედი, მეგონა, დამიწუნეს

თან მჯდარა და მიყურებდა; თურმე, ჩემი გამოსვლის დროს ძალიან ნერვიულობდა. უთქვამს: დედაჩემს მაგრად ჰგავს და მისი ყურება მიჭირსო... ეს თავიდან იყო, როცა ეშინოდა, არ გავქცეულიყავი (იციინის), ახლა უკვე შენიშვნებს მაძლევს და ალბათ, მომავალშიც მომცემს. აი, კომპლიმენტებისგან კი ჯერჯერობით, თავს იკავებს.

— ელენე, შენი გმირის ადგილას როგორ მოიქცეოდი?

— როგორ და აუცილებლად ვიტყვოდი: ხალხო, ომია და რა დროს ქორწილია-მეთქი?! მიმაჩნია, რომ გოგოს მხრიდან ძალიან გაბედული ნაბიჯია...

ვიდრე ინტერვიუებს ვწერდი, გადაღებაც მოამზადეს... იმ დროს ვერტმფრენიდან შეტევის ეპიზოდს იღებდნენ. მსახიობებიც წამოიშალნენ და მუშაობა გაგრძელდა.

ტონი ომეილი გადასალებ მოედანზე





# „ომს გადავურჩით და უიმუილი დაგვხოსავს!“

ცხინვალის მიმდებარე ქართული სოფლები, რომლებიც რუსმა ოკუპანტებმა უკვე დიდი ხანია, დატოვეს, თითქოს დაწყნარდა და ცხოვრების რეჟიმშიც კალაპოტში ჩადგა, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა კონფლიქტის ზონის მოსახლეობა მეტისმეტად ააფორიაქა. მიუხედავად მატერიალური დახმარებისა, რომელსაც სახელმწიფო დაზარალებული სოფლის მოსახლეობას აწვდის, ნაოკუპანტარ სოფლებს ჯერაც უკიდურესად უჭირთ. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ყოველდღიურ სროლა ისმის... ომის შიშით დაზარალებული მოსახლეობა თითქმის გაკრებილია სოფლიდან.



## ნაოკუპანტარ სოფლებში სროლის ხმა ისევ ისმის!

### ელენე ბასილიძე

**გურამი, 50 წლის:**

— ისეთი საშინელი წელიწადი გვაქვს, ალბათ არასოდეს განგვიცდია მსგავსი გაჭირვება... შევარდნაძის დროს მართალია, თითქოს უარესი სიტუაცია იყო, მაგრამ ახლა რაც ხდება, არასოდეს გამოგვიცდია! შარშან ისეთ დროს დაიწყო ომი, როცა მოსავალი უნდა აგველო... გამოგვაქციეს სოფლებიდან და ვერც მოვასწარით რაიმეს მოწვევა... ვერც ვაშლი მოვკრიფეთ, ის, რაც რუსის ჯარს გადაურჩა, ერთი-ორი ყუთი კი გამოვიდოდა, ბავშვებს მაინც რომ გაეცვლებინათ პირი, მაგრამ ბაღში ვერ შევედით — ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნაღმი იყო და საკუთარი თავი კი მერჩივნა ვაშლს... მთელი ზამთარი სახელმწიფოს დახმარებით გავიტანეთ თავი; ის ბრინჯი და ლობიო რომ არ დაერიგებინათ, ალბათ ოჯახი შიმშილით დამეხოცებოდა! ჩემმა რძალმა რამდენიმე თვის ბავშვს ხელი დაავლო და რუსთავში წავიდა ნათესავ-

თან. როგორ მეტყვა, არ წახვიდე-მეთქი?! ეშინია და რა ვქნა, შიშით ხომ არ მოვკვავ, ის მაინც იყოს მშვიდად... ომამდე, ავად თუ კარგად, იმის საშუალება მაინც გვექონდა, რომ მიწა დაგვეშეშეშინა და ორიოდე თეთრი შემოგვეტანა ოჯახში, ახლა კი საკუთარ მინდორშიც ვერ გავსულვარ...

**— რატომ?**

— ჯერ კიდევ გამანაღმველები მუშაობენ, ერთი გერმანელია ჩამოსული და თავის გემას მიჰყვება... სანამ ჩემს ნაკვეთს განაღმავს, ალბათ ნოემბრის შუა რიცხვებზე მოვა და მერე გინდ მქონია ნაკვეთი და გინდ — არა, რაღას დავეთსავ შემოდგომაზე?.. იმ დღეს ვეხვეწე — თარჯიშანი ახლდა თან და ყელი გამოეწვიე, რადგან ისეთ ადგილებში მუშაობს, სადაც არავის უნდა რაიმეს დათესვა, — იქნებ ჯერ ჩემი ნაკვეთი განგენალმა, ძალიან მეჩქარება, თესვა მიგვიანდება-მეთქი... შენც არ მომიკვდე, თითქოს არც არაფერი მეთხოვოს. მიზასუხა: მე ჩემი გემმა მაქვს და მას მივყვები. ვდგავარ ახლა და ველოდები, როდის მოიცლის ის „ნემენცი“ ჩემი ნაკვეთისთვის. იმედია, რამე მეშველება... ეჰ, ომს გადავურჩით და შიმშილი დაგვხოცავს... სიმინდისა და ლობიოს დათესვას ვაპირებ, მაგას ბევრი რჩევა არ სჭირდება. შარშან პომიდორი გვეთესა, მაგრამ წელს სარწყავი წყალი გადაკუტვს

ცხინვალიდან და ურწყავ ადგილას პომიდორის დარგვას რაღა აზრი აქვს?! უფლის იმედზე ვართ და იმედია, ბოლომდე არ გაგვწირავს...

**ინალი, 30 წლის:**

— ყოველ ღამით ისეთი სროლის ხმა ისმის, დაზარალებული ბავშვების დაწყნარებას ვეღარ ვახერხებ... ავტომატების ხმას უკვე შეჩვეულები ვართ, მაგრამ ყუმბარმტყორცნიდანაც დაიწყეს ამ ბოლო დროს სროლა და მთელ ღამეს თეთრად ვათენებთ... თან, ამ ბოლო დროს უკვე დაუფარავად ალაპარაკდნენ რუსეთთან კიდევ ერთ დაპირისპირებაზე და იმდენად გვეშინია, ღამისაა, ხვალვე დავავლო შვილებს ხელი და აქედან გავიქციე!

**— ადგილობრივი ხელისუფლება რას გეუბნებათ?**

— ეჰ, კარგი, რა, თითქოს არ იცოდეთ, ვის ხელში ვცხოვრობთ!.. შარშან ჩემი მეუღლე, სანამ ომი დაიწყებოდა, რამდენიმე დღით ადრე ცხინვალში იყო გადასული. რომ გადმოვიდა, მამინვე მითხრა: სასწრაფოდ ჩაალაგე ბარგი და აქედან უნდა წავიდე, ცხინვალში რაღაცისთვის ემზადებიან და ვაითუ, ომი დაიწყოს... მეც მამინვე მოვემზადე და სანამ გავემზავრებოდი ბავშვებთან ერთად თბილისისაკენ, მანამდე ჩემი მეუღლე გორის მერიამი მივიდა და ამის შესახებ უთხრა, — რაღაც ხდება და ევაკუაცია ხომ არაა საჭიროო? იქ თავი გაუგებიათ: რა ომი, რის ომი? ხალხში პანიკას ტყუილად ნუ დათესავთ, თორემ ვერ გადაგვირჩებოთ!.. მოკვლედ, აქეთ დაემუქრნენ, დაშვიდედა კი არც უფიქრიათ... იმ დღესვე ჩამოვედი თბილისში, რამდენიმე დღეში კი ომი მართლაც დაიწყო. დავიჯერო, არავის ჰქონდა ინფორმაცია, რომ ომის საშიშროება მართლაც რეალური იყო?! ამდენი მშ-

მითხრა: სასწრაფოდ ჩაალაგე ბარგი და აქედან უნდა წავიდე, ცხინვალში რაღაცისთვის ემზადებიან და ვაითუ, ომი დაიწყოს...



ვიდობიანი მოსახლე ხომ აღარ ჩაიხოცებოდა!..

— ახლაც ხომ არ აპირებთ სოფლიდან წასვლას?

— წასასვლელი აღარსად მაქვს. შარშან ჩემი მული ცხოვრობდა თბილისში ქირით, მაგრამ წელს ისიც სოფელშია და სად წავიდე?! ისე ვარ დაშინებული, ლამისაა, ჩაცმულებს ვანვენ შვილებს დასაძინებლად, რომ საშინოროების შემთხვევაში, გაქცევა სწრაფად შევძლოთ...

— მოსავალი თუ მოგვცემ?


— წყალი არ მოდის და ვერაფერს ვთესავთ, რა აზრი აქვს?! მთელი სოფელი დახმარების იმედზე ვართ. თესვას ვინ ჩივის, ბაღშიაც ვეღარ შევსულვართ ვაშლის დასაკრეფად. გუშინ ჩემი მუშავე იყო გადასული ბაღში; შეშინებული დაბრუნდა, მაგრამ არაფერი უთქვამს; დღეს დილით გავიგონე, მეზობელს რომ ეუბნებოდა: ბაღში შევედი თუ არა, სროლა ატყდა და ტყვიები ჩემ წინ ბალახს ცელავდაო. შეშინებული გამოქცეულა, ბუნებზე გადაურჩა სიკვდილს. თუ ბაღში ვერ შევედით, ვერ დავბარეთ, ვერ შევწამლეთ, ხეები ვაშლს მოისხამს?..

ნოდარი, 45 წლის:

— უკიდურესად გვიჭირს, ამაზე მეტი რაღა უნდა ვთქვა?! რამდენიმე თვეა, ეს დახმარებაც აღარ მოსულა ჩვენს სოფელში, არადა, სხვა სოფლებში მივიდა და მაინცდამაინც ჩვენთან იგვიანებს! გარე სამყაროსთან თითქმის შეწყვეტილი გვაქვს ურთიერთობა, საერთოდ, აღარაფერი ვიცით, რა ხდება აქეთ-იქით! ასე ვართ, ცას გამოკერებულები, არც ვინმე ინტერესდება ჩვენით და მგონი, მალე ნიშნით დავიხოცებთ. რომც რაიმე მოვიყვანოთ ბაღში, სად გინდა, რომ გაყიდო?! მატარებელი ჩვენთან აღარ დადის და „მარშრუტით“ ვინ წამალბინებს ქალაქში რამეს?! ყოველ ღამით ისეთი სროლა ისმის სოფელში, შიშით ვინებდებით ზევით. მთელ სოფელში სასურავები სულ ტყვიითაა დახვრეტილი... ორიოდე დღის წინ ვაშლის ბაღში გადავედი და ტყვიამ ცხვირთან ჩამიზუზუნა, აშკარად მე მესროდნენ. კიდევ კარგი, მაღალი ბალახი იყო და ჩავიმალე... ხოხვა-ხოხვით წამოვედი იქიდან. ბუნებზე გადავრჩი. შიშით სახლიდან გარეთაც ვერ გავსულვარ, რომ ბრმა ტყვიის მსხვერპლი არ გავხდებო...  
ბარბატი, 18 წლის:

— ამ ბოლო დროს სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. ადრე თავისუფლად გავდიოდით ბაღებში, ახლა კი შიშით ვინებდებით აქეთ-იქით... წელს ეროვნულ გამოცდებს ვაბარებ, მაგრამ სწავლის გაგრძელების არანაირი საშუალება არ მაქვს. იმედია, სახელმწიფო კონფლიქტის ზონის სტუდენტებს წელსაც დააფინანსებს, თორემ, სწავლის ფული კი არა, საჭმლის ფული გვაქვს სანატრელი... ■

# რამ გააიფა კურორტი?



ახლა ყველა გზა ზღვისკენ ან მთისკენ მიდის და პოლიტიკური ორომტრიალითა თუ ეკონომიკური კრიზისით გადაღლილი მოსახლეობა ცდილობს, იაფად დაისვენოს... გაიაფების გზას ადგას ქართული ზღვი-სპორტით, რომლის განახლებულ ბულვარში ხალხი უკვე გამოჩნდა, მუსიკა ჩაერთო და პლაჟზე ქოლგებიც გაიშალა.

## „მშვიდობას მოაქვს ფედი, ფედს — მშვიდობა...“

### ჯაბა ანანიძე

წელს ბათუმში ჩამოსულ ტურისტებს გზის გაკვლევა არ გაუჭირდებათ, რადგანაც სხვა სიხალე თუ არა, მიმართულების აღმნიშვნელი ბოძები მაინც დაგვხვდებათ. მერე რა, რომ ბოძებიც იტყუებიან?! მაგალითად, ერთ-ერთი აბრა იმ დელფინარიუმის ადგილსამყოფელსაც გამცნობთ, რომელიც ჯერ არ გვაქვს. თუმცა კი დელფინები ისევ მეგობრობენ ბათუმის ზღვის იმ ონავარ ტალღებთან, რომელსაც წელსაც ვერ ასცდა კანალიზაციასთან მეგობრობა. მართალია, ამ პრობლემის აღმოფხვრას ბათუმის ხელმძღვანელობა გერმანული ბანკის მხარდაჭერით, უკვე ცდილობს და ამის გამო ბათუმის ბევრი ქუჩაც გადათხრილია, მაგრამ პროექტის დასრულება მხოლოდ 2014 წლისთვისაა შესაძლებელი. რა ვიცი, იქნებ, უფრო გვიანაც მოგვიხდეს სუფთა ტალღებში ჩაგორება. ბათუმის ზოგიერთი ცენტრალური ქუჩის მოსახლეობა ბაყაყების ყიყინმა შეაწუხა:

— ვერ გავარკვეით, რას რაფერ აკეთებენ. მოდიან, მიდიან... შუა ქუჩაში ბეტონის ფილები ამოიღეს და წავიდნენ. ისიც გავიგე, რომ თურმე ფინანსური ამბავი არეულია და ჩვენც, ბაყაყები მოგვიმრავლდა უბანში. ესაა საქმე? — გვითხრა გამსახურდიას ქუჩის ბინადარმა, **ვანტანა აბულაძე**.

სამართლიანი პრეტენზიების მიუხედავად, „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“ აჭარაში ნამდვილად დაიწყო: წელს თუ ჯერა, გაისად მაინც, ვარსკვლავებიანი სასტუმრო „პიტონი“ გაგიღებთ კარს, თუ, რა თქმა უნდა, უფულობას არ უჩივით და ულაშაზესი, უმაღლესი კოშკიდან მთელი ზღვისპირეთის დანახვაც გინდათ. ბათუმში სხვა დაპირებული სასტუმროების მშენებლობა თითქმის ყველაზე შეჩერებულია, ნაცნობი სასტუმროები კი ეკონომიკური კრიზისის არაფრად დაგიდევნენ. სეზონი მხოლოდ რამდენიმე ათეულ დღეს გრძელდება და თუ სერვისი გავაიფავთ, ჩვენ რაღა დაგვრჩე-

ბაო? — სასტუმროს მენეჯერები ისე სვამენ ამ კითხვას, თითქოს წინა წლებში უცხოელ ტურისტებს საჯაროდ არ ეთქვათ: 500 დოლარის გადახდა ამ ნომერში და თანაც, როცა გაუცინარი სახით გემსახურებიან, ნამდვილად არ ღირსო.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის უფროსმა, თემურ დიასამიძემ გვითხრა: ნიჭიერი მენეჯერების საკმაოდ დევიციტს განვიცდით და თუკი ფასი ხარისხის ადეკვატური არ იქნება, ტურისტიც სხვაგან წავაო. მგონი, არაა ურიგო ნათქვამი, მაგრამ ისიც ხომ საკითხავია — აქამდე რით ვერ მოხერხდა ზღვისპირეთის ტურიზმის განვითარების კონკრეტული სტრატეგიის განსაზღვრა? არა, ტურიზმის დეპარტამენტს რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, რომ სტრატეგიაც მშვენიერი აქვთ და წელს 320 ათას ტურისტსაც ელიან, მაგრამ ჯერ ვერ მოიტეხნა ექსპერტი, რომელიც ამ სტრატეგიას მოინონებდა. თუმცა სხვისი შეფასება რად გვინდა, როცა ჩამომსვლელთა სიმცირეს ისედაც ვხედავთ, ხოლო „რუბიკონის გადასალახავად“ ფონი დღემდე ვერ შერჩეულა. ჰოდა, რუბიკონად გვრჩება: ხარისხთან შესაბამის ფასები, უზუნაღველანობით გამოჩენილი აჭარაში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობა, უცხოეთიდან ჩვენამდე მოსასვლელი გზის გაიაფება (რასაც, სხვათა შორის, თურქეთმა კარგა ხანია, მიაღწია) და, რაც მთავარია, ღირსების „არცოდნა“. ამას წინათ, ერთ-ერთი კაფეს ოფიცინტმა შემომჩივლა: რაც ჩვენს თავზე ტრიალებს, რაფერ გინდა, გალრეჭილი დელიოდო?! კაცო, შეიძლება, შენ არ გეინებოდეს, მაგრამ არც ოპოზიციას უნდა ბათუმის კარგების ქალაქად გადაქცევა, მარა შენ გამო ხომ აპირებს?!

### ნათიალა მჭონია:

— როცა მითხრეს, ოპოზიცია ბათუმის კარგების ქალაქად გადაკეთებას აპირებსო, შევიცხადე. შარშან ომმა გაგვიშრო სისხლი, მერე — პოლიტიკოსების კინკლაობამ და ამ ზაფხულსაც თუ ჩავვივარდა სეზონი, ოპოზიცია მომბრუნებს სულს?!

**ზიორგი ცაცხლაძე:**

— ბათუმელები ამას ვერ მოვითმენთ. კი, ბატონო, პროტესტი გამოსახატავია, მარა აქცია და ფრონტი დავახვედრო დამსვენებელს?!

**ციხლა გავულაძე:**

— რუსთაველის ქუჩაზე ვცხოვრობ და სახლს ყოველ ზაფხულს ვაქირაფებ. არ ვიცი, წელს რა და როგორ იქნება, მაგრამ შარშან თუ 50 ლარად ვაქირაფებდი საწოლს, წელს 30 ლარადაც მივცემ პირველივე მსურველს. აბა, რა ვქნა?..

**ნოდარ ზარიძე:**

— აჭარის პრიორიტეტად ტურიზმის გამოცხადება — დიდი შეცდომაა. მართალია, წარსულში იმდენი დამსვენებელი გვსტუმრობდა, ვერ დაითვლიდი, მაგრამ ახლა რუსები დასანახავად აღარ გვინდა და ევროპას ჩვენდა სცალია?! ნავა, ბატონო, თურქეთში და უკეთესად, თანაც — იაფად დაისვენებს. ღმერთმა უღამახესი სანაპიროთი დაგვაჯილდოვა და რა გვაქვს სათქმელი?! პლაჟი კი ვერ დაგვისუფთავებია...

სისუფთავის გარდა, ქართულ პლაჟებს გაქრობისაც „ემინიათ“: გარემოს დაცვის ექსპერტთა მონაცემებით, ზღვა ყოველწლიურად, 8-10 მეტრით მოიწვეს. თუკი გრანდიოზული ოპერის თეატრის შენების პარალელურად, ხელისუფლებამ ნაპირის გამაგრებას არ მიჰყო ხელი, სულ მალე შესაძლოა, ზღვამ ძველი კალაპოტი დაიბრუნოს...

ტურიზტების დაბრუნებაზე ოცნებობენ სარფში, გონიოსა და ქობულეთშიც. აქ სახლი-სასტუმროების ფასები თითქმის განახევრებული დაგხვდებათ, ჭამა-სმაც არ დაგიტხელებთ ვიბეს (თუ ისედაც დათხელებული ჩამოსვლას არ აპირებთ) და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის სამზარეულოსაც დააგემოვნებთ: ქართულ ზღვისპირეთში თურქული კაფე-რესტორნები მომრავლდა, ბათუმის ცნობილ ჰოლანდიურ რესტორანში კი ამ ქვეყნის კერძებს ვეღარ დააგემოვნებთ, რადგანაც რესტორნის ხე-

ლმძღვანელთა გადანაცვლებით, „ჰოლანდიურ სახლში“ მხოლოდ ქართულ კერძებს მოამზადებენ, თანაც — მნიშვნელოვანი ფასდაკლებით... „აჭარული სახლის“ ეზოში შევდივარ. აქ ისევე შეგიძლიათ, ვინრო ბილიკებზე გაიაროთ და აჭარის ისტორიაში შეიჭვრიტოთ. სახლების, ნაღების, ხიდების მაკეტებისა თუ ძველი ფარდაგების ნახვა სწორედ ღია ცის ქვეშა შესაძლებელი, თვით სახლში კი კვლავ აჭარულ კერძებს ამზადებენ, აქაც — „ქამარშემოჭერთ“. ბათუმში ჩინური რესტორნის კარიც ღიაა. თუმცა იქაური ძვირად ღირებული კერძების დამგემოვნებლები იშვიათად ჩნდებიან. მშვიდობას მოაქვს ფული, ფულს — მშვიდობა, — გვიზიარებს ჩინურ სიბრძნეს კლიენტების მომლოდინე მზარეული.

**მირაზ ღიასაშიძე, ტურისტული სააგენტოს ხელმძღვანელი:**

— პოლიტიკური ვითარების ადეკვატურად, ტურისტების რაოდენობა შემცირდა. ძირითადად, სომხეთიდან გვირეკავენ. მათ ისეთი პანსიონატების დაქირავება სურთ, სადაც ერთი დღე, სამჯერადი კვებით, 30 დოლარი ღირს. ძვირად ღირებულ ტურისტულ სერვისზე მოთხოვნა თითქმის აღარაა. აჭარის ტურისტულ სექტორში ფასი ისევე არ შეესაბამება ხარისხს და ეს იმიტომ ხდება, რომ ძირითადად, საზღვაო ტურიზმზე ვართ ორიენტირებული. ყველა ცდილობს, აგვისტოს შემოსავლით მთელი წლის სარჩო დააგროვოს. უკვე მოქმედებს არაერთი სამთო, აგრო, ეკო და ეთნოტურისტული მარშრუტი. ტურისტებს მალე, საქართველოში პირველი ქრისტიანული გზის გავლაც შეეძლებათ და ეს იქნება პილიგრიმთათვის საინტერესო გზა — გონიოს ციხიდან სხალთის ტაძრამდე.

**თიმურ ღიასაშიძე, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარე:**

— ზოგადად, ტურისტულმა ნაკადმა ზღვისპირეთში 30%-ით იკლო და მათ მოსაზიდად, ყველაფერს ვაკეთებთ: ვმონან-

ილეობთ სხვადასხვა ტურისტულ გამოფენაში, ჩამოგვყავს უცხოელი ჟურნალისტები, მოქმედებს ვიზიტორთა და საინფორმაციო ცენტრები... ე.წ. აგრესიული რეკლამა არ მოგვიმზადებია, რადგან წელს აჭარა ამისთვის მზად არ არის. როგორც ამბობენ: არ არსებობს მეორე შანსი, ტურისტი პირველივე სტუმრობისას უნდა მოხიბლო. არსებული პოლიტიკური დაძაბულობა ბევრ რამეში გვიშლის ხელს. მაგალითად, ბათუმის ტურისტულ გამოფენაზე, არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის გამო ბევრი უცხოელი არ ჩამოვიდა. მიუხედავად ყველაფრისა, ბათუმი ისე გალამაზდა, რომ ხანდახან ვეღარ ვცნობ...

ასე რომ, ჩაალაგეთ ჩემოდანი და ენციკლეთ ზღვისპირეთს. იქნებ, თქვენც ვეღარ გვიცნოთ...

ამბობენ: არ არსებობს მეორე შანსი, ტურისტი პირველივე სტუმრობისას უნდა მოხიბლო



www.ambebi.ge

თუ მიგაჩნიათ, რომ საინტერესო ამბავი იცით და გსურთ, ის ყველას გააგებინოთ...

# მოჰყავით თქვენი ამბავი

## ამბები.GE-ზე

# ვინ აკონტროლებს საქართველოში „ნარკობრასებს“ და რაზომ არ აკლავს ხელს რუსეთს ომის დაწყება

## „ქართულმა და რუსულმა სპეცსამსახურებმა ეს ოპერაცია ერთად დაგეგმეს...“

„საკავშირის ხელისუფლებას ქართველებისაგან ჯვალათების ახალი ვიში გამოჰყავს“, — ამ განცხადებას პოლიტიკური ექსპერტი, სოსო ცინცაბერიძე აკეთებს. ის ირწმუნება, რომ გასული თვის განმავლობაში, სააკაშვილის ხელისუფლებამ საკუთარი თავის სრული ლუსტრაცია მოახდინა, რადგან ქართველი ხალხის წინააღმდეგ ძალადობის უპრეცედენტო ხერხები გამოიყენა (დაარბია მშვიდობიანი აქცია და უმოწყალოდ სცემა ახალგაზრდებს, მათ შორის, ყურნალისტებსაც) და საკუთარ ტერიტორიაზე დივერსიული აქტი (აფეთქა მამისონის უღელტეხილთან მდებარე ხიდი) განახორციელა.



### ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო სოსო, ახალი ვიშის ჯვალათებში ვის გულისხმობთ?

— ადამიანებს, რომლებიც მშვიდობიან მომიტინგეებს სასტიკად გაუსწორდნენ. სპეცრაზმმა და პოლიციამ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაცია განახორციელა. ეს ნამდვილი ბარბროსობა იყო. სამწუხაროდ, ქართველებს შორის ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელიც ჯვალათის ფუნქციას სიამოვნებით ასრულებს. ასეთებს არანაირი პროტესტის გრძნობა არ უჩნდებათ, როცა უდანაშაულო ხალხის წამებას, დევნას და მათთვის იარაღის ან ნარკოტიკის ჩადებას ავალებენ. ამ ახალი კლასის ჯვალათების შექმნა სააკაშვილის ხელისუფლების სინდისზე იყო. მათ ცოდვების მონასანანიებლად ერთი ცხოვრება არ ეყოფათ. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი გახლდათ ის ამბავი, რომ სასტიკად ნაცემ ახალგაზრდებს ექიმიც არ შეუყვანეს მანამ, ვიდრე მათმა გულშემატკივრებმა შიშშილობა არ დაიწყეს და ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა და ჩეხეთის ელჩმა საქართველოს ხელისუფლებას განცხადებით არ მიმართა. რატომღაც, ქართველმა ექიმებმა არ გააპროტესტეს ის ფაქტი, რომ მათ პიპოკრატეს ფიცის აღსრულების საშუალება არ მიეცათ. ეს მხოლოდ ხელისუფლების უზნეობაზე კი არა, სამედიცინო პერსონალის ცნობიერებაში არსებულ პრობლემებზეც მიუთითებს.

— თქვენ აზრით, საზოგადოება რამდენად ენობა ხელისუფლებას, რომელიც ხალხის წამებასა და ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნაში ბრალდებულ ექსპრინსტრთან — კახა თარგამაძესთან საუბარსაც კი უზნეობად მიიჩნევს, მაგრამ როდესაც თა-

ვად სჭირდება, მოსახლეობის წინააღმდეგ ძალისმიერ მეთოდებს დაუფიქრებლად იყენებს?

— ხელისუფლება კახა თარგამაძისგან ბინ ლადენის კონკურენტს ქმნის. მე არც ერთი თარგამაძის ადვოკატად არ გამოვდები, მაგრამ როდესაც ხელისუფლება მის ნარკობარონობაზე საუბრობს (სხვათა შორის, მასზე ასეთი ეჭვი მეც მაქვს), მიჩნდება კითხვა: — თარგამაძის შემდეგ საქართველოში ვინ გახდა „ნარკოტრასების“ მეთვალყურე?.. თარგამაძის პოლიცია ჯანდაცვას საშუალებას არ აძლევდა, ნარკომანები ავადმყოფებად გამოეცხადებინა და მათთვის ემკურნალა. ჰოდა, მაინტერესებს, დღეს იმავეს რატომ აკეთებს მერაბიშვილის პოლიცია?

— ეი, ფიქრობთ, რომ თარგამაძე საქართველოსთვის რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენს?

— ქვეყანას ნორმალური ხელისუფლება რომ ჰყავდეს, თარგამაძის მსგავსი ადამიანები საფრთხეს ვერ შეგვიქმნიდნენ. ამ ხელისუფლების რა უნდა ვირწმუნოთ, როდესაც დაზვერვის შეფი პარლამენტში მიდის და ქართველ საზოგადოებას „ახალ აღმოჩენას“ ამცნობს: თურმე, ნუ იტყვით და, ლევან მამალაძეს და კახა თარგამაძეს საქართველოს ხელისუფლება არ უყვართ. წერა-კითხვის მცოდნე, ნებისმიერი მოქალაქე 20-ჯერ მეტი ისეთი ადამიანის სახელსა და გვარს დასახელებს, ვისაც ეს ხელისუფლება არ მოსწონს.

— რამდენად შესაძლებელია, რომ თარგამაძესთან გაჩეჩილაძისა და გამყრელიძის შესხვედრის ფაქტმა ოპოზიციის რეიტინგს დაბლა დასწოს?

— ოპოზიციის პოლიტიკური რეიტინგის ზრდას ეს შეხვედრა ხელს ნამდვილად არ შეუწყობს, თუნდაც იმიტომ, რომ გამყრელიძემ და გაჩეჩილაძემ ამის

შესახებ საჯარო ინფორმაცია არ გააკეთეს. ისე, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად ასეთ ნაბიჯს მეც გადავდგამდი. ინფორმაციის გაცვლის მიზნით ხშირად ვხვდები ოპოზიციური და სახელისუფლებო ძალების სხვადასხვა წარმომადგენელს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანზე მზე და მთვარე ამომდის.

— როგორც ოპოზიციონერი ლიდერები ამბობენ, მათ თარგამაძემ მიანოდა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, სააკაშვილის ხელისუფლება მოსკოვიდან იმართება, ხელისუფლება კი ირწმუნება, რომ თარგამაძე მხოლოდ რუსეთის მოქალაქე კი არა, რუსული სპეცსამსახურების თანამშრომელია და ის ოპოზიციონერი ლიდერებთან ერთად, საქართველოს ხელისუფლების დამხობას გეგმავდა. მაინც, ვის უნდა დაუფეროს ქართველმა ხალხმა?

— დღეს არსებული რეალობის ობიექტურად გაანალიზებაც კი საკმარისია იმისთვის, რომ გავარკვიოთ, ვის მხარესაა სიმართლე. ის ვიდეომასალა, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების მიერ მართულ არხებზე ვიხილეთ, ქართული სპეცსამსახურების მიერ მოპოვებულს აშკარად არ ჰგავს. საქართველოს არანაირი პოტენცია არ გააჩნია, რომ გერმანიის ტერიტორიაზე დაზვერვითი სამუშაოები აწარმოოს და შემდეგ, მოპოვებული ინფორმაცია გერმანულ საიტზე გამოაქვეყნოს. აი, კრემლისათვის კი არც სადაზვერვო სამუშაოების ჩატარება რთული საქმე და არც გერმანული საიტის ყიდვაა პრობლემა. შეგახსენებთ, რუსული ფულის წყალობით, „გაზპრომის“ სახელწოდება გერმანიის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელებს მაისურზე ან-

ერიათ. გამოდის, რომ ქართულმა და რუსულმა სპეცსამსახურებმა ეს ოპერაცია ქართველი ოპოზიციონერი ლიდერების წინააღმდეგ, ერთად დაგეგმეს...

— თუ სააკაშვილის ხელისუფლება მართლაც, რუსულ საქმეს ემსახურება, რუსეთის მოქალაქე თარგამაძეს ამ ინფორმაციის ოპოზიციისთვის გადაცემა რაში სჭირდებოდა?

— თარგამაძისთვის რუსული და ქართული საქმე მეორეხარისხოვანია, მას სააკაშვილთან პირადი მტრობა ამოძრავებს.

— თვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მამისონის ულელტეხილზე ხიდის აფეთქება და ქართველი მესაზღვრეების უკან დახვევა იყო, რომლის შესახებაც უამრავი ვერსია გაფრცხლდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვენ რა ვერსია გაქვთ?

— ეს ჩვენი ხელისუფლების კიდევ ერთი სირცხვილი გახლდათ. კითხვაზე: ვინ და რატომ ააფეთქა ხიდი? პასუხი აქვთ მხოლოდ გონებაჩლუნგებისთვის: — ხიდი მალე აღდგება... ჩემთვის ერთი რამ არის ცხადი — ხიდის აღსადგენად საჭირო თანხა საქართველოს მოქალაქეებმა კი არა, იმ ჩინოვნიკმა უნდა გაიღოს, ვინც მისი აფეთქების ბრძანება გასცა.

— ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, ხიდის აფეთქებით ქართულმა მხარემ რუსების შემოჭრისგან დაიზღვრა თავი.

— ჩვენი ქვეყანა ასეთი საშიშროების წინაშე მართლაც რომ იდგეს, ხიდის აღდგენითი სამუშაოები დათო საგანგებო მთავრობის მიერ ატეხილი აუიოტაჟიდან მეორე დღეს რატომღა დაიწყეს?.. მითხარით, რისთვის სჭირდება რუსეთს საქართველოში ახალი აგრესიის განხორციელება? მოსკოვი ხომ ჩვენი ქვეყანაში თითქმის ყველა სტრატეგიულ ობიექტს აკონტროლებს. გარდა ამისა, დღეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთისთვის სასარგებლო ეკონომიკური პროექტების განვითარება დაუბრკოლებლად მიმდინარეობს. ხომ არ გგონიათ, რომ სომხეთმა სააკაშვილი ღირსების ორდენით რუსეთთან შეთანხმების გარეშე დააჯილდოვა? ერევანს დამოუკიდებელი

მოქმედების უფლება რომ ჰქონდეს, საკუთარ ეკონომიკურ ინფრასტრუქტურას რუსეთს 2 შუურადაც არ მიჰყიდდა. ამ სიტუაციაში რუსეთს დასავლეთის კიდევ უფრო გაღიზიანება არაფერში აწყობს. მან საქართველოში ახალი ომი რომ წამოიწყოს, ეს მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესების უგულვებელყოფა კი არა, საერთაშორისო საზოგადოების დამცირება იქნება.

— კულუარული ინფორმაციით, ქართული მხარე თავდაცვისთვის სეროზულად ემზადება.

— თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართული არმიის ბიუჯეტი 45 მილიონი ლარით შემცირდება, ხოლო შს სამინისტროს ბიუჯეტი — ნული მთელი ნული მეათედით, ძალაუფლებურად, გაიფიქრებ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთისაგან კი არა, საკუთარი ხალხისაგან თავდასაცავად ემზადება.

— თქვენი აზრით, ობამას ადმინისტრაცია როგორ აღიქვამს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის მოქალაქეა?

— სასაცილოდ რომ გგვქონდეს საქმე, ვაშაძის რუსეთის მოქალაქეობის ამბავი მხოლოდ ანეკდოტური ფაქტი იქნებოდა. ამჯერად კი ეს პოლიტიკური და მორალური უზნეობაა. ჩვენი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობს. ჰოდა, თავად განსაჯეთ, რა ტიპის პატრიოტი შეიძლება იყოს ის... ვაშინგტონში მშვენივრად აცნობიერებენ, რომ საქართველოში ერთის გარდა, არც ერთი მინისტრი არ წარმოადგენს სოლიდურ ძალას, გადანყვეტილებების მიღების თვალსაზრისით.

— ხომ არაა შესაძლებელი, რომ ქართველი პოლიტიკოსების მიერ ერთმანეთის მიმართ აგენტობაში დადანაშაულებამ და სხვა შიდა პრობლემებმა ვაშინგტონს საქართველოს მხარდაჭერაზე ხელი ააღებინოს?

— ვაშინგტონი საქართველოზე ხელს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე არ აიღებს.

— განაპოლსკის განცხადებით, საქართველოში ომის დაწყება ვაშინგტონსაც აძლევს ხელს, მოსკოვის დისკრედიტაციისთვის.

— რუსეთის ხელისუფლების დისკრედიტაცი-

ისთვის ახალი მიზეზების გამონახვა სულაც არაა საჭირო. პუტინისა და მედვედევის რეჟიმს მათ მიერვე წარმოებული არადემოკრატიული და იმპერი-ალისტური პოლიტიკა დაამხოვს.

— თუ რუსეთის დისკრედიტაცია ასეთი ადვილია და მედვედევ-პუტინის დღეებიც დათვლილია, ამეროკა რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებას რატომღა ცდილობს?

— რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორება და იქ დემოკრატიის დამყარება ნებისმიერი ქვეყნის ინტერესებში შედის. წარმოიდგინეთ, რა მოხდე-



ეს ჩვენი ხელისუფლების კიდევ ერთი სირცხვილი გახლდათ

ბა, თუ ეს უზარმაზარი ქვეყანა ნეგატივის ნაცვლად, პოზიტივისკენ იქნება მიმართული. დასავლეთი და ამერიკა უკრაინაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას სწორედ იმიტომ ცდილობენ, რომ ის რუსეთისთვის მაგალითი გახდეს, ხოლო პატარა საქართველო მაგალითისთვის ვერ გამოდგება. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ უკრაინა საქართველოზე ადრე გახდეს ნატოს წევრი.

— ნატოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის აღდგენას როგორ აფასებთ?

— თუ გინდა, ვინმეს აზრი შეაცვლევინო, უნდა ელაპარაკო კიდევ. უსასრულო გაბუტვა შედეგს არ გამოიღებს.

— თუმცა, რუსეთი ნებისმიერ დათმობას ოპონენტის სისუსტედ აფასებს და უფრო რადიკალურ ნაბიჯებს დგამს...

— სრულიად სამართლიანი ქართული გამოცდილებაა, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს იმდენი ძალა და ავტორიტეტი, რომ ამ ქვეშარტებში ყველა დავარწმუნოთ. რუსეთის ხელისუფლება თავად გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც ყველას დაარწმუნებს, რომ დღევანდელი ქართული რეალობა გამონაკლისი არაა; რომ რუსეთს სხვა ქვეყნების მიმართაც იმპერიული ზრახვები ამოძრავებს და მსოფლიოში დაწესებულ მოთხოვნებს არ ემორჩილება.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელი გახლდათ ის ამბავი, რომ სასტიკად ნაცემ ახალგაზრდებს ექიმიც არ შეუყვანეს



# სკოლის მერხიდან — ომის ქარცხცხლში

## და აფხაზეთიდან 6 წლის დაბრუნებით მიღებული წერილი

„ჩემმა დამ მიხსრა, — შენი ძმების მკვლელები როგორ უნდა გიყვარდესო?! კარგა ხანს ვერაფერი ვუპასუხე. მერე კი დასძინა, — ღმერთი გაპატიებს მტრის სიყვარულსო. მწარედ გამეცინა: ჯერ კიდევ არ ვიცი, ვინ მტერია და ვინ — მოყვარე-მეთქი... თუკი მტერი ხარ, უფალი მართლა მაპატიებს ამ გრძობას, რადგან მან ინება ჩვენი შეხვედრა...“ — ეს არის ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც აფხაზმა გოგონამ ომის შემდგომ სოხუმში, სანაპიროზე დაწერა და დიდი რისკის ფასად, ენგურს გამოლმა გამოგზავნა. საგულდაგულოდ დალუქულმა კონვერტმა დღის სინათლე აფხაზეთის ომის დასრულებიდან 6 წლის შემდეგ იხილა. წერილის ადრესატი, აფხაზეთის ომის ვეტერანი დავით კობახიძეა. „გზის“ სტუმარი მის მიერ განვლილ ტკივილიან ცხოვრებაზე მოგვითხრობს.




### ლალი კაკასკირი

— მე ომში არ წავსულვარ. ომი ჩემ თვალწინ დაიწყო და ამ პროცესში მონაწილეობამ ჩემდა უნებურად მომიწია. მაშინ არც კი ვიცოდი, ამ საშინელებაში ვის მიუძღოდა ბრალი, მერე კი ჩემი თვალთ დავინახე, თუ როგორ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს პოლიტიკური ნიშნით, უბრალო ქართველები და აფხაზები... მაშინ 17 წლის ვიყავი და მხოლოდ ერთი რამ ვიცოდი, — აფხაზეთი საქართველოს მიწა იყო

და არ უნდა დაგვეთმო... ე.წ. მაჭარკის დასახლებაში ვცხოვრობდით, სადაც ქართველებთან ერთად, რუსები, აფხაზები და ბერძენებიც ცხოვრობდნენ. ომის დაწყებიდან რამდენიმე ხანში იქაურობა აფხაზებისგან დაცარიელდა... ახლა ხშირად ვფიქრობ წარსულზე და მგონია, ჩვეულებრივ ადამიანებს შეგვეძლო ამ ომის თავიდან აცილება, უბრალოდ, ორივე მხარეს თითო ნაბიჯი უნდა დაგვეთმო. რაღაცაში ჩვენ შევცდით, რაღაცაში — ისინი და სისხლიც დაიღვრა. რაც მთავარია, საკუთარ სიმართლეში ორივე მხარე დარწმუნებული იყო და დათმობას ვერავის მოსთხოვდნენ. სიმართლეს თვალს არ ვუსწორებდით, არ გვინდოდა, საფრთხე დაგვენახა. ამიტომაც, რეალობის აღქმა დაგვარგეთ. როცა ლესელიძეში გაჩაღებულ ბრძოლებზე მიყვებოდნენ, რეაქცია არ მქონდა, მეგონა, ეს ჩვენ არ გვეხებოდა და სოხუმამდე ვერასდროს მოაღწევდა.

— მაგრამ გავიდა დრო და აფხაზს თქვენც ესროლეთ...

— დიას, ომი თანდათან გვიახლოვდებოდა და ვერც მე გავეცეოდი ჩემს მოვალეობას... სანამ ომის საშინელებას გავიხსენებდე, ერთი ამბავი მინდა მოგიყვებო, რომელიც ომამდე გადამხდა თავს. ჩემს ეზოში ტყუპი ძმა ცხოვრობდა, გვარად — აგირბა. ფეხბურთის თამაშისას ერთი ყოველთვის ჩემს გუნდში იყო, მეორე — მონინალმდეგეში. ერთხელაც მონინალმდეგეში. ერთხელაც მონინალმდეგეში ბურთის მიღებას ერთდროულად შევეცადეთ და ერთმანეთს შევასკდით. მე ხელი მომტყდა, მას კი წარბი გაუსკდა და იარა დარჩა... ტყუპი, მმასავით იყო ჩემთან და ერთმანეთისგან მხოლოდ მე ვარჩევდი. ომი ახალი დაწყებული იყო, როცა ერთხელაც, თანატოლებმა ფეხბურთის თამაში გადაწყვიტეთ. შერჩევა „არჩევანი-არადანის“ პრინციპით მოხდა. იმ ძმამ, რომელიც ადრე ყოველთვის ჩემს გუნდში ხვდებოდა, თამაშზე უარი თქვა. გამიკვირდა, რადგან მანამდე ერთ გუნდში ქართველები და აფხაზები შერეულად ვთამაშობდით, თამაშის ბოლოს ერთმანეთს ცხვირპირსაც ვამტვრევდით, მაგრამ მეორე დღეს ისევ ძმები ვიყავით. ეს კი პირველი შემთხვევა იყო, როცა ქართველები და აფხაზები ცალ-ცალკე გუნდებად „ჩამოვყალიბდით“. ეს რაღაცნაირად, ჩვენგან დამოუკიდებლად მოხდა... თამაში ვერაფრით აწყვი. იმდენად დაძაბულები ვიყავ-



მგონია, ჩვეულებრივ ადამიანებს შეგვეძლო ამ ომის თავიდან აცილება

— იქნებ ფიქრობდით, რომ ყველაფერი მალევე მოგვარდებოდა?

— არ ვიცი... აფხაზებში გავიზარდე და როცა ვიგებდი, რომ ლესელიძესა და ტამიშში ქართველებსა და აფხაზებს შორის ბრძოლები იყო გაჩაღებული, ვერ ვიჯერებდი, რომ აფხაზს, რომელსაც ქართველებთან ერთი დღე მაინც უცხოვრია, ჩვენი ხალხისთვის ტყვიის სროლა შეეძლო.

ით, რომ პირველივე ტაიმში შევწყვიტეთ. ერთმანეთის მიმართ ისეთი თამამი და თავისუფალი დამოკიდებულება აღარ გვექონდა, როგორც ადრე...

— **გამოდის, პოლიტიკური დაძაბულობა უბრალო ადამიანურ ურთიერთობაზეც იმთავითვე აისახა?**

— დიას, თან — აშკარად... ერთი სიტყვით, დავიშალეთ. მეორე დღესვე ომში წავედი და „სოხუმის სამოს“ შევფურთდი. პირველ დღეებში ომის საშინელებაში ბოლომდე ვიყავი ჩაძირული და არც ერთხელ არ მიფიქრია, — ხომ შეიძლება, მოწინააღმდეგე მხარეს ჩემი ახლობელი აფხაზი ბიჭები იდგნენ-მეთქი?! ასე გაგრძელდა რამდენიმე თვე. ერთხელაც, ტამიშთან ბრძოლის პერიოდში, როცა ქართველ ტყვე ბიჭებს აფხაზ მიცვალებულებში ვცვლიდით, აგირბების ერთ-ერთი ტყუპისცალი ვნახე...

— **დაღუპული იყო?**

— დიას, ის იყო, რომელსაც „ჩემიანს“ ვეძახდი და იარით ვიცანი... მას შემდეგ დავფიქრდი იმაზე, რაც „პერესტრელების“ შემდეგ ხდებოდა. ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, მეომრები ერთმანეთის პოზიციაზე გადადიოდნენ და არკვევდნენ, ვინ

მოკვდა და ვინ გადარჩა. ჩემი აფხაზი მეგობრის ნახვის შემდეგ, მეც იმავეს ვაკეთებდი, მაგრამ პოზიციებზე დაბრუნების შემდეგ, ისევ იგივე გრძელდებოდა, — იმავე ადამიანებს ვესროდი, ვისაც რამდენიმე წუთის წინ ველაპარაკეთ. ამიტომაც ამბობენ აფხაზეთის ომზე, — ყველაზე უცნაური იყო. ამ ომის შემდეგ უამრავ ადამიანს ფსიქიკა შეერყა და ამის მიზეზი მხოლოდ სიკვდილის შიში და ტყვია-წამლის დეფიციტი როდი იყო; ჩვენ ერთმანეთს ვესროდი, მაგრამ „ომის აზარტში“ შესულებს, ამაზე ფიქრისთვის აღარ გვეცალა, მაგრამ შემდეგ ეს ყველაფერი ცნობიერებაში დაილექა და მოსვენებას არ მძლევდა... იცით, როგორ მემლება ნერვები, როცა ვუსმენ, როგორ მისტირის ვიღაცა თავის დაკარგულ სახლ-კარს, მანქანასა თუ მაცივარს და ერთხელაც არ ახსენებს იმ ადამიანურ ურთიერთობებს, რომლებიც იმ წლებმა შეინირა და ვერასდროს დავიბრუნებთ?!

— **დათო, სად დაიჭერთ?**

— პირველად, ტამიშთან ბრძოლების დროს დავიჭერი. ჩემს სიახლოვეს, ბატალიონ „ლამურას“ ტანკი ააფეთქეს. მიიმედ დავშავდი, კონტუზია მიქონდა და დავარდნისას მარ-

ჯვენა მკლავი დამემტვრა. ერთი თვე სოხუმის საავადმყოფოში ვინექი, შემდეგ ისევ ჩემს ნაწილში დავბრუნდი. ვცდილობდი, იარაღი მარცხენა ხელში დამეკავებინა — რახან ერთი ხელი არ მივარგა, ამის გამო ბრძოლა როგორ მივატოვო? სამშობლოს ახლა ვჭირდები-მეთქი! უტივინო ვიყავი და არც რჩევის მომცემი მყავდა ვინმე!..

— **გეტყობათ, თქვენ მიერ განვლილ გზას ნანობთ...**

— დიას, ბევრ რამეს ვნანობ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სიყვარულსა და ერთგულებას ვაყვედრი ჩემს ქვეყანას, უბრალოდ, ეს იყო წინასწარ წაგებული ომი, სადაც ჩვენ მხოლოდ საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენეს. ამ დაპირისპირებას ერთადერთი მიზანი ჰქონდა — ქართველები და აფხაზები ერთმანეთს საშვილიშვილოდ უნდა გადაჰკიდებოდნენ და ორივე ერის გენოფონდი უნდა განახევრებულიყო... არანაირი სტრატეგია და ამოცანა არ გვექონდა, უბრალოდ, ბიჭები უნდა დახოცილიყვნენ: დავიკავებდით თუ არა სტრატეგიულ სიმაღლეს, უკან დახევის ბრძანებას გვაძლევდნენ; ამ დროს, ორჯერ მეტი მეზობლი ილუპებოდა, ვიდრე შეტევისას... როცა აფხაზურმა მხარემ

# ახალი პრესა ყველა სოფელს!



## ყურადღება!

თუ საქართველოს მოსახლეს რეგულარულად ან სოფელში გაქვე საფიქრო ობიექტი (მარკეტ ან სხვა.) და გაქვე სურვილი, შეზავით თქვენს ობიექტს ყურნალ-გამოცემის სარეაქციო სერვისი, დაგვიკავშირდით: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315.

ჩააწერით თქვენს ობიექტს თქვენი ვინაობა და საკონტაქტო გეგმები.

**8326 ანგარიშის მფლობელებს!**  
**24/7**  
**8324834348**  
**სადაცმე!**  
**„ელვა.ჯი“**



ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაარ-  
ღვია და სოხუმზე იერიში მოულოდ-  
ნელად დაიწყო, მეგობრის საფლავზე  
გავედით. „ბაგრამიანის ბატალიონ-  
ის“ ბიჭებმა ალყაში მოგვაქციეს და  
ორმხრივი სროლების დროს ისევ  
დავიჭერი. მარცხენა ხელს წესიერად  
ვერ ვხმარობდი, მარჯვენა ჯერ კიდევ  
სამკურნალო იყო. ავტომატში ტყვიები  
გამითავდა, მტკივანი ხელის გამო  
სწრაფად ვერ გადავტენე და მძიმედ  
დავიჭერი. თანამებრძოლებმა გამო-  
მიყვანეს და სოხუმის რესპუბლიკურ  
საავადმყოფოში მიმიყვანეს... ეს ის  
პერიოდი იყო, როცა სარეზერვო  
სისხლი კი არა, ექიმებს ბინტი და  
ბამბა არ ჰქონდათ. ღმერთმა არ გამ-  
წირა და, როგორც მითხრეს, ჩემი  
ჯგუფის სისხლი აფხაზმა გოგონამ  
გადამისხა.

— უცნობი გოგონა იყო?

— არა. რატომ მეკითხებით?

— დათო, მიჭირს ამ შეკითხ-  
ვის დასმა, მაგრამ ვიცი, რომ  
აფხაზ გოგონაზე იყავით შეყვარე-  
ბული. ისიც ვიცი, რომ ახლა არც  
თქვენ გაქვთ ოჯახი და არც მას...

— ყველაფერი გცოდნიათ და  
დამალვას რაღა აზრი აქვს?.. დიას,  
ის გოგონა ჩემს უბანში ცხოვრობ-  
და. ერთმანეთი ჯერ კიდევ სკოლის  
პერიოდიდან გეყვარდა. მიწერ-მონ-  
ერას ომის დროსაც ვახერხებდით.  
როცა სოხუმის საავადმყოფოში მოვხ-  
ვდი, თავისი კლასელისგან გაუგია  
ჩემი დაჭრის შესახებ და მოსულა.  
არც კი ვიცი, სოხუმში როგორ შე-  
ვიგდია. ექიმებს უთქვამთ, რომელი  
ჯგუფის სისხლის მიღება შემეძლო  
და რითაც შეეძლო, დაემხმარა...

— ურთიერთობას მერეც აგრ-  
ძელებდით?

— ამას უფრო მიწერ-მონერა შეი-  
ძლება დაერქვას, ვიდრე ურთიერ-  
ობა...

აფხაზეთის ომის ვეტერანის ახ-  
ლობებისგან ისიც ვიცოდი, რომ  
დათო იმ გოგონასგან მოწერილ წერ-  
ილს ინახავდა. გამიჭირდა, მისთვის  
მეთხოვა, შეყვარებულის წერილი წა-  
მაკითხე-მეთქი, მაგრამ მაინც ვთხოვე...  
შეცბა, ჩემი ნაამბობის შემდეგ ამ წერ-  
ილის გამოქვეყნება, რბილად რომ ვთქ-  
ვათ, სენტიმენტალური იქნებაო... უარი  
მაინც ვერ მითხრა... 15  
წლის წინ რუსულად დან-  
ერილ წერილში ავტორი  
საყვარელ ადამიანს ომის  
შემდგომი აფხაზეთის რე-  
ალობაზე მოუთხრობს. წე-  
რილმა, მართალია, 6 წლის  
დაგვიანებით, მაგრამ ად-  
რესატამდე მაინც მიაღწია.  
მკითხველს მისი შემოკლე-  
ბული ვარიანტის თარგ-  
მანს ვთავაზობთ.



„არც კი ვიცი, საიდან დაიწყო წერა. უსაშველოდ მენატრები...  
ჩვენი თაობის ადამიანებს ამ ომმა ყველაფერი წაართვა — ახალ-  
გაზრდობა, ადამიანობა, ბიოგრაფია და ყველაზე ძვირფასი —

### თავისუფლება... ჩემი ახლობლები ქართველების სიძულვილს მთხოვენ, მე კი არ შემიძლია შენი ხალხის ლანძღვა; უამრავ ქართველს ვიცნობდი, არც კი ვიცი, მათ

გარეშე როგორ გაგრძელდება ცხოვრება... ახლა მთელ ქალაქში  
უჩვეულო სიჩუმეა, სოხუმის პარკიდან ძაღლების ყმუილი ისმის,  
ქუჩაში კაციშვილის ჭაჭანება არ არის. იცი, რამდენი ხანია,  
ხმამალაი სიცილი არ გამიგონია?! ამ გადაბუფულ და დანახ-  
შირებულ, ვითომ დამოუკიდებელ აფხაზეთში უამრავი უბედური  
ადამიანი დარჩა. ყველაფრის რწმენა დაეკარგე, საკუთარი თავისაც  
კი... ჩემი ფიქრები ისევ შენ დაგტრიალებს, — ნეტავ, როგორ  
გაქვს ჭრილობები?.. ბედნიერი ვარ, დათო, რომ ჩემი სისხლი  
გაგატანე, გულამდე მისული წვეთები გეტყვიან, რომ უსაზღვროდ  
მიყვარხარ, შენი მოგონებითა და ჩვენი წარსულით ვცოცხლობ.  
მადლობა უფალს, რომ შენ შეგხვდი.. მიყვარხარ!.. ამას წინათ  
შენი სახლის წინ ჩავიარე, ვილაც არემოტებ, ალბათ მალე  
შესახლდებიან. გპირდები, რომ იმ ქუჩაზე არასდროს ჩავივლი.  
იცი, რა ბედნიერი ხარ, ასეთ სოხუმს რომ ვერ ხედავ?! მინდა,  
აფხაზეთში გამიფებულ ქართველების სიძულვილს გავექცე, მაგრამ  
არც ცხოვრების თავიდან დანწყების ძალა შემრჩა... უძლური ვარ  
იმ საშინელი რეალობის წინაშე, რომელშიც ცხოვრება მიწვეს და  
ვერაფერს გპირდები, გარდა იმისა, რომ მთელი ცხოვრება მეყ-  
ვარები. ამას წინათ, ჩემმა დამ მითხრა, — შენი ძმების მკვლეელი  
როგორ უნდა გიყვარდესო?! კარგა ხანს ვერაფერი ვუპასუხე. მერე  
კი დასძინა: ღმერთი გაპატიებს მტრის სიყვარულსო. მწარედ  
გამეცინა. ჯერ კიდევ არ ვიცი, ვინ მტერია და ვინ — მოყვარე-  
მეთქი... თუკი მტერი ხარ, უფალი მართლა მაპატიებს ამ  
გრძობას, რადგან მან იწება ჩვენი შეხვედრა. არ ვიცი, დათო,  
კიდევ მექნება თუ არა შენთვის წერილის მოწერის საშუალება და  
ვცდილობ, ყველაფერი ჩავატიო, ამიტომაც არის მისი ავტორივით  
არეულ-დარეული. წერილს ზღვის ნაპირზე ვწერ, კაფე „ამრასთან“,  
რომელიც გულსაკლავად გამოიყურება. ბარათს ზღვის სურნელს  
და თოლიების ჭყლოპინს ვატან, შენ რომ ასე გენატრება, და  
კიდევ — ჩემს გულს, რომელიც მხოლოდ შენია... მიყვარხარ და  
უსაშველოდ მენატრები“.



იცი, რა ბედნიერი ხარ, ასეთ სოხუმს  
რომ ვერ ხედავ?!  
■



# „...ჩემი მოკრძალებული წვლილის შეტანას დავარქმევდი“

გასული ორშაბათი იმით დაინცო, რომ ტელეეკრანის საშუალებით შევიტყვეთ — სულიგნობის ბრალდებით, საპატრულო პოლიციამ „ჯეობარელი“ ბესო სარჯველაძე დააკავა... ამ ფაქტიდან 4 დღის ადრე, ის რედაქციაში გვესტუმრა და თავისი საქმიანობის შესახებ მოგვიყვა. საოცარია ის კონტრასტი, რომელიც ჩვენს დიალოგსა და იმ კადრებს შორისაა, რაც ტელეეკრანზე ვიხილეთ... საუბარი ასე დავიწყეთ:

## ბესო სარჯველაძის დაჯარამდე ბოლო ინტერვიუ

### ლალი შანიბა

— ბესო, როგორ ხარ?

— ღვთის წყალობით, კარგად ვარ. ვგრძნობ, რომ გაცილებით უკეთ ვიქნები — მეც და ყველანი ერთად...

— რას საქმიანობ, რითი ხარ დაკავებული?

— ვუძებ სამუშაოს. ურევში არის ერთი ვარიანტი, რომ სამსახური დავინცო და, სხვათა შორის, ხვალ მოსალაპარაკებლად და დეტალების გასარკვევად იქ მივდივარ, სასტუმროს პიარ-მენეჯერობაზე ლაპარაკი.

— წელს, 9 აპრილს გაერთიანებულმა ოპოზიციამ აქციები რომ დაიწყო, მასსოვს, მასთან ერთად, აქციებში შენც აქტიურად მონაწილეობდი.

— კი, ოპოზიციის ახალგაზრდულ ფრთაში ვიყავი გაერთიანებული. შარშან არჩევნებშიც ვმონაწილეობდი — ხაშურის რაიონის დეპუტატობის კანდიდატის პიარ-მენეჯერი გახლდით. თან, იქ ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთაც შევექმენი და აქტიურად ვიყავი ჩართული.

— ახლა?

— ახლა მგონია, რომ მთლად სწორი მიმართულებით არ მიდის პროცესები და აქტიურობა შევწყვიტე. მიმაჩნია, რომ არის კანონდარღვევები. ეს კი ნებისმიერი მხრიდან, აბსოლუტურად დაუსმევებელია. გადაჭრით არ ვამბობ, რომ გაერთიანებული ოპოზიცია კანონს არღვევს, მაგრამ ჩემი თვალთახედვით, მათ დაშვებული აქვთ რაღაც შეცდომები და ამის გამო, გარკვეული პერიოდის მანძილზე აქციებში აღარ ვმონაწილეობ. 26 მაისს ძალიან არ მომეწონა ის ფაქტი, რომ სტადიონზე



გიორგი

მისული ამდენი ხალხი მერე კათოლიკოს-პატრიარქთან წავიდა. მას მერე საერთოდ, არც ერთ აქციაზე არ ვყოფილვარ. მიმაჩნია, რომ პოლიტიკაში პატრიარქი არ უნდა ჩაირიონ...

— ეი პოლიტიკურად აქტიური აღარ ხარ?

— ჩემს აქტიურობას პოლიტიკურს კი არა, უფრო, ქვეყნის გადარჩენისთვის ჩემი მოკრძალებული წვლილის შეტანას დავარქმევდი. მინდოდა, ჩემი მხრიდან გარკვეული წვლილი შემეტანა.

— მაგრამ ჯერჯერობით ტაიპაუტი აიღე, არა?

— კი, მგონია, რომ ოპოზიციას სწორი სტრატეგია განსაზღვრული არა აქვს. ბოლოს და ბოლოს, როდემდე შეიძლება, ხალხი ქუჩაში იდგეს?! როდესაც რაღაცას შედეგი არ მოაქვს, თუ რამის გაკეთება გინდა, მიმართულება უნდა შეცვალო. მაგრამ ჯერჯერობით ახალ ნაბიჯებს ვერ ვხედავ...

— როგორც შეგიტყვე ბოლო კვირაა, ერთ გაჭირვებულ ადამიანს ეხმარება... მოგიყვიე ამის შესახებ...

— 24 წლის ახალგაზრდას, გიორგი მსხილაძეს ლიკემია სჭირს, თან, ამ დაავადების ყველაზე მძიმე ფორმა დაუდგინეს. მე-9 საავადმყოფოსთან არსებული კლინიკა „ჰემას“ მედპერსონალი აბსოლუტურად შოკირებულია. მათ სიტყვებს ვიმეორებ: ჩვენს პრაქტიკაში ანალოგი არ შეგვხვედრილა. ჯვარი სწურია და, ის ცოცხალია, თუმცა უმძიმესი სენი სჭირს... მე გიორგის საერთოდ არ ვიცნობ. მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მინდა, რაღაცნაირად დავეხმარო. როგორც მეუბნებიან, არაჩვეულებრივი ბიჭია. ღვთის წყალობით, ალბათ გამოვა მდგომარეობიდან და დასძლევს განსაცდელს.

— სად არის ახლა ეს ახალგაზრდა?

— ჩაუტარდა ქიმიოთერაპია და ახლა სახლშია გადაყვანილი... რაღაც პერიოდის განმავლობაში, მესამედ ამ პროცედურის ჩატარება არ შეიძლება. გარანტიას არავინ არაფერზე იძლევა. ერთადერთი საშუალება — ისრაელში, ერთ-ერთ კლინიკაში მისი წაყვანაა. სხვათა შორის, იქ მისი საბუთები გაგზავნეს და იქიდან პასუხი მოვიდა, — რაც შეიძლება სწრაფად ჩამოიყვანეთო. გიორგის ოჯახს ხელში 40-დან 60.000 დოლარამდე უჭირავს, ბინა გაყიდეს. არადა, ისრაელში მისი მკურნალობა 155.000 დოლარი ჯდება.

— ეს მკურნალობა რა შედეგს მოიტანს?

— 75% — სიცოცხლის გახანგრძლივება,



20% — აბსოლუტური გამოჯანმრთელება. მაგრამ მაინც მგონია, რომ ერთადერთი გარანტია — ღვთის წყალობაა. წყნეთში რამდენიმე სასულიერო პირს ვლაპარაკე და ისინი დარწმუნებული არიან, რომ გიორგი გადარჩება, — ეს ღვთის ნება არისო...

— თავად თუ არს მორწმუნე?

— კი, მორწმუნეა. მას, სამწუხაროდ, დედა გარდაეცვალა. ადრე, როგორც მითხრეს, ბევრს ლოცულობდა. ამ დაავადების შედეგად, გარეგნულად ძალიან შეცვლილია, 35-40 კგ აქვს დაკლებული, სულ 40 კილოს იწონის... დიაგნოზი აპრილში დაუსვეს. ოჯახი მას მერე, თანხის მოძიებას ცდილობს, მაგრამ არ გამოსდის. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო „კავკასუს ონლაინს“, რომელმაც ინფორმაცია ამ ადამიანის გაჭირვების შესახებ საიტებზე უფასოდ დადო.

— ვინ უფლის გიორგის?

— ჰყავს მამა და ორი და, რომლებიც — მასზე გადაყოლილები, მაგრამ უძღურნი არიან, სანამ ოპერაციისა და მკურნალობისთვის საჭირო თანხას არ დააგროვებენ. არადა, იქ თანხა სრულად თუ არ გადაირიცხა, ოპერაციას არ გააკეთებენ. ამიტომ ახლა ეს ბიჭი ღვთის იმედადაა დარჩენილი.

— გიორგი თუ არის კონტაქტური?

— კონტაქტურია, მაგრამ ძალიან ერიდება და არ უნდა, რომ მისი ეს პრობლემა ქვეყანას მოედოს. მისი აბსოლუტურად მესმის. წარმოიდგინეთ, რამხელა სტრესია ჯერ იმის გაგება, რომ ასეთი დიაგნოზი დაუსვეს და მერე ის, რომ თუ ოპერაცია არ გაუკეთდება, მას სიცოცხლის გარანტიას ვერავინ აძლევს... ამიტომ, არავისთან შეხვედრა არ უნდა.

— რეალურად, ჯერ ფინანსურად არავინ დახმარდება?

— არის დაპირებები, მაგრამ ჯერჯერობით არავინ დახმარება. გახსნილია სპეციალური ანგარიში: „საქართველოს ბანკი“, ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101502, მიმღების (კვატერინე მსხილაძე) ანგარიშის ნომერი: 136940800. მსურველებს შეუძლიათ ჩარიცხონ 1 ლარი „ჯეოსელიდან“ დარეკვით, ნომერზე: 700 610.

# ვიზაისტი ნანკა ლექსებს რუსულად წერს...

ბევრი ახალგაზრდა ოცნებობს მსახიობობაზე, ბევრსაც შეშურდება ისეთი პოპულარობის, როგორც ნანკა კალატოზიშვილს აქვს მოპოვებული. არადა, თურმე იყო დრო, როდესაც ის სხვა პროფესიებზე ფიქრობდა და დღესაც ამბობს, რომ მაგალითად, ვიზაისტიკობაზე არ იტყოდა უარს. ბევრმა არც ის იცის, რომ მომზობველი მსახიობი ლექსებს წერს, თანაც — მხოლოდ რუსულ ენაზე. ქართულად უბრალოდ, მუხა არ მისდის და რა ქნას?.. მაშ ასე, თუ გაინტერესებთ, ვისი ვიზაისტი იქნებოდა ნანკა კალატოზიშვილი, ვინ დააწყებინა ლექსების წერა და რატომ არავის აკითხებს თავის ლექსებს, მისი ინტერვიუ ნაიკითხეთ.



— პირველი ლექსი თუ გახსოვს? სიყვარულმა სომ არ დაგანერნა?

— კი, როგორ არ მახსოვს?! არა, პირველი ლექსი სიყვარულის გამო არ დამინერნია. საერთოდ, ამ თემაზე ლექსები ნაკლებად მაქვს. ალბათ ასაკი მქონდა ისეთი, ჩამოუყალიბებელი რომ ხარ და მსოფლმხედველობა რომ გაქვს ცოტა „აჭრილი“; შესაბამისად, რაღაც დეპრესიულმა თემებზე „ჩინა თავი“. მარტო რომ ვრჩებოდი, საკუთარი თავის ძიებაში ვიყავი, რასაც წერით გამოვხატავდი. ახლა რომ ვკითხულობ ჩემს ნაწერებს, საკუთარ თავზე მეცინება: რა დღეში ვიყავი, რამ გადამირია-მეთქი?!. — ვამბობ (იკინის).

— ვიცი, რომ ლექსებს მხოლოდ რუსულ ენაზე წერ რატომ?

— ეს ოჯახის დამსახურებაა: ბავშვობაში რუსული უფრო კარგად ვიცოდი, ვიდრე ქართული. ბებია რუსულად ლაპარაკობდა, ნათესავების უმეტესობა მამის მხრიდან — ასევე. დღეს ბებია ცოცხალი აღარ არის, ნათესავებსაც ისე სწორად ვეღარ ვნახულობ და რუსულადაც აღარ მიწევს ლაპარაკი. შეიძლება ბევრს არ ესაიამოვოს, მაგრამ ძალიან ღამაში ენა რუსული და ბევრი ისეთი სიტყვაა, რომელიც ქართული არც ვიცოდი. თან, მუხაც მაინცდამაინც რუსულად მომდის. სიამოვნებით დაწერდი ქართულადაც, მაგრამ არ შემიძლია, არ გამომდის... ჩემი მძაც რუსულად წერს ლექსებს.

— დაშმა ერთმანეთს თუ აკითხებთ საკუთარ ლექსებს?

— ეს მაინცდამაინც არც ერთს არ გვიყვარს, თუმცა მას ჩემი რამდენიმე ლექსი ნაკითხული აქვს და მითხრა, — ძალიან პირადულიაო. ამიტომაც არ ვაკითხებ. თვითონ ძალიან კარგ ლექსებს წერს. რამდენიმე მაჩუქა და ჩემს ლექსებთან ერთად, ბლოკნოტიც მიწერია. წერის სტიმული ჩემმა ძმამ მომცა — ისე, რომ არც იცოდა, უნებლიეთ ამისკენ რომ მიბიძგა (იკინის).

— რა განწყობილება და გარემო გჭირდება იმისათვის, რომ ლექსი დაწერო?

— ლექსის წერისას მარტო ყოფნა მჭირდება. თუმცა ერთხელ ლექსი ოპერაშიც კი დავეწერე. პატარა ვიყავი, მუხა მენვია და უეცრად დავინწყე წერა.

— სწორად განუხებს მუხა?

— კარგა ხანია, მუხას არ შევუწუხებებივარ, ალბათ დავავიწყდი. ისე, ორწლიანი პაუზებიც მქონია. ერთხელაც, ემოციურად იმდენად კარგად ვიყავი (ეს იყო 4 წლის წინ, ზღვაზე ვისვენებდი), რომ 5 დღით სასტუმროს ნომერში ჩავიკეტე და ჩანახატები დავწერე, რომელსაც „სულისა და სხეულის ანატომია“ დავარქვი. მიწოდდა, რამდენიმე დღე კიდევ გამეგრძელებინა წერა, მაგრამ შემდეგ მეგობრები ჩამოვიდნენ და აღარ მაცადეს.

— რომელიმე პოეტის გავლენის ქვეშ სომ არ ყოფილხარ?

— ზღვაზე რომ ვიყავი, ჟუნდერას ნიგნები მქონდა წაღებული და მივხვდი, რომ მათი კითხვა მიქმნიდა წერის განწყობილებას. ასევე ვკითხულობდი კავკას. საერთოდ, ბავშვობიდან,

## 6060 გონებაში

### ვიზაისტი ნანკა

— თავად, მაკაუს დიდად არ წყალობ და რით მიგიზოდა ამ პროფესიამ?

— ჰო, მართალია, არ ვწყალობ. დაახლოებით 10 წლის წინ ანუკა მურვანიძე გავიცანი. ძალიან კარგი ვიზაისტია. ამის შემდეგ დავინტერესდი ვიზაით. ფუნჯებთან ურთიერთობა მომწონდა, ყურადღებით ვაკვირდებოდი, ფერებს ერთმანეთში როგორ ურევდნენ. მერე, როცა ვხედავდი, თუ როგორ ცვლიდნენ ადამიანებს ვიზაისტები, გაცოცხლებული ვრჩებოდი. ინსტიტუტში სულ მიწოდდა, გრიმის გაკეთებას და ვუფლებოდი, მაგრამ პედაგოგი, რომელსაც ეს ჩვეთვის უნდა ესწავლებინა, მეცადინეობებზე არ დადიოდა. ჩათვალა ისე დაგვიწერა, რომ თვალითაც არ გვიჩანავს.

— პირველად რა ასაკში გაიკეთა მაკაუსი?

— მაკაუსი პირველად, ინსტიტუტში სუქტაკლისისთვის გაგვაკეთებინეს. ოთარ ეგაძე (რეჟისორი) მიხვდა, რომ არაფერი გამოგვიდოდა და ვიზაისტი გვესაჭიროებოდა, ამიტომ ანუკა მურვანიძე მოინვიეს.

— თავად თუ შეგაქვს სოლმე კორექტივები შენს მაკაუსში?

— არა. მაკა შავრდაშვილი, რომელიც „იმედში“ მუშაობს, ფანტასტიკურ მაკაუსს აკეთებს და მას ბოლომდე ვწვდები. ერთადერთხელ მქონდა შეხება ისეთ ვიზაისტთან, რომელსაც ვთხოვე, — თუ შეიძლება, უმაკაოდ ვიქნები-მეთქი... ერთ-ერთი კლიპის გადაღება იყო, მწვანე ჩრდილი წამისვა, არადა, თეთრი კაბა მეცვა და მწვანე თვალები რა შუაში იყო, ვერ გავიგე. მერე გადავღები ჯგუფიც მიხვდა, რომ მაკა შავრდაშვილი გვჭირდებოდა და მოინვიეს კიდევ: „იმედში“ ასევე მუშაობს ირინა იაბანიძე, რომელიც ასევე პროფესიონალია. ნიკა ქავთარაძის მუშაობაზე კარგი ვიზაისტია. ამ ხალხს ბოლომდე ვწვდები.

— მაკაუსით სახეზე რა ნაწილის გამოკეთა გიყვარს?

— თვალების. საერთოდ, იშვიათად ვიკეთებ მაკაუსს — სახის კანს ვუფრთხილდები. თვალში საცემი მაკაუსი არ მიყვარს, არც წითელი პომადა. უპირატესობას ბორდოსფერს ვანიჭებ. ბუნებრივი იერი რომ მქონდეს, თვალზე ვარდისფერსა და ყავისფერ ჩრდილს ვისვამ. ყველაზე მეტად მაინც მაკაუსის მოცილება მეზარება. ალბათ ამიტომაც არ ვიკეთებ სწორად.

— შენ აზრით, ცნობილი სახეებიდან, ყველაზე კარგად მაკაუსს ვინ იკეთებს?

— ლელა წურწუშია თვალებს რომ იხატავს, რაღაც საოცრებაა. ძალიან იშვიათად მიხატავს, ვინმე ასე იხატავდეს თვალებს.

— მაინც სად იმუშავებდი ვიზაისტად — ტელევიზიაში, თეატრში თუ სამოდელო სააგენტოში?

— სამოდელო სააგენტოში ნამდვილად — არა: სად მაქვს მოდელების ნიკონის თაფი?! წერები არ მეყოფოდა... თეატრსა და ტელევიზიაში კი სიამოვნებით ვიმუშავებდი.

— პოპულარული ადამიანებიდან ვის გაუკეთებდი მაკაუსს?

— (ფიქრობს) ასე გამორჩეული „მუხა“ არ მაყვს, მაგრამ სიამოვნებით ვიმუშავებდი დავით დოიაშვილის მეუღლესთან, ქეთი ენდელაქსთან ერთად, მას უღამაზესი ცისფერი თვალები აქვს. უცხოელებიდან კი — მონიკა ბელუჩისთან.

### პოეტი ნანკა

— ნანკა, ლექსებს რა ასაკიდან წერ?

— 1997 წლიდან. პირველ კურსზე ესწავლობდი, როცა პირველი ლექსი დავეწერე. რატომ დავინწყე წერა, კაცმა არ იცის. ვწერდი მამის, როდესაც რაღაც მანუხებდა და მამინაც, როდესაც ძალიან კარგად ვიყავი. ლექსებში ჩემი განცდები მაქვს გადმოცემული. ჩანახატების წერა უფრო გვიან დავიწყე. შეიძლება, 2 წელი ისე გავიდეს, არაფრის დანერა არ მომიხდეს. ერთი პატარა ბლოკნოტი მაქვს, რომელიც 3 წლის წინ ძლივს შევავსე და ახლა მეორეზე გადავვდი. ალბათ ხვდები, რა ინტერვალით ვწერდი...

ტერენტი გრანელი მიყვარს. მერე მიხვდი, რომ მისი ლექსები ძალიან დებურსიულს მხდოდა. ჩემი ერთ-ერთი საყვარელი პოეტი — ინდოელი რაბინდრანათ თაგორი გახლავთ.

— როგორც თქვი, არ გიყვარს, როდესაც შენს ლექსებს სხვა კითხულობს რატომ? „გამიშვლებს“ ხომ არ გეშინია?

— „გამიშვლებს“ არ მეშინია, მე ხომ არაფერს ვმალავ! დრო რომ გაივლის, მერე შეიძლება, ვინმეს ნაგავითხო, მაგრამ იმ დროს, როცა გტყვი და უკითხავ, ცოტა სასაცილოა... შეიძლება, ვიღაცასთან წარმოვთქვა ჩემი ლექსი, მაგრამ არ ვტყვი, რომ ჩემია. ისე, ერთხელ რადიო „ფორტუნის“ ეთერში ნავ-



იკითხე ჩემი ლექსი. მერე ვფიქრობდი — რამ წამაკითხა-მეთქი?!

— ქალაქის ნაგლეჯზე ან სოფარეტის ნაგლეჯზე თუ მიგინერია ლექსი? თუ სპეციალურად ბლოკნოტი გჭირდება ლექსის ჩასაწერად?

— ლექსი ბლოკნოტში მერე გადამაქვს, როცა დასრულებულ სახეს მიიღებს. მანამდე სულ რაღაცებზე ვვლაობი. ზოგჯერ მაინც ვიწყებ ის, რაზეც მივანერე, ან სადღაც მრჩება, ან ვვარგავ.

— შენთვის თუ მოუძღვნი ვინმეს ლექსი?

— ერთადერთი — ჩემი ძმა, ვისაც შეუძლია, ლექსი მაჩუქოს. თავყანისმცემლებს თუ გულისხმობ, მაგ მხრივ, სამწუხაროდ, უნიჭოები იყვნენ. ლექსებს ვერ წერენ, თორემ სიამოვნებით „ვიჩუქებდი“... ლექსებს მამაჩემი წერდა. ერთხელ დედას დაბადების დღეზე თავისი ლექსი აჩუქა. მერე მეც გავიმეორე მამის საქციელი და მეც მივუძღვენი დედას ლექსი, ერთ-ერთ დაბადების დღეზე. სხვათა შორის, მოეწონა. გამიხარდა. დედის გული ხომ იცი, როგორია — რომც არ მოსწონებოდა, ამას მაინც არ მეტყოდა.

— ნანკა, პოეტური ბიჭები თუ მოგწონს, ლექსებს მხატვრულად რომ კითხულობენ?

— არა, მხატვრული კითხვა არ მიყვარს. ლექსების მხატვრულად კითხვაზე მეცინება კიდევ. თუმცა, როცა გურამ საღარაძე ან მურმან ჯინორია კითხულობენ, ძალიან მომწონს. ისე კი მხატვრული კითხვა წერვებს მიშლის, რატომღაც მგონია, რომ ვიტყუები. მე კი მინდა, რომ ხელოვნებაში ნაღდი და მართალი ვიყო.

# „გზა, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს“

როდესაც ბიორ-ბი ემპუტიმის შემოქმედებას გაეცნობით, ალბათ, პირველი სიტყვა, რომელიც აზრად მოგივათ, ესაა — „ქართული“. ყველაფერი აყალიბდა მინით დაიწყო, შემდეგ კი სამუშაო მასალად ძვირფას ქვებსა და ლითონებს, ზეთის საღებავებს, თექვს, უბრალო ქვასა და ძვალსაც იყენებდა. თუმცა, ყველაზე მეტად, ალბათ, ხეზე კვეთის ან უბრალოდ, „ჩუქურთმის ოსტატი“ შეიძლება ვუწოდოთ.



ანუ საუთარ თავი აღმოჩენილი ნიჭი და „სახალხო ოსტატის“ გაბატება

წმინდა მხატვრულ შემოქმედებას იგი ინტერიერის დიზაინერობასა და ავტომობილების განახლებასაც უთავსებს. „შემოქმედებითი პროცესი იმდენად მიტაცებს და მამშვიდებს, რომ საათების გასვლის შემდეგაც, დალლას საერთოდ ვერ გვრძნობ. ხშირად, მუშაობისას ისე დამთენებია თავზე, რომ ვერც გამიგია“, — გვითხრა ოსტატმა.

## სოფო მინაშვილი

— ბავშვობა ზესტაფონში გავატარე. ვიზრდებოდი ერთ ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში. ჩემს საგვარეულოში ბევრი ადამიანი მხატვრობასთან და ზოგადად, ხელოვნებასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ბიძაჩემმა (მამაჩემის ძმამ) კერამიკის ფაკულტეტი დაამთავრა. მისი ნამუშევრები ბავშვობიდანვე მიზიდავდა და ყოველთვის მიყვარდა იმისი ყურება, თუ როგორ მუშაობდა სახელოსნოში. როცა რომელიმე ნიგნს ნავიკითხავდი და რაღაც იდეა გამიჩნდებოდა, ვცდილობდი, ჩემი იდეისთვის აყალიბებოდა მინით ან პლასტილინით შემესხა ხორცი. მოგივანებით, ფერწერაშიც ვცადა ბები. უფრო ხშირად, გრაფიკულ ნახატებს ვაკეთებდი, ფანქრით... 1979 წელს სკოლა დავამთავრე და იმავე წელს მოსე თოიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხის მხატვრული დამუშავების

ფაკულტეტზე ჩავაბარე. ეს იყო მოსამზადებელი ეტაპი სამხატვრო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ამ სასწავლებელში რომ მოხვედრილიყავი, რაღაც პრივილეგიები იყო საჭირო — გამოცდების ჩაბარება სამჯერ ვცადა, მაგრამ ყოველ ჯერზე, ქართულის ან ისტორიის საგანში ქულა მაკლდებოდა. მოგივანებით, გადავწყვიტე, დნეპროპეტროვსკში ნავსულიყავი და არქიტექტურულ ფაკულტეტზე ჩამებარებინა, მაგრამ ხომ იცით, ზოგჯერ ცხოვრებაში ყველაფერი უკუღმა ხდება — არქიტექტურული ფაკულტეტის ნაცვლად, ეკონომიკურზე აღმოვჩნდი. 4 წელი იქ გავატარე.

— თოიძის სახელობის სასწავლებელში, თქვენთან ერთად, დღეს ცნობილი რომელიმე შემოქმედი ხომ არ სწავლობდა?

— ჩემთან ერთად სწავლობდა ცნობილი მომღერლის, ზაზა ხუციშვილის ძმა — გია ხუციშვილი. სტუდენტობის წლები ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი პერიოდი იყო ჩემს ცხოვრებაში. იმდროინდელ მეგობრებთან ურთიერთობა თითქმის აღარ მაქვს.

— გვიამბოთ თქვენი შემოქმედების შესახებ. ძირითადად, რა მასალას იყენებთ ან რა თემაზე გიყვართ მუშაობა?

— ყველაფერი, რაც მიყვარს და რასაც ვხედავ, ვცდილობ, ხეში გადავიტანო. ჩემს შემოქმედებაში, ყველაზე მეტად, რელიგიურ თემაზე შექმნილი ნამუშევრები მომწონს, განსაკუთრებით — „გზა, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს“. 40 წლის მეგობარი გარდაემცვალა, ბავშვობიდან ერთად ვიზრდებოდი და მისი დაკრძალვის დღეს ინსულტი დამემართა. შინ მოსული ლიფტთან ნაქცეული მიპოვეს — თავის ქალის ფუძის და პირამი-



და ძვლის მოტეხილობით. ადრე ეკლესიაში მხოლოდ იმიტომ დავედი, რომ სანთელი დამენთო, ამ ამბის შემდეგ კი უფრო მორწმუნე გახდი. ქაშუეთის წინამძღვარი — მამა ბიძინა გუნია ჩემი მოძღვარია. ავად ყოფნის დროს ხატები გამომიგზავნა და ღვთის მადლით, გამოვჯანმრთელდი. ახლა ვცდილობ, ეკლესიურად ვიცხოვრო. მოძღვრისგან ურთხევა ავიღე და მას შემ-



დეგ რელიგიურ თემებზეც ვმუშაობ. მინდა გითხრათ, რომ სხვა ოსტატებთან ერთად, რამდენიმე ტაძრის კარის მოჩუქურთმებზეც მიმუშავია და ჩემთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო... ბიუტერიასაც ვაკეთებ. როდესაც თოიძის სახელობის სასწავლებელში ვსწავლობდი, ბიძაჩემთან ვცხოვრობდი და სწორედ იქ ვხვარე ბიუტერიის ხელოვნებას. სამკაულებზე მუშაობა თან მომწონდა და თან, ეს ჩემთვის გარკვეული შემოსავლის წყაროც იყო. სხვათა შორის, ერთხელ ნამუშევრების გამოფენაც მოვანყვე და მაშინ „სახალხო ოსტატის“ ტიტულიც მომიანიჭეს.

**— რამდენადაც ვიცი, თქვამთ მუშაობთ...**

— 2 წლის წინ მე და ჩემს სიძეს, რომელსაც სამხატვრო აკადემია აქვს დამთავრებული, თქვის სახელოსნო გვექონდა. ჩვენთან ერთად რამდენიმე ქალბატონიც მუშაობდა. ნამუშევრების ესკიზებს კაცები ვქმნიდით, ქალებს კი ისინი თექაზე გადაჰქონდათ. კედელზე მარაოს რომ ხედავთ, მისი შიდა ნაწილი იმ ქალბატონების შესრულებულია, ხოლო გარე კარკასი — ჩემი. ბევრი კარგი ნამუშევარი შევქმენით ერთად, მაგრამ შემდეგ იმუშავებულეები გავხდით, სახელოსნო დაგვხუჭრა. მინდა გითხრათ, რომ სხვადასხვა ნამუშევარი მაქვს შექმნილი ქვის, ძვლისა და გიშერისგან.

**— ტილოზე თუ ხატავთ?**

— ამჟამად, არა, მაგრამ სტუდენტობის პერიოდში ნახატებს ზეთის საღებავებით ვქმნიდი. მათგან მხოლოდ 2 ნამუშევარი მაქვს შემორჩენილი.

**— ოდესმე პერსონალური გამოფენა თუ გქონიათ?**

— თქვის ნამუშევრების გამოფენა გვექონდა შარდენზე და ასევე, მრგვალ ბალთან, სადაც, სხვათა შორის, ქალბატონები — სანდრა რულოვსი და ნინო ბურჯანაძეც გვეწვივნენ... რაც შეეხება პერსონალურ გამოფენას, მისი მოწყობა გამიჭირდება, რადგანაც ნამუშევრების უმრავლესობა გაჩუქებული მაქვს.

**— მხატვრებს შორის ვის გამოაჩენდით და რატომ?**

— ლადო გუდიაშვილს ვეთაყვანები. მის ნამუშევრებს ყოველთვის აღტაცებით ვათვალიერებ. ეს მხატვარი ყველაზე მეტად ჯდება ჩემს ხასიათში. აღარაფერს ვამბობ ფიროსმანზე. რაც შეეხება უცხოელ მხატვრებს, მათგან მისაი ზიჩის გამოვარჩევდი. ჩემს შემოქმედებაში „ფფფისტყაოსის“ ზიჩისეული ილუსტრაციებიდან მრავალი ორნამენტი მაქვს გამოყენებული...


**— როგორც ვიცი, ინტერერის დიზაინითაც ხართ დაინტერესებული...**

— დიას, და შეკვეთის მიხედვით, ოფისების, ბინებისა და ბარ-რესტორანთა ინტერიერზე ვმუშაობ. საკუთარ სახლშიც ყველაფერი საკუთარი ხელით მაქვს გაკეთებული... ერთხელ, მე და ჩემმა მეგობარმა გადავწყვიტეთ, უცხოური მანქანა გვეყიდა. იაპონური ავტომობილის, „ნისან პატრულის“ ყიდვა მინდოდა, მაგრამ არჩევანი „ისუზუ პიზა ნეროზე“ შევჩერე („ოცნების ავტომობილი“ — ასე უწოდებდნენ მაშინ ამ ავტომობილს). მაღე, ჩემს ახალშეძენილ ავტომობილს რაღაც ნაწილი გაუფუჭდა და ვინაიდან მისი შეკეთება ადვილად შეძელი, ჩავთვალე, რომ ეს საქმე კარგად გამომივიდოდა. იმ დროს საქართველოში ომიანობის პერიოდი იყო, ხალხს პურის ფული არ ჰქონდა და მხატვრულ ნამუშევარს, მთი უმეტეს, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობას ვინ შეიძინდა?! ამიტომაც, გადავწყვიტე, ავტომობილების შეკეთება დამეწყო და ეს საქმე ჩემი ოჯახისათვის გარკვეული შემოსავლის წყარო გახდა.

**— თქვენი მეუღლე რა პროფესიასა? როგორ ფიქრობთ, შემოქმედი ადამიანის მეუღლეობა რთულია?**

— ჩემი მეუღლე პედაგოგია და მიმანია, რომ ბავშვებთან ურთიერთობაც ერთგვარი ხელოვნებაა. იცით, თუ ადამიანი გიყვარს, მასთან ერთად ცხოვრება რთული არ იქნება. უნდა ეცადო, მთელი სიცოცხლე ხელოვნებად აღიქვას და საყვარელი საქმის კეთებაში მეუღლეს ხელი არ შეუშალო.

**— მუშაობისათვის შესაბამისი განწყობილ-**



**ბა და მუზა გჭირდებათ თუ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ, იმუშაოთ?**

— მუშაობა ნებისმიერ დროს შემიძლია. შემოქმედებითი პროცესი იმდენად მიტაცებს და მამშვიდებს, რომ საათების გასვლის შემდეგაც ვერ ვგრძობ დაღლას. ამ დროს არ ვიცი, რა ხდება გარეთ და თავიდან ბოლომდე საქმეში ვარ ჩაფლული. ხშირად, მუშაობისას ისე დამთენებია თავზე, ვერც გამიგია.

**— თქვენი შვილები თუ არიან ხელოვნებით დაინტერესებულნი?**

— ქალიშვილი მოცეკვავეა და თავის ასაკთან შედარებით, მიმანია, რომ მავლობა — ქორეოგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა თუ არა, მაშინვე სუბიშვილების ანსამბლში მიინვიეს; ვაჟი საკმაოდ წარმატებული კალათბურთელია. მიუხედავად იმისა, რომ კარგად ხატავს, არჩევანი მაინც სპორტის სასარგებლოდ გააკეთა. იცით, ჩემი შვილების ასაკის ბავშვებს დღეს უკვე სრულიად განსხვავებული ინტერესები აქვთ, ვიდრე ჩემს ბავშვობაში ჰქონდათ და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ დღევანდელი ახალგაზრდები (რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ) კულტურასა და სულიერებას ძალიან დამორიდნენ, რაც ჩემი აზრით, თანამედროვე ტექნოლოგიებმა და ცხოვრების აჩქარებულმა ტემპმა მოიტანა.

**— დაბოლოს, რას უსურვებთ ჩვენს მკითხველებს?**

— ყველას ვუსურვებ, იფიქროს იმაზე, რომ ყველაზე ძვირფასი ჩვენი ქვეყანაა. ქართველები ერთმანეთს ლექსით, სიმღერით, ნახატით და საერთოდ, სიყვარულით უნდა ველაპარაკებოდეთ. მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა და ერთპიროვნული მმართველობა ქვეყნისთვის დამღუპველია. 70 წლის განმავლობაში ქართველი საკუთარ თავს არ ეკუთვნოდა, კომუნისტურმა ნეობილებამ ბევრი რამ შეცვალა ჩვენს მენტალიტეტში და ნამდვილი ქართული სილ-




ამაზე დაგვაგარვინა. დღეს მხატვრულ ნამუშევრებს საქართველოში უცხოელები უფრო ყიდულობენ, რადგან ქართველს ძვირფასი ნამუშევრის შექმნის საშუალება არა აქვს. ქვეყნის მმართველ ძალას უნდა უყვარდეს თავისი ერი და ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ უფლისგან ადამიანისთვის ბოძებული სიცოცხლის გამწარების უფლება არავის აქვს.

# მოკარული პურის გემო და მოგზაუგის უყურადღებობის მსხვერპლი

სშირად უსმენდნენ მუსიკას, რეპერობაზე ოცნებობდნენ და თავს მუდამ ვარსკვლავად წარმოიდგენდნენ ხოლმე. ქუჩის აკადემიის შესწავლა ორივეს მოუხდა და მათ სავაჭრო დახლიდან პუროც მოუბარათ: ერთს — სხვისი მიბაძვით, მეორეს — შიმშილის დაკმაყოფილების მიზნით. მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და ახლა მათი ცხოვრებაც აღარ ჰგავს ერთიმეორეს. 20 წლის ჯემალ ოზოიანი გლდანი-ნაძალადევის ძნელად აღსაზრდელთა სახლში ცხოვრობს; აჩიკო ვანიშვილი, იგივე — ძვალი კი სცენაზე დგას და ის ჯემალის საყვარელი მომღერალია.

„პატრულმა დამიჭირა, სასტიკად მცემა და „კაპემში“ ჩამაყუდა“



— ქუჩას თავისი დაუნერვლი კანონები აქვს. თავის დამკვიდრება არ გაგიჭირდა?

— თავდაპირველად, „მაგარი ტიპობის“ სტატუსის მოპოვება რთული მომეჩვენა, მაგრამ შემდეგ, ქუჩაში უქმად ყოფნას ისე შევეჩვიე, რომ სახლში წასვლაც აღარ მინდოდა. მახსოვს, როგორ ვიპარავდით პურს, შოკოლადებს და თავი ყველაზე მაგარი ბიჭები გვევონა. როდესაც მშობლებისგან საყვედურს ვისმენდი, ვფიქრობდი, — ამით ამ ცხოვრების არაფერი გაეგებათ-მეთქი.

— როდის მიხვდი, რომ ქუჩაში შენი ადგილი არ იყო?

— როდესაც რებს ვუსმენდი, სურვილი მქონდა, მეც მემღერა. ჰოდა, სარდაფში ჩავდიოდი და ჩუმად ვრეპავდი ხოლმე. ამის შესახებ ჩემმა მეგობრებმაც კი არაფერი იცოდნენ. ერთხელ სიმღერა ჩავნერე და კაბუს მოვასმენინე. მან ის რადიოში მიმატანინა და დაიწყო ჩემი პოპულარობა. მინდა ვალიარო, რომ ამის გამო, ერთი პერიოდი თავშიც კი ამივარდა.

— როგორ ფიქრობ, ჯემალის ადგილას რომ იყო, ცხოვრებაში ადგილის დამკვიდრებას მაინც შეძლებდი?

— არ ვიცი, მაგრამ ამას შევეცდებოდი მაინც. თავიდან ალბათ, პიცის დამტარებლად ვიმუშავებდი და პურის ფულს ვიმოვიდი. მერწმუნეთ, სამარცხვინო მუშაობა კი არა, უქმად ყოფნა.

— რას ურჩევ ჯემალს?

— იმუშაოს, არ იზარმაცოს და ამის წყალობით, იმდენს მაინც შეძლებს (რა თქმა უნდა, პირველ ეტაპზე), რომ თუნდაც, ბინა იქირაოს და პურის ფული ჰქონდეს. ჯემალ, თუ საკუთარ თავში დარწმუნებული არ იქნები, ამ ცხოვრებაში თავს ვერასდროს დამკვიდრებ. იბრძოლე საკუთარი კეთილდღეობისთვის!..



— ახლა მანქანის შეკეთებას ვსწავლობ. მერე კი იქნებ, მუშაობაც დავიწყო და ამ ჯოჯოხეთს როგორმე დავაღწიო თავი. სხვათა შორის, ადრე მუშად ვმუშაობდი, მშენებლებს ვეხმარებოდი, მაგრამ მერე სამსახურიდან დამითხოვეს, — სპეციალისტი არ ხარო... ახლა მხოლოდ მუშაობის დანებების სურვილი მაქვს, თორემ ბავშვობის დროინდელ ოცნებას რომ ვერასდროს ავიხდენ, ეს უკვე გავაცნობიერე.

— რაზე ოცნებობდი?

— ვიდრე მშობლები ერთმანეთს დაშორდებოდნენ და თავს სრულფასოვან ბავშვად მივიჩნევდი, მინდოდა, რეპერი გავეხდარიყავი. სიგიჟემდე მომწონს ძვალი. ის მაგარი „მასტია“ და მინდა გითხრაო, რომ მისნაირი კარგი რეპერი საქართველოში არ მეგულება. მსურს, გვერდში აჩიკოსნაირი მეგობარი მყავდეს. თუმცა, ისიც ვიცი, რომ მასთან ერთად გარეგნადა ვერ შევძლებ... სხვათა შორის, დღესაც სშირად ვოცნებობ საკუთარ სახლზე, ოჯახსა და მომღერლობაზე... მერწმუნეთ, ბევრს ვიმრომებ და პირველ რიგში, მშობლებს და ვუმტკიცებ, რომ ასეთ ცხოვრებას არ ვიმსახურებდი...

იყო დრო, როდესაც აჩიკო ვანიშვილმაც ქუჩას შეაფარა თავი. ყველაზე მეტად მისი იქ ესმოდათ და მამინე მოპარული პურიც უფრო გამრიელი ეჩვენებოდა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ქუჩა სიკეთეს ვერ მოუტანდა და ბავშვობის ოცნების ახდენას შეუდგა...

— აჩიკო:

— ვოცნებობდი, რომ ჩემი სიმღერა რადიოში მომესმინა და ამას მივალწიე კიდევ. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ბევრ რაღაცას ვნანობ. მიმაჩნია, რომ მიზნის მისაღწევად არასწორად ვიარე... სკოლაში კარგად ვსწავლობდი, მაგრამ 15 წლის ასაკში აღმოვაჩინე, რომ ქუჩაში ყოფნა უფრო „კარგია“ — იქ სწავლა-განათლება, მუშაობა არავის სჭირდება. უბრალოდ, დგანან და ლაპარაკობენ... და მეც, „საცხოვრებლად“ ქუჩაში გადავბარგდი.

## თიკო კალანდია

### ჯემალი:

— 13 წლის ვიყავი, როდესაც ჩემი მშობლები განქორწინდნენ და მე საცხოვრებლად მამასთან დავრჩი. ძალიან მალე მან ცოლი მოიყვანა. დედინაცვალთან ცხოვრება ვერ შევძელი და შინიდან გავიქეცი, ქუჩას შევაფარე თავი. მშობლებს არც კი ვუძებნივარ, არ დაინტერესებულან, თუ სად გადაიკარგა მათი 13 წლის შვილი.

— ქუჩაში თავს როგორ ირჩენდი?

— ვიპარავდი. ერთხელ ნასვამი ვიყავი, სიგარეტის მოწევა მომიწინა და გადავწყვიტე, მომეპარა. ამ დროს პატრულმა დამიჭირა და განყოფილებაში წამიყვანა, სადაც სასტიკად მცემეს, მერე კი 3 დღით „კაპემში“ ჩამაყუდეს. ახლა 5-წლიანი პირობითი სასჯელი მაქვს.

— შეიძლება, აქედან მალე გაგიშვან და რას აპირებ?

— წასასვლელი არსად მაქვს. ალბათ, ისევ ქუჩას შევაფარებ თავს. ნეტავ, იცოდეთ, როგორ დავიღალე ცხოვრებით. ქუჩაში თუ ვიქნები, აუცილებლად უნდა მოვიპარო... ახალი ცხოვრების დანებება მინდა. მსურს, ცხოვრებაში რაიმეს მივალწიო, მაგრამ მეშინია...

### რისი?

— საზოგადოება ჩემნაირი წარსულის მქონე ადამიანს ოდესმე მიიღებს? მიუხედავად ყველაფრისა, შევეცდები, ცხოვრებაში ადგილი დავიკვიდრო და მშობლები თავიანთი საქციელის გამო შევარცხვინო.

— თავის დამკვიდრებას როგორ აპირებ?



სანამ დავექორწინებოდი, ხშირად, სხვისი ხელით, 100 ულამაზეს ვარდს მიგზავნიდა

### მარჯვ კონიშვილი

— სურათების გადაღება ძალიან მიყვარს. უამრავი ფოტო მაქვს. საერთოდ, ადამიანმა ყოველი სასიამოვნო წუთი ფირზე უნდა აღბეჭდოს. მაგრამ აქვე უნდა გამოვტყდე, რომ ცხოვრებისეულ ფოტოებზე მეტად, ფოტოსესიები, გადაღებები მიყვარს. კამერის წინ თავს ყოველთვის ლალად და მშვიდად ვგრძნობ.

#### ალბომის დათვალიერება თუ გიყვარს?

— მიყვარს. დროთა განმავლობაში ბევრი სურათი დამიგროვდა, ისინი ალბომებში მოვათავსე და თაროზე შემოვდე. ასევე, ერთად მაქვს აკინძული და სათუთად ვინახავ ჩემს ინტერვიუებს, თავ-თავისი სურათებით, რომლებიც სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოვჭერი. ამ სტატიებს ხშირად ვათვალიერებ. განსაკუთრებით სათაურების ნაკითხვა მომწონს ხოლმე.

#### როგორი ბავშვი იყავი?

— როგორც ყველა პატარა გოგონა, მეც პრანჭია ვიყავი და მინდოდა, მალე გავზრდილიყავი (იცინის). სულ პატარა ვიყავი, როცა ტანსაცმელს დღეში რამდენჯერმე ვიცვლიდი. ასევე ხშირად მეცვა დედის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და მის კოსმეტიკასაც ვხმარობდი.

## ლალი ტოტიკაშვილის საყვარელი ფოტოსესიები და შეყვარებულისგან მიღებული 100 ვარდი

„მე პირადად არანაირი პლასტიკური ოპერაციის გაკეთებაზე არ მიფიქრია, იმიტომ, რომ ჩემი აზრით, არ მჭირდება, მაგრამ თუკი ქალს სჭირდება, უნდა გაიკეთოს. გამიგია, რომ ბევრი ადამიანის ცხოვრება პლასტიკური ოპერაციის შემდეგ უკეთესობისკენ იცვლება. ქალი ყოველთვის კარგად და სასურველად რომ გამოიყურებოდეს, ამისათვის მან ყველაფერი უნდა გააკეთოს“, — მითხრა მოდელმა ლალი ტოტიკაშვილმა, რომლის ალბომში ჩვენებებისა და ფოტოსესიის დროს გადაღებული სურათები ქაზრობს.



თბილისის ბლვამე ირმა შარიქაძემ ფოტოსესია მოაწყო და ეს სურათი მაშინაა გადაღებული

#### ალბათ, შენს ტოლებში ჩაცმულობით იწონებდი თავს...

— თავმომწონე არასოდეს ვყოფილვარ. ტანსაცმლის ხშირად გამოცვლა, ჩემთვის უბრალოდ გაპრანჭვის ერთ-ერთი ფორმა იყო. დიდი წარმოდგენა საკუთარ თავზე არასოდეს მქონია, პირიქით, ძალიან თავმდაბალი ადამიანი ვარ.

#### ლალი, დედასთან ერთად, ეს სურათი სად გაქვს გადაღებული?

— ყელეზნოვოდსკში. იქ ხშირად დავდიოდით დასასვენებლად და ყოველთვის კარგად ვერთობოდი. ეს ფოტო და ჩემს ძმასთან ერთად გადაღებული სურათი, სადაც 6 თვის ვარ, ძალიან მიყვარს. ეს ფოტოები ბავშვობის ტკბილ მოგონებებს მიღვიძებს.


#### ამ სურათში კი სასკოლო ფორმა გაცვია...

— ეს სურათი სკოლაში, ფრიადოსანთა დაფაზე იყო გამოკრული. მე-8 კლასამდე საკმაოდ ბეჯითი, ჭკვიანი და დამჯერი მოსწავლე ვიყავი, სკოლის ფორმას ვატარებ-


დი და მომწონდა კიდევ. მაგრამ მე-8 კლასის შემდეგ, რადგან შარვლები ძალიან მიყვარდა, სკოლაში შარვლით სიარული დავიწყე. ამის გამო მათემატიკის მასწავლებელი ხშირად მსაყვედურობდა. რამდენჯერმე, კლასის დამრიგებელთანაც „მიჩივლა“ (იცინის). დამრიგებელმა დამიბარა და მითხრა: ხომ ხედავ, ბრანდებზე, სკოლაში კაბა წამოიღე და მის გაკვეთილზე გადაიციე. თუმცა შარვალი მაინც არ გამიხდია.

#### ყურები რა ასაკში გაიხვრიტე?

— სამკაულები პატარაობიდანვე მიყვარდა. ამიტომ ყურები ბავშვობაში გავიხვრიტე. ერთ დღეს მშობლებს ჩემი სურვილი გავანდე და ისინიც უპრობლემოდ დამთანხმდნენ.



ჩემს ძმასთან ერთად გადაღებული სურათი, სადაც 6 თვის ვარ, ძალიან მიყვარს



ყელეზნოვოდსკში ხშირად დავდიოდით დასასვენებლად და ყოველთვის კარგად ვერთობოდი



ეს სურათი სკოლაში, ფრიადოსანთა დაფაზე იყო გამოკრული



თუ წვეულებაზე მივდივარ, რა თქმა უნდა, კლასიკურად ვიცვამ



სანამ სტილისტი თავის საქმეს დაამთავრებდა, ძალიან ენერჯიულობდი და შიშით სარკემოც ვერ ვიხელებოდი



სამოდელი ბიზნესში როცა შევდივარ, იმულებული გახდით, პომადის წასმას შევჩვევდი

პერიოდი იყო, როცა შეყვარებულები გახლდით.

— ახლა კი უკვე 2 შვილის დედა ხარ...

— დიას. შვილებს ჩემს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავიათ. საბა უკვე 3 წლისაა, ნიტა კი — ჯერ სულ რამდენიმე კვირის. სამწუხაროდ, ნიტას სურათები ჯერ ვერ დავებეჭდეთ, მოუცლევლობის გამო.

— ლალი, ჩაცმის როგორ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— ხშირად მანქანით დავდივარ, ამიტომ ყოველდღიურ ცხოვრებაში უპირატესობას სპორტულ სტილს ანიჭებ. მაგრამ თუ წვეულებაზე მივდივარ, რა თქმა უნდა, კლასიკურად ვიცვამ.

— სამოსს ყიდულობ თუ იკერავ?

— შოპინგი ძალიან მიყვარს. ტანსაცმელს უფრო ხშირად ვყიდულობ, მაგრამ თუ განსაკუთრებული კაბა მინდა, ამ შემთხვევაში, მაღაზიებში ძებნას არ ვინწყებ და ვიკერავ.

— სურათი თუ დაგისევია იმის გამო, რომ შენი თავი არ მოგწონებია?

— გამიგონია, სურათის დახევა არ შეიძლებაო. აქედან გამომდინარე, ფოტოს დახევა არ მიყვარს. უბრალოდ, ასეთ სურათებს ცალკე ვინახავ.

ამ კლიპს 5 დღის განმავლობაში ვიღებდით. მასსოფს, გადაღებებზე ბევრი ვინახისეთ



— სკოლის დამთავრების შემდეგ იმიჯი თუ შეიცვალა?

— სკოლის დამთავრების შემდეგ გოგონების უმრავლესობა ცდილობს, რაღაც შეცვალოს თავის გარეგნობაში. ასევე ვიყავი მეც. მაგრამ რადიკალური ცვლილებები არ შემიტანია, უბრალოდ, თმა შევიღებე შავად. ძალიან მომწონს შავი ფერის თმა და, როგორც ახლობლები მეუბნებიან, მიხდებოდა კიდევც. ახლა კი ჩემი ბუნებრივი ფერის — ნაბლისფერი თმა მაქვს.

— ვარცხნილობას ხშირად იცვლი?

— ბავშვობიდან გრძელ თმას ვატარებდი. ერთი პერიოდი მოკლე ვარცხნილობა შემოვიდა მოდაში, ამიტომ მოკლედ შეჭრა გადავწყვიტე. სანამ სტილისტი თავის საქმეს დაამთავრებდა, ძალიან ენერჯიულობდი და შიშით სარკემოც ვერ ვიხელებოდი, მაგრამ შედეგით კმაყოფილი დავრჩი. ამის შემდეგ ვარცხნილობას ხშირად ვიცვლი, იმისდა მიხედვით, თუ რა არის მოდაში. ექსპერიმენტის გაკეთებას არ ვერიდები.

— სალონში ხშირად დადიხარ?

— თმის მოვლას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამიტომ სალონის ხშირი სტუმარი ვარ. მიმაჩნია, რომ ქალს თმა სულ ფორმამი უნდა ჰქონდეს.

— მაკიაჟის გაკეთება რა ასაკიდან დაიწყე?

სამკაულები პაგარაობიდანვე მიყვარდა. ამიტომ ყურები ბავშვობაში გავისერიგე



— 13 წლიდან უკვე კოსმეტიკას ვხმარობ. ძალიან მომწონს ნაწინამების ტუში და „რუმინა“. პომადის წასმა თავიდან არ მიყვარდა, მაგრამ სამოდელი ბიზნესში როცა შევდივარ ფეხი, იმულებული გახდით, პომადის წასმას შევჩვევდი.

— ეს სურათი — ზღვის პირას — სად გაქვს გადაღებული?

— თბილისის ზღვაზე ირმა შარიქაძემ ფოტოსესია მოაწყო და ეს სურათი მაშინაა გადაღებული. ისე, ზღვა და გარუჯვა ძალიან მიყვარს. „ზაგარი“ რომ მქონოდა, ერთი პერიოდი, სოლარიუმის ხშირი სტუმარიც ვიყავი, მაგრამ ახლა ვცდილობ, სოლარიუმს ნაკლებად მივმართო: როგორც ვიცი, ორგანიზმისთვის სასარგებლო არ არის.

— ეს კი თამუნა ამონაშვილთან ერთად, კლიპზე მუშაობის დროს გადაღებული სურათია...


— ამ კლიპს 5 დღის განმავლობაში ვიღებდით. მასსოფს, გადაღებებზე ბევრი ვინახისეთ. ის პერიოდი ძალზე ლამაზად და ტუბილად მახსენდება. კლიპიც კარგი გამოვიდა.

— ამ სურათში კი ულამაზესი ვარდების თაიგულით ხელში ხარ. საინტერესოა, ვინ მოგართვა?

— ჩემი მეუღლის მორთმეული ვარდებია. სანამ დავქორწინდებოდი, ხშირად, სხვისი ხელით, 100 ულამაზეს ვარდს მიგზავნიდა. ბევრ სხვა ლამაზ სიურპრიზსაც მიკეთებდა. ჩემს ცხოვრებაში ლამაზი და გამორჩეული



შოპინგი ძალიან მიყვარს



საბა უკვე 3 წლისაა



# გიორგი ჯანედიძე რებო ჩხეიძეს ჰაყიებს სთხოვს

## თამუნა კვინიკაძე

„ისეთ ქალაქში დავიბადე და გავიზარდე, სადაც სინათლე არ იყო. ამიტომაც, ფილმებს ვერ ვუყურებდი. სამაგიეროდ, ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული“, — ასე იხსენებს ქუთაისში გატარებულ წლებს „ლამის შოუს“ ერთ-ერთი წამყვანი, ბიორბი ზუბანიძე. მისი საყვარელი ავტორები ბულგაკოვი, ნაბუკოვი, პასტერნაკი, დუმბაძე და ჯავახიშვილი არიან. „ოსტატი და მარგარიტა“ ის წიგნია, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. არ უყვარს პოეზია. ამბობს, რომ ლექსს სერიოზულ ნამუშევრად ვერ აღიქვამს და შესაბამისად, არც საყვარელი პოეტი ჰყავს.

„თანამედროვე ნაწარმოებებსაც ვკითხულობ, მაგრამ მათში სინტაქსო ვერაფერი ვიპოვე“

### კრეატიული აბიურ

— გიორგი, ვერ არ წავიკითხავს ლექსი, რომელიც მოგწონებია?

— როგორ არა! რატი ამაღლობელის ერთი ლექსი მომეწონა, მაგრამ სერიოზულად ვერც ის აღვიქვი.

— თანამედროვე ქართულ მწერლობას ეცნობი?

— ვკითხულობ, მაგრამ თანამედროვეთა შორის გამორჩეულად საყვარელი ავტორი არ მყავს. უბრალოდ, მათი ნაწარმოებებიდან რაღაც ეპიზოდები მომწონს.

— მაგალითად?

— დათო ტურაშვილის „აჩიბაბა და 12 ყოჩაღი“, რომელიც მთავრდება ფრაზით: „მე ჩემი წილი აფხაზეთი უკვე დავიბრუნე.“ ასევე, მომწონს ლაშა ბულაძის „ბოლო ზარი“, და პირველი „პენ-მარათონის“ გამარჯვებულის, გელა ჩქვანავას მოთხრობები. „მწერალთა კავშირში“ განეწვერებული მწერლების ნაწარმოებებსაც ვკითხულობ, მაგრამ მათში სინტაქსო ვერაფერი ვიპოვე.

— შიდა ზღვებს შორის ის ფართობით ყველაზე პატარაა და მისი სახელი წიაღისეულის სახელწოდებას ემთხვევა. რომელია ეს ზღვა?

— (ფიქრობს) ალბათ აზოვის ზღვას გულისხმობ.

— აზოვი? ასეთი წიაღისეულის შესახებ რაიმე გასმენია?

— არა, არ მსმენია. რომელი ზღვაა, არ მეტყვი?

— მარმარილოს ზღვა. დაასახელებ კუნძულოვანი ქვეყანა, სადაც მთელი წლის განმავლობაში დღე და ღამე თითქმის თანატოლია. მასზე „ცეცხლოვანი“ სარტყელი გადის.

— ეკვატორთან ერთ-ერთი ახლომდებარე ქვეყანა იქნება. ზუსტი პასუხი არ ვიცი.

— ინდონეზია. ამ ელემენტს ლათინურად „ფერუმი“ ჰქვია, მაგრამ მას ჩვენ ქართული სახელწოდებით ვიცნობთ. ეს ელემენტია...

— რკინა.

— ეს დაავადება „ქათმის სიბრმავის“ სახელწოდებით არის ცნობილი. რომელი ვიტამინის ნაკლებობა იწვევს ამ დაავადებას?

— D ვიტამინის გამოვრიცხავ. ვიცი, რომ საკვების გარდა, ადამიანის ორგანიზმი მას მზის სხივებისგანაც იღებს.

— D ვიტამინის ნაკლებობა რა დაავადებას იწვევს, არ იცი?

— არა.

— რატაც. „ქათმის სიბრმავე“ ორგანიზმში რომელი ვიტამინის ნაკლებობაზე მიანიშნებს?

— ვერ გიპასუხებ.

— A ვიტამინის. ეს სრულტე საკმაოდ გრძელია და განიერიც, მაგრამ ხშირად, მას ინგლისის არსს უწოდებენ.

— ლა-მანში.

— იგი წარმოშობით გათურქებული მონღოლი იყო. ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიჭრა და დამახინჯდა. საქართველოში მისი სახელი განადგურების, განანაგების სიწინამდ იქცა. დაასახელებ ეს დამპყრობელი.

— თემურ-ლენგი.

— რომელი იმპერატორის დროს გამოცხადდა რომში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია?

— ო!!! არ ვიცი.

— კონსტანტინე დიდის. ვინ არის „თეთრი საყვლოს“ ავტორი?

— მიხეილ ჯავახიშვილი.

— რამდენი ქვით იწყებენ დომინოს თამაშს?

— 7 ქვით.

— რაფაელ საბატინის „კაპიტან ბლადის ოდისეაში“, თავდაპირველად, რა პროფესიის იყო პიტერ ბლადი?

— წარმოდგენა არ მაქვს.

— ექმი. რამდენი წლით ირჩევენ ამერიკაში სენატორებს?

— 4 თუ 5 წლით.

— ცდები, 6 წლით ირჩევენ. რა ჰქვია სავედრებელ ლოცვას, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან?

— (ფიქრობს) ლიტანია.

— მზის სხივების რომელი პლანეტა ანდომებს ლერძის გარშემო შემობრუნებას ყველაზე მეტ დროს?

— არ ვიცი.

— ვენერა. რომელი პოეტის სრული სახელია ჯორჯ ნოელ გორდონი?

— ბაირონის.

— ვის შეილიშვილად ასალებდა თავს შამილი, რათა ქართველები მიემშრო?

— ერეკლე II-ის.

— ეს ინგლისელი ფილოსოფოსი მოჩვენებების შიშით ბნელ ოთახში მარტო ვერ რჩებოდა. ვისზეა ლაპარაკი?

— არ ვიცი.

— თომას ჰობსზე. რა ეწოდება რაიმე გადამდები სენის ფართოდ გაფრცელებას?

— ეპიდემია.



— ნობელის პრემიის გადაცემა მკაცრად რეგლამენტირებული წესების დაცვით ხდება. დაჯილდოებულმა პრემია პირადად უნდა მიიღოს. ცერემონია სტოკჰოლმის რატუსის ოქროს დარბაზში იმართება. დედაქალაქის ბურგომისტრი მეორედ ნობელის სადღეგრძელოს წარმოთქვამს. ვისი სადღეგრძელო წარმოითქმება პირველად?

— რადგან დაჯილდოების ცერემონია სტოკჰოლმში ტარდება, ჩემი აზრით, პირველად შეედეტის მეფის სადღეგრძელოს წარმოთქვამენ.

— რომელი ქალაქი იყო 1800 წლამდე აშშ-ის დედაქალაქი?

— ფილადელფია.

— რომელია საქართველოს უმაღლესი მწვერვალი?

— შხარა.

— რომელი მწერლის რომელი ნაწარმოების პერსონაჟია კირილე მიმინოშვილი?

— ეს პერსონაჟი დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში“ გვხვდება.

— რა გვარის იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი ძმები — ლევანი, სტეფანე, პეტრე და იაკობი?

— ზუბალაშვილები.

— რომელმა მეფემ მოულო ბოლო საქართველოში მონღოლთა ბატონობას?

— (ფიქრობს) გიორგი ბრწყინვალემ.

— 1883 წელს დამთავრდა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობა. რომელ ქალაქებს აერთებდა ეს რკინიგზა?

— ბაქოსა და ბათუმს.

— ბათუმს, თბილისსა და ბაქოს. რამდენი სიმი აქვს ვიოლონჩელს?

— წარმოდგენა არ მაქვს.

— 4 სიმი. რატომ არ შეუძლია ხელიკს დიდხანს სირბილი?

— მალე იღლება.

— ამის მიზეზი რა არის?

— არ ვიცი.

— ხელიკი სირბილის დროს ვერ სუნთქავს. ვინ არის ავტორი ლექსისა — „მე პატარა ქართველი ვარ“?

— რაფიელ ერისთავი.

— არა.

— მაშინ ხალხური იქნება. — ცდები, ამ ლექსის ავტორი — დუტუ მეგრელია. „დედაო ლეთისაჲ! მზეო მარამ! როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი, ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია/ და...“ დაასრულე გალაკტიონის ცნობილი სტროფი.

— ხომ გითხარი, ლექსები არ მიყვარს-მეთქი...

— „და შორეული ცის სილაჟვარდე“. ლონდონი, დელი, თეირანი, ნიუ-იორკი — ამ ქალაქებიდან, რომელში არ არის მეტროპოლიტენი?

— ორი სავარაუდო პასუხი მაქვს — დელი ან თეირანი.

— ერთ-ერთი დამისახელე.

— (ფიქრობს) დელიში.

— XVIII საუკუნეში, გერმანიაში დაიბადა უჩვეულო ნიჭის ბავშვი, რომელიც 4 წლის ასაკში გარდაიცვალა. შემდეგში, ამ ბავშვის სახელი ნიჭიერების განმსაზღვრელი გახდა. რა ერქვა მას?

— არ ვიცი.

— ვუნდერკინდი. რომელი სრუტით არის დაკავშირებული ერთმანეთთან წყნარი და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეები?

— ვაიმე! (ფიქრობს) ბერინგის სრუტით. არა?

— დიახ. ვისი სიტყვებია: „გველსა ხერხელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარო“?

— შოთა რუსთაველის.

— ირანი და ავღანეთი მოსაზღვრე ქვეყნებია, მაგრამ მათ შორის საზღვარი სწირად იცვლის ადგილს. ამის გამო, ათეულობით კვადრატული კილომეტრი,

სადაც ირანელები ცხოვრობენ, ავღანეთის საზღვრებში ექცევა და ხდება პირიქითაც. რატომ?

— როგორც მახსოვს, საზღვრად მდინარეა მიჩნეული, რომელიც სწირად იცვლის კალაპოტს.

— რა ჰქვია ამ მდინარეს?

— არ ვიცი.

— გიოლმენდი. XVII საუკუნის ბოლოდან 1793 წლამდე ამ კუნძულის დასავლეთი ნაწილი საფრანგეთის კოლონია იყო. მაშინ მას სან-დომინგოს ეძახდნენ. რას უწოდებენ ამჟამად?

— დომინიკების რესპუბლიკას.

— არა, მას ახლა ჰაიტი ჰქვია. 1993 წელს პარიზში 100 ტილო გამოფინეს, მათ შორის — მანეს, პრიანზ-ნიკოვის, რენუარის, სეროვის ნამუშევრები. რა პრინციპით შეარჩიეს ეს ტილოები?

— არ ვიცი.

— მათი დახატვიდან 100 წელი იყო გასული. რომელია ჩრდილოეთ ამერიკის ყველაზე მაღალი მწვერვალი?

— მაქ-კინლი.

— პოლონეთი, რუმინეთი, ნორვეგია, მალაიზია — ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ტერიტორიულად რომელია ყველაზე დიდი?

— პასუხის გაცემა მიჭირს (ფიქრობს). პოლონეთი ან მალაიზია.

— მალაიზია. „ჭრიჭინა, „მაგდანას ლურჯა“, „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“, „შესვედრა წარსულთან“ — ამ ფილმებიდან რომელი არ არის სიკო დოლიძის გადაღებული?

— (ფიქრობს)...

— მიგანიშნებ.

— (მანყვეტინებს) არ მინდა მინიშნება — „მაგდანას ლურჯა“.

— ვინ არის ამ ფილმის რეჟისორი, თენგიზ აბულაძესთან ერთად?

— არ ვიცი.

— მას გადაღებულია ფილმები: „ჩვენი ეზო“, „მაია წყნეთელი“ და ა.შ.

— მაინც ვერ გიპასუხებ.

— რეზო ჩხეიძე.

— ბატონ რეზოს პატივსაცემად ვთხოვ.

— რა აქვს საერთო კარიბის, სმელთაშუა, ეგეოსის და ბალტიის ზღვებს?

— ატლანტის ოკეანის აუზს განეკუთვნება.

— რომელი დინასტიის წარმომადგენელი იყო ინგლისის მეფე, შექსპირის ერთ-ერთი ტრაგედიის გმირი — რიჩარდ III?

— სავარაუდო პასუხი მაქვს — უინძორების.

— სწორი პასუხია — იორკების. გერმანული ანდაზის მიხედვით, ოქროს ცეცხლი გამოცდის, ქალს — ოქრო; მამაკაცს?

— ქალი. ამ ანდაზას ნაწილობრივ ვეთანხმები.

— ნადირობა გიყვარს?

— არასდროს მინადირია.

— რამდენკალიბრიანია სანადირო თოფის ყველაზე დიდი ჰილზი?

— არ ვიცი.

— 12-კალიბრიანი. რომელი ცეცხლსასროლი იარაღის სახელწოდება ითარგმნება ლათინურიდან „ემზადე ომისთვის“?

— პარაბელუმი.

— რა რიცხვზე უნდა გავყოთ 2, რომ მივიღოთ 8?

— (ფიქრობს) 0,25-ზე.

— დაასრულე ბრეტის ცნობილი გამონათქვამი: „გამარჯვების შემდეგ თუ არ იგრძნობთ, რომ არსებობდა დამარცხების შესაძლებლობა, მაშინ...“

— „არ გაგიმარჯვია“.

— „თვით გამარჯვებაც კარგავს ფასს“.

ტელევიზიანი

# სერიალები - ჩვენი ძველი „ნაკობიკი“ თუ ახალი დაავადება

პირველად, როდესაც გასული საუკუნის 80-იანი წლების მინურულს, ტელეეთერში ბრაზილიური სერიალი — „მონა იზაურა“ გამოჩნდა, მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია და დიდი თუ პატარა, ფაქტობრივად, მიჯაჭვდა ტელეეკრანებს. კეთილი, მართალი და ამავე დროს, უბედური გოგონას ამბავი, ყველა თაობის მაყურებელმა გულთან მიიტანა და ფილმის მთავარ გმირთან ერთად, მთელი 100 სერიის განმავლობაში სიყვარულისა და თავისუფლების ზეობას ელოდა. შემდეგ იყო მექსიკური ტელენოველა — „მდიდრებიც ტირიან“ და მაყურებელი ისევ ინტერესით ადევნებდა თვალს, 248 სერიის განმავლობაში როგორ ეძებდა მარიანა დაკარგულ შვილს. სიყვარულის ლამაზი ამბავი, შეზავებული დეტექტიური და დრამატული ელემენტებით, ტელემაყურებელმა ისე აიტაცა, რომ დღეს საშინს ოპერებს, ქართული ტელეეთერის ყველაზე მეტი დრო ეთმობა.

## იმა ტუხიამვილი

1950-1980 წლებში ტელეეკრანებზე მოთხოვნა ძირითადად ლათინურამერიკულ ქვეყნებში არსებობდა. მოგვიანებით, ტელეეკრანების გადაღება სხვა ქვეყნებმაც დაიწყეს. ქართულ ტელეეთერში კი პირველი ქართული ტელეეკრანი — „სახლი ძველ უბანში“ გამოჩნდა. შემდეგ იყო იუმორით შეზავებული — „ძილის წინ“, დეტექტიური სეტრიალი — „ყავა და ლუდი“, „ცხელი ძალი“ და სხვა. „გზის“ წინა ნომერში, ჩვენი ციკლისთვის — ტელეეკრანი — სადისკუსიო თემად, სწორედ ტელეეკრანების დავაანონსეთ და მკითხველებისგან რამდენიმე გზავნილიც მივიღეთ:

„ქართულ არხებს არც ვუყურებ, მაგ ტელევიზიებში „გამოსერიალებული“ ხალხი მუშაობს. მე რუსული არხების აქტიური მაყურებელი ვარ. ძალიან საინტერესო გადაცემები და უკეთესი ფილმები გადის. რუსულ ტელეეთერში გასული ფილმს აქ ჩვენს კინოთეატრებში რამდენიმე თვის შემდეგ უჩვენებენ.“

### უცნობი“

„სერიალები საზიზღრობაა და საოცრად მაღიზიანებს... პარალელურად სხვადასხვა არხზე იმდენი გადის, რომ კაცს ერთმანეთში გერევა (თან სულ ერთი და იმავე შინაარსის). ერთადერთი ნორმალური სერიალი — „შუა ქალაქშია“. მასში ჯანსაღი და ქართული იუმორია...“

### გიო, 16 წლის“

„ძალიან აქტიუალური თემა ნამოჭვრით. ტელეეკრანები აჩლუნგებს ადამიანის გონებას, ეთერში მათი გაშვება დანაშაულია. ერთადერთი ნორმალური სერიალი ქართულ ტელევიზიურ ცემში „შუა ქალაქშია.“

### გიორგი ლომინაძე“

### თიონა ნალიზაძე, 36 წლის:

— ცოტა ხნის წინ, გავიცანი ოჯახი, რომლის ამბავიც ისეა ჩახლართული, რომ ამის



შემდეგ არ მაქვს საფუძველი დავიჯერო, თითქოს ტელეეკრანების სიუჟეტი სცენარისტების ფანტაზიის ნაყოფია. ნუთუ არ გსმენიათ ისეთი შემთხვევის შესახებ, როდესაც ადამიანი მსოლიდ წლების შემდეგ იგებს, ვინ არიან მისი ნამდვილი მშობლები; ან ის, რომ მასწავლებელს თავის მოსწავლესთან რომანი აქვს; ან ის, რომ ქალი თავის დის ქმარზეა შეყვარებული... მე ძალიან მომწონს ლათინურამერიკული სერიალები და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართულ ტელეეკრანებზე მათ დონემდე ჯერ ბევრი უკლია. შესაძლოა, ჩვენ უფრო ნიჭიერი მსახიობები გვყავს, მაგრამ მათ მეტი რესურსი აქვთ იმისთვის, რომ ამბავი უფრო ლამაზად გადაიღონ. სერიალები ცხოვრებას მილამაზებს და ქართული ტელევიზიები მათ გარეშე ვერც კი წარმომიდგენია. თანაც ჩემთვის ის სხვა მხრივაც სასარგებლო აღმოჩნდა — მათ ყურებაში ცოტა პორტუგალიურიც კი ვისწავლე.

### ზორანა გოლაშვილი, 42 წლის:

— წლების წინ ამერიკულ ტელეეკრანს — „დინასტია“ ვუყურებდი. ამაჟამად ტელევიზიით დაბალი დონის სერიალები გადის, რადგანაც ჩვენი ტელეარხები, ეტყობა, ფულს ზოგავს და მცირეებზე უფრო ადვილია დონის სერიალებს ყიდულობს. რა გგონიათ, არგენტინელებს არა აქვთ კინოშედეგები? ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ ხალხი ამ სისულე-

ლეს უყურებს, თანაც არა ერთხელ, არამედ მეორე დღეს, განმეორებითაც. მორიგი სერიის დასრულების შემდეგ კი დისკუსიები ეწყობა, თუ ვინ გააუბატიურა ვერონიკა ან ვისგან ელოდება შვილს ალესანდრა... შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხალხს შეგნებულად აჩლუნგებენ. ჩვენ სულ სხვა რეალობაში ვცხოვრობთ, იქ კი სულ სხვა ცხოვრება აღწერილი. ცუდი ის არის, რომ ხალხი ამ სერიალების გავლენის ქვეშ ექცევა: სერიალის გმირებით ლაპარაკობენ, ცდილობენ, ისე ჩაიცივან, როგორც მათ აცვიათ. კიდევ ის მაღიზიანებს, რომ ზოგ სერიალებში ჰომოსექსუალიზმის ან ლესბოსელობის ღია პროპაგანდა მიდის, რასაც ჩვენი შვილები უყურებენ. ადამიანები, რომლებიც ამ სერიალებს ტელევიზიებისთვის ყიდულობენ, ცოტა მეტი პატივისცემით უნდა განწყობილი ქართული მაყურებლის მიმართ.

### ნანული გიგინია, პენსიონერი:

— ძალიან მიყვარს სადამოპობით ტელეეკრანების ყურება. მართალია, ამის გამო ჩემი ვაჟი სულ მსაყვედურობს, მაგრამ რა ვქნა, მომწონს სხვისი ცხოვრების ყურება, სხვის შეცდომებზე ბევრ რამეს სწავლობ. რაც ყველაზე მთავარია, სერიალები აღსაქმელად მარტივია... ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც თბილისში ელექტროენერჯის დეფიციტი იყო, პირველი სართულიდან მეშვიდე სართულზე, მეზობელთან, სერიალის საყურებლად ფეხით ავდიოდი. ისინი უშუქობისას მანქანის აკუმულატორზე ამუშავებდნენ ტელევიზორს და მთელი კორპუსის ქალები მათთან ვიკრებოდით. სერიალებს ერთი ნაკლი აქვს — მალე გავიწყდება მისი სიუჟეტი, მაგრამ არის ისეთი სერიალები, რომლებიც დღემდე კარგად მახსოვს, მაგალითად, „უბრალოდ მარია“, „ჯულიური ვარდი“ და „დაბრუნება ედემში“.

### ზინა ინასარიძე, 24 წლის:

— სერიალები რაღაც ეპიდემიას ჰგავს, რომელიც ქართული ტელეარხებს მოედო. რომელ არხზეც უნდა გადართო, ყველგან გადის. ვნესუელური სერიალები, მდარე ხარისხის ნამუშევრები იმ ადამიანებზეა გათვლილი, ვისთვისაც ალბათ სულერთია, რას უყურებენ, რას უსმენენ და ბოლოს და ბოლოს, რას ქაშენ. ერთი მეზობელი მყავს, შუახნის ქალბატონია და ისეა გატაცებული ამ სერიალებით, რომ ყველა მეზობელი გააფრთხილა: როდესაც ეთერში „დონა ბარბარა“ და „კლონი“ გადის, არავინ შემაწუხოთო. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ადამიანები ტელეეკრანების ცხოვრებაში არსებული აიცარიელის შევსებას ცდილობენ. არადა, ირგვლივ იმდენი საინტერესო რამ ხდება... ამ ყველაფრის აღსაქმელად კი საჭარისია, გამორთო ან გადართო ტელევი-

# ტელეკინი

ზორი და სამყარო დინასო.

## ზურაბ ძაფინაძე, მსახიობი:

— ეს არის უაზრო, უგემოვნო, უჯიშო, ტრადიციის არმქონე ხალხის სერიალები. ეს მაიმუნობა ისე შემოაქვთ საქართველოში, ვითომ ჩვენ არც კინო გვექონდეს, არც სერიალი ვიცოდეთ და არც — თეატრი. ჩვენ რომ კინოფილმები გვაქვს, ისეთი ვის დაესიზმრება?! მსოფლიოს ათი ოქროს კინოფონდიდან — ხუთი ჩვენია. უცხოური სერიალები ათასობით გემოვნებას, ჩვენს კულტურას, შთამომავლობას, წესს, ადათს. ქართული ტელესერიალებიც მათი შვილობილებია. რა საჭიროა, უცხოეთიდან ყველაფრის ბრმად გადმოღება?! შე დალოცვილო, თუ მანცდამანც უნდა გადაიღო, ერთი-ორი სერია გადაიღე, ასი რა საჭიროა?!

## გიორგი პარკაძე, 27 წლის:

— ტელესერიალებიდან „24 საათს“ ვუყურებ და ვუყურებდი — „ეკიმი ჰაუზსსა“ და „დაკარგულებს“ მანამ, სანამ საზარლობაში გადაიზრდებოდა. ტელესერიალები ძალიან მიშლის ნერვებს. როგორ შეიძლება, 300 სერიის განმავლობაში ელოდო, როდის დაუბრუნდება სერიალის გმირს მესხიერება, რომელიც პირველივე სერიაში დაკარგა? სამწუხაროდ, ასეთი სერიალები ძალიან მომგებიანია სატელევიზიო ბაზარზე და მას თავისი მაცურებელიც ჰყავს. ტელევიზიის მესვეურები თავს იმით იმართლებენ, რომ საზოგადოების მხრიდან „საპნის ოპერებზე“ მოთხოვნა არსებობს. ვინც უყურებს ამ სერიალებს, მათგან ხშირად გამიგონია: ამას თუ გადააყოლებ გულსო. თუ სერიალებია ჩვენი ხსნა, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე! როცა უნდა ჩართო ტელევიზორი და რომელ არხზეც უნდა გადართო, ყველაზე სერიალი გადის. ქართული ტელესერიალებიდან მხოლოდ „შუა ქალაქში“ ვუყურებ, „ყავა და ლუდის“ რამდენიმე სერია მაქვს ნანახი. ბევრი ჩემი მეგობარი უყურებდა ტელესერიალ „ცხელ ძალს“. რამდენიმე სერია მეც ვნახე, მაგრამ დიდად არ დამინტერესა. მგონი, ჯერ ისე ვერ ვიღებთ მძაფრისუფლებიან სერიალებს, როგორც ეს მაგალითად, ამერიკულ კინემატოგრაფისტებს ეხერხებათ.

## ლალი მოდებაძე, 42 წლის:

— მასსოვს, წლების წინ, მთელი თბილისი

ბრანზილიურ ტელესერიალს — „მონა იზაურას“ უყურებდა. რა დაგიმალოთ და, მეც ვუყურებდი, ვინაიდან ტელესერიალი მაშინ ახალი ხილი იყო. მასსოვს, ვუყურებდი მექსიკურ სერიალს — „ველური გული“, რადგან ფილმის მთავარი გმირი — ხუანი მომწონდა. კიდევ ვუყურებდი ამერიკულ ტელესერიალ „დინასტიას“... შემდეგ ის დროში დიდხანს გაინელა და ყურებას თავი დავანებე. ახლა, ფაქტობრივად, აღარაფერს ვუყურებ, იშვიათად თუ შევავლებ თვალს კოლუმბიურ ტელესერიალს — „დონა ბარბარას“, ისიც იმიტომ, რომ დედაჩემი უყურებს მას და ყოველი სერიის შინაარსს ემოციურად მიყვება. ამერიკულ ტელესერიალს — „გაქცევა“ — ვუყურებდი და მომწონდა. სხვათა შორის „ეკიმი ჰაუზის“ კარგი იყო და ჩემს გემოზე რომ მეყურებინა, ყველა სერია ინტერნეტიდან გადმოვიწერე მაგრამ ამ ფილმის ბოლო, მეოთხე სეზონმა დამალა და მის მიმართ ინტერესი დავკარგე. ჩემი შვილები ქართულ იუმორისტულ ტელესერიალებს უყურებენ, როგორიც არის — „ჩვენი ოფისი“, „მესამე თაობა“, „შუა ქალაქში“. ქართულ ტელესერიალებს ზოგჯერ მეც ვუყურებ, მაგრამ მხოლოდ იმ მსახიობების სათრით, ვინც ამ სერიალებში თამაშობენ. მაგალითად, „ცხელ ძალს“ უნარი ლოლაშვილის სიყვარულით ვუყურებდი.

## რამი ავალოშვილი, პოეტი:

— არა მგონია, რომ ტელესერიალები ადამიანების გემოვნების ჩამოყალიბებაზე ახდენდეს გავლენას. შესაძლოა, გემოვნების სრულნიველირებას გარკვეულწილად ახდენს. კონკრეტულად რაიმეს თქმა მიჭირს, რადგან ტელესერიალებს არ ვუყურებ, მაგრამ ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც ამით ცხოვრობენ. თუ რამდენად კარგია ეს, თავად განსაჯეთ.

## — ქართული ტელესერიალებიც არ გინახავთ?

— ვუყურებ „შუა ქალაქში“. ყველაზე დიდი სიმბათით ამ სერიალის მიმართ განვწყვერავ მთავარია, ცოტა დრო მიაქვს, „საპნის ოპერისა“ და სასიყვარულო დრამის პარამეტრებში არ ჯდება.

## — ამერიკული სერიალების მაცურებელიც არ ხართ?

— ბავშვობაში ვუყურებდი „სანტა ბარბარას“. ზოგჯერ ვუყურებ „გაქცევას“. ეს უკვე დეტექტივის ჰგავს და კლასიკური ტელესერიალისგან რადიკალურად განსხვავდება.

## — ტელემაცურებელთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დღევანდელი ტელეეთერი გადატვირთულია სერიალებით.

— ეს მედიის და გემოვნების პრობლემაა. ისეთი სერიალებიც არსებობს, რომლებსაც პრეტენზია აქვს ხარისხზე — ანუ არსებობს შედარებით ცუდი და შედარებით კარგი. ვფიქრობ, რომ ქართული ტელე-

ეთერი გადატვირთულია ამ უნარის ნამუშევრებით. ალბათ ტელევიზიები თავს იმით გაიმართლებს, რომ ასეთია მაცურებელთა მოთხოვნა, მაგრამ ამ მოთხოვნას რომ თავად ქმნის, ამაზე არ ფიქრობს. ტელესერიალი მდარე ხარისხის ნარკოტიკივითაა.

## ნანა შანაძე, ფსიქოლოგი:

— ზოგისთვის საღამოობით ტელესერიალის ყურება ცხოვრების წესად იქცა და შესაძლოა, ვერც შენიშნა, რა კორექტივები შეიტანა ამ რიტუალმა მის ყოველდღიურობაში. ფსიქოლოგები ტელესერიალების მიმართ დამოკიდებულებას, სხვაგვარად „საპნის ოპერების ციებ-ცხელებასაც“ ვწოდებთ. ნარკოტიკივით, რომ ადამიანები თვეების განმავლობაში, ერთსა და იმავე დროს, სხდებიან ტელეეკრანებთან და საუკეთესო შემთხვევაში, ერთი საათის განმავლობაში, სრულ მედიაციას იმყოფებიან. სერიალის საყვარელ გმირებთან ერთად, მათი გარდასახვა ხდება რეალური სამყაროდან ირეალურში, სადაც შეგიძლია დაივიწყო ყველა ყოფილი პრობლემა და სადაც სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს ბოროტებაზე. ამერიკულ ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც ადამიანებს სერიალებისკენ იზიდავს, ცნობისმოყვარეობაა. ყოველი სერიის დამინტრიგებელი დასასრული ახალი სერიის მიმართ ინტერესს ამძაფრებს და მაცურებელი ვერც კი ხვდება, ისე აღმოჩნდება ხოლმე საპნის ოპერის ტყვეობაში. მასსოვს, ცოტა ხნის წინ, ჩემს კარზე მეზობელმა ქალბატონმა დააკაკუნა. კარი რომ გაფულე, შევმფოთდი, მოხუცი ძალიან აღელვებული იყო, ხელები უკანკალებდა და ცრემლებს ძლივს იკავებდა. აღმოჩნდა, რომ ტელევიზორი გაუფუჭდა და საყვარელი სერიალის ყურებას ვერ ახერხებდა. ვიდრე ჩემი მუთლავ მეზობელი ქალბატონის ტელევიზორს ავეთებდა, ის ჩვენი ტელევიზორიდან იღებდა „ნარკოტიკის“ მორიგ დოზას. მის შემხედვარეს, ერთი თანამედროვე სამეცნიერო კვლევა გამასხნდა, სადაც ფსიქიატრები ამტკიცებდნენ, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, მსოფლიოში 300-მდე ახალი ფსიქიკური დაავადება აღმოჩენილი, მათ შორის ერთ-ერთი ტელესერიალებით გატაცებაა.

## ნატა მუშიაძე, ფილოლოგი:

— სიამოვნებით ვუყურებ ქართულ სერიალს — „შუა ქალაქში“, რადგანაც ის ნამდვილად, განსხვავდება ყველა იმ სერიალისგან, რომელიც გადის ქართულ ტელეეკრანზე. ჩემთვის სრულიად მიუღებელია ნებისმიერი უცხოური სერიალი, რადგანაც თითოეულ მათგანში, შეფარულად თუ შეუფარავად, ბოროტება დევს. როგორიც უნდა იყოს ის, მისი არსი მაინც ბოროტებაა. რაც შეეხება სერიალს — „შუა ქალაქში“ — კეთილია, მასში ცუდი არაფერი ხდება. ამასთან, ქართულია, ჩვენია და მშობლიური.

## — რომელია თქვენთვის ყველაზე გამოკვეთილი და საყვარელი პერსონაჟი?

— გამიჭირდება მათგან რომელიმეს გამოყ



გაგრძელება იხ. გვ. 96

# „მე იმ ჯიუხისა ვარ, როგორც არ ირქაბს“

„მხედრიონელი“ ქალი, რომელმაც რიგითი მეომრიდან პოლკოვნიკობამდე მიაღწია, ირწმუნება, რომ ტიპური ქალი, დედა და დიასახლისია. არ უარყოფს, რომ ომში დაუნდობელი იყო, რასაც სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით ამართლებს. ქართველი მეომრებისაგან „მაგნოლიად“ წოდებულ ქალზე აფხაზ სეპარატისტებს ერთ დროს ნადირობა ჰქონდათ გამოცხადებული...

## ნაზი, სასტიკი და თავბრუსხვევი მაგნოლია...

### ხათუნა ბახტურიძე

რამდენიმე წლის წინ საქართველოში უცხოელი ჟურნალისტები ჩამოვიდნენ, რომლებიც ფილმს იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის მკვიდრ, მათ შორის, კავკასიელ მეომარ ქალებზე. როდესაც მათ ქალბატონი დოლო გუგუშაშვილი ნახეს, გაოცებული დარჩნენ: მათ ის, სხვა კავკასიელი მეომარი ქალების მსგავსად, უხეში და მამაკაცური მანერების მქონედ წარმოედგინათ. მეტროპოლი და ნაომარი, ამასთანავე, მომზიბველი ქალბატონი ამაჟამად, ომის ვეტერანთა დასაქმებისა და დახმარების ფონდს ხელმძღვანელობს და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ოცნებობს.

— ქალბატონო დოლო, ვიდრე მეომარი გახდებოდით, რა საქმიანობით იყავით დაკავებული?

— სწავლით. საშუალო სკოლის შემდეგ, მუსიკალური სასწავლებელი დავამთავრე, ხალხური შემოქმედების და ფორტეპიანოს განხრით, შემდეგ — ფილოლოგიური ფაკულტეტი. სხვათა შორის, არასრული იურიდიული განათლებაც მაქვს მიღებული. ვიცი, რომ ქალისათვის შეუფერებელი, რთული ცხოვრება გავიარე, მაგრამ ასეთი იყო ჩემი ბედისწერა. როდესაც ეროვნულ მოძრაობაში ჩავედი, ვიცოდი, ეკლიანი ბილიკებით სიარული მომიწევდა; როდესაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად წავედი, მაშინაც ვიცოდი, რომ უძძიმეს ტვირთს ვკისრულობდი. არც ჩემი ბრალია და არც ჩემი დამსახურება, ცოცხალი რომ გადავრჩი. მტრისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მამაკაცი ხარ თუ ქალი, მეც ისევე დაუნდობლად მეტროპოლიდნენ, როგორც სხვა მეომრებს.

— ცხოვრებაში პირველად, რისთვის

მოგიწიათ ბრძოლამ?

— სამშობლოსთვის. მე და ჩემი მეგობრები, ეროვნული თავმოყვარეობის აღსადგენად, რუსეთის იმპერიისა და კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ვიბრძოდით. საბრძოლო ნათლობა კი გაგარისთვის ბრძოლისას მივიღე... როცა იარაღს ხელში ვიღებდი და ომში მივდიოდი, გაცნობიერებული მქონდა, რომ ჩემი ნაბიჯს უამრავი სირთულე მოჰყვებოდა, მაგრამ უმთავრესი — შიშის დაძლევა იყო. ეს მოვახერხე... ჩემ თვალწინ უამრავი გმირობა ხდებოდა, ჩემი მეთაური და მეგობარი, ჯაბა იოსელიანი, თავის ერთადერთ ვაჟიშვილთან ერთად, წინა ხაზზე იბრძოდა. ქართველი ბიჭები, „მხედრიონელები“ თუ სხვა შენაერთების მეომრები, უდიდეს სიმამაცეს იჩენდნენ.

— რომელიმეს თუ გაისხნებთ?

— ჩემ გვერდით მყოფი ბიჭები მზად იყვნენ, სამშობლოსათვის ნასროლი ტყვიისთვის საკუთარი სხეული შეეგებებინათ. გადარჩენილები დღეს, მტკივანი სულითა და დაჩეხილი სხეულით დადიან. ძნელია, მათ შორის რომელიმე გამოვყო, თუმცა ამჯერად, ავთო იოსელიანზე ვიამბობ. ერთხელ, სხვა ბიჭებთან ერთად, პოზიციიდან შტაბში დაბრუნდა. ხელყუმბარა დაუფარდა. როგორც ჩანს, პოზიციებზე ნახობილუმს, ხელყუმბარის დამცავი რგოლი მოუსუსტდა. შტაბში რამდენიმე მეომარი ვიყავით. ფანჯრებს ქვემოთ, ქუჩაში სხვა მეომრები და ადგილობრივი მცხოვრებნი იდგნენ. სამარისებური სირუმი ჩამოვარდა. ცოტაც და, ხელყუმბარა აფეთქდებოდა. ავთომ თვალი მოგავლო, მერე ფანჯრისკენ გაიხედა, ისევე ჩვენ შემოგვხედა და ხელყუმბარას საკუთარი სხეულით გადაეფარა... ამდენი თავგანწირვისა და გმირობის შემყურე, თავს უფლებას ვერ ვაძლევდი, სისუსტე გამოემჩინა.

— ქალური სისუსტე მაინც გქონდა?

— (იცინის) კი, მქონდა და დღესაც მაქვს — ჭინჭრის, თავგის და უსხენებლის მეშინია... გაგრამში, პოზიციებზე ყოფნის დროს, ვი ვაშაკიძე (ერთ-ერთი „მხედრიონელი“) ლამით შევანუხე შევითხვით: უსხენებელი ხომ არ მომეპარება-მეთქი? ვიამ გამოსავალი იპოვა და მიჩრია: ხის კენწეროზე აძვერი, იქ ვერ მოგვხვდება. ავძვერი, მაგრამ ახლა იმის შემეშინდა, უსხენებელი იქაც არ ამოსრიალებულიყო. ვიამ — ხმაზე მოგაგნებენ და ამოვლენ, ჯობია, ჩუმად იყო. მთელი ღამე გაყურსულმა გავატუნე. გამთენიისას ჯაბა იოსელიანი მოვიდა. დამინახა და ნაილიღინა: „დათვი ხეზე



როგორ ავა, იანვანინაო“... რის დათვი, ბატონო ჯაბა, უსხენებელს დავემალე-მეთქი. ყველას სიცილი აუტყდა. მივხვდი, რომ მომატყუეს...

— ჭინჭრის რატომ უნდა გშინებოდათ?

— დასუსტების მეშინოდა. დალის ხეობაში (იგივე კოდორის ხეობა) უღელტეხილები გვქონდა გადაკეტილი. ერთხელ ემზარ კვიციანი ამოვიდა და მითხრა: სოფელ ჩემბერკაში, ტატი აშუბას (ცნობილი მონადირე აფხაზი, რომელიც სეპარატისტების მხარეს იბრძოდა) მეთაურობით, სეპარატისტები შეიჭრნენ, მათ თავდასხმას გერლიანების პატარა ბავშვის სიცოცხლე შეენირა, ხალხია დასაცავიო. სოფელი გავამაგრეთ. ერთ საღამოს აფხაზებმა შემოგვიტყვეს და სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ძალიან გაბრაზებული ვიყავი, თან აზარტშიც შევედი. ჩამოუხტი სამალავიდან და ერთ-ერთ აფხაზს ფეხდაფეხ გავევიდე. კარგა ხანს ვდიე, მაგრამ, ჩემდა სამარცხვინოდ, ჭინჭარში მოვხვდი და შევეკონდი...

— თქვენზე საკმაოდ ბევრს ჭორობდნენ...

— ბევრი მტკნარი სიცრუე იყო, ზოგში სიმართლის მარცვალაც ერია... ძირითადად, ჩემს „უზარმაზარ“ ქონებაზე ჰყვებოდნენ ლეგენდებს. აფხაზეთის ომის დროს თურმე ნაცნობები იმისთვის მოდიოდნენ ჩემს სახლში, რომ საკუთარი თვლით ენახათ სოხუმიდან გამოგზავნილი „ავღადიდება“. ამგვარი ჭორობის შემთხვევლ-გამავრცელებელს სამშობლოსთვის უანგარო ბრძოლა ვერ წარმოუდგენია. ჩემს მეზობელ ერთ ინტელიგენტ ქალბატონს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ რამეზე განსხვავებული აზრი გვაქვს, ბევრჯერ დასჭირვებია იმის მტკიცება, რომ მდიდრულად და უზრუნველად არ ვცხოვრობ. ძალიან მტკუნს გულს ეს ჭორობები, მაგრამ ღირსება არასოდეს დამიკარგავს და სხვაზე ჭორობები არ გამივრცელებია.

— თქვენი სისასტიკის შესახებაც მსმენია...

— რას გულისხმობთ?

— როგორც თქვენი თანამებრძოლებისგან მოვისმინე, ბრძანებას გასცემდით, რომ უკანდახული ან შეშინებული მეომრებისთვის მუხლები დაეხვრიათ.

— მეომრები ალბათ იმაშიც დამემონებინა, რომ ერთ მშინარას შეუძლია, მთელი რაზმი დააფრთხოს. რამდენჯერმე შექმნილა



შვილთან ერთად

ვიდაცის პანიკის გამო საფრთხე, მე კი პოზიციანზე მყოფი, კავშირზე გასულვარ და განკარგულება განიცია — უკანდახეულებსა და „პანიკორებს“ მუხლები დაუხვრიტეთ-მეთქი. ამაზე მეტი სისასტიკე ჩემი ბიჭების მიმართ არ გამოიჩინია, აი, მტრის მიმართ კი ყველა სასტიკი და დაუნდობელია, რადგან ომიბა თვით სისასტიკე და დაუნდობლობა.

**— როგორც ქალს, სხვისი შვილის სიცოცხლის ხელყოფა არ გიჭირდათ?**

— როცა სამშობლოს გეცილებიან, ამაზე არ ფიქრობ. როდესაც ჩემი ტყვიით ვილაცის შვილი კვდებოდა, ამ დროს ვფიქრობდი იმ ბიჭებზე, რომლებიც საქართველოსთვის ნასროლ ტყვიებს ეწირებოდნენ და მათ დედებზე უცოდველი არ ვარ, ანგელოზობის პრეტენზია არასოდეს მქონია, მაგრამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ პირადი ინტერესების გამო ან ვინმეზე გაბრახებულს არასოდეს არავის სიცოცხლე შემიწინიარავს.

**— რამდენად ძლიერი სიყვარული შეუძლია მეტროპოლ ქალს?**

— ადამიანს ყველგან და ყოველთვის უნდა უყვარდეს. ამ გრძობისგან დაცლილი მხოლოდ რობოტია. ჩემთვის სიყვარული ან ყველაფერია, ან — არაფერია. ალბათ მაქსიმალისტები უკეთ გამოიგებენ. ყველაფერი ერთიანობაში მაქვს აღქმული, ამიტომ რაღაცის დაკარგვა ან „ჩამოტეხა“ უკვე ყველაფერს ანგრევს. შეიძლება, ყველაფერისგან არაფერი დარჩეს, იმიტომ, რომ ჩამოტეხილს, გაბზარულს და მორღვეულს ვერ ვიტან. იდეალური არავინ და არაფერია, უფლის გარდა, მაგრამ რადგან თვით სიყვარული უფალია, ვფიქრობ, ის სრულყოფილი უნდა იყოს. ჩემს ცხოვრებაში ბზარი — არა, მაგრამ მსხვრევა იყო. თუმცა — რა ვიცი, მე ხომ მაქსიმალისტი ვარ, შეიძლება, ბზარი იყო და მე მსხვრევადა აღვიქვი.

**— საკმაოდ დიდი ხნით მოგინათ შვილთან განშორებამ. რა გავლენა იქონია ამან თქვენს ურთიერთობაზე?**

— ჩემი ერთადერთი შვილი ყოველთვის მენატრებოდა. მძიმედ დაჭრილი, ჭრილობაზე ჩემი შვილის ხელებს ვგრძნობდი, ალყაში მყოფს კი მისი სუნთქვა მესმოდა. მე და ნოდარს ერთმანეთთან, სიყვარულის, მონივნებისა და მოვალეობის გრძნობასთან ერთად, მეგობრობაც გვაკავშირებს. ძალიან მეამაყება, რომ ნოდარი ნამდვილი ქართველი და კარგი ადამიანია. მაგრამ მისი კაცთმოყვარეობა უფრო მასარებს. ბევრ რამეში ჩემზე უკეთესი თვისებები აქვს, რაც დედაჩემისა და ცხოვრებით დეიდაჩემის დამსახურებაა. ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე, იშვიათად მიხდებოდა შვილთან ურთიერთობა. დედასთან განშორებას ეს ორი მოხუცი ქალი, მეზობლები და უბნელები უხვებდნენ.



— მართლაც, ძალიან რთული გზა გაქვთ გავლილი. როგორ მოახერხეთ, რომ დღესაც არაჩვეულებრივად გამოიყურებით?

— ცუდად რომ არ გამოვიყურები, ეს პირველ რიგში, ქართული გენის დამსახურებაა. დარწმუნებული ვარ, სხვა ქართველ ქალებსაც რომ მისცემოდათ შესაძლებლობა, ჩემზე არანაკლებ მტკიცედ დაიჭრდნენ იარაღს ხელში და არც გარეგნულ სიბლეს დაკარგავდნენ. სხვათა შორის, ომის დროსაც არასოდეს ვკარგავდი ქალის სახეს. ეს ჩემი ხასიათითაც იყო განპირობებული და იმ ბიჭების დამსახურებაცაა, ვის გვერდითაც ვიბრძოდი. ბიჭებს ჩემთვის ხშირად მოჰქონდათ ბრძოლის ველზე დაკრეფილი ყვავილები და ლამაზი მცენარეები. არასოდეს დამავინწყებდა მათ მიერ მუჭით ან ჯიბით მოტანილი თითო ცალი ხილი ან კანფეტი. ბრძოლის ველზე მკაცრი და სასტიკი მეომრები, ალყაში ყოფნის დროსაც კი თავს მეგვლებოდნენ, არც ერთი წამით არ მავინწყებდნენ და არც მე ვივინწყებდი, რომ ქალი ვიყავი. ვცდილობდი, ფორმა არ დამეკარგა, მაკიაჟსაც კი ვიკეთებდი. ალბათ დამეთანხმებით, რომ თოფის სროლას შედეგებილი თმა და მოხატული თვალები ხელს არ უშლის.

— განვლილი გზიდან რაიმეს თუ ნანობთ?

— ჩემს ცხოვრებაში იყო ისეთი რაღაცეები, რისი თავიდან არიდება ან უკეთესად გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობ, ადამიანი თავად ირჩევს ცხოვრების გზას, ჩემი გასავლელი მე უნდა გამეკლო... ისე, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა. ჩემი თაობის ხალხის ბიოგრაფიაში ტრაგიკული და სამარცხვინო ფურცლებიც დევს, ეს არის სამოქალაქო ომი, რომლის დროსაც ბარეკაჟებს გაღმა-გამოღმა მდგომარეობებში ერთმანეთს ვესროლებთ. ასეთი რამ არ უნდა გამეორდეს.

**— როგორც მახსოვს, ერთხელ სასიკვდილო შიმშილობა გამოაცხადეთ. ციხის ადმინისტრაციას იძულებით რომ არ ემკურნალა, შიმშილით სიკვდილს მართლა აპირებდით?**

— რა თქმა უნდა, ვაპირებდი. რამდენჯერმე მომიწია პროტესტის ამ უკიდურესი ფორმის გამოყენებამ. ყველაზე ხანგრძლივად, შევარდნაძის მმართველობის დროს ვიშმშილე. 20 დღე გავიწი საკვებისა და წყლის გარეშე. ვინ აღარ მომიგზავნეს, მაგრამ შიმშილობა არ შემინწყვტია. მერე ორგანიზმმა კვდომა დაიწყო — კანი გამოიშრა, აზოტმა ამინია, დაესივდი და უფორმო მასად ვიქეცი. 21-ე დღეს საკანში ნვეთოვანი დამიდგეს, ექთანმა ზენარს წყალში ასველებდა და ტანზე მახვევდა, კანში ცოტა სინესტე რომ შესულიყო. სასიკვდილო შიმშილობა გამოვაცხადე და უარის თქმას არც ვაპირებდი.

**— მაგნოლია რატომ დაგარქვეს?**

— მაგნოლია ჩემი ფრონტული მეტსახელია. ჩემი უსაყვარლესი ყვავილია. ქალივით უცნაურია: ერთი შეხედვით, ღონიერი ფურცლები, სინამდვილეში, ნაზი და სუს-



ტია. მისი სურნელი თავს ატყევეს, ქალივით თავბრუდამხვევია... ბიჭებმა გამანებივრეს და მაგნოლია დამარქვეს. სიმბოლურია, რომ კოლონიაში ყოფნის დროს ჩემს ფანჯრებთან მაგნოლია ყვავოდა...

**— ალბათ იმედიც გაგცრუებია...**

— იმედგაცრუებამ უფრო მეტად მობილიზებული გამხადა. მე იმ ჯიშის ვარ, რომელიც არ იჩოქებს. ღვთის რწმენა და ოპტიმიზმი მაქვს, ამიტომ, როდესაც ჩემს ცხოვრებაში რაღაც ჩავარდნაა, ვფიქრობ, რომ ეს გამოიყვანა და თუ ამ განსაცდელს სათანადოდ გავუძლებ, მერე საქმე უკეთესობისკენ წავა. ახლა მისი გამო მტკივა გული, რომ ძველ მეომრებს არ აფასებენ, ეს უზნეობაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც ვფიქრობ — რა პირობებშიც უნდა ჩააყენოს მეომარი საკუთარმა ხელისუფლებამ და საზოგადოებამ, საჭიროების შემთხვევაში, ისევე უანგაროდ უნდა დადგეს ქვეყნის დასაცავად. თუ სამშობლოს ისევე დავეჭირდებით, ყველაფერზე წავალთ.

**— აგვისტოს ომის დროს რას აკეთებდით?**

— ძველი მეომრების ერთი ჯგუფი, მე და ჩემი მეგობრები, ერთ-ერთ ოფიციალურ სტრუქტურასთან ერთად, საბრძოლო პოზიციებზე ვიმყოფებოდით. ჩვენ მართლა, ძალიან კარგი ჯარი გვყავს. ცხინვალში ნაბრძოლი თითოეული ჯარისკაცი ისეთივე მამაცია, როგორიც აფხაზეთში მეტროპოლები იყვნენ. აფხაზეთსა და ცხინვალში რუსეთ-საქართველოს ომის დროს გავუშვებული რუსული იმპერია, ადგილობრივი სეპარატისტები და ათასი ჯურის დაქირავებული ბუვიეები გვებრძოდნენ. ჩვენი მხრიდანაც იყო დაშვებული, როგორც სტრატეგიული, ისე ტაქტიკური შეცდომები. ქართველები გენეტიკურად ვართ მეომრები, ეს ჩვენს სისხლში დევს. ყველაფრის მიუხედავად, იმედი მაქვს, როგორც ერის სულიერმა მამამ, უწმინდესმა და უნეტარესმა ბრძანა, ცხინვალის და აფხაზეთის დაკარგვა მხოლოდ დროებითია და საქართველო არასოდეს შეეგუება ამ ორი რეგიონის საკუთარი სხეულიდან მოკვეთას.

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოსი ღვალის უბის წიგნაკრები:

1. როცა 1990 წელს არაკაცებმა გაგრა-ში რუსთაველის ძეგლი დაანგრეს, არც ერთ აფხაზ მწერალს ხმა არ ამოუღია.
2. „რასია ჟივიოტ ვა ვრედ სებე ი ნაზ-ლო დრუგიმ ნაროდამ“, — ამბობდა ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი.
3. „დეშა უ რუსკის ზა სტრანუ ბალიტ ვეჩერომ, ა გალავა — უტრომ“, — ამტკიცებს მიხაილ ზადორნოვი.
4. „ნად რეკოი სტაიტ ტუმან, ნულევაია ვიდმოსტ, უ პივნოი მუჟიკ ლეეიტ, რუს-კაია ნედვიეიმოსტ“, — ამბობს ლეონიდ იზმაილოვი.
5. XX საუკუნის 50-იან წლებში ევრო-პაში ჩასული ზოგი საბჭოთა გენერალი უნიტაზში ფეხებს იბანდა და ზოგიერთი — ხელ-პირსაც, რადგან არ იცოდნენ მისი დანიშნულება.
6. „ვინც საბჭოთა კავშირის დაშლას არ ნანობს, მას გული არა აქვს, ხოლო ვინც მის აღდგენას ცდილობს, მას ტვინი არა აქვს“, — ამბობდა უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ლეონიდ კუჩმა.
7. როდესაც ვერაფრით გაარკვიეს, თურქეთ-საბერძნეთის ომთან დაკავშირებით ჩეხოვის პოზიცია, პირდაპირ პკითხეს, ვინ უფრო გიყვართ, თურქები თუ ბერძნები? — მე მარმელადი მიყვარსო! — უპასუხა მწერალმა.



8. ჰელსინკიდან გამოფრენილმა მატისა რუსტამი მოსკოვამდე სამოცი მეტრის სიმაღლეზე დაუჯდომლად იფრინა. ვასილევსკის დაღმართს — მისი დაშვების ადგილს — მოსკოველები დღესაც „შერევე-

ტიევიო სამს“ ეძახიან.  
9. სანამ პეტერბურგში მოხვდებოდა და სამეფო კარს დაუახლოვდებოდა, გრიგორი ეფიმიუს ძე ნოვიხი ერთ-ერთ სექტაში იყო განწევრებული, სადაც აღვირახსნილი ცხოვრების გამო, რასპუტინი დაარქვეს.  
10. „ფიცი მქონდა დადებული, არც ერთ რესპუბლიკაში აღარ წავსულიყავი. სამ-ნუხაროდ, ფიცი დაფარლვიე. აღარ შემიძლია ვუყურო, რა კარგად ცხოვრობენ რესპუბლიკები. ნუთუ აღარ დადგა დრო, დიდმა რუსმა ერმაც კარგად იცხოვროს?! ამ მიწაში რუსი ჯარისკაცების ძვლები ყრია და კარგად უნდა იცოდნენ, რუსი ჯარისკაცის ძვლები ორჯერ უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე სხვა ეროვნების ჯარისკაცის ძვლები“, — ეს სიტყვა მწერალმა ვიქტორ ასტაფიევა კომინიოვში წარმოთქვა. P.S. ეს ის ვიქტორ ასტაფიევაა, რომელმაც თავის ყბადაღებულ წერილში — „ლოვლია პეს-კარეი ვ გრუზიი“ — ქართული ძროხები და ინდაურებიც კი არ დაინდო.

# ჩაღით დასუჯული ქვეყანა და „ნუსაზ სოლუჟი“ დასუჯული დასა ჩაქიუშიდი

ამ ცოტა ხნის წინ, „ჯეოსტარელ“ თიკა მახალ-დიანთან ერთად მუსიკისა და დრამის თეატრის ნიჭიერმა მსახიობმა — ლაშა რამიშვილმა მუსიკალურ პროექტში — „მიმღერე რამე“ გამარჯვება მოიპოვა. თურმე, მას ცხოვრებაში უიღბლო მომენტებიც ჰქონია — ისეთი, რომ უფიქრია, ქვეყანა ჩალითაა დასურულიო... „თუკი პიროვნების შინაგან მდგომარეობას უიმედობა დაემუქრა, ის ადამიანი დაღუპულია“, — მითხრა ლაშამ, რომელიც ინტერვიუზე ხალხით დამთანხმდა.



## ეთი ყორღანაშვილი

— ლაშა, ყოველთვის ასეთი ხალხიანი ხარ თუ ენერგია პროექტში გამარჯვებამ შეგმატა?  
— საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ ალბათ, ეს ჩემი ბუნების „ბრალა“. საერთოდ, ადამიანები ძალიან მიყვარს. რა სითბოსაც ჩემ მიმართ ამჟღავნებენ, 10-ჯერ მეტს გავცემ, რა თქმა უნდა — მიზანმიმართულად, რადგან ყოფილა შემთხვევა, როცა ჩემს გულახდილობას სხვა ემოცია გამოუწვევია.  
— ზოგადად, კომერციულ მუსიკალურ პროექტებზე რას ფიქრობ? რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ მსგავს პროექტებში ნაკლებად ნიჭიერმა, მაგრამ მატერიალურად ძლიერმა კონკურსანტმა გაიმარჯვოს?  
— თუკი ადამიანი საკუთარ ნიჭიერებაში დარწმუნებული არაა და ჰგონია, რომ შრომა არ დაუფასდება, ის ვერასოდეს ვერაფერს მიაღწევს. ფინანსურ მაქინაციებს მაშინ მიმართავენ, როცა საკუთარი თავის იმედი არა აქვთ. სტუდენტობის პერიოდში, პედაგოგმა რადიოში მიგვიყვანა, სადაც ერთ-ერთი ფარმაცევტული კომპანიის სარეკლამო დაკვეთა უნდა შესრულებულიყო. რატომღაც, თავიდანვე მითხრეს, — შეიძლება, თქვენი ხმა პროდიუსერს არ მოეწონოსო და მათი წინასწარმეტყველება ასდა — პროდიუსერმა

ხმა დამინუნა, პირველად სწორედ მაშინ გავიფიქრე, რომ ქვეყანა მართლაც, ჩალით იყო დასურული. გარდა ამისა, ერთ-ერთ მუსიკალურ პროექტში — „ნუსაზ სოლუჟი“ არ მიმიღეს: პირველივე ტურიდან მითხრეს, — დაგიკავშირდებითო. საქართველოში „დაგიკავშირდები“ კინიშნავს — „უკაცრავად, ნახვამდის!“ ეტყობა, ჩემი მუსიკალური მონაცემები არ მოეწონათ (იციინის). არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ ამის შემდეგ, დადებით შედეგს ისეთი ადამიანის პროექტში მივალნიე, როგორიც ქალბატონი მარინე ბერძეა. ის უბადლო პროფესიონალია. მკაცრი კი არაა, სამართლიანი ქალბატონია და თუ ვილაცხას ეს არ მოსწონს, პირადად ჩემთან ექნება საქმე (იციინის)!..  
— პროექტში ყოფნისას, უიურის მხრიდან განსაკუთრებული სიმპათია არ გიგრძნია?  
— არ მსურს, ამას სხვა სახელი „მიეკეროს“, მაგრამ ვიცი, რომ ბატონი დავით საყვარელიძე და ლევან ნულაძე ჩვენი თეატრის მიმართ ძალიან კარგად არიან განწყობილნი — პრემიერებზეც მოსულან და მათგან გულუხვი მოლოცვებიც მიგიღია. პროექტში ყოფნისას, ამ ადამიანებისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობდი. მიამჩნია, რომ ჩვენი მუსიკალური წყვილი დადებით შეფასებებს

დამსახურებულად იღებდა (ყოველ შემთხვევაში, სხვები ასე ამბობენ და არა — ჟიურის წევრებთან ნაცნობობის გამო.

— მუსიკალური თვალსაზრისით, შენ და თიკამ ერთმანეთს ადვილად გაუგეთ?

— ერთმანეთს კარგად გაუგეთ სიმღერაშიც და არტისტიზმშიც. ჩვენ მხოლოდ ერთ ტურში მოვიკოჭლეთ, მაგრამ შედეგი გამოვასწორეთ და შეიძლება ითქვას, — ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ვიყავით.

— და ალბათ დამეგობრდით კიდევ?

— კი, მე და თიკუნა კარგი მეგობრები ვართ. პროექტში ყოფნისას ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებდით და ალბათ, ჩვენი მუსიკალური ნყვილის ერთ-ერთი დადებითი თვისება სწორედ ეს იყო.

— გუშინ რომ დაგირეკე მითხარო, რეპეტორიაზე ვარო.

— ამას წინათ, თეატრებს შორის ხალხური სიმღერების ფესტივალი გაიმართა. ჩვენი თეატრის კოლექტივმა (6-კაციანი ჯგუფი ვართ) 1-ელი ადგილი „მოცხენით“. მიუხედავად იმისა, რომ სეზონი დაიხურა, ახლაც აქტიურად ვმუშაობთ. არაჩვეულებრივად გვაქვს გაკეთებული სიმღერა — „ეს საწყალი კურდღელი“. მალე ჩვენი სექსტეტის პრეზენტაცია გვექნება და ფართო საზოგადოებასაც დავპატიჟებთ.

— როგორც პროექტში გამარჯვებულმა, თურქეთში 2-კაციანი საგზურის მითხარო, მაგრამ ვატივობ, დასვენებას ჯერ არ აპირებ.

— იმის დროც კი არ მაქვს, რომ საგზურში ჩავიხედო და ამბის გასარკვევად შესაბამის პიროვნებებს დავუკავშირდე. ალბათ ის დროც დადგება, როცა მათ დავუკავშირდე-



ბი და ვკითხავ: — სად და როგორ წავიდე-მეთქი (იციინის)? იმდენი არაფერი გაგვიკეთებია, რომ დავისვენოთ — ჯერ საქმე და მერე — გავლა. სავარაუდოდ, აგვისტოს შუა რიცხვებამდე ვიმუშავებ.

— როგორც ვიცი, დაოჯახებულ ხარ. შენი მეუღლე რას საქმიანობს?

— ჟურნალისტიკა. საკმაოდ ბევრი შემოთავაზება აქვს, მაგრამ ამჟამად, დასახლისია — ბავშვის მოვლაზეა გადაართული.

— შენი ბიჭუნა რა ასაკისაა?

— ჩემი ვაცუნა 2 წლის და 6 თვისაა. ის მთელი დედამიწის ზურგზე ყველაზე მაგარი ვინმეა: კაცი მითი და კაცი ლეგენდა — ლაშა-გიორგი რამიშვილი! გიორგობის დღესასწაულზე დავიბადე და ოჯახიც გიორგობას შევემენი, მაგრამ რადგან ბავშვისთვის გიორგის დარქმევა არ გვინდოდა, მეუღლემ გადაწყვიტა, — ლაშა-გიორგი დავარქვათო. ნაწილობრივ, მამის სენიაა.

— ერთმანეთს ჰგავხართ?

— ძალიან! 2-3 დღის წინ „ჭრელო პეპელა“ ისწავლა — კინალამ გადავირიე! ზუსტად იმ ტონში მღერის, როგორშიც ვუკრავ: „ჭრეო, პეპელა, გაფინდი... დელია ნანუნიი...“ ეს ჩემთვის დიდი აღმოჩენა იყო (იციინის)! თუკი მამის კვალს გაჰყვება, გზას ცოტათი მაინც გავუკვალავ.

— ლაშა, ერთ-ერთ სატელევიზიო კომენტარში მთელ რუსთავს და პირადად, ქალაქის მერს — მამუკა ჩიქოვანს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადე. მას პირადად იცნობ?

— კი, ვიცნობ. ერთმანეთთან ურთიერთობისას მისალმებით შემოვიფარგლებით. მეამაყება, რომ რუსთაველი ვარ. მართალია, ჩემს ქალაქში ყოფნისთვის ძალიან ცოტა დრო მრჩება, მაგრამ როცა მის ქუჩებში გავდივარ, ვატყობ, რომ ყველაფერი სასიკეთოდ იცვლება. ბატონმა მამუკამ პატარა „რეკლამა“ გამიკეთა და „ქვემო ქართლის“ ტელევიზიის ეთერში თქვა, — გვაქვს ბედნიერება, პროექტში რუსთაველი კონკურსანტი მონაწილეობდეს, ჰოდა, მის მხარდასაჭერად ყველაფერი უნდა გავაკეთოთო. მიინდა, შემთხვევით ვისარგებლო და კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა გადავუხადო ბატონ მამუკას, მთელ რუსთავს და ყველა იმ ადამიანს, ვინც პროექტში მხარი დამიჭირა.

ინფორმაციულ-ჟეოგრაფიული კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრები

11. იარაღის, თანაც — მასობრივი განადგურების იარაღის გამომგონებელს, რომლის გამოყენებასაც შეიძლება, მთელი ცივილიზაციის კატასტროფა მოჰყვეს, ნობელის პრემიას არ აძლევენ. მაგრამ მოხდა პარადოქსი: რუსეთის წყალბადის ბომბის მამას, ანდრეი სახაროვს, როგორც მშვიდობისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის მებრძოლ პიროვნებას, ნობელის პრემია მიანიჭეს. P.S. „საზღაურ არუყვი, კატორეო საჟოტო პლანეტო, ტაკ ი ნე პაკა იალსა. ტაკაია მალენკაია ხიტროსტ — უმერეტ ვეროემ, სავერშიე პრესტუპლენიე“, — წერდა მის შესახებ ვიქტორ ასტაფიევი.


12. ივანე მრისხანე ნოვგოროდში ერთი თვის განმავლობაში უსწორდებოდა ლიტვის მეფის, სიგიზმუნდ II-ის მომხრე ბოიარებსა და რიგით მოქალაქეებს. ამ სისხლიანი სამსჯავროს დროს 3 ათასამდე უდანაშაულო ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. შემდეგ გაირკვა, რომ ხმები ნოვგოროდელი ბოიარების ლალატის შესახებ თავად ლიტვის სამეფო კარის გავრცელებული იყო.

13. „ჩემი განზრახვა, ჩამოვსულიყავი საქართველოში, ზეგარდმო მადლით იყო შთაგონებული. ეს ნაბიჯი ღმერთმა გადამადგმევინა და მხურვალედ ვწირავ მადლობას უფალს: მე ვგრძნობ, საქართველოში უკეთესი გავხდი“, — წერდა ლევ ტოლსტოი.

14. „დამასკოს აქვს, ვით სამოთხეს — ყურანის სურა, აღმოსავლეთის პოეტებიც მას უმღერიათ. ჰოი, აშუღლო, ალაჰის წიგნს ნუ იღებთ ყურად, თბილისი ქვეყნად ყველაფერზე მშვენიერია“, — წერდა არაბი პოეტი ნიზკალაჰ-ჰასუნ. P.S. წარმოიდგინეთ, ამას არაბი კაცი ამბობს: „ჰოი, აშუღლო, ალაჰის წიგნს ნუ იღებთ ყურად!“

15. 1979 წლის აღწერით, აფხაზეთში საკუთრივ აფხაზები — ანუ აფხაზები შეადგენდნენ მოსახლეობის 17,1%-ს; ქართველები — 43,9%-ს; რუსები — 16,4%-ს; სომხები — 15,1%-ს. თავად აფხაზების რაოდენობა ხელოვნურად იყო გაზრდილი, მეგრელთა აფხაზებად ჩანურის ხარჯზე.

16. „ქართველები კავკასიაში მუდამ პირველები იყვნენ თავიანთი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ბრძოლის სულისკვეთებით... თუ თვალს გადაავლებთ მსოფლიოს მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, უსათუოდ დამეთანხმებით, რომ ქართველები, როგორც მეზობლები, ქვეყნად ერთ-ერთი საუკეთესონი არიან“, — წერდა უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა.





ამჟერად, რუბროკის სტუმარი „ქართულ-ქართლური მენტალიტეტის“ მქონე სასიკო, „კომედი-შოუსა“ და „ქლავ-შოუს“ მასპინძელი — 21 წლის მასკო ბიჭინავაძე გავლათ — ფიცხი და კეთილი გულის პატრონი...

# შუიჩილბიანი ზღაღღ და ტიტი სავიტი ზაღიფიტი სკუბიტი

მიმინონოს, შავგვრემანიც, ხორბლისფერიც, თავლისფერიც, ფორთოხლისფერიც, ვარდისფერიც... ბევრი შეყვარებული არ მყოლია. პირველად რომ შემიყვარდა, მეშვიდე კლასის მოსწავლე ვიყავი. როცა გავიზარდე, მივხვდი, ეს ბავშვური გატაცება იყო. მერე გამოჩნდა ადამიანი, რომელიც შემიყვარდა და 5 წლის მანძილზე ცალმხრივად მიყვარდა.

— ვახო, შენი ეკრანული გმირი — კასპელი ზაღიფიტი ადამიანი... — ის, „ქართლური შარმი“, რომელიც ეკრანზე გადავიტანე, დღემდე მომყვება.

შეიძლება მოულოდნელად „ავფეთქდე“, მაგრამ ეს მხოლოდ რამდენიმე წამის განმავლობაში გრძელდება — სიბრაზე უცებ გადაივლის ხოლმე.

ბრებმა ერთმანეთს რომ ვერ გაუგონ, რას მოიმოქმედებ?

— ძალიან კარგი სამეგობრო წრე მყავს და თუკი ჩემი შეყვარებული მათ ვერ გაუგებს, ვიფიქრებ, რომ „არასწორად“ შემიყვარდა.

— შეყვარებული წყვილის ქორწინებაზე თანაცხოვრებაზე რა აზრის ხარ?

— ჩემი „ქართულ-ქართლური“ მენტალიტეტის მიუხედავად, ამის სანინალმდეგო არაფერი მაქვს. ეს ოჯახური თანაცხოვრების წინა პირობაა. მერე კი შეუძლიათ, ჯვარი დაინეროთ ან საერთოდ არ იქორწინონ და უბრალოდ, ერთად იცხოვრონ.

— რომ გაიგო, გოგონას სექსუ-

## — „პასუხი ზაღიფიტი“ სავიტიტი ზღიფიტი

### ერთ ყორღანაშვილი

— ვახო, საკუთარი თავი წარმოგიდგინე.

— გახლავართ ვახტანგ კობას ძე ბიჭიკაშვილი, 21 წლის. ვსწავლობ თეატრალურ უნივერსიტეტში და ვმუშაობ ყველაზე საყვარელ სამსახურში (იციინის). ვარ ყოფილი „კავენსიკი“.

— სულ ეს იყო? ინტერვიუს ბევრი გოგონა წაიკითხავს და მათზე შთაბეჭდილება ხომ უნდა მოახდინოს?

— ბევრი ფული მაქვს და კარგად ვცხოვრობ (იციინის). არა, ვიხუმრებ, ბევრი ფული ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ ისე ვცხოვრობ, როგორც მინდა, ჩემს მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად.

— მოდი, შენი ოჯახი გაგვაცანი.

— მყავს დედა-მამა, ბებიის-ბაბუები („ჩემს ენაზე“ — პაპები) და 17 წლის უსაყვარლესი და, რომელიც აბიტურიენტია.

— ოჯახში შენი დაქორწინების საკითხი აქტუალურია?

— ბებიას — კი, მაგრამ მამას არასოდეს უთქვამს, — ნეტავი შენს ცოლს შვილს მომასწროო! ოჯახის შექმნას ჯერჯერობით, არ ვაპირებ, ამას დრო და ნებისყოფა სჭირდება. სავარაუდოდ, ქართველი ცოლი არ მყვოლება — არ მინდა!

— ქართველი ქალების სანაწარმდეგო რა გაქვს?

— ესურობ, თორემ ქართველ თვალებმაყვალა ცოლზე უარს როგორ ვიტყვი?!

— შენს განსაკუთრებულ სიმართლას როგორი გოგონები იმსახურებენ?

— ერთადერთი, ფერმკრთალი გოგონები არ მომინოს, თორემ შეიძლება, ქერაც

— რამ შეიძლება, გაგაბრაზოს?

— შეიძლება, გამაბრაზოს ტყუილმა, ბოროტებამ და ანანომ. ანანო ჩემი მეგობარია. ისეთ „ქათინაურებს“ „მესვრის“ ხოლმე, ვბრაზდები. მაგალითად, მეჩხუბება — ღიპი რატომ გაქვს? რომ არ გქონდეს, კარგი იქნებოდაო! შეეპირდი — აღარ მექნებამეთქი, მაგრამ... ესაა ჩემი კომენტარი: ღიპი ჩემი კაცობაა!..

— საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას ბევრ დროს უთმობ?

— არც ერთ წუთს და წამს არ ვუთმობ. — ის კი არა, სახლიდან ისე გამოვდივარ, სარკეშიც არ ვიხედები. შეგიძლია, ხალხი შენი არსებობით, შენი ადამიანობით მოხიბლო და არა — გარეგნობით. თმასაც არასდროს ვივარცხნი — მგონია, სავარცხელი რომ გამოვიყენო, თმა „მომძვრება“.

— იმედია, ჰიგიენის წესებს მაინც იცავ?

— რა თქმა უნდა! ღვთის წყალობით, ვბანაობ ხოლმე (იციინის). ბოლოს და ბოლოს, ქვის ხანაში ხომ არ ვცხოვრობთ — მაქვს საშუალება, რომ სააბაზანოში შევიდე და შხაპის მისაღებად საკუთარ თავს 15-20 წუთი დავუთმო.

— გარდა იმისა, რომ ფიცხი ხარ, შენი სასიათის თავისებურებებზე კიდევ რას მეტყვი?

— როგორც წესი, საკუთარ თავზე არ ვლაპარაკობ, მაგრამ თქვენთვის გამონაკლისს დავუშვებ. მიმაჩნია, რომ კეთილი ვარ. ყოველ შემთხვევაში — მინდა, ვიყო! ყოველთვის იმას ვაკეთებ, რაც ჩემს მეგობრებს გაუსარდაბათ და ესიაშოვნებათ, რადგან ოჯახის წევრებს თუ არ ჩავთვლით, მეგობრების გარდა არავინ მყავს.

— შენმა რჩეულმა და მეგო-

ალური პარტნიორი შენამდეც ჰყოლია, ეს ფაქტი მის ცოლად შერთვას არ გადაგაფიქრებინებს?

— რალაცებზე დავფიქრდები. პრინციპში, თუ შემიყვარდება, შესაძლოა, არაფერზეც არ დავფიქრდე, მერე რა, თუ ვინმესთან ცხოვრობდა და სექსი ჰქონდა, მაგრამ მაინც, ისეთ გოგონას ვამჯობინებ, რომლისთვისაც პირველი მამაკაცი ვიქნები.

— როგორი იქნება შენი ქორწილი — ამაზე გიფიქრა?

— კი, როგორ არა! დაახლოებით, 16-17 წლის ვიყავი, როცა ამ საკითხზე ვიფიქრე. რაჭაში, შაორის ტბასთან არის ძალიან დიდი მდელი, სადაც უამრავი გვირილაა. გვირილა ჩემი უსაყვარლესი ყვავილია. თუ ვინმეს მიმართ გრძნობა მქონია, ყოველთვის ამ ყვავილს ვჩუქნიდი. ჰოდა, ქორწილი იმ მდელიზე მექნება. ამ დღეს 50-60 კაცს დავუბატიებ, ოღონდ — ყველას თეთრი ტანისამოსი უნდა ეცვას, ფეხებზე კი — თეთრი საცეკვაო ჩუსტები, „ბალეტკები“ (სტუმრებისთვის ჩუსტებს თავად შევაკვრინებ). გოგონებს თავზე გვირილების გვირგვინი უნდა ედგათ. ქორწილში ყველანაირი მუსიკა აუღერდება: დუღუკები, კლასიკა, „ფანოლი“, რეპი, როკი... ქორწილის მერე, ნეფე-პატარძალი თვითმფრინავით გავემგზავრებთ პრალაში — პრალა ჩემი საყვარელი ქალაქია! აი, ასეთ ქორწილზე ვოცნებობ და თუ ამისრულდება, ძალიან ბედნიერი ვიქნები!

— შენი აზრით, ქალს როგორი საქციელი არ შეჰფერის?

— ქალმა ტყუილი არ უნდა თქვას და არ ითავხედოს!..


P.S. გოგონებო, თქვენს გულწრფელობით აღსავსე „ესემესებს“ ველით ტელეფონის ნომერზე: 8(58) 10-35-37



# ბიგ თიკოს ტიპური დედამთილი

## და გასული ჩხუბი

მართალია, ბიგ თიკოზე ამბობდნენ, — ვგ ვერ გათხოვდება, აბა, რეპერ რძალს ვინ შეუშვებს სახლშიო?! — მაგრამ ამ ადამიანების გულის გასახეთქად, ცოტა ხნის წინ თიკომ ჯვარი დაიწერა და თქვენ წარმოიდგინეთ, ქმრის ოჯახში დიდი სიხარულითაც შესვდნენ. ახალდაქორწინებულ წყვილს სულის მოთქმა ვაცალე და ინტერვიუსთვის ახლახან შევეხმიანე.



### მარი ჯაფარიძე

— მოკლედ, როგორც იქნა, გათხოვდა.

— ჰო, გავთხოვდი და ეს არ მომხდარა პეტერბურგში, ეს თბილისში მოხდა!.. ერთ დღეს მეგობარმა დამირეკა (ხმის ჩამწერ სტუდიაში მუშაობს) და მითხრა, რომ ერთ-ერთ „ახალგაზრდას“ რეპერს, რომელიც სიმღერას წერდა, ჩემი, როგორც უფრო გამოცდილი რეპერის, დახმარება და კონსულტაცია სჭირდებოდა. თავიდან მართლაც, ყველაფერს შემოქმედებითად მივუდექი და არც მიფიქრია, რომ ოდესმე, ეს ადამიანი ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცეოდა. ჩავერთე მის საქმეში, სიმღერის ჩანერგაში ვეხმარებოდი და რაღაც მომენტში აღმოვაჩინეთ, რომ მისი სოლო სიმღერის „გადუტეხა“ ჯობდა. ჩვენი ხმები ერთმანეთს ძალიან მოუხდა და გადაწყდა, რომ დუეტს ჩავეწერდით. სიმღერაზე მუშაობის პროცესი თვე-ნახევრით გაინელა. ჰოდა, ამ პერიოდში მასწავლებელსა და მოსწავლეს ერთმანეთი შეგვიყვარდა კიდევ. ნიკა ჩემთან შინ მოდიოდა ხოლმე და ვამეცადინებდი. ძალიან მკაცრი მასწავლებელი გახლდით და შეიძლება ითქვას, რომ მას ვანამებდი. ვკამათობდით კიდევ. ასე ჩავეწერეთ პირველი სიმღერა, მოგვიანებით კი შევექმენით პირველი ქართული რეპოჯახი.

— ნიკა სიყვარულის აქნის დროსაც ხომ არ გარეშა?

— (იცინის) არა, სიყვარული სიტყვებით არ აუხსნია. ახლა XX საუკუნეა და, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, კომუნიკაციისთვის უამრავი საშუალება არსებობს. იმის მომხრე არასდროს ვიყავი, რომ ჩემთვის სიყვარული მესიჯებით აუხსნათ, მაგრამ მთავარია, რომ ამის თქმა მოახერხა (იცინის)... თავიდან, როდესაც ჩვენი ურთიერთობა დაიწყო და მისი სიმღერის ტექსტზე ვმუშაობდი, ვუთხარი: როცა დავასრულებ, მე თვითონ დავირეკავ-მეთქი, მაგრამ დღემი იმდენჯერ მირეკავდა, რომ თავი მომაბეზრა. ერთ მშვენიერ დღეს კი მესიჯი მომწერა, — ძალიან შეგეჩვიეო. ამ დროს უკვე მეც მიყვარდა და სულ იმაზე ვფი-

ქრობდი, როდის გამოიტყდებოდა სიყვარულში. ამიტომაც, ამ მესიჯის მერე უკან დასახევი გზა აღარ დაუტოვებდი მივწერე: მერე-მეთქი?.. მოკლედ, ჩვენმა ურთიერთობამ სხვა კალაპოტში გადაინაცვლა და შეყვარებულები გავხდით, მაგრამ ამ ამბავს არავის ვუმხელდით. მოგვიანებით, მშობლებს გავანდეთ ეს საიდუმლო და ყველაფერი ტრადიციულად ჩავატარეთ — ნიშნობა, ჯვრისწერა და ქორწილი.

— ეს პირველი ქართული რეპოჯახია, არა?

— დიას და ამიტომაც გვინდოდა, რომ ქორწილსაც რეპერულად ჩაველო, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრე — ბოლოს და ბოლოს, ცხოვრებაში ერთხელ გავხდით პატარძალი (ნუ, ზოგი რამდენჯერმე თხოვდება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, ეს ჩემი პირველი და უკანასკნელი ქორწინება იქნება!) და ამ ერთხელაც, „ჩაჩეხა“ და კედელში უნდა გამოვკრან-ჭულიყავი?!. მიხდოდა, ჯვრისწერის დღეს ყველაზე ლამაზი ყოფილიყავი და ქორწილი „ფართის“ არ დამსგავსებოდა. ამიტომაც, კაბის ჩაცმა გადავწყვიტე. თუმცა, ჩემი ქორწილი მაინც შოუგორცერტი გახლდათ, რადგანაც მე, ჩემი მეუღლე და სტუმრები ერთად ვმღეროდით.

— საინტერესო იქნებოდა რეპერ პატარძლის მოსმენა.

— უფრო მეტად, ჩემი მეუღლე რეპავდა. მე ვცდილობდი, მეღერა, რათა ნაზი და ნარნარი ვყოფილიყავი...

— ახალ ოჯახს როგორ შეგვუქ?

— ყველა მეკითხება, პატარძლის აბლუაში თავს როგორ გრძნობ? დედამთილ-მამამთილს ქორწინებამდეც ისე კარგად ვიცნობდი, რომ თავს პატარძლად ნამდვილად ვერ ვგრძნობ. ძალიან მხიარული ოჯახია და შეიძლება ითქვას, ყველაზე ერთი ჭკუისანი ვართ, ერთმანეთს მშვენივრად ვუგებთ. არც იმის მოთხოვნილება მაქვს, რომ მე და ჩემმა ქმარმა ცალკე ვიცხოვროთ. ოჯახი ძალიან მეხმარება და მათთან ყოფნა მსიამოვნებს.

— ახალდაქორწინებულთან ინტერ-

ვიუს დროს ასეთი „ტრადიციული“ კითხვა არსებობს: დედამთილს „დედას“ ეძახი?

— არა, ვერ ვეძახი. იმიტომ კი არა, რომ საამისო მიზეზი მაქვს, უბრალოდ, ერთი დედა მყავს და სხვას ასე ვერაფრით მივბარათავ. აი, მამამთილს „მამას“ ვეძახი. მოგესვენებათ, 2 მამა მყავს — დედაჩემს მეორე ოჯახი აქვს და 3 წლიდან მამინაცვალმა გამზარდა. ჰოდა, ნამდვილი მამაც მიყვარს და შექნილიც. ამიტომაც, მამამთილისთვის „მამის“ დაძახება არ გამჭირვებია. დედამთილს კი ციციწო პქვია და მოფერებით, „ჩიჩოს“ ვეძახი. უკვე შეერქვა ეს სახელი და ყველა ასე მიმბარათავს.

— როგორც ვიცე, შენი მეუღლე შენზე უმცროსია.

— უმნიშვნელოდ, მაგრამ სიყვარულს ხომ ასაკი და წონა არ განსაზღვრავს?!

— რეპერების დამახასიათებელი თვისებაა სწრაფი ლაპარაკი. ისინი წუთში 1500 სიტყვის ამბობენ. როგორი ასატანია ასეთი რძალი ოჯახში?

— იცით, რას გეტყვით? მიუხედავად იმისა, რომ ჩემი დედამთილი რეპერი არ არის, მშვენივრად ახერხებს წუთში 1500 სიტყვის თქმას და არც ისაა გამოირცხვული, რომ მალე სიმღერაც ჩავეწეროთ. ასე რომ, ერთმანეთს მშვენივრად ვუგებთ. მე და ჩემს მეუღლეს გვეუბნებიან ხოლმე, — ერთი გემრიელად რომ იჩხუბოთ, კარგ ალბომს ჩაწეროთ. ხანდახან, საუბროსას, ძალაუწებურად, სიტყვებს ვრითმავთ და ამაზე ვხალისობთ კიდევ. ჩვენი შემხედვარე, დარწმუნებული ვარ, ჩემი დედამთილიც მალე გარეშავს. ახლა ვისარგებლებ შემთხვევით და ვეტყვი: ჩიჩო, ძალიან მიყვარხარ!

— „გზის“ მეშვეობით დედამთილის გულის მოგებას აპირებ?

— დიას, რატომაც არა?!

# ურჯალო რესტორნები



იქ უსინათლოები მუშაობენ.

● ბრაზილიისა და ესპანეთის ზოგ რესტორანში თეფშზე დარჩენილი კერძის გამო, ჯარიმას გადაგახდევინებენ.

● ამსტერდამის ერთ-ერთ კაფეში ბავშვები მიმტანებადაც მუშაობენ და მზარეულებადაც.

● ჩიკაგოსა და რომში არსებობს რესტორანი, სადაც ოფიციალტი შეურაცხყოფას აყენებს კლიენტს, დასცინის. ამ რესტორანში პირველად შესული, შოკირებული ადამიანი, როგორც წესი, პოლიციას იძახებს.

● აშშ-ის შტატ მენში დიდი პოპულარობით სარგებლობს ლი ტერნერის რესტორანი. ნებისმიერ მსურველს უფასო სადილით გაუმასპინძლებიან, თუ იგი რესტორნის მახლობლად მდებარე ტბაში შიშველი ჩახტება და იქიდან ამოსული სველი და შიშველი რესტორანში ისადილებს.

## გელარჩინილები

● 1983 წელს საძიებო სამუშაოების დროს, სპელეოლოგი — ჯორჯ დუ პრისნი მორევეში ჩავარდა და მიწისქვეშა გამოქვაბულში აღმოჩნდა. მეცნიერი გადარჩა. იგი თევზითა და წყალმცენარეებით იკვებებოდა. დუ პრისნის 13 დღის შემდეგ მიაგნეს.

● ვირჯინიის შტატის პარკის დარაჯს — როი სალივანს მუხი 7-ჯერ დაეცა და შვიდჯერვე გადარჩა.

● 1997 წელს მტვირთავი დეილ პოვიცი შემთხვევით, საყინულეში 2 დღით ჩაკეტეს. თავის გადასარჩენად, დეილი საქონელზე მიკრულ ეტიკეტებს წვავდა (სანთებულა თან ჰქონდა), შემდეგ კი საქონლის ცხიმს ჭრიდა და აღნობდა.



● ჩინეთის ქალაქ ნანძინში რესტორნის კლიენტს დაძაბულობის მოხსნაში ეხმარებიან. მსურველს შეუძლია, დაამტვიროს ჭურჭელი, ამოაბრუნოს მაგიდები, ჩაამსხვრიოს მინები და, რაც მთავარია, სცემოს ოფიციალტი.

● ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ რესტორანში, თქვენ მიერ შეკვეთილ კერძს, თეფშის ნაცვლად, მშვენიერი გოგონა თავის მკლავებზე ლამაზად დალაგებულს მოგიტანთ. ასეთივე მომსახურება იაპონიაშიც არსებობს — სუშის გოგონების სხეულიდან მიერთმევენ...

● ბერლინის რესტორანში შეგიძლიათ, უკუნეთ სიბნელეში ისადილოთ.

## ციფრი 13 სნობილი აღაშინაუბის სსოპრიაზაში

● 13 ლუდოვიკო XIII-ის საყვარელი ციფრი იყო. ცოლად ანა ავსტრიელი მხოლოდ იმიტომ შეირთო, რომ გაცნობისას, ანა 13 წლის გახლდათ.

● გერმანელი კომპოზიტორი რიჰარდ ვაგნერი 1813 წელს დაიბადა. მისი სახელი და გვარი 13 ასოსგან შედგება (დაბადების თარიღში შემავალ

ციფრებს თუ შეკვრებთ, 13-ს მივიღებთ). კომპოზიტორმა 13 აგვისტოს გახსნა თეატრი ბაიროტში. სიცოცხლის მანძილზე, ვაგნერმა 13 მუსიკალური დრამა დაწერა. 13 აპრილს დაასრულა ოპერა „ტანჰაიზერი“, რომლის პრემიერაც 13 მარტს გაიმართა. დრუზდენის ამბოხში მონაწილეობის გამო, კომპოზი-



ტორი 13 წლით გადაასახლეს, 13 სექტემბერს შეინყალეს, ხოლო 13 თებერვალს ის გარდაიცვალა.

მრავალი ცნობილი ადამიანი დაიბადა 13 რიცხვში: ჰაინრიხ ჰაინე — 13 დეკემბერს; ალფონს დოდე — 13 მაისს; ჟორჟ სიმენონი — 13 თებერვალს; ფრენკ სინატრა — 13 დეკემბერს.

ციფრ 13-ის მოყვარულებმა ამერიკაში „ცრუმორწმუნეობის კავშირი“ დააარსეს. მასში გაერთიანება მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, რომლის სახელიც 13 ასოსგან შედგება; ანდა დაბადების თარიღში, ბინის (ტელეფონის, მანქანის) ნომერში არსებობს ციფრი 13.

# ადოპციის მოყვარული სხოველადი და მხანარაი

- ბრიტანეთის ზოოპარკის დარაჯი პაბების ხშირი სტუმარი იყო და გართობის მიზნით, პინგვინიც დაჰყავდა ლუდხანაში. ეს ამბავი მთელ ბრიტანეთს მოედო. თანამშრომელი ზოოპარკიდან დაითხოვეს, პინგვინს კი რამდენიმეწლიანი მკურნალობა დასჭირდა.
- მთვრალ ღორებზე, ძროხებსა და ძაღლებზე ანეკდოტებიც დადის. ერთხელ, იხვებმა ჭაჭა მიირთვეს და დათვრნენ. პატრონმა იფიქრა, იხვებს ჭირი შეეყარათო და გააუტა. გამოფხიზლებული იხვები ორი თვე გააუტულები დადიოდნენ.
- ინდური ბუ, გულწითელა და შაშვი დელიკატესის — გადამნიფებული ვაშლისა და კენკრის მიღების შემდეგ თვრებიან და ტოტზევე იძინებენ. ამ პერიოდში მათი დაჭერა ძალიან ადვილია. გადამნიფებული ხილის მოყვარულები არიან მაიმუნებიც, მაგრამ ჩიტებისგან განსხვავებით, კი არ იძინებენ, ტოტიდან ტოტზე სტუნავენ და ყვირიან.
- ნადირობის მოყვარულებმა იცინიან, რომ მთვრალ სპილოზე საშინელი

ცხოველი დედამინაზე ძნელად მოიძებნება. სპილოები სასმელს თავადვე ამზადებენ. თხრილში ჩაყრილ ხილს, ფოთლებსა და ბალახს დულილის შემდეგ მიირთმევენ. ნასვამი სპილო ტყეში დაეხეტება და ხმამაღლა ღრიალებს.

- ბუზები, ტარაკნები და პეპლები უშირატესობას მაგარ ალკოჰოლურ სასმელებს ანიჭებენ. ამაში თავადვე დარწმუნდებით, თუ ღამე, პორტვინით სავსე ჭიქას მაგიდაზე დატოვებთ.
- ფრანგმა მებაღეებმა ლოკოკინების დაჭერის ახალ ხერხს მიაგნეს. ლოკოკინებს ძალიან ჰყვარებათ ლუდი. მებაღეების მიერ დაღვრილი სასმლის სუნზე ლოკოკინები იკრიბებიან და იმდენს მიირთმევენ, რომ სასმელშივე იძირებიან.
- ენტომოლოგების (ზოოლოგები, რომლებიც მწერებს სწავლობენ) დაკვირვებით დადგინდა, რომ ფუტკრებიც ალკოჰოლის მოყვარულები ყოფილან.
- უჩვეულო ფაქტი მოხდა ოქს-

ფორდის უნივერსიტეტში. სურომ ღვინით სავსე კასრი ამოაშრო. ამასთან, მცენარე არ დაზიანდა. ამბობენ, რომ ალკოჰოლის (ძირითადად კონიაკი) მცირე დოზამ შეიძლება, ჭკნობაშეპარული მცენარე გამოაცოცხლოს. სხვათა შორის, არ-



სებობდა სამეფო ბრძანება, რომლის მიხედვითაც, შევარდნების თანდასწრებით, ბაზიერებს მოწვევა და სმა ეკრძალებოდათ, რათა ჩიტებს მავენ ჩვევები არ გადაეღოთ. ■

# გაზეთები და ჟურნალისტური აუონიზება

- პარიზში ყოველკვირეული, 2-გვერდიანი გაზეთი „ნიწაკა და მარილი“ წყალგამტარ ქალაღზე იბეჭდება სპეციალურად მათთვის, ვისაც ჭამის დროს ახალი ამბებისა და ანეკდოტების კითხვა უყვართ.
- „ნიუ-იორკ თაიმსი“ ნომინაციების: „ყველაზე მაღალტირაჟიანი გაზეთი“, „ყველაზე მრავალგვერდიანი გაზეთი“, „გაზეთი, რომელშიც ყველაზე წარმატებული ჟურნალისტები მუშაობენ“, „გაზეთი, რომელშიც ყველაზე მეტი რეკლამაა“ — მრავალგზის გამარჯვებულია. მაგრამ გარდა ამისა, „ნიუ-იორკ თაიმსმა“ კიდევ ერთი რეკორდი მოხსნა: ამერიკელ ჟურნალისტს ჯორდან მერიერს ყველაზე გრძელი (66,5 სმ) წვერი აქვს კოლეგებს შორის.
- ფლორიდის ქალაქ სარასოტის ადგილობრივ გაზეთში ჟურნალისტი ბილ კოილენდი 20 წლის განმავლობაში ამინდის პროგნოზს ლექსად აქვეყნებდა.
- ქალაღლის უქმარისობის გამო, 1921 წლის 17 მაისს გაზეთი „იზვესტი“ ტილოზე დაიბეჭდა: გაზეთს ლოზუნგით დაურთეს: „გაუფრთხილდით გაზეთებს, ჩვენ ისინი ცოტა გვაქვს! ნაიკითხეთ და გადაეცით სხვას!“

- პირველი ქალთა გაზეთი — „ფრაუნციმერ ცაიტუნგი“ გერმანიაში 1798 წელს დაიბეჭდა.
- საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში გამოდიოდა ყოველკვირეული „ლა გეზეტი“, რომლის გამომცემელიც მკითხველებს სიურპრიზებს უწყობდა. გაზეთის პირველი ნომერი სიგანეში 2 მეტრი იყო.
- ლონდონის აუქციონზე 304 დოლარად გაიყიდა გაზეთ „ბოსტონ გლობის“ ის ნომერი, რომელ-

შიც „ტიტანიკის“ დაღუპვის ამბავი იყო მოთხრობილი.

- 1817 წლის 4 მაისს გერმანული გაზეთის „კელნიშე ცაიტუნგის“ რედაქტორის სვეტი ტექსტის გარეშე დაიბეჭდა. გამომცემელმა მარკუს დიუმონმა ასე გამოსხატა პროტესტი სახელმწიფო ცენზურის გამო.

## სიტყვაი:

„ჟურნალისტიკა ხელოვნებაა, აუხსნა სხვებს ის, რაშიც თავად ვერ გარკვეულხარ“.

„სამყაროში გამავალ ფანჯარას შეგიძლია, გაზეთი მიაკრა“.

„გაზეთის გამოსაცემად საჭიროა პატივმოყვარეობა, პატიოსნება და... 10 მლნ დოლარი“.

„ახალი ამბავი არაა, ძალი თუ უკბენს ადამიანს; ახალი ამბავია, ადამიანი თუ უკბენს ძალს“.

„რადიო ვერასდროს შეცვლის გაზეთს, რადგან გაზეთით ბუზს ვერ მოკლავ“.



# დაავადება და ფიტოთერაპია

## მწვანე გასტრიტი

მწვანე კატარული ან უბრალო გასტრიტი კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებაა, რომელიც ეპიგასტრიუმის (კუჭის საპროექციო არე) არეში ტკივილით, გულისრევით, ლებინებით (ნაღებინები მასა შეიცავს საკვებს, ლორწოს, ნალვლის წვენს) და საერთო სისუსტით ვლინდება. თუ დაავადებას აქვს ბაქტერიული ბუნება (ანუ ბაქტერია ინფექსი), მაშინ დარღვევები უფრო მკვეთრად გამოხატული და ფაღარათივით ახლავს. მკურნალობის თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია დიეტის ზედმინევიანობით დაცვა.

### ფიტოთერაპია

ფიტოთერაპია მიმართული უნდა იყოს ანთებისა და ფაღარათის მოხსნისკენ (კრაზანა, სიმინდის ულვაში, სატაცური, ნიახური, გოგრა, ოხრახუში და სხვა), მადისა და საჭმლის მონელების გაუმჯობესებისკენ. ასევე ინიშნება ვიტამინების შემცველი მცენარეები (ასკილი, ქაცვი, ჭინჭარი, ბაბუნავერა და სხვა). ალკოჰოლური ბუნების გასტრიტის დროს ფიტოთერაპია გასტროოროტექტორებისა და ნალვლმდენების დანიშნავს (კულმუხონ, ფარსმანდუკი, სალბი, ორკბილა, სიმინდის ულვაში, ზაფრანა, ბეგქონდარა და სხვა) გულისხმობს. მკურნალობის კურსი 2-3 კვირას შეადგენს. ფიტოთერაპია მნიშვნელოვან როლს თამაშობს გასტრიტის ქრონიკულ ფორმაში გადასვლის შეფერხებაში. მცენარეული ნაკრები მწვანე გასტრიტის დროს: 2-2 გ გვირილა, თავშავა, მრავალძარღვა, პიტნა, ჭინჭარი, 1-1 გ კოთხუჯი, მარწყვბალახა, ძირტკბილა. უნდა მომზადდეს 0,3 ლ ნაყენი. იგი ავადმყოფმა უნდა მიიღოს დღეში 3-4 ჯერ, ჭამამდე 75-100 მლ ოდენობით.

## თირკმელქანჭოვანი დაავადება

თირკმელქანჭოვანი დაავადება (ნეფროლითიაზი) საკმაოდ ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით მამაკაცებში. მის რისკფაქტორებს წარმოადგენს: ნივთიერებათა ცვლისა და შარდის გამოყოფის დარღვევები, ინფექცია, მინერალიზებული სასმელი წყალი, ცხელი ჰავა (კანიდან სითხის დაკარგვა) და სხვა. კენჭის წარმოქმნა რთული ფიზიკო-ქიმიური პროცესია. ნეფროლითიაზის (თირკმლის ქანჭოვანი დაავადება) მთავარ სიმპტომს ტკივილი



(თირკმლისმიერი ქვალ ანუ კოლიკა) ქმნის, ჰემატურია (სისხლი შარდში) კენჭების შარდით გამოყოფა. მკურნალობა მდგომარეობს დიეტოთერაპიაში, წყლით დატვირთვაში (ნაჩვენებია სითხის დიდი რაოდენობით მიღება), ინფექციის წინააღმდეგ ბრძოლაში. შეცვლილი თვისების შარდი ხელს უწყობს მარილების კრისტალიზაციას, ხელს უშლის შარდის მიერ მარილების გამოყოფას, ასევე ინფექციისა და ანთების წინააღმდეგ ბრძოლას. ანტისეპტიკური, შარდმდენი და სალურეტიკული (იგივე შარდმდენი, ოღონდ ძლიერდება შარდთან ერთად ნატრიუმისა და ქლორის იონების გამოყოფა) თვისებების მქონე მცენარეული ნაკრები: 5-5 გ ოხრახუში, ანისულა, კამა, ღვია; 10-10 გ მათიტელა, შტოში, წინმატურა, ბაბუნავერის ძირები, ძირტკბილა. 2 ს/კ ნარევისაგან უნდა მომზადდეს 0,5 ლ ნაყენი და მიიღოს დღეში 3-ჯერ. მკურნალობის კურსი 7-10 დღეს შეადგენს. უფრო მსუბუქი და ხანგრძლივი მკურნალობის მიზნით 1 ს/კ ნარევისა და 0,3 ლ წყლისგან მზადდება ნაყენი.

კენჭების დამწველი მცენარეული ნაკრები: თანაბარი რაოდენობით ოხრახუშის ძირები, ჭანგის ძირები, შვიტა, მათიტელა, არყის ხის ფოთლები, პიტნა, კამის თესლი. 15X500 მომზადებული ნაყენი უნდა მიიღოს 3-ჯერ, ჭამის შემდეგ. მკურნალობის კურსი შეადგენს 2-4 კვირას.

## მოუსვენარი ფხის სინდრომი

მოუსვენარი ფხის სინდრომი და ძილში კიდურების პერიოდული მოძრაობა დარღვევაა, რომელსაც ძილში კიდურების რიტმული მოძრაობა ახასიათებს. ამ სინდრომის დროს მოძრაობს ფხეები და ხელებიც (თუმცა უფრო ხშირია ფხეების მოძრაობა). ეს მოძრაობები პერიოდულად ღამით, ძი-

ლის დროს აღინიშნება და შეიძლება, სხვადასხვა სირთულის იყოს.

ამ სინდრომის აღმოცენების მიზეზი ცნობილი არ არის. თუმცა ახლახან ჩატარებული კვლევის შედეგის მიხედვით გაირკვა, რომ ეს სინდრომი უმეტესად თავს იჩენს პარკინსონითა და ნარკოლეფსიით (დაავადება, რომლის ძირითადი ნიშანია დღის განმავლობაში დაუძლეველი ძილის ხანმოკლე შეტევები; ძილად მივარდნა) დაავადებულებში. ეს სინდრომი შეიძლება, ანტიდეპრესანტებმა და ზოგმა ნამალმაც გამოიწვიოს.

ადამიანი შეიძლება, ნაწილობრივ ან მთლიანად გამოფხიზლდეს ამ სინდრომის გამოვლინების შემთხვევაში და ხშირად ვერც კი აცნობიერებს, რომ ასეთი დარღვევები აქვს. ოჯახის წევრები ავადმყოფს კიდურების ასეთ მოძრაობას ძილში ამჩნევენ, რაც დიაგნოზის დასმას აადვილებს. საბოლოო დიაგნოზის დასმა ხდება პოლისომნოგრაფიის (ტესტი, რომლის დროსაც ძილში აღმოცენებული ქმედებებისა და სიგნალების ჩანერა) საფუძველზე. ასეთი გამოკვლევა ხშირად დღის განმავლობაში ძილიანობის ან ღამე უძილობის მიზეზების დადგენის მიზნით ხდება. ასევე შეიძლება, გაკეთდეს სისხლის ანალიზი, მასში რკინის, მაგნიუმის დონის დასადგენად და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის შესამოწმებლად.

## მოუსვენარი ფხის სინდრომის მკურნალობა

არსებობს რამდენიმე ჯგუფის ნამალი, რომელიც ამ სინდრომის სამკურნალოდ გამოიყენება. ამ პრეპარატებს მიეკუთვნება პარკინსონის დაავადების სამკურნალო ნამლები ან კრუნჩხვის საწინააღმდეგო პრეპარატები, დამამშვიდებლები და სხვა. ერთი სიტყვით, მოუსვენარი ფხის სინდრომის მკურნალობა მიმართულია სიმპტომების შემცირებისკენ.

ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე კონკრეტული მკურნალობის მეთოდი ან ნამალი, რომელიც ადამიანს ამ სინდრომისგან იხსნიდა. მოუსვენარი ფხის სინდრომის არსებობის შემთხვევაში ადამიანი უნდა ერიდოს კოფეინის მიღებას, რადგან იგი, როგორც წესი, მის სიმპტომებს აძლიერებს. ამიტომ დაავადებულმა მაქსიმალურად უნდა შეზღუდოს კოფეინის შემცველი პროდუქტების (მაგალითად, შოკოლადი, ყავა, „კოკაკოლა“ და სხვა) მიღება. ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ბევრი ანტიდეპრესანტი აღრმავებს მოუსვენარი ფხის სინდრომის გამოვლინებას.

# ღვიძლის სიროზი

ღვიძლის ციროზი ქრონიკული, პროგრესირებადი დაავადებაა. ახასიათებს ღვიძლის როგორც პარენქიმის (ჰეპატოციტები — ღვიძლის უჯრედები), ისე სტრომის დაზიანება, რომლის შედეგადაც ხდება ღვიძლში სისხლის მიმოქცევისა და მისი ფუნქციის მოშლა. როგორც წესი, ციროზი არის ღვიძლის ქრონიკული ანთებითი პროცესის — ჰეპატიტის — ბოლო სტადია. მისი კლინიკა მეტად მრავალფეროვანია და ახასიათებს სტადიურობა, ფუნქციური მოშლილობა და გართულებები. მისი ყველა ფორმისთვის დამახასიათებელია ღვიძლის უკმარისობა, ინტოქსიკაცია (ენცეფალოპათია), პორტალური უკმარისობა (ასციტი, შეშუპება), ჰემორაგიული სინდრომი (სისხლდენები).

მკურნალობა, კერძოდ კი ფიტოთერაპია, იგება კლინიკური და ფუნ-

ქციურ-მორფოლოგიური მონაცემების მიხედვით. ციროზის უკუგანვითარება შეუძლებელია. მკურნალობის ამოცანა მდგომარეობს პროცესის პროგრესირების შეფერხებასა და მის არააქტიურ ან სტაციონარულ ფორმაში გადაყვანაში. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიეტას. კატეგორიულად იკრძალება ალკოჰოლური სასმელებისა და ზოგიერთი პრეპარატის (ჰეპატოტოქსიკურის) მიღება.

ფიტოთერაპია უნდა იყოს კომპლექსური და ხანგრძლივი. გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო და ჰეპატოპროტექტორული თვისებების მატარებელი (წყლის იული, კრაზანა, ნეგო, ჭინჭარი), ასევე ნალვლმდენი (შვიტა, ორკილა, ნიორი, თავისისლა), ვიტამინებით მდიდარი (ასკილი, შავი მოცხარი, ჭინჭარი) და იმუნური სისტემის მასტიმულირე-



ბელი (მრავალძარღვა, ფარსმანდუკი, ბაბუნაწვერა) მცენარეები.

შეშუპებისა და ასციტის არსებობის შემთხვევაში ინიშნება შარდმდენი მოქმედების მცენარეები — ღვია, დათვის კენკრა, წითელი მოცვის ფოთლები, ძირტკილა, შვიტა, არყის ხის კვირტები და ფოთლები, მარწყვის ფოთლები. ანემიისა და ჰემორაგიული დიათეზის დროს ავადმყოფს ენიშნება — წითელი მოცვი, კონაზური, თავისისლა, ძირტკილა, სიმინდის ულვაში, კრაზანა...

# კაკალი და თევზი სიბრძნისგან დაგისავთ

საინფორმაციო სიხლუპები

ავსტრალიელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავის შემცველი პროდუქტები თვალზე ყვითელი ლაქების დეგენერაციის (პროგრესირებადი პათოლოგიური პროცესი, რომელიც ხშირად, სიბრძნავს იწვევს) განვითარების რისკს ამცირებს. ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავას ჭარბად შეიცავს თევზი და კაკალი. ავსტრალიელმა მეცნიერებმა კვლევა ჩატარეს, რომელშიც 2454 ადამიანი მონაწილეობდა. მათ პაციენტებს სთხოვეს, რეგულარულად, კვირაში ორჯერ ნიგოზი ეჭამათ. ათი წლის შემდეგ მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კვლევის მონაწილეებს ყვითელი ლაქების დეგენერაცია 35%-ით შემცირდა.

სიდნეის უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, კვირაში ერთი ულუფა



თევზის მიღება ყვითელი ლაქების დეგენერაციის ადრეული სტადიის განვითარების რისკს 31%-ით ამცირებს.

ყვითელი ლაქების დეგენერაცია არის თვალის ბადურა გარსის ცენტრალურ ნაწილში განვითარებული

ცვლილება, რომელიც ხელს უშლის მხედველობას. სიბრძნავის მიზეზი ხდება თვალის ბადურის უჯრედების დაშლა და ყვითელი ლაქის უბანში ახალი სისხლძარღვების წარმოქმნა, რომელიც ატარებს სითხეს და სისხლს, რის შედეგადაც გამოსახულების დამახინჯება ხდება... დიდ ბრიტანეთში 500000-მდე ადამიანს აქვს ეს დაავადება. მათ შორის ნახევარი დაბრძანდა ან ნაწილობრივ დაკარგა სინათლე.

ჯენიფერ ტენი ჟურნალში „The Archives of Ophthalmology“ აღნიშნავს, რომ მათი დასკვნები ადასტურებს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ომეგა-3 პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავების შემცველი საკვების (როგორცაა თევზი ან ნიგოზი) რეგულარულად მოხმარება დაიცავს ორგანიზმს ყვითელი ლაქების დეგენერაციის განვითარებისგან. როგორც ცნობილია, ცხიმოვანი მჟავები ბლოკავს ახალი სისხლძარღვების ფორმირებას და იცავს ბადურას უჯრედებს ჟანგბადის მანვე ზეგავლენისაგან. იმავე ჟურნალში გამოქვეყნებული სხვა კვლევის თანახმად, ადამიანები, რომელთა კვების მენიუ გამოირჩევა ზეითუნის ზეთის მაღალი შემცველობით (კვირაში 100 მლ), უფრო ნაკლებად ავადდებიან ყვითელი ლაქების დეგენერაციით, ვიდრე ისინი, ვინც კვირაში 1 მლ ზეითუნის ზეთზე მეტს არ იყენებს.

**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები  
[www.elva.ge](http://www.elva.ge)

არასის და წიგნების ბაზრის დასახელება

გაზეთების დასახელება	1 წიგნ. ფასი	3 წიგნ.
1. GEO / GEO	8.00	27.99
2. ЛМЭА	2.50	32.58
3. 100 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.99
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.99
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.58
6. HELLO! ХИЛЛОУ!	4.00	52.99
7. ОТПОХНЕ!	2.00	26.99


საბანკო „ელვა.ჯი“  
ქ. თბილისი  
თბილისის ქ. 7048  
ტელ: 32-26-73; 32-26-74  
ფაქს: 32-26-74

აბრკობის ნაბიჯიერი სხვა გამოცემა E-mail: [elva@kivipress.ge](mailto:elva@kivipress.ge)

# იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



**2 ჩანაკტი  
ქურნალები**



## როგორ მოვირგოთ პრობლემები

პრობლემები თქვენ არ უნდა მოიხდეთ – ის ექიმმა უნდა მოგარგოთ. აუცილებელია, მოსახსნელი პრობლემები ზუსტად იყოს დამზადებული. მცდარია მოსაზრება, რომ პაციენტის პირის ღრუს ლორწოვანი გარსი თვითონ მოერგება პრობლემას.

## პატარას ქაილი აწუხებს

როცა დედა პაბილომაგირუსით არის ინფიცირებული, შვილიც ინფიცირებული იბადება. თანდაყოლილ ინფექციას ახალშობილის უცნაური საქციელი გვაეჭვებინებს: ჩვილს შორისის მიდამო ექებება, რის გამოც უცნაურ მოძრაობებს ასრულებს – ფეხებს ხრის და ჭიმავს.

## რკინის დეფიციტი გავუმჯობესო

რკინის ხანგრძლივი დეფიციტის დროს მოსალოდნელია მადის, ყნოსვის გაუკუღმართება (ბავშვი ჭამს ცარცს, ტალახს, საღებავებს, ყინულს, მოსწონს ბენზინის, საღებავების, ლაქის, მასტიკის მკვეთრი სუნი), ხმის წასვლა (გლოსიტი), ფრჩხილების მტვრევადობა (კვილონიქა).



ს  
ე  
ფ  
ე  
ს  
ა

# აქაში „უფლისუფლისა“ და ერთი მათსოვნისა

მარი ჯაფარიძე

„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ მინირომანს, „შეხვედრა“, ბევრი მკითხველი გამოეხმაურა. ურნალის გამოსვლის დღესვე ქალბატონმა დამირეკა და აი, რა მიაბო: „თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე, კორპუსთან, ხანში შესული ქალი ზის და მონყალებას ითხოვს. მუდამ შავებშია ჩაცმული და სახეზეც ჩადრი აქვს ჩამოფარებული. არავის ეკონტაქტება, მხოლოდ ხურდას თუ ჩაუყრი, მადლობას გადაგიხდის და ეგაა. უკვე წლებია, ეს ქალი ჩვენს უბანში ზის, მაგრამ არავინ იცის, საიდან მოვიდა, სად ცხოვრობს ან ვინაა. თუმცა, გულგრილად ვერავინ ჩაუვლის გვერდზე და ყველა ხურდას ჩუქნის. ერთხელ, როცა ჩავიარე,

შევნიშნე, რომ ჩვეულებისამებრ, ხელი არ ჰქონდა გამოწვდილი. დაველაპარაკე და ხმა არ გამცა. შევანჯღრიე, მეგონა, ჩაეძინა-მეთქი. თურმე ცუდად ყოფილა. იქვე, ახლოს ვცხოვრობ. შინ წავიყვანე და ვიდრე უკეთ არ გახდა, არ გამოვუშვი და თავისი თავგადასავალიც სწორედ მაშინ მიაბო. მერწმუნეთ, თუ მის ალაპარაკებას შეძლებთ, მეტად ორიგინალურ და საოცარ ამბავს მოისმენთ“. ქალბატონის მიერ მინიშნებულ ადგილზე მივედი. თავს არ შეგანწყენთ იმის მოყოლით, როგორ დავიყოლიე საუბარზე. მხოლოდ ვეცდები, მისი ნაამბობი ზედმინევენთ ზუსტად გამოგცეთ. მისსავე სურვილსა და თხოვნას ვასრულებ და თხრობის დროს „ღვთის გლახათ“ მოვიხსენიებ.


დედამისი სიყვარულით გათხოვდა, მაგრამ ღარიბი ოჯახის შვილი დაინუნა დედამთილმა და გამუდმებით იმას ცდილობდა, შვილი და

ხალხი სამკითხაოდ და ჯადოს გასაკეთებლად რომ დადიოდა, ისეთი. გამუდმებით ბალახებს ხარშავდა, მკვდარ ვირთხებს, მორიელებსა და გველებს ახმოებდა და ნახარში ურევდა. მამიდაჩემისგან ვიცი, რომ სულ მთლად თოთო დამწყევლა: სიყვარულს, სიხარულსა და კაცის მკლავზე ძილს ვერ ეღირსოსო, ჩაუთქვამს ანთებული სანთლისთვის.

გლახას ცხოვრება უკუღმართულად წავიდა. მამა სამამულო ომში დაეღუპა და ძალიან ბუნდოვნად ახსოვს. ლამაზი გოგო დადგა, მაგრამ გულჩათხრობილი და მუდამ სევდიანი იყო. თანატოლებთან ურთიერთობას თავს არიდებდა. ყურებში გამუდმებით მამიდას მიერ ნათქვამი ბებუის წყევლა ჩაესმოდა და ფიქრობდა, რომ აუცილებლად აუხდებოდა, რადგან ბებუამ ვინც დაწყევლა, ვერავინ გაიხარა. როცა სკოლა დაამ-

რძალი ერთმანეთისთვის დაეცილებინა. 3 წელი უშვილოდ იყო წყვილი, მაგრამ 1937 წელს ქალი დაფეხმძიმდა. როდესაც ეს ამბავი დედამთილმა გაიგო, რძალი დაწყევლა — არ ეღირსო მაგ შვილის დაბადებასო. ქალი მშობიარობას გადაჰყვა. გოგონა შეეძინა, მაგრამ თვითონ მხოლოდ ახალშობილს მოჰკრა თვალი და რამდენიმე წუთის შემდეგ სული განუტევა. გოგონას ღვთის ანაბრად ვერ დატოვებდნენ და ბებუა იძულებული გახდა, საძულველი რძლის მერ „გაგდებული“ ბავშვი აღეზარდა. რძლის სიძულველი პატარაზე გადაიტანა და სიცოცხლე გაუმწარა.

ბებუის წყევლამ გაჭრა. ღვთის



### ღვთის გლახა:

— ძალიან სათნო და კეთილი მამიდა მყავდა. ბებუაჩემი კი ნამდვილი კუდიანი იყო. მასთან

თავრა, საბჭოთა კავშირი ახალ ცხოვრებას იწყებდა და ომის იარებს იშუშებდა. გადანყვიტა, ბედის საძიებლად თბილისში წამოსულიყო. არავის შეუჩერებია და კალთები არავის ჩამოუხევიან, ნუ ნახვალთ. მხოლოდ მამიდა ინმენდდა ცრემლს ჩუმად. თავსაფარში გამოკრა თავისი მწირი ბარგი და თბილისისკენ მიმავალ გზას ფეხით დაადგა. ბევრი იარა თუ ცოტა, გზაზე დიდი, სამშენებლო მასალით დატვირთული მანქანა წამოუნია და წაყვანა შესთავაზა. მძლოლმა გზაზე გამოჰკითხა სადაურობა, სად მიდიოდა და როდესაც გოგონამ ყველაფერი დანვრილებით მოუყვა, შესთავაზა, მასთან, მშენებლობაზე დაენყო მუშაობა. დათანხმდა. მისთვის ხომ სულ ერთი იყო, სად წავიდოდა? მთავარი იყო, ბებიასთან არ დაბრუნებულიყო. ასე აღმოჩნდა რუსთავეში, მეტალურგიული ქარხნის დირექტორთან. დირექტორმა ღიმილით მიიღო, მშვიდად მოუსმინა, სამსახურში აიყვანა და ქარხნის მუშებისთვის განკუთვნილი საერთო საცხოვრებლის მშენებლობაზე გაამწესა. უკვე აშენებულ საერთო საცხოვრებელში კი ერთი ნათელი და კოხტა ოთახიც მისცა. მეტი რა უნდოდა ღვთის გლახას? სამსახური და ხელფასი ჰქონდა, ჭერიც... მოაწყო თავისი ოთახი და ის იყო, გაიფიქრა, როგორც ჩანს, ბებიას წყევლამ ჩემზე არ გაჭრაო, რომ ბედმა საშინელი განსაცდელი მოუვლინა. იქვე, მშენებლობაზე უღვაშიანი, კოხტა ბიჭი გაიცნო. ერთმანეთი მაშინვე მოეწონათ და შეყვარებულებიც გახდნენ, მაგრამ...

**ღვთის გლახა:** ერთ სალამოს გიორგიმ ხელი მთხოვა. სიხარულით დავთანხმდი. ვინაიდან მატერიალურად უჭირდა, ქარხანაში, ფოლადით ჩამოუსხამს



ბეჭედი, იმით დამნიშნა. მეორე დღეს კი ხარაჩოდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა. ამის შემდეგ 3 წელი გავიდა. კვლავ მომეცა გათხოვების შანსი, მაგრამ ის კაციც მოკვდა... გადავწყვიტე, ბებიასთან ჩავსულიყავი და მეთხოვა, წყევლა მოეხსნა. მითხრა, ისეთი რიტუალი შევასრულე, რომელსაც ვერაფერი გააბათილებსო. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, ამის შემდეგ კიდევ 2 კაცის სიცოცხლე შეენირა ჩემზე დაქორწინების სურვილს. შემდეგ ერთი ცოლიანი კაცი გადამეკიდა. ძალიან ლამაზი და წარმოსადეგი იყო. ქარხანაში დიდ თანამდებობაზე მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოლი სულ 2 წლის მოყვანილი ჰყავდა, არც მე მანებებდა თავს. შემეყვარდა ეს ადამიანი და გადავწყვიტე, მასთან ურთიერთობას დავთანხმებოდი, ვინაიდან, ალბათ ქმარს ვერასოდეს ველირსებოდი, მე კი შვილი მინდოდა უზომოდ. ჰოდა, ამ კაცთან დავწევი. სულ 1 თვე ვიყავით ერთად. მისთვის არ მითქვამს, რომ დავფეხმძიმდი. მხოლოდ ბებიჩემის წყევლისა და ჩემი გარდაცვლილი საქმროების შესახებ მოვუყევი და მაშინვე

შეშინებულმა მიმატოვა. ვაჟი შემეძინა და გაბრიელი დავარქვი.

გაბრიელი ახლა ღვთის მსახურია და ერთ-ერთ ეკლესიაში მღვდელია. მან არ იცის, რომ დედა ღვთის გლახა და მოწყალეობას ითხოვს. თუმცა, არც გაბრიელის მამამ იცის, მისი არსებობის შესახებ. საოცარია, მაგრამ ამ ამბავს გაცილებით საინტერესო გაგრძელება აქვს...

ღვთის გლახამ ვაჟი მარტომ გაზარდა. ვიდრე „ქვეყანა აირეოდა“, არაფერს აკლებდა და დედა-შვილი კარგადაც ცხოვრობდა, მაგრამ შემდეგ გაუჭირდათ. ძველი „დიდებიდან“ მხოლოდ სახლი შემორჩა ღვთის გლახას. ყველაფერი გაყიდა და თავს კეთილი ადამიანების მიერ გაღებული მოწყალეებით ირჩენს. თუმცა, თავისი შვილის მამა და მისი სიყვარული ვერაფრით დაივიწყა. ათიოდე წლის წინ გადანყვიტა, მის შესახებ რაიმე ინფორმაცია მოეპოვებინა. ჰოდა, როგორც იქნა, მიაგნო. ის თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში, პრესტიჟულ ქუჩაზე, პრესტიჟულ სახლში ცხოვრობს და საკმაოდ კარგი ბიზნესიც აქვს. ღვთის გლახამ კარგა ხანს უთვალთვალა და დაადგინა, რომ დილაობით 9 საათზე გადის სახლიდან, ავტოსადგომამდე ფეხით მიდის, შემდეგ კი თავის უზარმაზარ ჯიპში ჩაჯდება და სალამომდე აღარ გამოჩნდება ხოლმე. პირველად რომ დაინახა, ლამის გული საგულედან ამოუვარდა. შემდეგ მოწყალეების სათხოვნელად ისეთ ადგილზე მოჯდა, სადაც ყოველ დღით „ის“ გაივლის ხოლმე... რამდენიმე დღის განმავლობაში ისე ჩაუვლიდა ხოლმე, ვერც კი ამჩნევდა კუთხეში მიმჯდარ ქალს. შემდეგ შენიშნა და მას შემდეგ ყოველდღე ფულს ჩუქნის. აზრზე არაა, რომ მის წინ, ჩადრჩამოფარებული ის ქალია, რომელსაც ერთ დროს სიყვარულს ეფიცებოდა და რომელმაც მისი სისხლი და ხორცი გაზარდა... ღვთის გლახა შეშინდა, რომ ამ სტატიის გამოსვლის შემდეგ, როცა ის ხურდას ჩაუყრის ხელში, თავად ამ ჟურნალს აჩუქებს. და ეტყვის, რომელი გვერდი გადაშალოს.

მეც თქვენთან ერთად დავლოდები, რა მოხდება...



*ჩვენთან ჰმობილენც ხალხი იმჩვენს. ვინდა მიძან მავანი ხან! ამ ვინდა? დაიხვამიყები!*



ამბავი  
პირველი

**მამის შოჩი დახვრული  
ბედნიერება**

ასტამურ შამბა გუდაუთელი გახლდათ, ნანა ბერიძე (გვარი შეცვლილია) — სოხუმელი. ნანას ძალიან უყვარდა დეიდასთან, გუდაუთაში ჩასვლა. მთელ ზაფხულს იქ ატარებდა ხოლმე. სწორედ, გუდაუთაში გაიცნეს ერთმანეთი. ნანას დეიდა, ლეილა იქ მცხოვრებ რაჭველ კაცზე იყო გათხოვილი. ნანა დეიდის გაზრდილი იყო. ასტამურთან ურთიერთობამ კი, კიდევ უფრო შეაყვარა გუდაუთა. რა თქმა უნდა, ლეილამ იცოდა დისშვილისა და ასტამურის სიყვარულის შესახებ, მაგრამ გიორგისთან (ნანას მამა) ამ საკითხს ასაიდუმლოებდნენ, რადგან იცოდნენ, მკაცრ კაცს არ მოეწონებოდა შვილის არჩევანი და აფხაზი სასიძოს არსებობას არაფრით არ დაუშვებდა. ბოლოს, მაინც გამჟღავნდა ახალგაზრდების სიყვარული და გიორგი ისე გაბრაზდა, სოხუმშიც კი აღარ გააჩერა გოგონა და ქუთაისში, ძმასთან გაისტუმრა. ასტამურმა სკოლის დამთავრების შემდეგ, მოსკოვში გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება. წასვლამდე ნანას ჩააკითხა ქუთაისში. შესთავაზა — ჩემთან ერთად წამოდიო, მაგრამ გოგონამ ვერ გაბედა, თანაც, სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული. 1990 წელს ასტამური მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ამონარიდი წერილიდან: „1991 წლიდან ქვეყანა აირია. ასტამური ვერ გაჩერდა მოსკოვში. გუდაუთაში დაბრუნდა ცოტა ხნით. ძალიან უნდოდა ნანას ნახვა, მაგრამ ვეღარ მოახერხა ქუთაისამდე ჩაღწევა... მის თვალწინ გაუგონარი საშინელება ტრიალებდა. რამდენიმე ქართველის დაცვის გამო, აფხაზები და კაზაკები სასტიკად გაუსწორდნენ. რომ არა დედამისის უხვად გაცემული ქრთამი, უთუოდ მოკლავდნენ. ერთი თვის შემდეგ, როგორც იქნა, დედასთან და უმცროს დასთან ერთად დატოვა გუდაუთა“.

# ეროვნების გზით დაწუნებული სასიძო

მარინა ბაბუნაშვილი

ეს ლამაზი, მაგრამ ნაღვლიანი სიყვარულის ამბავი აფხაზეთიდან დევნილებმა მიაშვეს („ჩვენ ერთად დავბრუნდებით აფხაზეთში“ — „კვირის პალიტრა“, 2008 წ. 4 თებერვალი).

სკოლის დამთავრების შემდეგ ნანამ ქუთაისიდან თბილისში გადაინაცვლა. იგი დედასთან ერთად ნათესავის ოჯახში დაბინავდა. ნანას მამა და ორი ძმა კი სოხუმში დარჩნენ. ასტამურის ნაცნობმა ნანას თბილისში მიაგნო და მისი დანაბარები გადასცა: მე ისევ მოსკოვში ვარ, გელოდები, ჩამოდიო. ძალიან უნდოდა ასტამურთან წასვლა, მაგრამ ვერ გაბედა. სჯეროდა, რომ სოხუმი არ დაეცემოდა და მალე ყველაფერი დაწყნარდებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა... უმცროსი ძმა, ხვიჩა 12 სექტემბერს მოკლეს... ერთიანად გაქლარავებული გიორგი უფროს ვაჟთან ერთად ქუთაისში ჩავიდა. გავიდა დრო. ქვეყანაში ძალიან გაჭირდა ცხოვრება. ცოლს არ დაუმალავს ქმრისთვის, — ჩვენი ნანა ძალიან უყვარს ასტამურს, იგი მოსკოვში ეპატიუება გოგოს, მისი ცოლად შერთვა სურსო. გიორგიმ კატეგორიულად თქვა მაშინ: ნანა რომ ასტამურს გაყვეს ცოლად, მასაც ისე ვიგლოვებ, როგორც ხვიჩასო. მერე იმდე-

ნი ქნა, ერთ ქუთაისელ ბიჭზე გაათხოვა ქალიშვილი და ასე გადაწყვიტა მისი ბედი...

12 წელმა თვალის დახამხამებაში გაირბინა. ნანას ორი შვილი შეეძინა, ასტამური ცნობილი ქირურგი გახდა. ოჯახს საკმაოდ გვიან მოეკიდა. მაინც ვერ დაივიწყა ნანა და ხანდახან ეხმიანებოდა.

**ამბავი მორე  
ოჯახი ან შედეგ**

ნანას შემდგომი ცხოვრების ამბავი მისი მეგობრისგან მოვისმინე.

ლია: გიორგი ბიძიას შვილისთვის კარგი უნდოდა და იმიტომაც მოატაცებინა ქუთაისელს, მაგრამ ნანა მასთან ერთი დღეც არ ყოფილა ბედნიერი... მამაზე გულნატკენი იყო. დარდმა ჯერ ნანას მამა დააავადა, მერე დედა ჩავარდა ლოგინად. სანყალი გოგო საშინელ დღეში იყო. ორი შვილი გასაზრდელი ჰყავდა, ავადმყოფი მშობლები — მოსავლელი. მისი ქმარი ამბობდა, — „კანონიერი ქურდი“ ვარო, ამიტომაც ციხეში გაატარა რამდენიმე წელი. იქ ციროზით დაავადდა. როცა გათავისუფლდა, მალევე გარდაიცვალა. გიორგიმ სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ქალიშვილს ხელები დაუკოცნა და პატიება სთხოვა. მან აპატია მამას ის დიდი შეცდომა, რომელმაც მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება... რაც შეეხება ასტამურს იგი კარგა ხანს სთხოვდა ნანას, მოსკოვში ჩასვლას. იცო-



და, რომ არ იყო ქმართან ბედნიერი, ამიტომაც მზად იყო, შეილიანად მიეღო იგი. როცა ნანამ მეორე შვილი გააჩინა, მერელა შეწყვიტა თხოვნა-მუდარა. თვითონაც დაოჯახდა. ასტამურს დღეს ერთი ვაჟი ჰყავს. ერთხელ ჩამოვიდა კიდეც

თბილისში საყვარელ ქალს ბანკში ანგარიში გაუხსნა და ყოველთვე ფულს უგზავნის.

— ნანა რატომ აღუდგა თავის ბედნიერებას წინ? გვიან მაინც ხომ შეეძლო ასტამურის ცოლი გამხდარიყო?

— ნანამ შეგნებულად თქვა

უარი საკუთარ ბედნიერებაზე, — ასტამურს ცოლიც ჰყავს და შვილიც, ოჯახს როგორ დავუნგრევო! გული მწყდება, რომ მათი სიყვარული ოჯახური ბედნიერებით არ დასრულდა, თუმცა, გრძნობა არც ერთს და არც მეორეს არ განელებია. ●

# შემთხვევითი ნაცნობობა, სერიოზული ურთიერთობა და გოგონადნებად გაქრისწიებული ქატი

**ჩემი რესპონდენტი დეა, 23 წლის გახლავთ. იგი ბანკში მუშაობს. მისი პრობლემა სამსახურს კი არა, ერთ ბიჭს უკავშირდება, რომელსაც ვერა და ვერ ივინყვებს.**

— სკოლის პერიოდიდან სერიოზულ გოგოდ მიცნობდნენ. არასოდეს ავმჩატებულვარ და არც ფუჭად მიოცნებია რაიმეზე. ბევრს უკვირდა, რომ თავყანისმცემლების სიჭარბის მიუხედავად, მუდამ სწავლაზე ვფიქრობდი და კარგი კარიერის გაკეთებაზე ვზრუნავდი. ერთ წელზე მეტია, რაც ბანკში ვმუშაობ და მიმაჩნია, რომ ეს ერთგვარი ტრამპლინია შემდგომი წინსვლისთვის. ბედისწერის არ მჯეროდა, მაგრამ ახლა უკვე სხვაგვარად ვფიქრობ. რომ არა ბედისწერა, აბა, ქუჩაში შემთხვე-

რი და ფული ადგილზე იყო თუ არა. მომიხსლოვდა და გამომელაპარაკა. მანქანა მეგობარს ვათხოვე და ფეხით გასეირნება გადავწყვიტეო. საუკუნეა, თბილისში ასე არ გამოვილია. თურმე, რა კარგი ყოფილაო... ისე მომხიბლა მისმა გარეგნობამ და ხმამ, მეც გავეცი პასუხი; მერე საუბარი თავისით აწყო და ვაკის პარკამდე ფეხით მივედიო. მეორე დღის შეხვედრაზეც კი შევთანხმდით და როცა მეორე დღე გათენდა, ერთი სული მქონდა, როდის გახდებოდა სალამოს 8 საათი, გიორგი რომ მენახა.

**— როგორ გაგაცნო თავი?**

— მითხრა თავისი სახელი და გვარი, სამუშაო ადგილი, ოჯახური მდგომარეობა. გიორგი 32 წლის უცოლო კაცი, სამშენებლო ფირმის ხელმძღვანელი იყო. სხვათა შორის, მოგვიანებით გადავამონხე და ყველაფერი სწორი აღმოჩნდა. მერე, საკუთარ თავზეც გავბრაზდი, კაცი მომწონს და რას ვამონხე, როგორ შეიძლება ისეთ ადამიანში, როგორიც გიორგია, ეჭვი შევიტანო-მეთქი. რალა ბევრი გავაგრძელო, ჩვენი ურთიერთობა უცებ დაიწყო და ასევე უცებ, თვალის დახამამებაში, განვითარდა. ჩემს ოჯახშიც იყო რამდენჯერმე, მეგობრებსაც გავაცანი... შემდეგ გიორგის დავეხმარე, რომ ოცი ათასი დოლარის სესხი გამოეტანა ბანკიდან; მან ერთი თვის პროცენტი გადაიხადა, ეს ბოლო ორი თვეა ტყავიდან ეძვრები და მე ვიხდი...

**— შენ რატომ უხდი ან სესხი რისთვის გამოიტანა?**

— მე ჩავერიე ამ სესხის აბაზვი, ჩემი მეგობრის ძმას ვთხოვე (ისიც ბანკში მუშაობს), — ჩემს საქმროს მშენებლობის დასასრულებლად

მცირე თანხა ესაჭიროება და უარს ნუ გვეტყვი-მეთქი. მანაც გაუკეთა. ძალიან მეუხერხულება მეგობრის ძმის. მან დახმარების ხელი გამოგვიწოდა. გიორგი გაქრა. მეც ხომ ვერ გავქრები? ამიტომ მირჩევნია, გავიჭიროვო და პროცენტები გადავიხადო.

**— სამართალდამცველებთან რომ გაგემხილა ეს ამბავი?**

— რას ამბობთ, მომკალით და ვერ ვიჯერებ რომ გიორგი თაღლითია.

**— არ შეგიძლია მის ოჯახს დაუკავშირდე და გაარკვიო სად გაქრა ამხელა კაცი?**

— გიორგი მეუბნებოდა, რომ მის მშობლებს მოსკოვშიც აქვთ ბინა და თბილისიდან წასვლას აპირებდნენ. გიორგის აქაური ბინის მისამართი ვიცოდი ჩემი ახლობელი მივაგზავნე კიდეც, მაგრამ იქ არავინ დახვედრია. მეზობელმა კი უთხრა, ესენი კარგა ხანია აქედან წასულები არიანო. გიორგის გათხოვილი და მოვიძიე და არც ის დამხვდა თბილისში. ზოგჯერ ძალიან ვბრაზდები მასზეც და საკუთარ თავზე — მაგრამ, მერე ვფიქრობ ხოლმე, იქნებ, რალაც შეემთხვა, გამოვა რთული სიტუაციიდან და გამოჩნდება, ყველაფერს ამისწინა-მეთქი. რა ვქნა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ვერ ვივინყვებ და ვერც ცუდისთვის ვიმეტებ.

**— იმ მეგობრის ძმამ იცის რომ შენ იხდი გიორგის სესხის პროცენტებს?**

— კი, იცის, წუხს, მაგრამ რა ქნას?

**— რომ გამოჩნდეს, შეძლებ აპატიო უეცარი გაუჩინარება და ამდენი ნერვიულობა?**

— წყალწალეული ხავსს ეჭიდებოდაო, ისე „ვებლაუჭები“ იმ მოსაზრებას, რომ გიორგი ახლა გამოუვალ სიტუაციაშია და როგორც კი პრობლემებს მოაგვარებს, ჩემთან მოვა. თუ მართლაც ასე მოხდა და ამისწინა, რა მძიმე მდგომარეობაშიც მოუწია ყოფნამ, რა თქმა უნდა, ვაპატიებ.



ვით გაცნობილ კაცთან, როგორ გავაბამდი ურთიერთობას? მეტიც, როგორ შევიყვარებდი მას? რატომღაც მივენდე და რაც საკუთარ თავზე მითხრა, ყველაფერი დავიჯერე...

**— მოტყუებული დარჩი?**

— ექვსი თვის წინ, ერთ საღამოს სამსახურის შემდეგ ფეხით გავლა მომიხდა. ცოტა ხანში ვიგრძენი, რომ შორიასლოს წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი მომყვებოდა... ბოლოს მიხვდა რომ ეჭვით ვუმზერდი რამდენჯერმე ჩანთაშიც კი ჩავიჭყიტე და შევამონხე, მობილუ-

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ  
ტელ: 899.27.25.61  
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

# ვაძინებოთ დასაწყისი სსიყსარული ადსარეზი

„თქვენი მკითხველი გახლავართ, ერთი ჩვეულებრივი ბიჭი. სასჯელი მოვიხადე და სულ ახლახან გავთავისუფლდი. ალბათ, სიტყვები არ მეყოფა იმისთვის, რომ აგისხნათ, რას ნიშნავდა თქვენი ჟურნალი პატიმრებისთვის; ეს სასიცოცხლო ძაფი იყო, რომელიც გარე სამყაროსთან გვაკავშირებდა. უნდა გითხრათ, რომ სასჯელს ვინდობდი იმისთვის, რაც არ ჩამიდენია, მაგრამ ახლა ამ წერილში თავის მართლებას არ ვაპირებ... ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ჩემნაირი ბიჭი (ბიჭს ვეძახი საკუთარ თავს არადა, 28 წლის ვარ) ოდესმე წერილს დანერდა და ჟურნალისტს გაუგზავნიდა.“

ჩემი მშობლები დიდი ხანია, განქორწინებულები არიან. მამა ჯერ კვირაში ერთხელ გვხვავლობდა და უამრავი სათამაშო მოჰქონდა ჩვენთვის, მერე რუსეთში წავიდა და იქიდან გვიგზავნიდა ფულს და საჩუქრებს. რომ წამოვიზარდე ოჯახის უფროსობა „ვიტყვირთე“. ოჯახში ყველაფერს მე მეკითხებოდნენ. მსიამოვნებდა, რომ ჩემს სიტყვას ფასი ჰქონდა... დედას ძალიან უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ სწავლა არ მიზიდავდა. 17 წლის ვიყავი, როცა ნარკოტიკს გავუსინჯე გემო. მალე მივხვდი, რომ დავიღუპებოდი, თუკი წამალზე უარს არ ვიტყვოდი. ერთ-ერთ მორიგ „გაკეთებაზე“, ნემსი რომ მომანოდეს, თითქოს სიგიჟემ მომიარა, ნემსი შორს გადავისროლე, „მასწავლებელს“

(ვინც პირველად „გამიკეთა წამალი“) დავწვდი და იმდენი ვურტყი, ძლივს გამომგლიჯეს ხელიდან. დამაპატიმრეს, მაგრამ დედაჩემმა საკმაოდ დიდი ფული დახარჯა იმისთვის, რომ გავეთავისუფლებინე. სამართალდამცველებმა ისიც კი თქვეს, ისეთი ნაძირალა ცემა ამ ბიჭმა, სასჯელი კი არა, მედელი ეკუთვნისო... მალე სიყვარულიც მესტუმრა. ის ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო. ვიცოდი, რომ ჩემთან ერთად ვერ გაბედავდა გაპარვას. არადა, რამდენჯერ მიოცნებია ხელი ჩამეველო თათიასთვის და ცხრა მთას იქით გადავკარგულიყავით... ერთხელ ჩვენს უბანში მაგარი ჩხუბი მოხდა. მე იქ არ ვყოფილვარ, ამის შესახებ მაშინ გავიგე, როცა ძმაცაცის ბინიდან ამიყვანეს. რახან ერთხელ უკვე ბრალი დამდეს კაცის ცემაში, ამჯერადაც ეჭვი ჩემზე მიიტანეს. მოწმეებიც მყავდა, რომ იმ ჩხუბში არ ვმონაწილეობდი, მაგრამ არ გაჭრა. თვითონ დაზარალებული კი გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

7 წელი მომისაჯეს ჩხუბში თანამონაწილეობისთვის, ჩემს ორ ძმაცაცს კი — 9-9. სასამართლო პროცესზე თათიაც იყო მოსული. არასოდეს დამავინწყებდა მისი ცრემლიანი თვალები. მერე, ჩუმად, მისი წერილი გადმომანოდეს. მწერდა, — რაც უნდა მოხდეს, ქვეყანაც რომ დაიქცეს, მე შენ დაგელოდებიო. ვერ აგიღწერთ, რამხელა სტიმული იყო მისი სიტყვები ჩემთვის.

ერთხანს, მე და თათიას მიმონერა გვექონდა. მერე შეწყდა მისი წერილები. ჩემს მეგობრებს ვთხოვე, გაეგოთ თათიას ამბავი. გული მიგრძნობდა, რომ კარგი არაფერი ხდებოდა ჩვენს თავს. როგორც იქნა, ერთ-ერთმა ძლივს ამოღერლა, თათია გათხოვდაო. თათიას ქმარი ჩემი სკოლელი ამხანაგი აღმოჩნდა, რომელთანაც ნორმალური ურთიერთობა მქონდა. პირველი, რისი სურვილიც გამიჩნდა, თათიას ქმარი მიმესიკვდილებინა ცემით, მაგრამ საპყრობილედან რას ვიზამდი? გარეთ მყოფ ძმაცაცებს შევეუთვალე, რაც ეკუთვნის, ის მიიღოს თქვენგან, ჩემი გასაკეთებელი თქვენ უნდა გააკეთოთ-მეთქი. მიმიხვდნენ და თათიას თვალწინ კარგა გვარიანად მიჟეჟეს. ერთ კვირაში თათიას წერილი მივიღე: გთხოვ, ჩემს ქმარს არაფერი დაუშავონ შენმა მეგობრებმა. მე მაპატიე და მაჩუქე მისი თავიო... რაღა თქმა უნდა, აღარ შეხებია არავინ, თუმცა თათიას ახსნა-განმარტება მოვთხოვე, გაუჭირდა პასუხის მოწერა, მაგრამ ბოლოს მაინც მივიღე მისი ბარათი — ბევრი რამ ხდება ცხოვრებაში ჩვენი სურვილების საპირისპიროდ, ხოლო მომხდარს აღარაფერი შევლისო. სამი თვეა, რაც გარეთ ვარ. ძალიან მინდა მისი ნახვა, მასთან ლაპარაკი, მაგრამ ხალხს ვერ მივცემ იმის საბაბს და უფლებას თათიაზე იჭორაოს. ძველებურად მიყვარს და წინ არ გადავლობები.

თ.ც.“

# ჩემი ათჩუქანის ვაში დოცა დაძებდურს

„კვირის პალიტრის“ ერთ-ერთ წინა ნომერში დაბეჭდილი იყო მშობლებისა და შვილების ურთიერთობის შესახებ. თუ შვილმა ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც მშობელს არ მოსწონს, მათ შორის ურთიერთობა იძაბება... ახლა მეც დედა ვარ და ვიცი, შვილზე ზრუნვა რას ნიშნავს. ამ გადასახედიდანაც კი მიმაჩნია, რომ მშობელი არ უნდა ჩაერიოს შვილის პირად ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, მას სრული უფლება აქვს შვილს ურჩიოს, თავისი შეხედულებაც გაუზიაროს, მაგრამ კატეგორიულად არაფერი უნდა მოსთხოვოს.


მე და ჩემს მომავალ ქმარს ოთხი წელი გვიყვარდა ერთმანეთი. დედამ ჩვენი სიყვარულის შესახებ რომ გაიგო, მაშინვე გამოხატა მძაფრი

რეაქცია, რის გამოც კონტროლი ათმაგად გაამკაცრა. არადა, მიყვარდა ლევანი და მასაც ვუყვარდი. იძულებულები გავხდით, ჩვენი ურთიერთობა გაგვესაიდუმლოებინა. დედა ცდილობდა, ჩემთვის „შესაფერი“ საქმრო მოეძებნა. ლევანს უნდოდა ჯერ მუშაობა დაეწყო და მერე მოგვეწერა ხელი. ამიტომაც გაინელა ჩვენი ურთიერთობა. ბოლოს, სხვა გზა არ იყო და შეჭრივლე ერთი ბიჭი გამაცნეს და მოსვენებას არ მაძლევს. ვიცი, დედას და დეიდას მოსწონს და ჩემთან დაახლოვებაში ხელს უწყობენ-მეთქი. ამის მერე, მე და ლევანმა გაპარვა გადაწყვიტეთ. დედა ისე გაბრაზდა, შემომითვალა, ჩემთვის მკვდარი ხარ და აღარ გაბედო ჩემი ხსენებო. წარმოიდგინეთ რა დღეში ჩავვარდებოდი. გული

მწყდება, რომ საკუთარ დედას ვერ გავაგებინე ლევანის გარეშე ჩემს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ფაქტს ვერ გავქცევი — მე და ლევანს 2 წლის მარიამი გვყავს, დედაჩემს კი ერთხელაც არ უნახავს შვილიშვილი; არც მკითხულობს, არც მახსენებს. ნათესავეები, ძმა და რძალი, მეგობრები მოდიან ჩემთან, დედა კი — არა. საშინლად განვიცდი ამას, მაგრამ რა ვქნა? განა, სასწორზე უნდა დავდო ლევანისა და დედის სიყვარული? ყველას ხომ თავისი ადგილი აქვს! რას უნუნებს ლევანს, ვერ გამიგია... იმას რომ შეძლებული არ არის. იმას, რომ ძალიან პატიოსანია? ჩემს ძმას მარის ფოტოსურათი უჩვენებია და დიდხანს დასცქეროდა თურმე... და მაინც, როდემდე შეძლებს ასე ყოფნას? ტყუილად ნუ ექნება იმის იმედით, რომ მე ლევანს დავმორდები. სალომე, თბილისი“.

# „მინჯადავად ჩვენ დოხისა და ლაღბისა, სხოვრება მინს მშვნიაჲთა“

„გზის“ №26-ში დაიბეჭდა 20 წლის მორანის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „ცხოვრების რაღაც ეტაპზე ყველა ადამიანს უჭირს, ზოგჯერ კი ყველაზე ძლიერებსაც უნდათ, ცრემლები აღარ დამალონ. შეუძლებელია, დაგკონკრეტდე და ისე გითხრათ, თუ რა მან უხებს. უბრალოდ, მივხვდი, რომ ცხოვრება ერთი დიდი პრობლემა ყოფილა“. მორანს ეჩვენება, რომ მის ირგვლივ ყველაფერი უნტერესოა და ადამიანები მხოლოდ ფორმალურად არსებობენ. „ჩემი პრობლემა ისაა, რომ ადამიანებს ადვილად ვუგებ და როცა შემიძლია, ვესმარები კიდევ, მაგრამ შემდეგ მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. მე თითქოს, მათთვის ყველაფერი და ამავდროულად, არაფერი ვარ“, — გაგვიძილა გოგონამ და ისიც აღიარა, რომ ზოგჯერ, ვერ იტანს ადამიანებს, რომლებიც მის ირგვლივ ტრიალებენ. „ისინი თითქოს, ერთნაირები არიან. სიყალბეც ძალიან მთრგუნავს. მაინტერესებს, ამქვეყნად არსებობს თუ არა ისეთი პიროვნება, რომელსაც შეუძლია, ვიღაცას ყურადღება მიაქციოს, მისი ტკივილით მართლა დაინტერესდეს და არა — ფორმალურად. ნუთუ, არ შეიძლება, თითოეული ჩვენგანი უფრო კეთილი, ყურადღებიანი იყოს?..“



„ცხოვრება ბრძოლაა, შენ კი ნაადრევად დაგიყრია ფარ-ხმალი“

## ლიპა ქაჩია

### აბიზარა:

„მეჩვენება, თუ ცხოვრებაზე მართლა ჩაიქნე ხელი? შენ 13 წლის ბავშვივით ლაპარაკობ. რა დაგემართა? ჩემო კარგო, ჯერ ყველაფერი წინ გაქვს. რაო, ვერაფერს მივაღწევო? — თუ ასე იფიქრებ, მართლა არაფერი გამოგივა. ჯობია, დასახული მიზნის განსახორციელებლად ყველაფერი გააკეთო და მერწმუნე, შედეგიც არ დააყოვნებს. ცხოვრება ბრძოლაა, შენ კი ნაადრევად დაგიყრია ფარ-ხმალი. გეთანხმები, ხშირად ადამიანები ზედაპირულები არიან და სხვისი გასაჭირი გულთან არ მიაქვთ, მაგრამ გამონაკლისებიც ხომ არსებობენ? მგონი, საჭიროა, ცხოვრებაში რაიმე სიახლე შეიტანო. ვთქვათ, „გზავნილებში“ დაამესიჯო, ვინმე შეიყვარო, უკეთესად ისწავლო და ა.შ. ეკლესიაში იარე და უფალი გამოსავლის პოვნაში დაგეხმარება. თუ გინდა, დამიკავშირდი. წარმატებები!“

### ნაითან:

„მეც შენსავით ვიტანჯები და ასე ცხოვრება აღარ შემიძლია. სიკვდილზეც ბევრჯერ მიფიქრია, მაგრამ რაღაცის იმედი მაინც მაქვს. შენც იმედით იცხოვრე. ისე, სხვა რაღა დაგვრჩენია?!“

### თინათინა შინაპარა:

„ჩემს ასაკში, ამოება ყოველი, ხოლო შენს ასაკში, მეც ზუსტად ასეთი იმედგაცრუება მქონდა. გამოსავალი? — თითოეული ადამიანი თავადვე ქმნის საკუთარ ბედს და ცხოვრობს გამოგონებულ სამყაროში. ამიტომ, ჩემი რჩევა: გინდა,

ხედავდე ადამიანში სიკეთეს? — დაინახე იგი! გინდა, რომ ნაცნობს მეგობარი დაარქვა? — უწოდე, იმ შემთხვევაშიც, თუ მას ასე არ მიაჩნია. გინდა, თესო სიკეთე? — დათესე! წერე, იკითხე ბევრი, პატივი ეცი სხვის აზრს, მაგრამ არანაკლებ უნდა დააფასო საკუთარი თავიც. მიიღე ეს ცხოვრება ისეთი, როგორცაა და იმედგაცრუებას ხელი აუქნიე. იყავი წრფელი საკუთარ თავთან და უფალთან. გფარავდეს იგი!“

### გუზლუნა:

„მე და შენ ბარათაშვილივით, „სულით ობლები“ ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მეგობარი მყავს, მეც მარტოობას განვიცდი. სულთან ახლოს ვერავინ მოდის და ესაა ჩვენი ტრაგედია. ჩემო კარგო, ოპტიმისტი უნდა იყო, უფლის იმედი გქონდეს და ყველაფერი კარგად იქნება.“

### მნარა:

„მართალი ხარ, ეს ცხოვრება უაზრობაა და სწორედ ამიტომაც, სულიერად არ უნდა დაეცე, უაზრობაშიც კი სალი აზრი უნდა ექებო... იყო შემთხვევა, როცა მეგობართან აცრემლებული მივედი. მინდოდა, მისთვის ჩემი ტკივილი გამეზიარებინა, მაგრამ მან თავისი ამბის მოყოლა დაიწყო და ვერც კი შეამჩნია, რომ რაღაც მან უხებდა. რა უნდა მექნა? — დავჯექი და მოვუსმინე. მიყვარს, როცა ადამიანს ვუსმენ, მის შინაგან სამყაროს ვხედავ და თუ ვიღაცას რჩევა დასჭირდება, ამასაც არ დავიშურებ. ეკლესიაში იარე.“

### თაონა:

„მორან, თვალები კარგად გაა-

ხილე... დამიკავშირდი“.

### ცმნაფო-სოფი:

„ცხოვრება მართლაც, ძალიან რთულია. ნუთუ, ისეთი მეგობარი მართლა არ გყავს, რომელიც შენი სულის ტკივილს გაიზიარებს? ცუდია, როცა შენი არავის ესმის და მართლაც, საშინლად დამთრგუნველია, როცა ვიღაც მხოლოდ ფორმალურად ინტერესდება შენი ტკივილით. ეჰ, სამწუხაროდ, ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც შენს დარდს გაიზიარებს. გეტყობა, ზედმეტად მგრძობიარე ადამიანი ხარ და ყველაფერს ასე მწვავედ ამიტომაც განიცდი. გამხნევი, საყვარელო, ცხოვრება არც ისეთი ცუდია, როგორც შენ გგონია. P.S. კარგა ხანია, რჩევა არავისთვის მიმიცია, მაგრამ შენი მესიჯი რომ წავიკითხე, თითქოს, საკუთარი თავი დავინახე — ის აღიარე, რისი თქმაც მინდოდა. გკოცნი“.

### ნატა 19:

„ეს ცხოვრება ომია და ამ ომში ძლიერი იმარჯვებს. იბრძოლე საკუთარი კეთილდღეობისთვის! დღეს არავის აქვს დალხენილი ცხოვრება, მაგრამ ღმერთის ნებით და უკეთესი მომავლის იმედით, ნებისმიერი დაბრკოლება უნდა გადავლახოთ. იცოდე, ყველაფერი კარგად იქნება, არ შეშინდე“.

### დუდა:

„კარგია, ადამიანებთან კონტაქტში იოლად რომ შედიხარ. მთავარია, ისეთი მეგობარი გაიჩინო, რომელიც შენ გამო უკან არაფერზე დაიხევს. ვიცი, რომ დღესდღეობით, ასეთი ადამიანის პოვნა ძნელია, მაგრამ ხომ გაგიგო-

ნია: ვინც ეძებს, პოულობს კიდეც. გახსოვდეს, ცხოვრება ტანჯვაა, მაგრამ სიცოცხლე მაინც მშვენიერია! წარმატებები!"

**კლიოპატრა:**

„მე დაგეხმარები, მეგობრობას გთავაზობ“.

**მისტარ:**

„შეიძლება, არ დაიჯერო, მაგრამ შენი მშვენივრად მესმის. ადრე უცნაური ფიქრები მეც მანუხებდა, რალაცებს ვერ ვანალიზებდი, ხალხის არ მესმოდა და მეგონა, რომ ყველა ერთნაირად აზროვნებდა. ვცდილობდი, მეპოვა გზა, რომელიც ცხოვრების გალამაზებაში დამეხმარებოდა და გამოსავალიც ვიპოვე. ახლა უაზრო ფიქრები აღარ მანუხებს და ამაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ჩემმა სამსახურმა, შესაბამისად, უამრავ ქედმაღალ თუ თავმდაბალ ადამიანთან ურთიერთობამ, პატარ-პატარა ცუდლუტობებმა, ჟურნალ „გზის“ აღმოჩენამ და რაც მთავარია, ერთი ფანტასტიკური ადამიანის გაცნობამ. ახლა ცხოვრებით კმაყოფილი ვარ. შენც გინდა რალაც ახალი, რაც ყოველივე ძველსა და მობეზრებულს დაგა-

ვინყებს. ცხოვრება ნამდვილად არაა არაფრის მომცემი, მაგრამ მთავარია, მულამი დაუჭირო. მაპატიე, რომ ვერაფრით გეხმარები, მაგრამ იმედია, ჩემი მესიჯი რალაცაზე მაინც დაგაფიქრებს. P.S. თუ ვინმესთან ლაპარაკი და გულის გადაშლა მოგინდება, სიაშოვნებით მოგისმენ“.

**მოთიანი დედა:**

„მსგავსი რამ მეც მანუხებს, მაგრამ შენგან განხვავებით, შვილი მყავს და ისაა მთელი ჩემი ცხოვრება. მორან, ბედნიერებისთვის იბრძოლე. მეც ბევრმა მატკინა გული, მაგრამ მაინც, სიკეთეს ვთესავ. თუ გინდა, ვიმეგობროთ, ძალიან გამიხარდება. „სკაიპი“ ან ტელეფონის ნომერი ლიკასთან დატოვე. ღმერთი იყოს შენი მფარველი“.

**ლუნა:**

„ვიცი, ახლა რასაც გრძნობ. თავს ნუ დაიტანჯავ და ცუდზე ნუ ფიქრობ. ცხოვრებას სხვა თვალთ შეხედე... აბა, წარმოიდგინე ადამიანი, რომელიც ყველაფერში და ყველგან ცუდს ეძებს, საკუთარ თავს ყოველ წუთს იმას ახსენებს, რომ ცხოვრება დიდი პრობლემაა, რომ ყველა და ყველაფერი ერთნაირია. მითხარი, ასეთი ადამიანი

ბედნიერი იქნება? მორან, როგორმე უნდა ირწმუნო, რომ ცხოვრება მშვენიერია და ყველაფერი კარგად გექნება. რაც შეეხება სულში ჩახედვას, ხალხი ისეა გაბოროტებული, რომ სხვისი პრობლემებით თავის ატკიება არავის უნდა (თავიანთი პრობლემებიც თავზე საყრელად აქვთ) და არც უნდა გენყინოს, თუ ვილაცას შენს სულში ჩახედვა დაუზარება. რაც შემეხება მე, ყოველთვის ვცდილობ, კარგი რალაცები დავინახო და მათ ვამჩნევ კიდეც. მორან, შენ მარტო არ ხარ! ბოლოს და ბოლოს, მე აქ არ ვარ? :) გკოცნი და წარმატებებს გისურვებ!“

**კაკი:**

„შენი მესმის, რადგანაც ნაცნობი სიტუაციაა. თუ სურვილი გაგიჩნდება, შემეხმარე“.

**ბრუზინკა:**

„ჩემო კარგო, ადამიანმა იმედი არასდროს უნდა დაკარგოს. მიუხედავად უფულობისა, გულის ტკენისა და ლალატისა, მერწმუნე, ცხოვრება მაინც მშვენიერია! ხომ იცი, რომ ავადმყოფი ადამიანიც კი თავის გადარჩენას ცდილობს და ხავსს ებლაუჭება. კარგი იქნება, ერთმანეთს თუ გავიცნობთ“.

# „ვისას უფინია, ის აღვიდა გაჩხვდა“

„გზის“ №26-ში დაიბეჭდა შაკოკოს მესიჯი. იგი გვწერდა, რომ მე-11 კლასში ყოფნისას კლასელი ბიჭი — თემური სიყვარულში გამოუტყდა და ერთხელ, როცა მარტონი დარჩნენ, ძალით აკოცა. „ხელი ვკარი, თავიდან მოვიცილე. მას შემდეგ კუდში დამდევდა, თავს მამბეზრებდა, მაგრამ სხვა მიყვარდა და ამიტომაც, ყოველთვის უარით ვისტუმრებდი...“ რალაც პერიოდის შემდეგ გოგონა გათხოვდა, ცოტა ხანში კი თემურიც დაქორწინდა. შაკოკოს ახლა 2 თვის გოგონა ჰყავს, მის თავყვანისმცემელს კი 6 თვის ბიჭი. „მიუხედავად ყველაფრისა, თავს არ მანებებს და მემუქრება. უნდა, ჩემზე შური იძიოს, ქმარს გამაშოროს. მეუბნება, — შენს მეუღლეს ვეტყვი, რომ ნებით მკოცნიდი და არა — ძალით. იმდენს მოვახერხებ, რომ მას დაგაშორებ. ჰოდა, ბოლოს, მაინც ჩემი გახდებიო“. შაკოკო ამ ამბავს ქმარს ვერ უმხელს და ამიტომაც, თხოვნით „გზის“ მკითხველებს მოგმართათ: „მირჩიეთ, როგორ დავაღწიო თავი ამ ჯოჯოხეთს ისე, რომ საკუთარ ოჯახს არაფერი ვავნო?...“



## „ღვილის გამო, ღრო შენს საწინააღმდეგოდ მოკრაობს“

**ბრუზინკა:**

„ჯობია, ქმარს სიმართლე უთხრა, თორემ ადრე თუ გვიან, ყველაფერს სხვა ეტყვის და უარესი იქნება... ბოლოს და ბოლოს, თემური ხომ წარსულში დარჩა.

ჩემო კარგო, სანერვიულო არაფერი გაქვს. ნურაფერზე იდარდებ, ღმერთი არ გაგწირავს“.

**მოთიანი დედა:**

„თუ ქმარს შენი სჯერა და გენდობა, იმ ტიპს არ დაუჯე-

რებს. მეუღლეს დაელაპარაკე და ყველაფერი დაწვრილებით უამბე. ღმერთი შენკენ“.

**ლუნა:**

„თემური რომ ცუდი ადამიანია, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ძალით გაკოცა. ახლა კიდეც, გემუქრება... ეტყობა, ჩამოუყალიბებელი და „პაცანა“ ბიჭია, რომელიც ვერ აცნობიერებს, რომ უკვე მამაა და ოჯახი ჰყავს. ნუთუ, ასე მხოლოდ

იმიტომ გექცევა, რომ შენც სიყვარულითვე არ უპასუხე? გენაცვალე, სხვა მიზეზიც ხომ არ აქვს? კარგად დაფიქრდი და დახმარება მოგვცე. ნურაფრის შეგეშინდება, რადგან ვისაც ეშინია, ის ადვილად მარცხდება. შენ დამნაშავე არ ხარ და უფლის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება“.

**მისტარ:**

„რა სისულელეა, ამის დამალვა არც იფიქრო! მიდი, მეუღლეს სიმართლე ახლავე უთხარი! თუ იმის გეშინია, რომ ვიღაც გარენრის ნაბოდვარს დაუჯერებს, მერწმუნე, მწარედ ცდები. თუ შენი მეორე ნახევარი ჭკვიანი ადამიანია, ყველაფერი თქვენთვის სასურველად და სასარგებლოდ დასრულდება. იცოდე, დუმილის გამო, დრო შენს სანინალმდეგოდ მოძრაობს“.

**უცნობი:**

„ჩემო კარგო, შეგიძლია, პოლიციას მიმართო. ისინი გააფრთხილებენ და თუ მაინც არ შეგეშვება, საკუთარ თავს დააბრალოს. საერთოდაც, ძმას ან რომელიმე ახლობელ ბიჭს უთხარი, რომ მის ჩამოშორებაში დაგეხმაროს. ისე, თემურისნაირ ადამიანს სიამოვნებით დავემტკრევდი თავ-ყბას“.

**ენი:**

„შენ არაფრის გამო ნერვიულობ. თემურის ისტერიკებს

საკუთარ ნერვებს ნუ შესწირავ. მერე რა, ბიჭისთვის ყველა გოგოს აქვს ნაკოცნი, შენ კი მხოლოდ ერთხელ გაკოცეს და ისიც, ძალით. ჩემი აზრით, ქმარს ყველაფერი უნდა უამბო. დარწმუნებული ვარ, გაგიგებს და მერე ისევ მშვიდად იცხოვრებთ. შაკოკო, ამ ამბის დამალვას შესაძლოა, ბევრი უსიამოვნება მოჰყვეს. ყური რაიმეს რომ მოჰკრას და შენ აღარ დაგიჯეროს, ვერც გაამტყუნებ. ის კაცი იტყვის: თუ სიმართლე არ არის, რისი გეშინოდა, ამას რატომ მალავდიო?...“

**მწარე:**

„ძალიან რთულ სიტუაციაში ხარ, გენაცვალე. მოძღვართან მიდი, ჩვენზე უკეთეს რჩევას ის მოგცემს. უფალი გფარავდეს“.

**ბიბია, 55 წლის:**

„გამარჯობა. შაკოკო, რისი გეშინია? ქმარს სიმართლე უნდა უთხრა და მერწმუნე, ის გაგიგებს, ყველაფერი კარგად იქნება. თემური კი არაკაცია, გამანტაყებს. ძალიან გთხოვ, მას არ აპყვე და ოჯახი არ დაანგრიო“.

**ბიო:**

„ჩემი აზრით, ყველაფერს ჯობია, ქმარს დაელაპარაკო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოდესმე, სიმართლეს მაინც გაიგებს და მერე შენთვისვე იქნება უარესი.

წარმატებებს გისურვებ, უფალი გფარავდეს!“

**უხმო ბიჭი:**

„ეგ შენი კლასელი არაკაცია. ამ სიტუაციაში შენი დახმარება შეუძლია ძმას, ბიძაშვილს, ან ვიღაც ახლო ნათესავს. ეს საიდუმლო ისეთ ადამიანს უნდა გაანდო, ვინც ქმართან არ „ჩაგიშვებს“ და მას არ ეტყვის, — წავიდეთ და თემური ვნახოთო. მან პრობლემა თავად უნდა მოაგვაროს. ნურაფრის გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება... მსგავს ადამიანთან შეხება მქონდა. ის ჩემს შექენილ დას გადაეკიდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაველაპარაკე, იმ გოგონას სიხლოვეს აღარ გამოჩენილა. მერე, როცა მის ქმარს ყველაფერი უთხარი, მან ცოლს მადლობა გადაუხადა და უთხრა: კარგად მოიქეცი. ეს ამბავი ჩემთვის რომ გეთქვა, შემომაკვდებოდაო! შაკოკო, მეუღლეს არაფერი უთხრა, ეს დიდი შეცდომა იქნება!“

**შოკოლადა:**

„ქმარს აუცილებლად დაელაპარაკე, თორემ მისი გამოხტომების შესახებ სხვისგან რომ შეიტყოს, მართლა არ გაპატიებს. თუ არადა, სიმართლე ძმას მაინც გაუხილვ, ვიღაც არანორმალურს ოჯახი არ დაანგრევიო. ღმერთი გფარავდეს, შენს პატარასთან ერთად“.

**„მეშინია, ეს ბედნიერება მალე არ დასრულდეს“**

**LADY, 20 წლის:**

„ჩემზე 2 წლით უმცროსი ბიჭი შემეყვარდა. მართალია, ასაკით პატარაა, მაგრამ მასთან თავს კარგად ვგრძნობ. თუმცა, ზოგჯერ მისი ბავშვური გამოხტომების ატანაც მიწევს. მიუხედავად ამისა, ბედნიერი ვარ და მეშინია, ეს ბედნიერება მალე არ დასრულდეს. ხანდახან, მიჩნდება სურვილი, მივეფერო, ვაკოცო, მაგრამ სინდისი მქენჯნის — ის ხომ ბავშვია! თანაც, როცა ხალხი გაიგებს, რომ მასზე უფროსი ვარ, ყველა გამკიცხავს. არ ვიცი, რა ვქნა, არადა, მაგრად მიყვარს. ზოგჯერ, დაშორებაზეც ვფიქრობ... ძალიან გთხოვთ, რაიმე მირჩიეთ. მერწმუნეთ, თქვენი დახმარება მართლაც მჭირდება. პატივისცემით“.



**„შეყვარებულის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ“**

**ძალიან ნაცნობი:**

„მყავს შეყვარებული, მაგრამ მასთან ურთიერთობა გამიფუჭდა. ჩვენ ერთმანეთს ვერ ვუგებთ, გამუდმებით ვჩხუბობთ... ახლა კი ასპარეზზე ნიკა გამოჩნდა, რომელმაც აღიარა, — მომწონსარო. უკვე დიდი ხანია, ის მეც მომწონს და ამიტომაც, შეყვარებულის წინა-

წაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ვფიქრობ, რომ მოლაღატე ვარ, რადგანაც ჩემში ახალი გრძნობა ნელ-ნელა შემოდის და მათბობს.

მირჩიეთ, რა ვქნა — „ლოვეს“ ვერ ვერ დავმორდები და ამავდროულად, ნიკა მიყვარდება“.

**P.S. გაუ ასე თუ LADY-სა და ძალიან ნაცნობის წერილების ნაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.**

# ქაღი თუ პრინციპებს...

## მარი ჯაფარიძე

**დათო:** მითხარი, რომელ საათზე მოიცლი ხუთშაბათს?

**კატო:** თუ გვიანი არ იქნება, 7-ის მერე.

**დათო:** ადრე ჯობია, დრო არ გვეყოფა.

**კატო:** რომელზე უნდა მიხვიდე სახლში? ბოლო „პასადეა“ როდის გაქვს?

**დათო:** 9-საათიან „კურიერს“ სპორტულეში უნდა შევხვდე.

**კატო:** მაშინ — კურიერის მერე... :)))

**დათო:** შეხვედრის საღამოს მე დავგეგმავ. მომყვები?

**კატო:** აბა, მითხარი დაწვრილებით.

**დათო:** პასუხი არ გაგიცია.

**კატო:** რაზე? მოგყვები თუ არა შენს დაგეგმილ საღამოს? კი, მოგყვები, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე, რას გეგმავ?

**დათო:** ჰოდა დამაცადე, გეტყვი: ზუსტად 7 საათზე...

**კატო:** გისმენ, მთელი ყურადღებით.

**დათო:** (ზუსტ ადგილს უთითებს, — ავტ.) მიადგები დიდ შავ ჭიშკარს. დაასიგნალებ, კარს გაგიღებენ და ეზოში შეხვალ მანქანით.

**კატო:** მერე?


**დათო:** მანქანას ეზოში გააჩერებ, რომ გადმოსვალ, დაინახავ, დახვეული კიბე ადის მეორე სართულზე. ეზოში როგორც წესი, არავინ არ იმყოფება. კიბეზე ახვალ და დერეფანს გაივლი. ოთახებს ნომრები აწერია და მოგვიანებით გეტყვი ნომერს. კარს შეაღებ. მაგიდაზე დაგხვდება ხილი და კონიაკი.

**კატო:** ჰმ...

**დათო:** ტელეფონს გათიშავ, ჩამოჯდები და განწყობილებისთვის კონიაკს მოწრუპავ. ამასობაში ყავასაც მოგიტანენ. ზუსტად 5 წუთის შემდეგ აიღებ შენს შარფს, რომელიც არ ლანდავს და თვალებს აიხვევ. ისმის სასიამოვნო მუსიკა და რაღაც განსაკუთრებულს ელოდები და ნერვიულობ. გავაგრძელო?

**კატო:** კი, გააგრძელე...

დასაწყისი იხ. „გზა“ №№22-26



**დათო:** გესმის კარის გაღებისა და მსუბუქი ნაბიჯების ხმა. შემოსასვლელისკენ ზურგით ზიხარ. მომყვები?

**კატო:** კი, მოგყვები...

**დათო:** გიახლოვდები ზურგიდან (პულსი — 120), თმას ხელით გადაგიწევ, შენს სურნელს შევისუნთქავ და ყურთან ნაზად გკოცნი.

**კატო:** თვალები რა დრომდე უნდა მქონდეს ახვეული?

**დათო:** ფეხზე წამოგაყენებ და დაგინყებ კოცნას სახეზე, თვალებზე, ყელში... შენ თვალებიდან ვერ იხსნი შარფს, კოცნაზე კოცნით მპასუხობ...

**კატო:** შენ ხარ „გადარეული“.

**დათო:** ნელ-ნელა ვინყებ შენს გახდას. დაგვამ საწოლზე, ჯერ ფეხსაცმელს გხდი ერთ ფეხზე, შემდეგ — მეორეზე. შენც მორჩილი ბავშვივით მომყვები. „გადარეული“? რა იყო, ხელი ხომ არ გიკანკალებს?

**კატო:** არა მარტო ხელი... გულიც! და თვალებს როდის ამიხელ?

**დათო:** ჯერ არა. შენ ხელებს მიფათურებ სახეზე. გინდა, დააფიქსირო, როგორი ვარ... დანარჩენი ადგილზე...

**კატო:** და ისე ნახვალ, როგორც მოხვედი...

**დათო:** არა, სექსის შემდეგ გკოცნი სახეზე და გიხსნი თვალებს. ხომ საოცარია უცნობ მამაკაცთან სექსი? ამას ხომ ვერც წარმოიდგენდი?

**კატო:** ვერა... მაგრამ ამის შესრულებას აპირებ რეალურად?

**დათო:** არ მოგნონს სიუჟეტი?

**კატო:** კი, მაგრამ რაღაც, ზღაპრად მეჩვენება... ძალიან მომწონს ინტრიგა... თუმცა, თუ სახვევის მოხსნის შემდეგ შოკში არ ჩავვარდი...

**დათო:** ცუდი აზრები რატომ გიტრიალებს თავში? ჩემი არ გჯერა?

**კატო:** როგორ არ მჯერა... უცებ წარმოვიდგინე, რომ ჩემი ყოფილი ქმარი ან ნაცნობი აღმოჩნდი...

**დათო:** კარგი რა, გააფუჭე ყველაფერი...

**კატო:** რასაც შენ ამბობ, ეგ ალბათ შეუძლებელია...

**დათო:** არაააა??? არ გინდა ამის რეალო-



ბად ქცევა? მაშინ, როგორც იტყვი, ისე იყოს.

**კატო:** არა, მე არა, რეჟისორი შენ იყავი მაგ სალამოს...

**დათო:** მოკლედ, შევთანხმდით ყველა დეტალზე.

**კატო:** არა, არა... ვერ გავიგე, რასაც ამბობ, მაგის გაკეთებას მართლა აპირებ? სერიოზულად?

**დათო:** ჰოოო!

**კატო:** იცი რა? რომ წარმოვიდგინე, სიმართლე გითხრა, ასეთ ადგილზე მართო მისვლის მეშინია...

**დათო:** ეეეეე... თუ არ მენდობი, როგორც შენ იტყვი, ისე მოვიქცეთ. მე მინდა, დაუფინყარი სალამო გაჩუქო. შეგიძლია დღეს გაიარო იმ ადგილზე და დარწმუნდე...

**კატო:** შენი არნდობა რა შუაშია? ასეთი ადგილი ჩემთვის სხვა სამყაროა... უცხო... ასე მგონია, რალაცას მაკადრებენ, რალაც მოხდება...

**დათო:** გაგიჟდი? შენ მგონი შეურაცხყოფას მაყენებ.

**კატო:** რატომ?

**დათო:** სულელურ კითხვებს მაძლევ.

**კატო:** არ ვიცი ჩემო სიცოცხლე... დავიბენი... ცუდად ვარ....

**დათო:** ასე არ მინდა. თუ შენ რალაცაზე გული გეთანაღრება, შევცვალოთ.

**კატო:** ვგრძნობ, რომ ახლა სალად ვერ ვაზროვნებ...

**დათო:** კარგი, წადი სამსახურში და მშვიდად იფიქრე. გირჩევ, ის ადგილი მოინახულო. კარგად, ჩემო სიცოცხლე.

**კატო:** ხვალამდე, სიხარულო...

**დათო:** უკვე გვიანია. ამნუთას მოვედი სამსახურში და ინტერნეტშიც შემოვედი. კი ვიცოდი, რომ არ იქნებოდი, მაგრამ მინდოდა მეთქვა, რაც შეეხება შენს გადაწყვეტილებას, ჩემი წინადადების თაობაზე, მგონი ძალიან კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩები. მესმის შენი მდგომარეობა, შენი შიში. მომენდე და ბოლოს და ბოლოს გარისკე! ეს ხომ მართლა ზღაპარივითაა, რომელიც შეიძლება, „რეალში“ ახდეს და თუ კი გიყვარს, სისულელის კეთებაც უნდა შეგეძლოს!

20 მაისი. 10:12

**კატო:** ახლა მოვედი, მაგრამ აღარ დამხვდი. მოხვალ ნეტავ დღეს?

**დათო:** აქ ვარ, ჩემო...

**კატო:** ვაააუუუ... არ აჩვენებდა... გამიხარდა. როგორ ხარ?

**დათო:** არა მიშავს. რთული ღამე გადავიტანე. შენ?

**კატო:** მეც... და შენ — რატომ?

**დათო:** ჯერ იყო და მეუღლესთან მქონდა

მხურვალე სექსი (გამომწვევ მიზეზს მიხვდები, იმედია). ვიფიქრე, ამის მერე მაინც დამეძინებოდა. მერე იყო და, არადა არ „მომეშვი“, დილის 5 საათამდე, შენზე ვფიქრობდი. მერე ბავშვი ატირდა. ძლივს დავაძინეთ. რომ თენდებოდა, ჩამეძინა, მაგრამ მალევე გამეღვიძა, ძალაგამოცლილს. ავდექი და აუზზე წავედი, ცოტა სულის მოსათქმელად.

**კატო:** ისე, მგონი ღირს, დავფიქრდე და კარგად ავწონ-დავწონო ყველაფერი, რომ შენი ოჯახური იდილია არ დავარღვიო... შენც მოიფიქრე...

**დათო:** იცი, რას გეტყვი? ჭკუის სწავლებას თავი დაანებე და მიკიბულ-მოკიბულად ნუ მელაპარაკები. მოხდა რამე?

**კატო:** არა, არაფერი, რა უნდა მომხდარიყო?

**დათო:** აბა, რაებს მწერ?

**კატო:** ჭკუა არ დამირიგებია. შენმა ქინა მესიჯმა მაფიქრებინა ეგ... არ ვიცი... მგონი თვითონ არ ვიცი, რას გწერ და საერთოდაც, ცოტა დაბნეული ვარ, მგონი... ახლა კი განერვიულებულიც...

**დათო:** ამიხსენი!

**კატო:** განერვიულებული შენ გამო არ ვარ... ეს ჩემი, პირადი პრობლემის გამოა... რაც შეეხება დანარჩენს, უბრალოდ, ის მესიჯი რომ წავიკითხე, წარმოვიდგინე შესმატკბილებული ოჯახი... ცოლ-ქმარი, რომელთაც კარგი, მშვენიერი და მხურვალე სქესობრივი აქტები აქვთ, შვილებს ზრდიან, ზრუნავენ... და დანაშაულის გრძნობა გამიჩნდა შენსა და ყველას მიმართ...

შეიძლება სისულელეა, მაგრამ იმნუთში ეს ვიგრძენი...

**დათო:** მომისმინე, ახლა განერვიულებული ვარ და თანაც, შენ გამო. არასოდეს არ მითქვამს შენთვის ტყუილი და ვერც ვერასოდეს გაიგებ ამას ჩემგან. დამაცადე... რეალობის აღქმა თუ არ შეგეძლო, მაშინ საერთოდ რატომ მეკონტაქტებოდი? მითქვამს ოდესმე, რომ ოჯახი არ მიყვარს და ბავშვებზე არ ვზრუნავ? ან ცოლთან სექსი არ მაქვს?

**დათო:** გამეცი პასუხი!

**კატო:** რა თქმა უნდა, არა... და საერთოდაც, ჩვენი ურთიერთობა მაგით დაინყო... ეგ ვიცი და თანაც, კიდევ ბევრჯერ შემახსენე... რეალობას მშვენივრად აღვიქვამ და შენი პრიორიტეტებიც ვიცი და ეგ არც ყოფილა და არც იქნება პრობლემა... ახლა რომ დავფიქრდი, მივხვდი, პრობლემა ისაა, რომ უკეთესი იქნება, ამ თემაზე არ ვილაპარაკოთ.

**დათო:** კიდევ რალაც უნდა გეთქვა!

**კატო:** ბოდიში...

**დათო:** მიყვარხარ! უსიტყვოდ მიგებ. ცოტა მომეშვა გულზე, კინალამ არ გადავირიე?!

**კატო:** შენ ეტყვი შენს ცოლს, რომ ასე, ვილაცას ელაპარაკები და უნდა შეხვდე?

**დათო:** არა, რა თქმა უნდა, იდიოტი კი არ ვარ (დღეს მაოცებ). ეს ჩემი საიდუმლოა, რომელიც დედამინაზე არავინ იცის და ვერც ვერასოდეს გაიგებს (შენს გარდა).

**კატო:** მაშინ მე, ქალს, რომელსაც უნახავად მიყვარხარ,



სჯობს ვკიან, ჯიღმე  
ყოფმ ვკიან და ჯიღმე  
— ამასდამს!



რატომ მაგრძობინებ თავს ზედმეტად? თუნდაც, ჩვენი შეხვედრა ერთხელ და უკანასკნელად მოხდეს, აუცილებელი არაა, იმ ერთხელაც მახსოვდეს ჩემი ნამდვილი ადგილი... ხომ შეიძლება, დავივიწყო? მაგრამ შენ ამის საშუალებას არ მაძლევ...

**დათო:** შეიძლება ცუდად გამომივიდა ცოლის ხსენება შენთან, მაგრამ გულუბრყვილოდ მოგიყევი ჩემი ნუხანდელი განცდების შესახებ და თუ ძალიან გაინტერესებს, ჩემს წარმოდგენაში შენ იყავი ჩემს ლოგინში, შენ გეფერებოდი და შენთან მქონდა სექსი. განა ეს რთული მისახვედრი იყო?

**კატო:** არა, მაგას ვხვდები... ჩემ ადგილზე ალბათ ბევრს სიხარულის ან აღფრთოვანების განცდა ექნებოდა, ასეთ შემთხვევაში. საქმე ისაა, რომ მე თავს ვიტყუებ... ვარწმუნებ საკუთარ თავს, რომ გიყვარვარ... იმიტომ, რომ ასე მინდა იყოს... თუნდაც იმიტომ, რომ შენი ალერსი შევეძლო... მე ვერ მოვეფერები იმ ადამიანს, ვისაც არ ვუყვარვარ. ჰოდა, ვაჯერებ ჩემს თავს და გულის სიღრმეში ვიცი, რომ თავს ვიტყუებ... შენ კი წარამარა მახსენებ ამას და რეალობაში მაბრუნებ... ერთი მხრივ იქნებ ასეც ჯობდეს, რეალურად ვიაზროვნო და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა, მაგრამ იქნებ სწორედ ეს მომწონს, რომ თავი მოვიტყუო... ცოტა ხნით... სულ ცოტა ხნით... ჩვენს შეხვედრამდე...

**დათო:** არ მომწონს პასუხი! წინასწარი დასკვნების გამოტანა ნაადრევია. მაგას ჩვენი ურთიერთობა აჩვენებს და არა — შენი თვითდაჯერება.

**კატო:** იოლი არაა ჩემთვის ეს ყველაფერი... იმაზე რთულია, ვიდრე წარმოგიდგენია... მარტო ეს ხომ არაა — მისწერე, მოგწერს... თითოეული შენი სიტყვა გულში და გონებაში რჩება და ილექება და გრძობაც ამან გამოიწვია... ბევრი ბარიერი გადავლახე უკვე, შენთან ურთიერთობაში და კიდევ ბევრი მაქვს გადასალახავი... შესაძლოა, ჩვენმა გუშინდელმა შეთანხმებამაც იმოქმედა და იმიტომ ვარ ასეთ დღეში... მეც ვერ ვცნობ საკუთარ თავს... აღარც კი მახსოვს, ბოლოს როდის ვიტყვი... 2 დღეა, წარამარა ვტირი... შეიძლება ნერვებმა მიმტყუნა ამდენი დაძაბულობის მერე...

**დათო:** გული მეტკინა შენს სიტყვებზე და თავს დამნაშავედ ვგრძნობ. მე შენში სიყვარულს ვეძებდი და არა — ცრემლებს (თუმცა, იქნებ ეს ერთი და იგივეა) და თუ შენ ჩემ გამო ტირი, იცოდე, რომ ეს ჩემი სასჯელია.

**კატო:** შენი სასჯელი მაშინ იქნებოდა, რომ მოგეტყუებინე ან გამიზნულად გეთამაშა ჩემს გრძობებზე... ვიცი, რასაც ამბობ, იმნუთში იმას განიცდი ხოლმე. ვერ ვგრძნობ ფარსს შენი მხრიდან... არ შეიძლება, ტელეფონზე ლაპარაკის დროს ის ტონი, სიტბო და ინტონაცია ითამაშო... ამიტომ, შენი ბრალი არაა, თუ კარგი ხარ და თუ მე, ერთ სულელ ქალს, რომლის გულიც ცარიელი იყო და გრძობის მისაღებად — მზად, შენ მიმართ, რაღაც გრძნობა მაქვს... ეს ალბათ არასერიოზულია, რასაც ვამბობ, არა?

**დათო:** ჰო... მიყვარხარ...  
**კატო:** მეც მიყვარხარ...  
**დათო:** გული ამიჩუყდა და მეტირება.

**კატო:** მე კარგა ხანია, ვტირი და ბარემ ხარჯი — ხარჯია, ერთად ვიტყვით... :)))

**კატო:** ახლა ის თქვი, ასეთ მძიმე ფონზე შეხვედრა გადავდოთ? თუ... გადადებულა?

**დათო:** მთელი მესიჯები გადავიკითხე შენს არყოფნაში.

**კატო:** და... როგორია შენი დასკვნა და ვერდიქტი?

**დათო:** არა, ეს კულმინაციაა და არაფრის შეცვლას არ ვაპირებ. იმ დღით ვცხოვრობ და ვოცნებობ.

**კატო:** ე.ი. ხვალ?

**დათო:** ყველა დეტალი შეთანხმებულია. დარჩა მხოლოდ — 2.

1. რომელ ყავას ანიჭებ უპირატესობას და 2. ოთახის ნომერი.

**კატო:** მოდი, სადმე თბილისიდან შორს შევხვდეთ... ქალაქგარეთ... უფრო ადრე...

**დათო:** მაგალითად?

**კატო:** მაგალითად, მცხეთაში... არმაზში... საგურამოში... ბაზალეთზე... სულ ერთია... მერე გადავწყვიტოთ... ცოტა ტვინს „გავანიავებ“, შეგეჩვევი...

**დათო:** რა არის იცი? არ მინდა, ჩვენი შეხვედრა ბანალური იყოს (ხელის ჩამორთმევა,



ამინდზე ლაპარაკი). ის წარმომიდგენია იდუმალებით მოცული, დამაინტრიგებელი, აუცილებლად ვნებიანი. ჩვენ ახალს იმაზე მეტს ვერაფერს ვეტყვით ერთმანეთს, რაც აქამდე გვიტყვამს და გვიგრძნია.

**კატო:** ერთი კითხვა მაქვს: თუ გაგიკეთებია მასე როდესმე, რასაც მთავაზობ? პასუხს რომ მეტყვი, მერე გეტყვი, რატომ მაინტერესებს და კიდევ ერთ კითხვას დაგისვამ...

**დათო:** არასოდეს აზრადაც არ მომსვლია, რატომღაც შენთან მომიწინადა ასე. მეორე კითხვას ველი.

**კატო:** შენი პასუხიდან გამომდინარე, მეორე კითხვა აღარ მაქვს... მაინც ჩაიშლება... არ გამოვა მასე...

**დათო:** მომენდე, გადააბიჯე საკუთარ თავს.

**კატო:** იცოდე, დიდ სიურპრიზს მოგიმზადებ... მზად ხარ მაგისტვის?

**დათო:** სიუჟეტში თუ არაფერს შეცვლი, ყვე-

ლაფრისთვის მზად ვარ.

**კატო:** შენ მგონი ტკბები, მე რომ ასე ვნერვიულობ... ცუდად ვარ, მართლა... ამდენს ვერ გავუძლებ.


**დათო:** კარგი, მესმის შენი... ნეტავ თუ გაგაჩნია უნარი გარისკო და სიყვარულს (გულს) დანებდე? ტირი?

**კატო:** მაგას რა მნიშვნელობა აქვს... ერთი კითხვა: შენ რატომ მიგაჩნია, რომ ვრისკავ?

**დათო:** მე მიმაჩნია, რომ ჩვენ ორივე რაღაც უჩვეულოს ვაკეთებთ და ბუნებრივად გიჩნდება რისკისა და სასიამოვნო მოლოდინის გრძნობა, რომელიც მთელ ტანს გარშემო უვლის ჭიანჭველებივით, გულს იპყრობს და სულს აფორიაქებს.

**კატო:** მე კი მიმაჩნია, რომ ჩვენ ორივე გიყუბი ვართ.

**დათო:** ჰოოოო!



**კატო:** 24 საათზე ნაკლები დარჩა...

**დათო:** ასე ნუ დაიგრუხები, თორემ შეიძლება ხვალისთვის გადაინვა. ახლა გავდივარ 1 საათით.

**კატო:** უკვე გადავინვი... დროებით.

**კატო:** 1 საათი გავიდა, მაგრამ არ ხარ... გავალ ახლა და ნახევარ საათში მოვალ... თუ დამხვდები, გამიხარდება.

**დათო:** აქ ვარ, ჩქარა მოდი!

**კატო:** მოვედი.

**დათო:** დამშვიდდი ცოტა?

**კატო:** არა... ვერა...

**დათო:** ვერც მე, შენ წარმოიდგინე...

**კატო:** მერე?

**დათო:** ბავშვივით მიხარია.

**კატო:** სულელი ხარ...

**დათო:** მიხარია, შენ რომ გნახავ და მოგეფერები.

**კატო:** მე კიდევ, მიხარია მაგას რომ ამბობ...

**დათო:** ერთი უმნიშვნელო დეტალი შევცვალეთ.

**კატო:** მე მაინც მომხრე ვარ, რომ შეხვედრის ადგილი და სიტუაცია შევცვალეთ. გული მიწუხს. მითხარი, რა არის ის დეტალი.

**დათო:** არააა! შეთანხმება ხელმოწერილია. როცა შენ ოთახში შეხვალ, ყავას არ შემოვატანინებ მიმტანს, უცხო ადამიანის შემოსვლა უადგილო იქნება. და კიდევ, ოთახის ნომერია — 5. დერეფნის ბოლოში.

**კატო:** გულიიიიი! ეგ როდის დაადგინე?

**დათო:** დავურეკე და დავბრონე.

**კატო:** მორჩა? აღარაფერი შეიცვლება? იქ არავინ შემეკითხება, სად მიდიხარო?

**დათო:** შენ არავინ შეგხვდება, გაივლი დერეფანს და №5 ოთახში შეხვალ. ცოტას დამშვიდდები, სავარძელზე ჩამოჯდები, თუ გინდა, კონიაკს მოსვამ და თვალებს აიხვევ. შენი შესვლიდან 5 წუთში მეც შემოვალ.

**კატო:** ჰო, ის მაინტერესებს კიდევ, ტელეფონი რატომ უნდა გამოვრთო?

**დათო:** ვილაცის უადგილო ზარი ატმოსფეროს შეცვლის. წარმოგიდგენია ამ დროს ტელეფონზე ლაპარაკი?

**კატო:** არააა! არ მინდააა! გადავიფიქრე! მეშინია, მართლა...

**დათო:** კარგი, თუ გეშინია, მაშინ აივანზე დაგხვდები, მაგრამ ეს სულ სხვა იქნება.

**კატო:** ცუდად ვარ... ისე ცუდად, ვერც კი წარმოიდგენ... დრო რამდენი გვექნება?

**დათო:** დრო იმდენი გვაქვს, რამდენსაც შენ აირჩევ. უბრალოდ, ამჯერად მთელი ღამე სამწუხაროდ ვერ დავრჩები, ჩემო სიცოცხლევ. პირველი შეხვედრა იქნება მხოლოდ და მხოლოდ შენს ნება-სურვილზე დამოკიდებული... კარგი, უნდა დაგტოვო ჩემო ოცნება, ვიცი, დღესაც უძილო ღამე მელოდება, მაგრამ ხვალინდელი დღის მოლოდინი გადაფარავს და კლავს ყველანაირ ადამიანურ სურვილს ჩემში... თუ დამიჯერებ, საჭმელსაც კი ვეღარ ვჭამ. მხოლოდ შენ მინდიხარ და შენთან ყოფნა მინდა!!!

**კატო:** მეც მინდიხარ... დღეს ნუ გადაიღლები სექსით... თავი შეინახე...

**დათო:** ეგ დღეს გამორიცხებულია. ხვალ საიტზე იქნები?

**კატო:** კარგი, მაშინ იმედიანად ვიქნები... კარგად... ხვალ დამირეკე მაინც... ინტერნეტში შეიძლება ვერ შემოვიდე.

**დათო:** OK (ისევ ეს ორი ასო). გოცნი მხურვალედ ტუჩებში.

**კატო:** მეც გოცნი ძალიან მხურვალედ და იმედი მაქვს, ხვალ ერთ-ერთი საუკეთესო დღე გათენდება ჩემთვის...

**დათო:** მეც იგივე განწყობილება მაქვს.

**კატო:** ხვალამდე.

**დათო:** OK (ისევ ეს ორი ასო). გოცნი მხურვალედ ტუჩებში.

**კატო:** მეც გოცნი ძალიან მხურვალედ და იმედი მაქვს, ხვალ ერთ-ერთი საუკეთესო დღე გათენდება ჩემთვის...

**დათო:** მეც იგივე განწყობილება მაქვს.

**კატო:** ხვალამდე.



სჯობს, შეცდომები  
ყოლოქციოქმად დასძვას

გაგრძელება  
შემდეგ ნომერში

# ფოტო, როგორც ლოკოკა დაკარგა



ამ ფოტოსტორის შესაბამისად  
დაკარგა უფრო გამომგზავნეთ  
ტელეფონის ნომერი:  
8.77.45.68.61  
რედაქციის ვებსაიტს ან სატელეფონო:

„გაგანი“  
ანუ კარგად“

ს აათის ისარი შუალა-  
მის 12-ს გადასცილ-  
და. ბარის ზღურბლზე  
მოხუცი მამაკაცი გამოჩნდა.  
ბარმენი გოცებით მიაჩერდა.  
დიდი ხანია, ბარში ასაკოვანი  
ადამიანი არ დაუნახავს.

მოხუცი ბარბაცით მივიდა  
ბართან, სკამზე ძლივძლივო-  
ბით აფორთხდა და ბარმენს  
დაბინდული მზერა შეავლო.

— რა გნებავთ? — გაუ-  
ლიმა გიგამ და გაიფიქრა:  
„შინ ხომ არ წაეთრეოდი, შე  
ბებერო?“ მოხუცები არ უყ-  
ვარდა. გიგა საკუთარ თავსაც  
კი არ უტყდებოდა, რომ  
სიბერის ეშინოდა. ეშინოდა,  
რომ ოდესღაც თვითონაც  
ამ მოხუცს დაემსგავსებოდა,  
რომელიც ახლა მის წინ  
იჯდა. მან იცოდა, რომ  
მოხუცი ჩუმად სულ რამდენ-  
იმე წუთის განმავლობაში  
იქნებოდა. შემდეგ რამდენი-  
მე ჭიქა სპირტიან სასმელს  
გადაუძახებდა და ენას აღარ  
გააჩუმებდა. მოკლედ, 1 ლარს  
დახარჯავდა და 100 ლარისას  
ტვინს გაუბურლავდა.

— შვილო, შენ გყავს შვი-  
ლები?

„დაიწყო“.

— არა, — უპასუხა გიგამ და  
არაყი დაუსხა.

— ახლა უკვე მეც აღარ მყავს,  
— მოხუცმა ხელები გაშალა.

გიგამ ჭიქა მიუწია. იმან კი  
უცებ გადაკრა.

— არ გეგონოს, ფული არ  
მაქვს, გადავიხდი.


— მაშინ იქნებ რაიმე ეგზოტი-  
კური დაგიხსნათ?

— არა, არაყი დამისხი. მამა-  
კაცს მეტი რა უნდა? 100 გრამი  
არაყი და ალერსიანი ქალი. ქალებ-  
ის მიმართ რა თქმა უნდა, უკვე  
მხოლოდ პლატონური სიყვარული  
მაქვს, — მოხუცმა ისეთი ხმა  
გამოსცა, ვერ გაიგებდი, სიცილი  
იყო თუ ქირქილი. რალაცნაირად,  
დაიყვილა, თითქოს, — ისეთი  
სიხშირით დამისხი, რომ ყელი  
არ გამიშრეს. მაინც ხომ არსად  
გეჩქარება?

„ზუსტად გაარტყი, ბებერო, რა  
თქმა უნდა, არსად მეჩქარება. რას  
კვარგავ? შენზე უკეთესი ახლა აქ  
მაინც არავინაა. მიდი, „დამგრუზე“  
ბებერო, დღეს გაგიმართლა და  
მსმენელი იშოვე“.

მოხუცმა მეორე ჭიქაც გა-  
დაკრა.

— ყოველთვის ასე ხდება,  
გიყვარს, მთელ სულსა და გულს  
დებ და სამაგიეროდ რას იღებ?  
მხოლოდ საყვედურებსა და მოთ-  
ხოვნებს. შენ, შვილო, ასე ნუ  
მიყურებ. ჩვენ ყოველთვის (მო-



# რომანი

მარი ჯაფარიძე

## გაგონა და გეგმა!

### ანუ მარტოობის მიმე ტვირთი

ხუცებს ვგულისხმობ) ვამბობთ,  
რომ სხვანაირები ვიყავით და  
ახლანდელი ახალგაზრდები უვარ-  
გისები არიან. ჩვენი წინაპრებიც  
ასე ამბობდნენ ჩვენზე. ჩვენ —  
თქვენზე ვამბობთ, თქვენც ასევე  
ილაპარაკებთ. წინათ ვფიქრობდი,  
რომ ჩემი წინაპრები სულაც არ  
იყვნენ ჩემზე უკეთესები... წლები  
გავიდა, მე არ ვახალგაზრდავ-  
დებოდი, მაგრამ გარე სამყაროს  
ჩემეული აღქმა საფუძვლიანად  
იცვლებოდა. ჩვენს დროსაც იყვნენ  
ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც  
სხვებს სიცოცხლეს უმწარებდნენ.  
რაც უფრო მემატებოდა წლები...  
ვბერდებოდი... ასე უფრო სწორი  
იქნება, მით უფრო ნათელი ხდე-  
ბოდა, რომ ასეთი ნაძირლების  
არსებობა საზოგადოებისთვის  
უფრო კანონზომიერება იყო,  
ვიდრე წესებიდან გადახვევა... შენ  
პიონერი იყავი? — უეცრად შეც-  
ვალა საუბრის თემა მოხუცმა.

— ...

— 2 ვაჟი და 1 გოგონა მყავ-  
და. როგორც ზღაპრებში ხდება  
ხოლმე, მაგრამ ზღაპარი სწორედ  
აქ მთავრდება და საშინელი რეა-  
ლობა იწყება, — მოხუცმა ცარი-  
ელი ჭიქა ხელში შეატრიალა, შიგ  
ჩაიხედა და ადგილზე დადო.

გიგამ ჭიქა ისევ შეუვსო. მას იმ  
წუთში მხოლოდ ის ადარდებდა,  
როგორ გადაახდევინებდა ფულს  
მოხუცს. ჭიქა შეავსო, მაგრამ  
კლიენტისთვის მიწოდებას არ  
ჩქარობდა.

— მომისმინე მოხუცო, თუ  
ფული არ გაქვს, მაშინ ჯობია შინ  
წახვიდე და ტვინი შენს დედაკაცს  
გაუბურლო.

მოხუცმა კეთილად გაუღიმა.  
როგორც ჩანს, ახალგაზრდა მა-  
მაკაცის უხეშ ტონს ყურადღებაც  
არ მიაქცია. შარვლის უკანა ჯიბი-  
დან უხმოდ ამოიღო საფულე და  
ბარზე დადო. ახალგაზრდა ჭიქის  
მიწვევას კვლავაც არ აპირებდა.  
მისი გამომეტყველება ამბობდა:  
„რას მაჩვენებ ამ საფულეს? ასე-  
თი 3 მაქვს ჯიბეში, მაგრამ არც  
ერთში გახვრეტილი შაურიც კი  
არ დევს“.

მოხუცმა საფულედან 5-ასლა-  
რიანი ამოიღო. ბარმენს სახეზე  
ლიმილი გადაეფინა და კლიენტის  
წინ მთელი ბოთლი არაყი დადგა.  
„აი, ახლა კი მოგიხმენ, ბაბუ“.

მოხუცმა არაყი გადაკრა და ისე  
გააგრძელა ლაპარაკი, თითქოს  
არც არაფერი მომხდარიყო:

— დათო უფროსი იყო. როცა  
დაიბადა, 20 წლის ვიყავი. რაც  
მოხდა, ყველაფერში დამნაშავე  
მე ვიყავი. მის დაბადებას კი არ  
ვგულისხმობ... თუმცა, მის დაბა-  
დებაშიც მე მიმიძღვის ბრალი.

გიგამ გაიფიქრა, რომ მოხუცის  
ნაამბობში რალაც გამოჩნა, რად-  
გან ვერაფერი გაიგო. „თავში ქვა  
უხეთქია, იყბედოს“...

— 20 წელი... მაშინ ისიც კი არ  
ვიცოდი, ცოლი რატომ მოვიყვანე  
და უკვე ბავშვიც მყავდა. ლამლა-  
მობით მასთან ერთად ყვირილი  
მინდებოდა ხოლმე. მინდოდა,  
ხმამალა მეზღავლა, რომ ჯერ  
თვითონაც ბავშვი ვიყავი... დრო-  
თა განმავლობაში ყველაფერი  
თავის ადგილზე დადგა. ის ჩემთან  
ერთად იზრდებოდა. 4 წლის იყო,  
როდესაც მის ხასიათში აგრესიისა  
და სისასტიკის ნიშნები შევნიშ-

ნეთ. 7 წლისამ მეზობლის ძალი მოკლა — ჩაქუჩით თავი გაუჭყჭყა. მე ვიყავი დამნაშავე, — მამაკაცმა ჭალარა თავი სინანულით დააქნია და ჭიქას დახედა. ის უკვე სავსე იყო. გადაკრა. მოხუცს ლოყებზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— არასრულწლოვანთა კოლონიაში იყო, როდესაც ტყუპი, მარიამი და ლევანი დაიბადა. მაშინ დათო 16 წლის იყო და მისი იმედი უკვე აღარ მქონდა... მომდევნო 2 შვილის დაბადებამ იმედი ჩამისახა, რომ მშვიდი სიბერე მექნებოდა. ისინი მშვიდი ბავშვები იყვნენ. თითქოს ღმერთმა ჩვენი წამება იკმარა და ცხოვრება გაგვიოლა. ისინი საკმაოდ კარგადაც სწავლობდნენ...

გოგონა და ბიჭუნა სახლის კუთხიდან სირბილით გამოვარდნენ, ახალგაზრდა მამაკაცს დაეჯახნენ და თვალს მიეფარნენ. მამაკაცმა მხრიდან ჩამოგდებული ზურგჩანთა შეისწორა.

„ეს ბიჭუნა მეცნობა... თითქოს ჩემი ბავშვობა გაცოცხლდა... ესენი ალბათ ჩემი და-ძმავა, მე რომ დამიჭირეს, დედაჩემი ორსულად იყო. ისინი ახლა 15 წლისები იქნებიან“...

მამაკაცმა ჭიშკარი შეალო. ეზოში ყველაფერი ძველებურად იყო, არაფერი შეცვლილიყო. დათო სახლს მიუახლოვდა და ფანჯარაში შეიხედა. დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა. მთლად გაჭალარავებულიყო.

— გამარჯობა, დედა, — კარში ჩადგა დათო და სცადა, დედის კოცნისთვის თავი აერიდებინა.

— როგორ გელოდი, შვილო...

სალამოს მამაც დაბრუნდა. მამა-შვილი რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთმანეთის პირისპირ იდგა. თითქოს ერთმანეთს თვალთ შომავენ. პირველი ნაბიჯის გადადგმა არც ერთს არ უნდოდა. ბოლოს მამის გულმა ვერ გაუძლო და შვილისკენ წავიდა.

ივანშემს, დალიეს, ისაუბრეს... დედა შვილს ნაბიჯითაც არ შორდებოდა.

— ნადი, ნახე, ტყუპი რას აკეთებენ, ჩვენ კი ვისაუბრებთ...

როდესაც დედა გავიდა, მამაკაცი შვილს მიუბრუნდა:

— შვილო, ახლა რას აპირებ?

— ჯერ არ ვიცი, მომავალი გვიჩვენებს.

— იქნებ უმაღლესში ჩაგებარებინა?

— ჩემი ინსტიტუტი ესაა, — დათომ პერანგის ლილები გაიხსნა და მამას ტატუირებული მკერდი

დაანახვა.

სამზარეულოში მარიამი შევიდა. დათოს ირონიულმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— მოდი ჩემთან, როგორი მზეთუნახავი და მყავს, არა?

გოგონამ დაიმორცხვა და უფროს ძმას მიუახლოვდა.

— მოდი, დაჯექი ჩემთან, — დათომ მუხლზე ხელი დაირტყა. გოგონა მორიდებით ჩამოუჯდა მუხლზე.

ამ დროს მამა საუბრით იყო გართული და ვერ დაინახა, როგორ ჩასჩურჩულა დათომ გოგონას ყურში რალაც. გოგონა გველნაკბენივით წამოხტა და გარეთ გავარდა.

— კი, მაგრამ რატომ არ მეკითხები, როგორ ვცხოვრობდით, როცა შენ ციხეში იჯექი? — მორიგი კითხვა დასვა მამამ.

— რა უნდა გკითხო? რა, „ბალანდას“ ჭამდით თუ რწყილებიან ნარზე გეძინათ? არა, მამა, თქვენ აგერ, ცხელ სადილსა და ახალ, თბილ პურს მიირთმევდით და რბილ ლოგინში გეძინათ.

— იმაზე მაინც თუ დაფიქრებულხარ, რა ჩაიდინე?

— ისეთი რა ჩავიდინე? მოკალი და ეგაა. სასჯელი უკვე მოვიხადე და იმაზე მეტიც კი მომისაჯეს, ვიდრე ვიმსახურებდი.

— იმაზე თუ დაფიქრებულხარ, რამდენი ადამიანის ცხოვრება დაანგრე?

— გაჩუმდი! — ბოროტად დააკვესა თვალები ბიჭმა.

— ის ბიჭი ცოლს მოიყვანდა და შვილებს გააჩენდა...

— ენა ჩაიგდე, — კბილებში გამოცრა დათომ.

— დედაშენი გააუბედურე, ჩემზე და იმ ბიჭის მშობლებზე აღარაფერს ვამბობ...

— მაშინ მცემა ჩემმა შვილმა... სასტიკად გამისწორდა, ციხიდან გამოსვლის პირველსავე დღეს, — მორიგი ჭიქა აკანკალებული ხელით მიიტანა პირთან და გა-

დაუძახა, — მისი შინ დაბრუნების შემდეგ პატარებიც შეიცვალნენ. მარიამი გულჩათხრობილი გახდა. თითქოს თავისი უფროსი ძმის ეშინოდა... ლევანი სულ დათოსთან ერთად იყო და მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა — ლევანმა სწავლაზე ხელი აილო და სმა დაიწყო. კალაპოტიდან ამოვარდა. რამდენჯერმე საყვედური ვუთხარი, მაგრამ დათო გამოესარჩლა და გამაფრთხილა, რომ თუ კიდევ გავბედავდი რამის თქმას, სასტიკად გამისწორდებოდა.

ნელი ნაბიჯით მიდიოდა სახლისკენ. „ღმერთმა იცის, დათო სად დაეხეტება, მაგრამ უმცროსები ალბათ შინ იქნებიან“, — ფიქრობდა და თავს დანახებით აქნევდა. სახლს უკნიდან მოუარა, რადგან ჭიშკართან რამდენიმე მეზობელი აბირყავებდა და არ უნდოდა მათ თვალში შეჩეხებოდა. გოგონას ოთახში შუქი შენიშნა და უნებურად, თვალი მოსიარულე ჩრდილს მოჰკრა. ფარდა ოდნავ იყო გადაწეული და ოთახის ერთი კუთხე ჩანდა. თვალთ დაუბნელდა... კუთხესთან მიმდგარი დათოს შიშველი სხეული დაინახა... სახლში გიჟივით შევარდა. ოთახის კარი რომ შეალო, დათო მისკენ მშვიდად მობრუნდა. კუთხეში მარიამი იყო ჩამჯდარი და ტიროდა.

— რა ხდება აქ? — განრისხებული სახით იკითხა კაცმა.

— ამ საქმეში ნუ ჩაერევი, — პერანგის საყელოში ჩასჭიდა ხელი უფროსმა ვაჟმა და ოთახიდან ძალით გააგდო.

გაიგონა, როგორ მოუმატა გოგონამ ტირილს. მამამ ისევ ოთახისკენ გაიწია, მაგრამ ყბაში ძლიერმა დარტყმამ მოპირდაპირე კედელს შეანარცხა და გაითიშა. თუმცა, მალევე მოვიდა გონს და ნელა წამოდგა. თავისი ოთახისკენ გაეშურა, სანოლის ქვემოდან ძლივს გამოათრია სამუშაო იარაღებით სავსე ყუთი, ბოლომდე არ



აუხდია, სახურავი ოდნავ ასწია, ხელი მოაფათურა და ჩაქუჩი მოძებნა. შემდეგ სამზარეულოსკენ გაეშურა. დათო მაგიდასთან იჯდა და ყავას სვამდა. ტანზე პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული.

— მოდი, მოდი, — ბოროტად გაუღიმა შვილმა.

— უნამუსოვ, ნუთუ შენთვის წმინდა არაფერი არსებობს? — კბილები გააღრჭიალა კაცმა და ზურგს უკან დამალულ ჩაქუჩს ხელი ისე მოუჭირა, თითები ეტკინა.

— რა არის, რა მოხდა? — მიაშიტი სახით ჰკითხა შვილმა.

ეს ბოლო წვეთი იყო... შვილის გასისხლიანებული და უსულო სხეული ძლივს გაათრია გარეთ და სახლის უკან, დიდი ხნის წინ გაუქმებულ ჭაში ჩაუშვა.

— ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ მარიამმა თავი ჩამოიხრჩო, — ცრემლი მოადგა მოხუცს და გიგას შეხედა, — იცი, შვილო, რა-ღაცნაირად, თავისუფლად ამოვისუნთქე. როდესაც ჩემი გოგონას უსულო სხეულს დავხედე, შვება ვიგრძენი. მას გაუჭირდებოდა მთელი ცხოვრება ამ ტვირთის ზიდავა. აი, ასე იყო ყველაფერი... მე ცუდი მამა ვარ... დათომ მას ცხოვრება დაუნგრია და იქიდან, ჭის ფსკერიდანაც კი განაგრძობდა ბოროტი საქმეების ჩადენას. გოგონას სიკვდილის შემდეგ, ჩემს ცოლს დიდხანს არ უცოცხლია. თანაც, მგონია, რომ დათოს გაუჩინარების მიზეზსაც მიხვდა. მარიამის წლისთავის მეორე დღეს სული განუტევა. ლევანმა სკოლა დაამთავრა და სასწავლებლად თბილისში წამოვიდა... შინ 15 წელი არ ყოფილა და ამ დროის მანძილზე, სულ 3 წერილი გამომიგზავნა. სახლის წინ ვიჯექი, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს, გზაზე ლევანი გამოჩნდა. მომიახლოვდა და ჩემ გვერდით უცხოთვით ჩამოჯდა. მომეჩვენა, რომ ეს ლევანი კი არა, შურის საძიებლად მოსული დათო იყო... გარეგნულად სულ მას დამსგავსებოდა და მზერაც კი მისი ჰქონდა.

— როგორ ხარ? — ისე მკითხა, ჩემთვის არც შემოუხედავს.

— როგორ მოხდა, რომ სახლის გზა გაგახსენდა? — შეეუბრუნე კითხვა.

— საქმე მაქვს.

— გისმენ.

— როგორ, სახლშიც არ შემიაპატიუებ?

— კი, როგორ არა, მოდი, — მოხუცი შინ შეუძღვა დიდი ხნის უნახავ შვილს.

მაგიდასთან დასდნენ, თითო ჭიქა გადაკრეს...

— ნუ აყოვნებ, მითხარი, რა გინდა, — შეახსენა მოხუცმა.

— ცოლი მოვიყვანე და მწლის შვილიც მყავს.

— მერე?

— მერე ამდენი წელია, ქირით ვცხოვრობ და ახლა მინდა, რომ შენი სახლი გაყიდო და ფული მე მომცე.



— მე სად ვიცხოვრებ?

— შენ უკვე მოგიძებნე ადგილი მოხუცთა თავშესაფარში, — თვალბეჭით ვერ უყურებდა მამას.

— აქედან გაეთრიე, — კბილებში გამოსცრა მამამ.

— რომ არ გავეთრიო? დათოსავით მომექცევი? ჩაქუჩით თავს გამიტყავ და ჭაში ჩამაგდებ?

— შენ რა, ყველაფერი იცოდი? — მოხუცი უცებ მოტყდა.

— ჰო, მაგრამ მაშინ არავისთვის მიტყვამს, ვიცოდი, რომ ოდესმე ეს ამბავი საჩემოდ გამომადგებოდა.

— აბა, აეთრიე და აქედან ახლავე გაეთრიე! — თვალბეჭით აენთო მოხუცს და ძალის მოზღვავება იგრძნო.

— კარგი, ნუ ცხარობ, ნავალ, მაგრამ იცოდე, ინანებ, — ლევანი ადგა და კარისკენ წავიდა. გასვლისას მობრუნდა, — იცი, მაშინ მარიამისთვის პირველი მე ვიყავი. დათოს დაჭერილი ჰყავდა, მე კი...

— არა! — განწირული ხმით იყვირა მამამ.

— კი, მამა, კი... — ბიჭს უნდოდა, მოხუცისთვის ბოლო მოეღო.

— არა! — ვიმეორებდი, როცა კედლიდან სანადირო თოფი ჩამოვიღე...

— არა! — ვიმეორებდი, როდესაც შვილს იარაღი დაუფიზნე...

— არა! — ვიმეორებდი, როდესაც ვესროლე...

მოხუცი გაჩუმდა. გიგა მიხვდა, რომ ყველაფერი ნათქვამი იყო. საჭიროზე მეტიც კი...

— შვილო, ერთი ბოთლი არაყი მომეცი, რომ თან წავილო, — მოხუცი ადგა, ბარიდან თავისი საფულე და ბოთლი აიღო და კარისკენ გაემართა. გიგას წინ დადებული ნ-ასლარიანი კი ხელუხლებლად დატოვა.

— მოხუცო, ფული დაგრჩა, — გასძახა.

— აღარ დამჭირდება, მე უკვე ყველაფერი მაქვს, — არყის ბოთლი დაანახვა, — მშვიდობით, შვილო!

— ნახვამდის, — ჩუმად თქვა მოსმენილით გაოგნებულმა გიგამ.

დილით შინ მისული გიგა საწოლზე მიეგდო და ტელევიზორი ჩართო. საინფორმაციო გადაცემა მოძებნა.

— მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს. როგორც ჩანს, ეს თვითმკვლელობაა. მოხუცი სახლში მარტო ცხოვრობდა... — გადმოსცემდა დიქტორი.

გიგა მიხვდა, რომ სწორედ მის ლამის სტუმარზე იყო ლაპარაკი. მეზობლებიც ალაპარაკეს. ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ მოხუცისგან. სახეზე ყველას მარტოობა ენერა...

ჟურნალისტი კიდევ კარგა ხანს ლაპარაკობდა ამ შემთხვევაზე, მაგრამ კიდევ ერთი გვამის შესახებ არაფერი უთქვამს. იქნებ მოხუცმა უმცროსი ბიჭიც უფროსის გზას გაუყენა და ჭაში ჩააგდო? — მისი ადგილი სწორედ იქაა, — გაიფიქრა გიგამ და თავადვე გაუკვირდა, რადგან ის არც მოხუცს და არც მის შვილებს არ იცნობდა, მაგრამ რატომღაც მაინც მოხუცის მხარეს იყო. გუშინდლამდე ამ ადამიანების არსებობის შესახებაც კი არ იცოდა... იქნებ მოხუცს არავინ მოუკლავს? შესაძლოა, უბრალოდ, მარტოობამ გააგიჟა...

უეცრად გიგა წამოდგა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა... ნომერი აკრიბა...

— ვაა, თურმე ნომერი არ დამეინწყებია, — გაიფიქრა და ყურმილში ნაცნობი და თბილი ხმა მოესმა კიდევ...

— ალო! — ეს ხმა ძალიან მშობლიური იყო... გიგას თვალზე ცრემლი ჩამოუგორდა...

— ალო, გისმენთ, — ქალს ხმაზე დაღლილობა ეტყობოდა...

— გამარჯობა, დედა!



2.07.- 8.07.2009

# გზისკნიტები

მარი ჯაფარიძე

## ერთხად გავ ვჭახავ სინსხვილი



მოგესალმებით, ჩემო მგზავნელებო, უბრალოდ, მკითხველებო თუ „მოთვალთვალებო“. როგორ ხართ? იმედია, კარგად – არ ვიცი, რას დაეაბრალო (შესაძლოა, ზაფხულის სიცხემ ტვინი გააფართოვა), მაგრამ ამ კვირაში თქვენი მესიჯებითა და საქციელით ძალიან კმაყოფილი ვარ. პოდა, მეც ახალი ამბავი მაქვს, თქვენთვის. ცოტა ხანში „გზისკნიტები“ 6 წლის ხდება. პოდა, ამასთან დაკავშირებით, ერთი რამ მოვიფიქრე. ვიცი, რომ სხვა ადამიანის გაჭირვება გულთან მიგაქვთ და ისეთი გულჩვილები ხართ, ხშირად ჩემს დაწერილ ამბებზეც კი ცრემლს ღვრით. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, ჩემს იდეას ყველა აიტაცებს. მოდი, 6 წლის იუბილესთან დაკავშირებით, საქველმოქმედო აქცია ჩავატაროთ. მსურველებმა გავიღოთ რაღაც თანხა, რომლითაც შევიძინოთ ტკბილეულს, ტანისამოსს, რომელიმე ბავშვთა სახლს დავეხმარებით და პატარებს გავახარებთ. საამისოდ, თითოეული თქვენთაგანის მიერ გაღებული 50 თეთრიც კი საქმეს წაადგება. ასე რომ, ამჯერადაც თქვენ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება და მომდევნო ნომერში დამიმესიჯოთ, მოგწონთ თუ არა ჩემი იდეა. თუ უმეტესობა დამეთანხმება, მაშინ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში ჩვენი ილინი (ელენე ბასილიძე), მამაცი თოჯინა (ეთო ყორღანაშვილი) და ნებისმიერი თქვენთაგანი ჩაერთვება. დავანახვოთ ყველას, რომ ჩვენ მარტო „ლაქლაქ“, მესიჯების წერა და ხანდახან ერთმანეთზე კბილების ლესვა კი არა, კეთილი საქმეების გაკეთებაც გვებნებება. ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

აქონსიანი მწახა და უახვედრა მვიწახუი  
 ანუ სუამრობა პატარაედურად

### დაუპატიჟებელი სტუმრები

„ერთხელ ისე შევრცხვი, მთელი თვე სირცხვილისგან სახლიდან ვერ გამოვდიოდი. ივლისის პაპანაქება სიცხე იყო და ქალაქიდან ჯერ ვერ მივდიოდით დასასვენებლად დაქალები. ამიტომ, როგორც შეგვეძლო, ისე ვერთობოდით. ზოგი რას მოიგონებდა, ზოგი — რას. მე, როგორც „ჭკუის კოლოფმა“, წუნაობა გადავწყვიტე. თან გავერთეთ, თან გავვრდიოდით კიდეც. გართობას რომ მოვრჩით, გაღუმებული სახლში ავედი და სველი ტანსაცმელი სააბაზანოში დავტოვე. თან სახლში არავინ მეგულებოდა და საცვლების ამარა, პირდაპირ შევედი ოთახში. ჰოდააა, იქ ამბავი და სიცილი ატყდაააა... მიწა გამსკდომოდა და თან ჩავეტანე, მერჩინა! თურმე ჩემი და მოსულა და თან მთელი კურსი დაუპატიჟებია (მათ შორის ერთი ბიჭიც იყო, რომელსაც ვეპრანჭებოდი). მე კი ვიდექი შუა ოთახში ნახევრად შიშველი და 20 ადამიანი გაფართოებული თვალებით მიყურებდა. ადგილზე გავიყინე, მოულოდნელობისგან და სანამ იმ ბიჭის გაცეცხვულ თვალებს არ წავაწყდი, ვერ მოვედი აზრზე. ოთახიდან კი არ გამოვედი, რაღაც არანორმალური სისწრაფით გამოვევარდი და სიმწრისგან და სირცხვილისგან მთელი თვე გარეთ არ გავსულვარ. ჩემი დის მეგობრებს კი თუ ვნახავდი, „შემოვლითი გზებით“ მიწვევდა სიარული. ახლა ამ ამბავს ხშირად ვიხსენებთ და ვხალისობთ. აი, ასეთი უცნაურობები მემართება ხოლმე. CERRY“.

### წაქცევა

„სკოლაში ერთი ბიჭი მომწონდა. ერთხელ მე და ჩემი დაქალი გაკვეთილზე შევდიოდით. ის ბიჭი და მისი ძმაკაცები დერეფანში იდგნენ და საუბრობდნენ. რომ დავინახე, დავიბენი. იატაკი გაფუჭებული იყო. ჩემმა დაქალმა გადაიარა, მე კი... ბედი არ გინდა? ტკაც და აღარ ჩანს ფეხი. იატაკის ფიცარი ჩატყდა და ფეხი ჩამივარდა. ჰოდა, დავრჩი ასე, მეორე სართულზე, ჰაერში გამოვიდებული. უცებ მან ხელი მომხვია და ამომაძვრინა. არ ვიცი, შემეშინდა თუ უფრო შემრცხვა, მაგრამ რომ შევხედე, ისეთი შეშინებული თვალებით მიყურებდა, კინალამ გამეცინა. მადლობა მას. ანა“.

### შეხვედრა გვირაბში

„მე მაქვს სირცხვილი ნაჭამი, თანაც — სხვის მაგივრად. ისეთი „მყავე გემო“ აააქვს, უუჰ! ერთ-ერთი, ყველასგან მივიწყებული ქალაქის მაცხოვრებელი ვარ. ერთ დღესაც რეპეტიტორთან მივიჩქაროდი და გზაზე გადასვლას, მიწისქვეშა გვირაბი ვამჯობინე. ჩავდივარ გვირაბში და შიში მიპყრობს. რატომ? რატომ და გვირაბია საშინელი: ჩაბნელებული და ალაგ-ალაგ წყლის წვეთების ხმა ისმის. ნახევრამდე არ ვიყავი მისულა, კაცი რომ დავინახე. ჩაკუზული იყო შუა გვირაბში და მარჯვენა

● ხელით კედელს ეყრდნობოდა. ვიფიქრე, ცუდა-  
 ● დაა-მეთქი და ჩემი შიში სულ გადამავიწყდა.  
 ● ნაბიჯს ავუჩქარე, რომ მივშველებოდი. რაც  
 ● უფრო ვუახლოვდებოდი ამ კაცს, მით უფრო  
 ● მკვეთრად ვხედავდი მის მორცხვ ღიმილსა და  
 ● შველივით დამფრთხალ თვალებს. 4-5 მეტრი  
 ● მაშორებდა მისგან, მისი ხმა რომ მომესმა: მა-  
 ● პატიეთ, დიდ ბოდიშს გიხდითო. გაოცებულმა,  
 ● ახლალა შევნიშნე, რომ ეს კაცი ცუდად კი არ  
 ● იყო, არამედ... :) ალბათ საპირფარეშომდე ვერ  
 ● მიაღწია და... ამის დანახვაზე ისე შემრცხვა და  
 ● ისე დავიბენი, ვეღარ მოვიფიქრე, რა მექნა.  
 ● კაცის ხმამ გამომაფხიზლა, ისევ მებოდიშებოდა.  
 ● მაშინ გავიაზრე, რაც ხდებოდა. განითლებულ-  
 ● გამწვანებულ-გაყვითლებული კი სულ სირბი-  
 ● ლით გამოვედი გარეთ. :) დამავოი“.


### სამაგიერო

„იკას ბებია-ბაბუა სოფელში ცხოვრობს და  
 ● მასაც „გამონერილი“ ჰქონდა ყოველ ზაფხულს  
 ● ჰაერის შეცვლა. რაც წამოიზარდა, არდადეგებ-  
 ● ზე ჩაურბენდა მოხუცებს, ეგებ რა სჭირდება-  
 ● თო. მორიგი „პაუზკა“ რომ დაგეგმა, მანქანამ  
 ● უმტყუნა. თუმცა, ძმაკაცმა ათხოვა და გაუდგა  
 ● გზას. შაბათი საღამო იყო, მოხუცებს მიესიყ-  
 ● ვარულა და სასეირნოდ გავიდა. ნელა მიდიო-  
 ● და, თან სიმღერებს უსმენდა (ნუ, ცხოვრებით  
 ● ტკებოდა), როცა გაჩერებაზე 2 ბიჭი შენიშნა,  
 ● მონდომებით რომ უქნევდნენ მანქანებს ხელს,  
 ● გაგვიყოლეთო. იკას გაჩერება არც უფიქრია,  
 ● მაგრამ ცოტა რომ გასცდა, მერე აღიდგინა,  
 ● იმ 2-დან ერთი გოგა იყო, მთელი ბავშვობა  
 ● ფეხებდაგრეხილს რომ ეძახდა იკას და ზაფხუ-  
 ● ლს გრძელი შარვლით ატარებინებდა. მანქანა  
 ● მოატრიალა და როცა ისევ დაუქნიეს ხელი,  
 ● ცოტა მოშორებით გაუჩერა. თან სარკიდან  
 ● უყურებდა. მიუახლოვდნენ და ის იყო, კარის  
 ● გაღება დააპირეს, რომ მთელი ძალით „მონყ-  
 ● ვიტა“ მანქანა ადგილიდან იკამ და ასე დატოვა  
 ● „გაპაზორებულები“. P.S. ისე, იმ ფეხებს მაშინ  
 ● მართლა უხეიროდ დაათრევდა. ფეშენა“.

### გრეტა

„1 კვირის წინ უთენია ვილაცის ქაქანმა  
 ● გამაღვიძა. ხმა სანოლის ქვეშიდან მოდიოდა.  
 ● თავი გადავყავი, უნდა შემეხედა და უცებ...  
 ● ვაიმე დევეედაააა! არ გამოყო რაღაც არსე-  
 ● ბამ გაბანჯგვლული თავი? თან წითელი ენა  
 ● გადმოუგდია და ქასქასებს. ეშვები აააქვს!  
 ● როგორ წამოვფრინდი და გავვარდი გარეთ, არ  
 ● მახსოვს. — ვაიმე, მიშველეთ, მგელია და უნდა  
 ● შემეჭამოს-მეთქი. მგელი უკან დამსდევს, მახტე-  
 ● ბა და მეთამაშება. ერთხელაც რომ დამახტა,

ყველაფერი ამც  
 ისე ცუდადაა, მოვამც  
 აქამბ, ყველაფერი  
 ვაცილობიდა უამრსადაა






წავიქეცი და სანამ ბოლო ხმაზე ვლრიალებდი, სულ ამილოკა სახე. მოქუჩდა მთელი უბანი. იქით დედას „კაპლებით“ აბრუნებენ... და რა ხდება თურმე: ჩვენი მეზობელი ოჯახი თბილისში ცხოვრობს. გერმანიიდან ჩამოუყვანიათ გერმანული ნაგაზი — გრეტა. უზარმაზარი ძალი გაზრდილა და თბილისში რომ ვეღარ დატიეს, სოფელში წამოიყვანეს და მეზობელ გივის ჩაბარეს, მოსავლელად. ვინაიდან ცხელოდა, ღამე ოთახის კარს ღიას ვტოვებდი. გამოპარულა ეს გრეტა და ჩემი სანოლის ქვეშ მოკალათებულა. ისეთი უშველებელიაააა! მაგრამ ისეთი კეთილი და მხიარული... სიგიჟემდე უყვარს ადამიანები. არ აბამენ, ისე დარბის ეზოში. თუ დაუძახებ, გრეტაო, გამოიქცევა, გადმოახტება ორმეტრიან ლობეს, დაგახტება და სულ აგლოკავს. ჰოდა, რაზე მოვავოლე ახლა ეს ამბავი: ამ ორი დღის წინ ალუბლის ხეზე ვიყავი ასული. უცებ მეძახიან, ქალბატონო, გამოიხედეთო. ორი ახალგაზრდა გოგო იყო, ხელში თაბახის ფურცლებით. ჩვენაო, სოციალური დახმარების ფონდიდანა ვართ და საზოგადოებრივ გამოკითხვას ვატარებთ, ყოველ მესამე სახლში უნდა მივიდეთ. თუ შეიძლება, რამდენიმე კითხვას დაგისვამთო. კი ბატონო-მეთქი. ვუიმი, რა შეკითხვები დამისვევს, იცი? მობილური გქონიათ როდესმეო? ან დაგირეკავთო? — ეგ როგორ უნდა-მეთქი? თან გულში ვიძახდი, ახლა ჩემმა „დაბლიუმ“ რომ დარეკოს, დამერხა-მეთქი. ინტერნეტი იციო? — ეგ რომელ კონტინენტზეა, მგონი ამერიკაშია, არა-მეთქი? რადიოს უსმენთო? მარტო „არ დაიდარდოს“-მეთქი. ერთმა ჩუმად უჩურჩულა მეორეს, სანყალი, ვერ არიო. მაიცაააა! დაამთავრეს გამოკითხვა და რომ გადიოდნენ, მკითხეს — აქედან მესამე სახლში რა დავიძახოთო? — გრეტა-მეთქი. უიმი, რა უცნაური სახელიაო? — რა ქნას სანყალმა, რაც დაარქვეს, ისა ჰქვია-მეთქი. წავიდნენ. მივიდნენ და დაიძახეს — გრეეტა! ქალბატონო გრეეტა, გამოიხედეთ, თუ შეიძლებაო (მე ამ დროს უკვე კვდები სიცილით). რაოოო?! გრეტაოოოო?! გაიგო თუ არა, გამოქანდა და რომ გადმოხტა და ეცა ამ გოგონებს ამხელა „დინოზავრიი“?! შენი თაბახის ფურცლები ველად გაჰქონდა ნიავსაა! აააბა, წივილ-კივილი, მიშველევევეთ! და რამე... მთელი სოფელი მოქუჩდა. რომ მოასულიერეს „თაბახისტები“, ერთი ნემსამოვარდნილი „პლასტიკასავით“ იმეორებდა, სად არის ის გოგო, გოგო სად არის... — არ არის ის გოგო, არაა! გასულია, გააასუუულიიი!“

**ჩხუბისთავი**

„უბნის ერთ-ერთი ჩხუბისთავი, ალექო, დღე არ გავა, ვინმეს არ აუშარდეს და არ იჩხუბოს.“

● მისი სიფიცხის შესახებ ყველამ იცის. ამიტომ ● მის შორიახლოს ყოფნას ყველა ერიდება. გან- ● საკუთრებით ოჯახის წევრები არიან დაფეთე- ● ბულები იმის შიშით, რომ ისევე იჩხუბებს და ● შარს გადაეყრება. რა აღარ იღონა ალექოს ● დედამ ერთადერთი ვაჟის დასაჭკვიანებლად, ● მაგრამ უშედეგოდ. ყოველ საღამოს საშინელი ● აურზაურია მათ ოჯახში. შვილის უნესო საქ- ● ცილით გადაღლილმა ნინომ ალექო მკაცრად ● გააფრთხილა, კიდევ ერთხელ თუ იჩხუბებ, ჩემი ● სახელი აღარ ახსენოო. თან ეშმაკურად დააყოლა, ● ვნახოთ ერთი, ფულს ვინლა მოგცემსო. დედაზე ● გაბრაზებულმა ალექომ, სახლის კარი გაიჯახუ- ● ნა და ბუზღუნ-ბუზღუნით, ძმაკაცის სახლისკენ ● მიმავალ გზას გაუყვა. ერთ საღამოს, მეზობელმა ● ნინოს ამბავი მიუტანა, შენმა ბიჭმა ისევე იჩხუბა, ● ოღონდ მე რომ გითხარი, არ გამამხილო, თორემ ● მომკლავსო. ცოტა ხანში ალექოც მივიდა სახლში. ● შესვლისთანავე, დაინახა თუ არა დედამისის სახე, ● მიხვდა, კარგი დღე არ დაადგებოდა და ერთი ● ნაბიჯით უკან დაიხია. თუმცა, დედამისს სად ● გაექცეოდა? დააყარა სართულებიანი წყევლა- ● კრულვა, ალე კი მშვიდად უცდიდა, როდის ● ჩაცხრებოდა დედამისი. ისიც ვერ გაეგო, რატომ ● ეჩხუბებოდა. ალბათ სახლში გვიან რომ მოვედი, ● იმიტომო, — ფიქრობდა. რა იცოდა, ჭორიკანა ● მეზობელმა თუ ჩაუშვა? ყაყანით გადაღლილმა, ● როდის-როდის გაათავა შვილის დატუქსვა და ● ალემაც ძლივს მოახერხა სიტყვის ჩაკვებება — ● კი მაგრამ, რატომ მეჩხუბები, რა დავაშავეო? ● გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა, როცა ● გაიგო, რომ დედამისმა მისი ჩხუბის შესახებ ● ყველაფერი იცოდა. ალექომ ვეღარ მოითმინა ● და იფეთქა. დედას მუქარით მიმართა — თუ ● არ მეტყვი, ეგ ამბავი საიდან გაიგე, სახლიდან ● წავალო. რადგან მეზობელს ვერ ჩაუშვებდა, ჩა- ● ფიქრდა ნინო, იქნებ რამე მოვიგონოო და უცებ ● თვალები გაუბრწყინდა. რალაცის თქმა დააპირა ● და ამ დროს მეზობელი ქალი, მანჩო ესტუმრა. ● ნინომ იცოდა, ახსნა მაინც რომ მოუნევდა და ● მანჩოს თანდასწრებით მოიტყუა, როგორ გაიგო ● შვილის ჩხუბის შესახებ. ასე თუ არ მოიქცეოდა ● და სიმართლეს იტყოდა, ამბის მიმტანს კარგი ● დღე არ დაადგებოდა ალექოსგან. ამიტომ, მძიმედ ● ამოიხვნეშა და დაიწყო: — კოტე ექიმს (თავად ექი- ● მია, კოტე კი მთავარი ექიმი) ისეთი „სათვალთვალო ● აპარატი“ აქვს, ყველაფერს ხედავს და მეც ამ აპა- ● რატიტ დაგინახე, რომ ჩხუბობდიო. ამის გამგონე ● მანჩომ და ალექომ გაოცებისგან პართოდ დააღეს ● პირები. ნინო თავისი ტყუილით კმაყოფილი დარჩა. ● არ ვიცი, ალემ ეს ტყუილი რამდენად დაიჯერა, მა- ● გრამ მანჩოს ეჭვიც არ შეჰპარვია ნინოს ნათქვამში ● და იმის შიშით, რომ ჩუმად არავის ეთვალთვალა ● მისთვის, დაღამებამდე ტუალეტშიც კი არ შედიო- ● და. ასე შებოჭილი დადიოდა მთელი ორი დღე.

მესამე დღეს, მანჩო ნინოსთან ჩასულა და თავისი გასაჭირი უთქვამს. ამჯერად, გაოცებისგან ნინომ დაალო პირი და ახარხარდა. მანჩო მიხვდა, ტყუილი რომ იყო და შერცხვენილი, დამნაშავესავით უხმაუროდ გაეცალა სიცილისგან შეწუხებულ, მატყუარა მეზობელს. ოჰ, რა დიდი სიამოვნებით გაგიმხელდით „სირცხვილნაჭამი“ მანჩო ვინაა ჩემი, მაგრამ ამჯერად თავს შევიკავებ. ლუნა“.



*ქალები ჭამაობენ,  
მამაყაცვები ღი ლოლოდ  
ამბობენ სიძამილოეს  
ნაცნობებზე*

### მძინარა

„სირცხვილი ვჭამე, როცა ზაფხულის ერთ დღეს, სკოლაში, დასვენებაზე (კიდევ კარგი, გაკვეთილზე — არა) ჩავთვლიმე და ეს უწყინარი თვლემა ძილში გადაიზარდა. ჰოდა, მასწავლებლის ნჯღრევა არაფრად ჩავაგდე. რომ გავიღვიძე, თვალს ველარ ვუსწორებდი დამრიგებელს. ერთხელ, სირცხვილისგან, კიბორჩხალასავით გავწითლდი, როცა კინოთეატრის ბილეთები ისე ავიღე, არც მიკითხავს, რა გადიოდა და მოგვინია მე და ჩემს მეგობრებს პირველკლასელებთან ერთად „წითელქუდას“ ყურება. კიდევ, ცურვა არ ვიცო და მაინც არ ვაცდენ არც ერთ ვიზიტს არც მდინარეზე და არც ზღვაზე. ერთხელაც ჩემი დაუდევრობით, კინალამ დავიხრჩე და ისე შემრცხვავა... ერთხელ კი ცეკვის დროს, სცენაზე წავიქეცი. ყველა იცინოდა. აბა, ჩემთვის ეკითხათ?! სხვათა შორის, მაშინვე წამოვხტი ფეხზე და უიურიმ არდაბნეულობისთვის შემაქო. ეს და კიდევ სხვა მრავალი... ახლა ვუკვირდები ხოლმე ყველაფერს და ვცდილობ, არ შევრცხვე. აბეზარა“.

### „მოპარული“ საცოლე

„ყველაზე დიდი სირცხვილი, მაშინ განვიცადე ცხოვრებაში, როცა საცოლე „მოვიპარე“. ჩვენი მასპინძელი სოფელში ისეთი მთვრალი იყო, მამაჩემმა დაურეკა, ნუგზარ, შენი ასე და ისეო. იმას კიდევ, დედაჩემი ეგონა და იქ ამბავი იყო... აქეთ ნუგზარი ყვიროდა, ქალო, რას მაგინებო, იქით მამაჩემი ლოცვა-კურთხევას არ აკლებდა, ვინაა ქალიო და მოკლედ, ტელეფონით იმდენი იჩხუბეს, მამა ჩვენთან რომ მოვიდა, კი არ ყვიროდა, ხაოდა. მე კი ზურიკელასავით ვიდექი განითლებული, ყურებამდე გაღიმებული და ბედნიერი. ბედნიერი, რადგან ვიპოვე ჩემი ნატვრისთვალის და მას მერე, უამრავი ლამაზი დღე მაჩუქა. მადლობა, ჩემო ბუსუსუნა, რომ ასეთი ტკბილი და გემრიელი ცოლუკა ხარ. ვგიჟდები შენზე. სანთელი“.

### მკაცრი ქმარი

„სწავლა ახალი დაწყებული იყო და პირველი სემინარი გვექონდა. ჩემმა დაქალმა და კურსელმა, რომელიც გათხოვილია, ცოტათი დაიგვიანა. ლექტორმა თქვა, ბარემ ყველა მოვიდეს და შემდეგ დავინყოთო. ცოტა ხანში აუდიტორიაში „ნაშლილი სიფათით“ თამთა შემოვიდა. ჩვენთვის არც შემოუხედავს, ისე წავიდა თავისი ადგილისკენ და დაიწყო: — მთელი ღამე არ მიძინია, ქმარმა არ დამაძინა და იცით, რატომო? ჩვენ გაკვირვებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს. აქეთ ლექტორს იმხელაზე გაუდიდდა თვალები, სათვალეები აღარ მოუჩანდა. ვიფიქრეთ, ახლა თუ დაიწყო მთელი ღამის დეტალების ჩამორაკრაკებაო და ის იყო, უნდა შემეხსენებინა, რომ ლექციაზე ვიყავით და არა ბრაზილიურ სერიალში, თვითონ დამასწრო და გააგრძელა: — ასე მითხრა, სანამ სემინარს არ ისწავლი, არ დაგაძინებო და ღამის მთელი ღამე გამათენებინაო. იქ ამბავი ატყდაა... ვინ ვის ვასკდებოდით სიცილით, ველარ ვხვდებოდით... თამთა კი გაკვირვებული გვიყურებდა სიცილისგან ფორმადაკარგულ

● ბავშვებს. გვიან კი მიხვდა, რაც წამოროშა და ცისარტყელის ფერებმა გადაუარა სახეზე, მაგრამ რალა დროს. თააამთ, გენაცვალე ქმარ-შვილში. უმაგრესი ქალი ხააარ! ისა და, ხომ არ მიწყენ, რომ გამოგაჭენე? SWEET-GIRL“.

### „ქუსლდავარდნილი“

„ამას წინათ პაემანზე წასასვლელად „ავიჩხლართეე“... „ვიტრინის თოჯინასავით“ გამოვეწყე და ასე „ამინიუბკებულ“, „აქუსლოჩკებული“ გავუდექი გრძელსა გზასა. ცოტა ხანში 2 ახმახი წამომენია და ფინიებივით მომდედნენ. მეც ვცდილობ, „დასტონი როჟა“ შევკერო და „საკვებნაპოვნი არწივივით“ ვაბრიალებ ამ შავ თვალებს, რომ უცებ, მსუბუქი რყევა ვიგრძენი... არა, ისეთი არაფერი იფიქროთ, უბრალოდ, მივხვდი, რომ ამ ახლად აგებული შენობებივით მეც საყრდენი გამომეცალა ანუ — ქუსლი. არ გინდა ახლა, ეს ისედაც ერთი ნამცეცა გოგო, უცებ 10 სანტიმეტრით დადაბლდე? ჰოდა, ასე გაჭირვებით, თითის წვერებზე განვაგრძე გზა ისე, რომ წარბიც არ შემიხრია. მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი და გავიგონე: — მშვენიერო, ქუსლი დაგივარდათ. მეც ყველანაირად ვეცადე, დამაჯერებლობა არ დამეკარგა და შელიმილ-შებლავლება კი გამომივიდა. მაშინ რაც ვიგრძენი... რა იყო ეს? სირცხვილი? არა, თავში აგურის ჩარტყმას უფრო ჰგავდა, ან მდულარის გადავლებას... შემდეგ ახლომდებარე „საპოჟნიკთან“ მიმაცილეს და ახსნის შემდეგ, რომ პაემანზე მივდიოდი, „ქუსლმაგრობა“ მისურვეს, ხელოსანს საფასურიც ჩაუთვალეს და მშვიდობიანად დავმორდით ერთმანეთს. ეჰ, რა ყოფილა სირცხვილიი?! SWEET-GIRL“.

### მადლობის მაგიერი

„მთვრალი ვიყავი. ჰოდა, წავედი ალაზანზე, უნდა ვიბანაო-თქო. ჰოოოოდა, შევედი წყალში, გავცურე, გამოვცურე და წყალმა ჩამითრია... გონზე მოვედი და ვაი, იმ მოსვლას. ვინცხა თუშს თმაზე უკიდია ხელი და ნაპირზე მიმათრევს (თმით ყველაზე ადვილია გამოთრევა, მე კი არ ვიცოდი). გამათრია გარეთ და დავედექი ფეხზე. დავედექი და ეგრევე ვწყვიტე შუბლში მუშტი (უცბად ვერ მოვტვიწინე, რატომ მიმათრევდა ვინცხა). ჰოდა, ამან მიყვირა, გადაგარჩინე და თან მირტყამო? მთხლიშა თვითონაც. ისე გამძჟყენეს თუშებმა, სულ გამოვფხიზლდი. სახლში სულ კვნესით ავედი. ახლა გამახსენდა და მაგრად ვიცინე. კაი იყო, რა. 9717“.

### მოცურავე

„შარშან ზაფხულს სოფელში ვიყავი. ბავშვები თითქმის ყოველდღე არაგვზე დავდიოდით გასაგრილებლად. მართალია, ჩვენს გარდა არავინ იყო, მაგრამ ათასში ერთხელ გზაზე გამვლელი მანქანებიც გვსტუმრობდნენ... ერთხელ, როცა მეზობლის ბიჭებმა თავით ხტომაში „დამასპეცეს“, მე და ჩემმა დაქალმა გამარიაუბა გადავწყვიტეთ, თუ რა მაგრად ვცურავდით (არადა, ნალდად ვცოდვილობ). დიდის ამბით გავედი მეორე ნაპირზე და ავცოცდი კლდეზე (ნეტავ, რა მიმარბენინებდა). დაბლიდან ჩემი დაქალი „მბალელშიკობდა“ და ძარღვების დასკლომამდე გაჰკიოდა ჩემს სახელს. ჯერ მარტო


მაგიტომ მიყურებდა ხალხი... დადგა გადამწყვეტი დრო და დავეშვი თავით. სირცხვილით თავის ამოყოფა აღარ მინდოდა წყლიდან, მაგრამ ჯერ სად ხარ, საცოდავო ჩემო თავო? თურმე, გაურკვეველი დაცემისას, შემეხსნა „კუპალნიკი“. კიდევ კარგი, ხალხისკენ ზურგით ვიყავი, მაგრამ სიცილის ისეთი ტალღა წამოვიდა, კინალამ წამილო. გამოვედი, როგორც იქნა, გაბრაზებული, მაგრამ ვინ გაცდის ცხოვრებას? ერთი მეუბნება, თავით ხტომა გვასწავლეო, მეორე — კლასიკა ხარო. იმის მერე ვცდილობ, აღარ გადმოვხტე. განსაკუთრებით კლდიდან და განსაკუთრებით — თავით... ახლა კი ვიხსენებ სიცილით ამ ამბავს, მაგრამ მაშინ ისე ვიყავი გაბრაზებული, არაგვის ხსენება არ მინდოდა, კარგა ხანს. სოფი19“.

### ხუმრობა პატრულურად

„ახალციხის პატრულში 2 გოგო მუშაობს, ერთს ახალი დანყებული ჰქონდა მუშაობა. პატრულირებენ ტრასაზე ჩვეულებრივად. დაბინდდა და ეკამ და მისმა მენყვილემ შენიშნეს გზიდან გადასული, გაჩერებული ავტომანქანა. ეკას მენყვილემ უთხრა, მიდი, გადადი და შეეკითხე, რამე ხომ არ უჭირთ ან სჭირდებათო. ეკაც მივიდა და რადგან ფანჯრის მინები აწეული იყო, მხედრული საღმის ნაცვლად, მინაზე მიუკაკუნა. არავინ გამოეხმაურა და კარი გამოალო. გამოალო და რას ხედავს მისი თვალები? სიყვარულობენ გოგო და ბიჭი. დაბნეულმა მაინც ჰკითხა, დახმარება ხომ არ გინდათო? მერე ყვებოდა ეკა, გოგო ისე ჩაეხუტა ბიჭს, აღარ შორდებოდა, მაგარი შეშინებული მიყურებდაო. მენყვილე კი მანქანაში დაბრუნებულს სიცილით დაოსებული რომ დახვდა, მაშინ მიხვდა ჩვენი ეკუშა, თუ რაში იყო საქმე: მენყვილე თავიდანვე ყველაფერს მიხვდა, გზიდან გადაყენებული მანქანის დანახვაზე და სპეციალურად მიაგზავნა. ახლა თქვენ განსაჯეთ, ვინ მეტი სირცხვილი ჭამა. ამ ამბავს ყოველთვის სიცილით იხსენებენ. ელისო“.

### „ოსკაროსანი“

„ეჰ... ჩემი არტისტული წარსულის შესახებ მოგიხსნათ: ბავშვობიდან ახლოს ვარ სცენასთან. ხუმრობით ვერიკოსაც კი მეძახიან. საკმაოდ ცნობილ მსახიობებთან ერთად ვდგავარ სცენაზე და გულში „ოსკარს“ ვუმზინებდი. ჰოოოდა, ერთ ყინვიან ზამთარს, ერთ პროვინციულ ქალაქში გასტროლი გვექონდა. ნუ, რა თქმა უნდა, წინა რიგებში ბიჭები ისხდნენ და ოვაციებს არ იმუშრებდნენ. მე კი ღიმილად ვიღვრებოდი და უკვე ავტოგრაფებს ვარი-



ცხოვრებაში ყველაფერი ხდება, მაგრამ ყველას ამ ხელება

● გებდი, ჩემს წარმოდგენაში. როცა ყველაფერი დასრულდა, გარეთ გამოვედი. იქვე იდგნენ „აბორიგენი“ ბიჭები. ისე წავედი მანქანისკენ, თითქოს ლიმუზინში ვჯდებოდი და უცებ, ბრახ! ისე საყვარლად გავიშალე ყინულზე... მაგრამ ჩემი საფირმო, ალმაცერი მზერით მაინც ისე გავხედე ბიჭებს, რომ გაცივების სურვილი დაეკარგათ. აი, ასე დაიმსხვრა ჩემი ოცნება „ოსკარზე“. პარიჟანკა“.

### თბილი ნიფხავი

„სამწუხაროდ, სირცხვილი არაერთხელ მაქვს „ნაჭამ-დაგემოვნებულ-ჩახრამუნებული“, მაგრამ ამჯერად ჩემზე არა და ჩემს მეგობრებზე მოგიყვებით. მოკლედ ნინის, ჩემს მეგობარს, ძალიან ჯიუტი ბებო ჰყავს. ჰოდა, ამ ზამთარს ნინის შალის „ტრუსი“ მოუქსოვა და აუცილებლად უნდა ჩაიცვა, არ გაცივდეთო. ბევრი იჩხუბა ნინიმ, მაგრამ ოჯახის წევრებმაც რომ ბებოს მხარე დაიჭირეს, იძულებული გახდა, ჩაეცვა „შალის ტანგა“.

ამ ზამთარს ბაკურიანში ოჯახით ისვენებდა და დედის დაჟინებული მოთხოვნით, კიდევ ერთხელ შეასრულა ბებოს თხოვნა და ჩაიცვა ის ავადასხსენებელი ტრუსი და ზუსტად იმ დღეს ისე ასრიალდა თხილამურებით, რომ ფეხი მოიტეხა. რა თქმა უნდა, ექიმი გამოიძახეს, მაგრამ ჰოი, საოცრება! ნინიმ ექიმი იქამდე არ მიიკარა, სანამ შალის ნიფხავი არ გაახდევინა, ისედაც დაბნეულ, დედამისს. აი, კინალამ ასეთი სირცხვილი აჭამა ნინის ბებიის ახირებამ. ჩუპი“.

### თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები.

„ჯერ მინდა ვთქვა, რომ „გზავნილებში“ პირველად ვწერ. გაშვებულ შანსს რაც შეეხება, ასეთი შანსები ჩემს ცხოვრებაში ბევრია. ერთ-ერთი ასეთი კი გუშინ დავკარგე. ბიჭს, რომელსაც ვუყვარდი, ყველანაირ ურთიერთობაზე უარი ვუთხარი. არადა, რა ბიჭი, იცით? :( კი ვნანობ, მაგრამ მეშინია. ჩემი ცხოვრება ისეთი არაა, რომ ის ჩემთან ბედნიერი იყოს. მე ვარ ძალიან პრობლემური ადამიანი და ამიტომ გავწყვიტე მასთან ურთიერთობა... რას ვიზამთ, ხან შემთხვევით, ხან ნებით ვკარგავთ რალაციის შანსს. თეკ“...

„ერთხელ სირცხვილი მაშინ ვჭამე, როცა კურსელთან ერთად სახალხოდ გავიშლართე და გადავაკვდით ერთმანეთს. სხვები ხარხარებდნენ, ჩვენ კი ფეხზე ვერ ვდგებოდით. ცუნცულა“.

„გუშინ ერთ „ფანდარასტ“ კაცთან ვიყავით, ლობიოს საკრეფად. ერთხელაც არ გვითხრა, დაისვენეთო. ჩვენთან ერთ კაცს, მეტსახელად, მერკასიკოს ეძახიან. ავიცოლი ჰყავს და რთველში ძალიან რომ შეაღონა ქმარი, ვედრო დააფარა თავზე. იმის მერე ტერმინად გვაქვს — არ დაგაფარო ვედრო თავზე,

მერკასიკოს ცოლივით. ჰოდა, ეს დამპალი კაცი, თან თავზე გვედგა, თან ჭყიპინებდა, აქ დაგრჩათ, იქ დაგრჩათო. გამწარებულმა სიმღერა გამოვიგონე: შენ კი გეცეს ავი კრუხი, გვამუშავებ ჯორივით, ვედრა უნდა დაგაფარო, მერკასიკოს ცოლივით. გამიტკბა და სულ მაგას ვმღეროდი. დამპალი ეგა!

„ახლა მოვრჩი „გზის“ შესუნთქ-შესრუტვა-გასიგრძეგანედებას და... ჰმ! არ მეყო... ჰოდა, გადმოვალაგე „გზის“ არქივი და შევუდექი კითხვაას... ნოსტალგია მომეძალა... ეგ კი არა და, აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა ამბის გაგრძელება და დასასრული სრული თანმიმდევრობით მხსომებია. რამდენ ისტორიას, გულისტკივილიან თუ მხიარულ ამბავს იტევს ეს პანანინა ფურცლები და რაოდენ საყვარელია ისინი ჩემთვის და ალბათ ყველა მგზავნელისთვის. ეს სიყვარული მოიმატებს „გზის“ ნომრებივით, ამ ნომრებში მოთხრობილი ამბებივით და გაგრძელება უკიდევანოდ... ხომ ასე იქნება, მარ? დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება, თუ ისევ ის სიტბო დაისადგურებს, რომელიც ადრე იყო და თუ მგზავნელები აღარ მოუშლიან ერთმანეთს ნერვებს. ვიქნებით ასე მშვიდად, უშფოთველად, გავიზრდებით, გავმრავლდებით და... მთვეელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით... თქვენი SWEET-GIRL“.

„ამას წინათ, ვირტუალურ სივრცეში ვმოგზაურობდი, სადაც ერთმა ადამიანმა მომწერა, შენი ნიკი მეცნობა და „გზაში“ ხომ არ ამესიჯებო? დავაჭყიტე თვალები, მარა რა დავაჭყიტე! ჰოოდა, აღმოჩნდა, რომ თავადაც მგზავნელი ყოფილა. ბევრი ვისაუბრეთ თუ ცოტა, ნომრები გავცვალეთ. მან კი მგზავნელების და მარ, შენი ფოტოები მაჩვენა. ნუ, რა დამემართა?! წარმოდგენას არ გირჩევთ. „გზის“ ფურცლებიდან მას კიდევ ერთხელ ვუხედი მადლობას იმისთვის, რომ ის ზღაპრული სამყარო და ამ სამყაროს გმირები გამიცოცხლა, რომლებიც წლების მანძილზე მყავდნენ მეხსიერებაში. მეც იმ ზღაპრის გმირი ვიყავი? მკითხა გულუბრყვილოდ. — აბა რა-მეთქი, ვუპასუხე და იმედია, ეს ზღაპრის გმირები ისეთივე უმანკოებით გადმოვლენ და გაცოცხლდებიან ჩემს რეალობაში, როგორც მართლაც და ზღაპარს შეეფერება. იმ ზღაპარს, რომელსაც „გზავნილიორკი“ ჰქვია. ხვალ ბათუმში მოვდივარ და გნახაავ! ბაჭიებო, უსაყვარლესები და ულამაზესები ხართ. SWEET-GIRLS ამ პატარა გულით უკიდევანოდ უყვარხართოო“.

„მიყვარდა... მიყვარდა მასში ის ძლიერი სული, რომელიც ასე ძალიან მაკლდა ცხოვრების მძიმე პერიოდში. მან არ დაინანა და მეც მიწილადა, თავისდაუნებურად... მაშინ, როცა ზოგიერთ „მეგობარს“ საერთოდ არც კი გავხსენებოვარ, ის სულ გვერდით მყავდა და საარსებო ძალას მაძლევდა. მერე რა, თუ კილომეტრები გვაშორებდა ერთმანეთს? მისი ერთი ზარიც კი სიცოცხლის ერთ წელიწადს უდრიდა ჩემთვის. მერე... მერე ვილაც-ვილაცების შეთითხნილი ჭორების გამო გადავწყვიტე, გავმქრალიყავი მისი ცხოვრებიდან... ახლა გვერდით მყავს კარგი ადამიანი, რომელსაც ვუყვარვარ და ვცდილობ, იმავეთი ვუპასუხო. რაც შეეხება „იმას“, დღემდე მიყვარს და პატივს ვცემ, როგორც განუმეორებელ ადამიანს, მაგრამ თავს აღარასოდეს შევახსენებ. მითუმეტეს, რომ ალბათ ახლა აღარც კი ვახსოვარ.

● ასე აჯობებს... P.S. გამომშვიდობებასავით გამომივიდა, სიხარულო, არა? არა უშავს, ამასაც მოეველება... გაკოცე ცხვირუკაზე (რომ იცოდე, როგორ მენატრება ეს სიტყვები). რიცა“.

● „გზის“ გამოსვლის დღეს, დილის 8 საათზე უკვე „სასოფლოში“, ვიჯდები გამოცდაზე. ეჰ, თქვენ არ იცით, ეს რა მძიმე ტვირთი ყოფილა... მარიკუნა, იცი, რა გასაჭირში ვარ? მთელ წელს რომ წიგნებთან გაატარებ და ელოდები გრანტს... რა ჩემ ჭირად გაატარებ ეს სწავლა? სულ მაგას ვეკითხები საკუთარ თავს, მაგრამ ამაოდ... მე ხომ ნიკა არ ვარ, თანაც — გვარამია... მოკლედ, თუ ბედმა გამილიმა წელს, ჩემი სახით კიდევ ერთი ნიჭიერი უურნალისტი გვეყოლება. წარმატებები! ბუზლუნა“.

● „ერთ ზამთარს ძალიან დიდი თოვლი მოვიდა და თოვლს მონატრებული მთელი უბანი გარეთ გამოიშალა. გამონაკლისი არც მე და ჩემი დაქალები ვყოფილვართ. ჰოოდა, ვსრიალებთ ამ სარკესავით გაპრიალებულ-გაყინულ გზებზე და ჰოი, საოცრებავ, ერთი ჩავსრიალდი და თოვლის გუნდასავით დავგორდი ბირჟისკენ, სადაც ძალიან ბევრი ბიჭი იდგა. ისე საყვარლად გავიშოტე, ისე საყვარლად... რომ დამინახეს, ვერ გაეგოთ, გაეცინათ თუ არა. ბოლოს, ერთმა ბიჭმა წამომაყენა. სირცხვილი კი არ ვჭამე, ცვლაპე. ლა-ლოლა“.

● „სირცხვილი იყო, ბურთს რომ გავეკიდე და ბიჭების გასახდელში შევევარდი. ანდა, დედაჩემმა „ლოვეს“ თანდასწრებით მამა რომ მაგინა (ნუ, მთვრალი იყო და ეპატიება). T & C“.

● „ეს ადრე, შორეულ ბავშვობაში გადახდენილი სირცხვილია: კახეთში ვისვენებდი. ერთ ჩვეულებრივ, მზიან დღეს, მაგრად დაგვცხა და ბავშვები საბანაოდ წავედით. ჰოოოდა, შუა ბანაობის დროს, ერთ-ერთი ჩემი „კეთილის მსურველი“ უკნიდან მომეპარა, წკაპ და... „პლაკვა“ კოჭებზე „მაცვია“... რაც მე მაშინ გადავიტანე... გამახსენდება კახეთი, ცხელი მზე, მღვრიე მდინარე, თუთებში ბურთის თამაში და გოლი — საკუთარ კარში. :) დათო“.

● „სირცხვილი მაშინ ვჭამე, როცა ერთხელ ჩემმა მეზობელმა ქალმა მითხრა, აბანოში ქათმებს ვტოვებ და საქმელი დაუყარეო. მეც წავედი დილით, გავალე აბანოს კარი და რას ვხედავ? მისი ქმარი „დუშის“ ქვეშ დგას და იბანს. სასწრაფოდ გამოვვარდი გარეთ და იმ დღეს მისი ქათმები არც გამხსენებია, სირცხვილით. გერასიმე“.

**„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „მამალი ქალი“. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: [marorita77@yahoo.com](mailto:marorita77@yahoo.com) რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „ჩემი აზრი „გზავნილების“ საქველმოქმედო აქციასთან დაკავშირებით“.**

# ემპაჯის მოქიჯური

დასაწყისი — „გზა“, №38-26

## მარი ჯაფარიძე

შინ რომ მივედი, შვებით ამოვისუნთქე... ასე მეგონა, საიქიოდან დავბრუნდი-მეთქი. თან დედა და მამა მომყვნენ. დედა ისე ზრუნავდა ჩემზე, თითქოს ბავშვობიდან მისი გაზრდილი ვიყავი.

ჩემი გამზრდელი მშობლები მახსენდებოდნენ. ნუგზარს უნდოდა, საავადმყოფოდანვე მათთან, ლენინგრადში წავსულიყავი, მაგრამ უამრავი საქმე მქონდა მოსაგვარებელი და ვერ დავტოვებდი მოსკოვს.

მელანო დივანზე იწვა და თაბაშირიანი ფეხი ზემოთ ჰქონდა შემოდებული. რომ დამინახა, თვალები გაუბრწყინდა.

— უტა, ერთი წუთით შეიძლება, შენი ყურადღება მივიპყრო? — გიგამ დამიძახა მას შემდეგ, მელანო რომ გადავკოცნე და მოვიკითხე.

ოთახში შევეყვი.

— ყველანაირად ვეცადეთ, ნიცას და მელანოს ერთმანეთი არ ენახათ. ასე რომ, ახლა უკვე შენ იცი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. ჩვენ ცდა არ დაგვიკლია და შენ როგორ მოახერხებ, ერთმანეთს დაუმალე, არ ვიცი.

— თქვენი იმედი მქონდა, — მხარზე ხელი მოვუთათუნე გიგას, — ახლა რამეს მოვახერხებ...

ექიმმა შინიდან გასვლა კიდევ რამდენიმე კვირის განმავლობაში ამიკრძალა. დედა არ გავუშვი შინ. ნუგზარი კი წავიდა, რადგან საქმეები დაუგროვდა. კარგად ვგრძნობდი თავს დედის გვერდით. მშვიდად და იმედიანად ვიყავი. მე და მელანოს ერთნაირი მზრუნველობით გვეკიდებოდა. მელანოსა და ჩემი წარსულის შესახებ თავად მოვუყევი ყველაფერი.

მალე გავიდა 1 თვე.

მელანოც ადგა ფეხზე და სამსახურშიც წავიდა. სწორედ ასეთ დროს ვიბარებდი ნიცას ჩემთან და მასთან ყოფნის უინს ვიკლავდი.

დედა მსაყვედურობდა, ასე არ შეიძლებაო,

მეუბნებოდა, ორივე ქალს ატყუებო, ნერვიულობდა და როგორც ქალი, ქალის პოზიციას იცავდა, მაგრამ მე, როგორც შვილს ვერ მლაღატობდა და საიდუმლოს მინახავდა.

ჩემი თბილისელი მეგობარი, დათო, რომელმაც საავადმყოფოში ცოლთან ერთად მომინახულა, აღარ გამოჩენილა. მხოლოდ ტელეფონზე მეკონტაქტებოდა, ხანდახან. ერთ დღეს კი შევთანხმდით, რომ საღამოს შინ მესტუმრებოდა.

სახლში მხოლოდ მე და გიგა ვიყავით. დათო კვლავ ცოლთან ერთად მოვიდა. ეს ქალი რალაცნაირად, მომწონდა, მაგრამ თავს შემოვუძახებდი ხოლმე, რომ მისკენ თვალი არ გამპარვოდა. ის ხომ ჩემი მეგობრის ცოლი იყო... მაგრამ მისი შიშველი მუხლისთავეები თითქოს თავისკენ მიხმობდნენ და რამდენჯერმე თვითონაც შენიშნა, რომ ხარბი მზერით ვაკვდებოდი მის თეთრ კანს. ამას სულაც არ დაუკომპლექსებია. პირიქით, ფეხები ოდნავ გაშალა და თითქოს მანიშნა, თუ მოინდომებ, იმაზე მეტს დაინახავ, ვიდრე ახლა ხედავო...

ამის მერე მართლა არ გამიხედავს მისკენ. ქალი ეშმაკზე ადრეა დაბადებული და არაა გამორიცხული, რომ მართლაც გაცდუნოს.

კარგა ხანს ვისაუბრეთ და უკვე გვიანი იყო, როდესაც წასვლა გადაწყვიტეს. ის იყო, დერეფანში გავყევი გასაცილებლად, რომ კარი მელანომ შემოაღო. სტუმრებს ზურგიდან ვხედავდი, მაგრამ მელანოს სახეზე აღბეჭდილი შოკი კარგად დავინახე. ცოლ-ქმარი გახევდა. მე ერთიანად დავიძაბე.

დათომ ჩემკენ მოიხედა. მისმა ცოლმა კი მელანოს კეფაზე თმაში ჩაავლო ხელი და კბილებში გამოცრა:

— რაო, მეძავებმა მოსკოვამდეც ჩამოაღწიეს? თბილისში ფული აღარ იშოვება? თუ ყველა კაცი მოიარე? აქ რა გინდა, შე გათახსირებულო? აქაც ჩემს ქმარს ჩამოჰყევი? — ამას ამბობდა და თან თმაზე მთელი ძალით ექაჩებოდა. მელანომ რალაცნაირი, უხერხული მოძრაობა გააკეთა, მისი ხელებისგან თავი რომ

დაეხსნა და თვითონ სწვდა თმაში.

როგორც იქნა, ქალები გავაშველეთ. მე სტუმრებს გარეთ გავყევი.

— უტა, ბოდიშს გიხდი, — ჩაიბურტყუნა ქალმა და კიბეზე დაეშვა.

მე და დათო ერთმანეთს პირისპირ შევრჩით.

— არ მოველოდი, ამ ძუკნას აქ თუ შევხვდებოდი, — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა.

— რა იყო, რა მოხდა?

— მაგ კახპამ ლამის ოჯახი დამინგრია. ერთხელ გავყიძე და იმის მერე ველარ მოვიშორე. არადა, რა ჯანდაბად მივედი იმ დღეს ჩემს ძმაკაცთან, იმან მოიყვანა ქალები და ერთ-ერთი ეგ იყო. მერე ქეთიმაც გაიგო ყველაფერი და ერთმანეთი მაშინაც მაგრად განენეს.

— აბა, ამიხსენი ერთი, რას ნიშნავს, ქალები მოიყვანა?

— რას ნიშნავს და „პუტანკებს“ დაუძახა. შენ რა, არ იცი, რომ ეგ ქალი ფულს იღებს?

— კარგი, გასაგებია, — ვთქვი და შინ შევბრუნდი.

— აქ რა უნდა მაგას? — მომამახა დათომ, მაგრამ პასუხი არ გავეცი.

— კარგად, დათო, სხვა დროს შევხვდებით, — კარი უცერემონიოდ მივუხურე ცხვირ-ნინ.

მელანო ისევ დერეფანში დამხვდა. ცალი ფეხსაცმელი გაეხადა და ხელში შერჩენოდა... თავჩაქინდრული, კედელზე მიყრდნობილი იდგა. თმა სახეზე ჰქონდა ჩამოშლილი. ასე რომ, მის სახეს ვერ ვხედავდი.

ჩემს დანახვაზე ოთახში შევიდა და დივანზე ჩამოჯდა. გიგა მაშინვე გარეთ გავიდა. მიხვდა, რომ ამნუთში ზედმეტი იყო.

— აბა, რას მეტყვი? — ვკითხე და თვალეში ჩავხედე.

— ეს არაა რთული... პირველად ჭირს... ერთხელ თუ გადადგამ ნაბიჯს, მერე მორჩა, — რალაცნაირად, ნელა და ხმადაბლა დაიწყო ლაპარაკი. შევნიშნე, როგორ ჩამოუგორდა ცრემლი და კალთაზე დაენვეთა, — პირველად ზიზღის გრძნობა გეუფლება, მაგრამ ამაზე არ ფიქრობ... მერე მოდიხარ სახლში, აბაზანაში ნვები და... სირცხვილს, სხვა კაცის ხელებისა და ტუჩების ნაკვალევსა და ჭყჭყს ერთად ჩამოირეცხავ... მერე მიეგდები ლოგინზე და იტირებ, მაგრამ ხვდები, რომ თავის გადასარჩენად სხვა გზა არ გაქვს და ტირილით საქმეს ვერ უშველი...

— მერე? — კბილებში გამოვცერი.

— მერე ამას ეჩვევი, სამსახურივითა... ყოველდღე გადიხარ გარეთ და როცა ბრუნდები, გული ცარიელი გაქვს, მაგრამ ჯიბე და უბე გაქვს სავსე... შეურაცხყოფილად თავს აღარ გრძნობ, რადგან იცი, რომ შეურაცხყოფილი თავად ისაა, ვინც ფულს გიხდის... მაგრამ ეს მხოლოდ შენ იცი, სხვამ არავინ და აღარც გაინტერესებს, ეცოდინება ეს ვინმეს თუ არა...

— ეგ შენი მორალია და

შენი აზრი თუ ყველა მეძავი შენსავით ფიქრობს?

— უტა, გთხოვ...

— რას მთხოვ, რას, იმას, რომ გაგიგო, თურმე ახლა მე და შენ კი არა, შეურაცხყოფილი ის მამაკაცები არიან, ვისაც შენთან სექსი ჰქონია და ფული გადაუხდია; ის, რომ მომატყუე თუ ის, რომ ბავშვობის ოცნებები დაამსხვრიე?

— გააფთრებული ვიყავი და თავს ძლივს ვიკავებდი, რომ მელანოს ფიზიკურად არ გავსწორებოდი.

— მე ნავალ, — თქვა მელანომ და ფეხზე წამოდგომა დააპირა.

— ვერსად ვერ ნახვალ, — წინ გადაველობე, ხელი ვკარი და დივანზე დავაგდე, — ამის მერე ძალიან მკაცრი კონტროლის ქვეშ იქნები და უჩემოდ ნაბიჯსაც ვერ გადადგამ!

— უტა, უკვე 2 წელია, რაც...

— კარგი! აღარ მინდა მაგაზე ლაპარაკი!

— ყურებზე ხელები ავიფარე და ლამის ავტირდი...

არადა, როგორი უმანკო იყო, როგორი ბავშვური და სუფთა. დედამისის ბრალია, საფლავიდან ამოვთხრი და მის ძვლებს დავწვავ!

### აბაზანაში წვეები და....

### სიხცვილს, სხვა კაცის ხელებისა და ტუჩების ნაკვალევსა და ჭყჭყს ერთად ჩამოირეცხავ...

ამ დროს გიგა შემოვიდა და დამნაშავე ბავშვივით კართან აიტუზა. გვერდი ავუარე და გარეთ გავედი. ახლა არავის დანახვა და არავისთან ლაპარაკი არ მსურდა.


ქუჩას გავუყევი და ვერ გადავწყვიტე, ნიცასთვის დამერეკა თუ არა. ახლა ყველა ქალი მოლაღატედ მეჩვენებოდა და მეგონა, რომ სანამ ავად ვიყავი, ნიცაც მლაღატობდა.


„ოლონდ ეს არა!“ — გავიფიქრე შემოფოთებით და ის იყო, ტაქსი უნდა გამეჩერებინა, რომ ჩემ წინ მანქანამ დაამუხრუჭა.

— ხომ არ შემოგვიერთდები, ძმაო? — ქართულად, მაგრამ რალაცნაირი აქცენტით მითხრა ვილაცამ. დავიხარე, რომ დამენახა, ვინ იყო ამ სიტყვების ავტორი და უეცრად, თვალეში რალაცამ გაანათა. ხელები ავიფარე და უხამსად შევიგინე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

თუ შვილი ცუდია,  
ან ის არ არის შვილი,  
ან შენ აღარ ხარ  
მისი თანამშრომელი





# მობილი-ზაცია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ს  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა  
ნ



1. სერიოზული ურთიერთობისთვის, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი წესიერ და ნორმალურ ადამიანს, 42 წლამდე. ვარ 35 წლის.
2. ვარ 40 წლის, გასათხოვარი. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გამოემხმეაუროს 48 წლამდე ასაკის მამაკაცი, რომელიც არ ყოფილა დაოჯახებული. სასურველია, იყოს იმერელი.
3. ვარ 30 წლის, საკმაოდ მომხიბვლელი მანდილოსანი. გავიცნობ სიმპათიურ მამაკაცს.

მ  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა  
ნ



4. ქალბატონებო, ბიძა მყავს მარტოხელა და უცოლო, 53 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით შეეხმიანეთ.


5. ვარ 38 წლის, უცოლო მამაკაცი. ვცხოვრობ ერთ-ერთ ინდუსტრიულ ქალაქში. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალაქში მცხოვრებ, ბინით და მატერიალურად უზრუნველყოფილ, 35 წლამდე ასაკის ქალბატონს, რომელიც თანახმა იქნება, სიძედ მიმიღოს თავის ოჯახში. იყოს თუნდაც განათხოვარი ან ქვრივი და ჰყავდეს ერთი მცირეწლოვანი შვილი. სასურველია — გოგონა. ვარ ზრდილობიანი და პატიოსანი ადამიანი. არ ვწვევი, არ ვსვამ და მფლანგველი არ ვარ! კარგი ოჯახის შექმნა მინდა, შემეხმიანეთ!
6. მყავს ძალიან კარგი ბიძა, სამსახურით, ავტომობილით და სახლით უზრუნველყოფილი, 55 წლის, ცხოვრობს თელავში. გამოემხმეაურეთ, სურს ოჯახის შექმნა.
7. ვარ 32 წლის. გავიცნობ 24-28 წლის გოგოს. ვარ 177 სმ სიმაღლის, ცოტა შავგვრემანი, არ ვარ მსუქანი. გელით.
8. ვარ 31 წლის, იმერეთის სოფელში მცხოვრები, მაღალი, გამხდარი, სამსახურით უზრუნველყოფილი, ენერგიული ბიჭი. ვეძებ სიმპათიურ ქალიშვილს, მხოლოდ ლამაზი, ძლიერი ოჯახის შესაქმნელად.

ს  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა  
ნ



9. ვარ 35 წლის, 182/78, უცოლო მამაკაცი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ პატიოსან, გასათხოვარ, გამხდარ, მაღალ, 25-32 წლამდე ასაკის, თბილისელ ან რუსთაველ მანდილოსანს.
10. ვარ 41 წლის, ცოლს გაცილებული მამაკაცი. მყავს 3 წლის გოგონა. გავიცნობ 30-35 წლის, ქართველ მანდილოსანს, ვინც გამიგებს და ვისაც გავუგებ.
11. ვარ დასაოჯახებელი, 37 წლის, რაიონიდან. გავიცნობ 33-37 წლამდე ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით.
12. იტალიელ ემიგრანტს: დამიკავშირდი. დანარჩენი — პირადად! მარ, ეს არ დაბლოკო და დაბეჭდე. აბა, ჰე. ენიგმა.
13. ვეძებ მეგობარს, საინგილოდან, ისა მამედოვს. სწავლობდა ზოოვეტში. ვთხოვ, დამიკავშირდეს ან თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ, გამოემხმეაურეთ.
14. ვეძებ გაგას (გვარი აღარ მახსოვს). ჩვენ ერთად ვემზადებოდით 2007 წელს, ქალბატონ ნანა ფანცხავასთან, ინგლისურში. გაგა, თუ კითხულობ ჟურნალ „გზას“ ან ვინც გაგას იცნობს, გთხოვთ დამეხმაროთ მის პოვნაში. ჩვენთან ერთად ემზადებოდა ლაშა, დათო და ანი. გაგა, საბერძნეთში რომ არ ვიყო, გიპოვიდი, მაგრამ იმედი მაქვს, განახავ! უკარება.

ს  
ა  
ნ  
ა  
ნ  
ა  
ნ



- უცნობო მეგობარო, გული გამითბე, ასე თბილად რომ მომიხსენიე. მთვარე ძალიან მიყვარს, შოკოლადი „ლუნაც“. ტირიფო, შენი გული სითბოსა და სიყვარულის ღირსია. ლუნა.
- ბელო, რას ვიზამ სიხარულო, შინაბერობასაც ვითავსებ. მთავარია, თქვენ გაგახალისოთ და საინტერესო იყოს „გზავნილები“. გკოცნით, გფერებით,

თქვენი შინაბერა ლუნა.

• მგზავნელებო, ყველანი კარგები ხართ და ნუ კამათობთ, ყველას გაქვთ რალაც დადებითი და შეეცადეთ, ეგ დაინახოთ ერთმანეთში. სიამოვნებით ვიმეგობრებ თქვენთან. CERRY.

• ჩემს გამახარე ადამიანებს, მგზავრს, გრუზის, ლუნას, კამის, მადლობა მოლოცვისთვის. სულის ყვირილამდე მიყვარხართ. უფლის მადლი არ მოგკლებოდეს, ჩემო გულო. ტირიფი73.

• ვიტალი ჩოჩიევი, „დედას“ ძალიან ენატრები. მიყვარხარ, ჩემო თბილო შვილო. გკოცნის თამო დედა.

ჩვენც გვენატრები? ეშმაკუნ, რა ვქნა ახლა? რა საფიქრალში ჩამაგდე... რატომ დამაყენე არჩევნის წინაშე? აბეზარას და ჩუპის მოკითხვა. დუჩი.

• ოსვალდ, ხვდები, რა ხდება? ზოგიერთები სხვის პირადულში ნამეტანი აფათურებთ ხელებს! ფრთხილად, პანუკებო! ხშირ შემთხვევაში, ხელები ძირში ემტვრევათ! დუჩი.

• იმას არ ვეძებ, ვინც დამიკარგავს, არც მას ვეძებდი, რაც მიპოვნია... ის, ვინც სიცოცხლეს ლამაზად ქარგავს, მასთან სიკვდილი მონაგონია. მე — მე ვარ! დათო.

იელოველებიც იქ მოიკითხე. დუჩი, ჯიგარი ხარ. ოლეგარიო.

• 9717, ვგიჟდები მაგ ლექსზე და მისი დაბოლოება ასეთია: ნაყოფიც მისი არის, ვინც ნორჩი ნერგი დარგო, ეს სიყვარული დიდი, შენ შემასწავლე, კარგო... საოცარი ლექსია. ნინო.

• ზაზა, ძალიან მენატრები, უშენოდ მონყენილი ვარ, სულ შენზე ვფიქრობ და მინდა, რომ მალე გნახო. შენ დამიბრუნე ცხოვრების ხალისი. მიყვარხარ ძალიან.

• აპ, აპ, აპ, თაის, მაგაში არ გეთანხმები. რაც მართლა გულით და სულით გიყვარს, არასდროს და არაფერი მოგბებრდება! ჯერ სიყვარული ვისწავლოთ, ხალხო. აი, რა გეჭირია! ლიმონა.

• მარი, შენი ნომერი გამომიგზავნე, რა... მუშვან ხია? იმა სიმაკ ხი?


• სასიამოვნოა და სახალისო, თქვენთვის თვალყურის დევნება. გადავწყვიტე, შემოგიერთდეთ და უფრო გავიმრავალფეროვნო ყოფა. თან — თქვენ გვერდით მიგულეთ! :) სარვიეტა.

• იქნებ მითხრათ, რა თანხაა საჭირო სმს-ის გასაგზავნად, უურნალ „გზაში“? ძალიან გთხოვთ, მიპასუხეთ.

• რა სიმარტოვეა, ამდენი ხალხმრავლობა... შენ იქნები ჩემი ხალხმრავლობა, თუ კი ხარ ულამაზესი ქალი, როგორც გარეგნულად, ისე სულით და გულით. თუ ძალგის ჩემსავით უჭვრიტო მშვენიერებას, დააფასო სიმართლე, კეთილშობილება... მაშ, დავამარცხოთ სიმარტოვე და გავხდეთ ხალხმრავლობა. კაი?

• როგორ ხართ, ჩემო კარგებო? პატარა ჩუპის — დიდი, ლიმონას კი ტკბილი მოკითხვა! ვერმახტ, ხალხს თავი ნუ მონატრე! მომენატრეთ და გკოცნით, თქვენი ღვთის გლახა.

• რა საოცარი ქმნილებაა ადამიანი, თავისი გონებითა და შესაძლებლობებით! ქალბატონო მარი, თქვენ შემოქმედებით ცოცხალი სამყაროს მშვენიერება ბრძანდებით. დავლოცავ მაგ შენს გენიას, რადგან დიდებულ საქმეს მიაგენი, „უურნალში უურნალი“ „შობე“ და ის გონიერ მგზავნელებს მიანდე. დაგვათვრე შენი სიტბოთი, გაგვიღე გულის კარები, მომწონს დედოფლად რომ გთვლიან, მაგ



ლენინი კრუიზში

• სიკვდილავ, შე უცოდინარო ბავშვო, „გზავნილებში“ გვაჩვენე შენი თავი, შე ენაგრძელო. გამარჯობის თქმა ისწავლე, თავხედო. დაფასებული მეზობელი.

• კამ-კამ, რა გჭირს, სად დაიკარგე? 9717, გაიხარე! ივლისის 4-ში ლიმონას, 6-ში — ჩუპის, 11-ში — რეალს, 22-ში — იკჩოს, 24-ში ლუნას ვულოცავ იუბილეს. მრავალს დაესწარით. აბეზარა.

• სესი, გაკოცე. შენც საყვარელი ხარ. როგორ ხართ, საყვარლებო? 9717, გმადლობ მოკითხვისთვის, ჯიგარი ხარ! ლიმონ, უნიჭიერესი ხარ, საყვარელო, გაკოცეთ ყველას. სოფი19.

• ცუნცულ, ვინ ხარ? იქნებ,

• შავო რამაზა, მენატრები, დე. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. თამთა დარდობს, რომ არ დარეკე. გელოდები.

• ქედს ვიხრი ღვთის გლახას პოეტური ნიჭის წინაშე. კაფიის სულიერი და ხარ, ქალ. ყველა კაი ხალხს იასამანის და თოლიას ჩათვლით, მოვიკითხავ დიდი სიყვარულით. ლიმონა.

• ელექტრას მგზავნელობა და რამდენიმესი მესმის, მაგრამ სიკვდილას, დუჩის, ნიკოლს, სესის, GREEN-GIRLS და კიდევ რამდენიმეს მგზავნელი ჰქვია? პარიზის შვილი.

• იელოველი? არა, ძამი (თუ დაი), რალაც გეშლება. მე ეგ „საგუშაგო კოშკი“ არასოდეს წამიკითხავს. ვინც კითხულობს,



ნიჭში გენაცვალე! თქვენით მოხიბლული ნანი.

• მალე განვიმდებ, წვიმა ნალვლიანი წყლით ნოსტალგიას შველის. ზეცა ატირდება, სითბო მენატრება, ნახვა მომინდება შენი. ვდგავარ ფანჯარასთან, სევდა მომეძალა, დარდმა წამიშალა ფერი. მე შენს მოლოდინში სული დამელია და მაინც უსასრულოდ გელი. შმაგი. ათენი.

• გაინტერესებთ სახელი ზვიანგის წარმოშობა? ზვიანგი 1 წლისაა! ჩვენი წარმოსახვით ის ნიანგისა და ზვიგენის ნაჯვარია. აი, ჩვენ კი საიდან „მოვთხარეთ“ ეგ სახელი: ხობში ერთი გოგო იყო, უზარმაზარი ლიპი

ჰქონდა. ის ჩვენი სასტავიდან ერთს ევასებოდა, ჩვენ კი — არა. გვინდოდა, მისთვის ეგ გოგო შეგვეძულებინა და ვეკაიფებოდით: ნიანგია თუ ზვიგენი? როგორი პირი აქვს?! ააა... ეგ ნიანგისა და ზვიგენის ნაჯვარი, ზვიანგია-თქო :-)) მას მერე იმ გოგოს ზვიანგად მოვიხსენიებთ. ზვიანგი ხობში 1 წელია, გუგუნებს :-)) აი, ასე, ჩემო კარგებო თქვენი მგელო მოვიდააა. გკოცნით და გეხუტებით. მარორიტ, ქუგახუტოლ :-)) დამიბეჭდე, უძალიანესად გთხოვ, საბას გაფიცებ :-)) მეგრელი მგელო!

• ლამის ჟურნალ „გზის“ დაარსების დღიდანვე ვკითხულობ „გზავნილებს“, მაგრამ რატომღაც, დღემდე არც მიფიქრია, რაიმე მომეწერა. მე შორიდან გაკვირდებოდით, დიდი ინტერესით :). ალბათ, ახლა ლოგიკური კითხვა გაგიჩნდებათ: ახლა რატომღა მოგვწერე? პასუხი მარტივია: არ ვიცი! როგორც წესი, თქვენს მესიჯებს ვკითხულობდი. ჰოდა, ჩემდა უნებურად, ტელეფონი ავიღე და აჰა, „დაგიესემესეთ“ :). ბამბუჩა.

• არ დამვიწყებხართ, უბრალოდ, დაკავებული ვარ და ვეღარ გწერთ. წინა ხუთშაბათს ჩემი ბიძაშვილის, ოსი ლიას მესიჯი ვნახე, რომელიც საბერძნეთიდან გვწერდა მესიჯს. ამან გული ამიჩუყა. გეფერები გულში, შორიდან. მოვიკით-

## მკვდარი მკვდარს აეკიდა



ხავ იდუმალ და სევდიან ქალს. ირმა 91-ს, ლუნას, ლიმონას, გაცოცხლებულ თოჯინას, გრუზინკას, ოლეგარიოს, ენიგმას, ბერბიჭას, კამელიას. ყველას გკოცნით და გეალერსებით. ქალი ცდუნება.

• ძალიან მწყინს, რომ „გზას“ ერთმანეთის გულის სატკენად იყენებთ. რა საჭიროა ვიღაცის საჯაროდ გალანძლვა, შეურაცხყოფა. ამით რისი დამტკიცება გინდათ? არავინ არავიზე ნაკლები არაა, ყველას თავისი ადამიანობა გააჩნია. მე ძველი „გზა“ უფრო მომწონდა. მინდა, მხიარული მგზავნილებითა და იუმორით დახუნძლური, ძველებური ჟურნალი, რომლის წაკითხვა გვამშვიდებდა და გვახალისებდა, რომელსაც რამდენი ხნით მაინც გადაყვავდით იმ სამყაროში, სადაც შური, ბოლმა და სიძულვილი არ იცოდნენ, მაგრამ დღეს... მგზავნილებო, იმედია, გამოსწორდებით და საკუთარს საქციელზე ყველანი დაფიქრდებით. მარი, დამიბეჭდე, გთხოოოვ... ფლამინგო.

• პირველ რიგში, მინდა, მოვიკითხო ჩემთვის საყვარელი ქალი, მარი ჯაფარიძე და მერე რა თქმა უნდა, მგზავნილებიც. მართლა ძალიან კარგები ხართ და უფრო გამშვენებთ ლამაზი იუმორი, ბევრი ქათინაური. გეფერებით ყველას. ნესტანი.

• 17 წლის ვიყავი, როცა ერთ ბიჭს მოვეწონე. გიო 21-ის იყო, მაშინ... დღე ერთი იყო და

ჩემი „არა“ ათასჯერ ესმოდა, მაგრამ რად გინდა?! ჰოდა, ერთ „მშვენიერ“ დღეს თავის ბიძიკუნასთან ერთად მესტუმრა ოჯახში და ჩემს მშობლებს ჩემი თავი (ხელზე გართულება არ მაქვს) სთხოვა.

• პრივეტ, მარ, როგორ ხარ? მე „გზის“ მუდმივი მკითხველი ვარ, მაგრამ იშვიათად გწერ... 31 დეკემბერს გავიცანი სოსო, მერე ხშირად ვნახულობდი. მეგობრები არ გვერქვა, უფრო სხვა რაღაც ტრიალებდა ჩვენ შორის. მერე გაიგო, რომ მიყვარდა და... ახლა უბედური ვარ, რადგან არ ვუყვარვარ... რა ვქნა? არადა, სხვაზე ფიქრი არ შემიძლია...

იმედია, მიმიღებთ... გკოცნით!!! გუძიელა.

• კახელო, სად დაიკარგე? დათოს გეფიცები, ვჯავრობ შენზე. იქნებ, განყენინე რამე? გთხოვ, შემეხმინე.

• მარი ჯაფარიძე, ღმერთმა დაგლოცოს. ემიგრანტებს ბევრ სიყვარულს გვჩუქნი, შენი შემოქმედებით. გაიხარე და გაძლიერდი. ქართველი ბიჭი.

• დუჩ, ჭორიკანებზე რა განერვიულებს? საერთოდ, იმაზე ჭორაობენ ხოლმე, ვინც კარგია. ახლა წარმოიდგინე, რა მაგარი ყოფილხარ?! ისა და, ჭორიკანებო, არ გინდათ, მეც მიმჭოროთ და ენა მოიფხანოთ? მთლად ჩემი ნიკის იმედზეც ნუ იქნებით, ისეთი ეკლები მაქვს ზღარბივით, რომ მთელი წელი აღარ აგეჯავებათ ენები, გპირდებით... აბააა! SWEET-GIRL.

• „გზა“ რომ ჩემი სიცოცხლის ელექსირია, ეგ არახალია, ძველია, თუმცა, დღეს პირველად გწერ... 15 მაისს მე-12 კლასმა მიიხურა სკოლის კარი. მინდა, მათ მთელი საქართველოს გასაგონად ვუთხრა: მიყვარხართ და უკვე მენატრებით! თქვენ სხვა ხართ, თქვენდარი ვინ არის! მარი, შენ კი უბრალოდ, კარგი ხარ და მორჩა! პერსეფონე.

• გამარჯობა, ჩემო კარგო მარი, ახლა წავიკითხე „ანდერძით დატოვებული გული“ და ძალიან მომეწონა. მარი, რა

კარგად წერ... გაკოცე ბევრი. გერასიმე.

• გიო, მებუტებიი? და რატომ, ეგ მაინც მითხარი, რააა... ჩქარა, თორემ ჰა, ახლა ვისკუპე „გზის“ ფურცლებიდააან... SWEET-GIRL.

• აუუ, მაიკლ ჯექსონი რომ დაგველუბა, ჩემი საყვარელი მომღერალი იყო. არ დამიჯერებთ და ეგ ამბავი რომ გავიგე, დამამშვიდებლები დამჭირდა. მადონა და გაი რიჩი რაც გაიყარნენ, მას მერე დეპრესია აღარ მქონია და ახლა დამემართა. მაგრად განვიცადე მარ, სანყალი კაცი (კაცი?!). მართლა მაგრად მენყინა, ისე მენყინა, რომ ახლა მუსიკას ვუსმენთ და მაგრად ვცეკვავთ. აი, ასე განვიცადე. მშვიდად განისვენე მაიკლ, შენ სულ ცოცხალი იქნები ჩვენს გულეში. ალალი იყოს შენთვის მშობლიური ხაშურის მიწა. 9717.

• ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო, მართლაც რომ დიდი ყოფილა სამგზავნელო. ყოფილა შენირული, ყოფილა ბაო-ბაო, ნელკა, ლეო, რუსკა, კაკუ ახლაც გზაობს, ყოფილა გერასიმე, ყოფილა ფინტიკოზა, რასაც მოჰყოლია ბოხოს გზავნილ-პროზა. ყოფილა კარდიოლოგი, მესიჯომანი, ჰანიბალი, ყოფილან მეგრელ-მგელო და ლანკა კანიბალი, ყოფილა ლუციფერი, ჩუქჩა, მაფიოზა, ნელკა, როზი, მიშკა, გრაფ-ზურა დაილოსტაა... ფიე, სამგზავნელოს ჰყოლია მკითხველები, ვერარას დაითვლიდა მიშკოს მრიცხველებიც, მაგრამ უცაბედად აურნალი მოფერილა და ძველთა მაგივრად ახლები მოფრენილან, ჩემთვის პარიჟანკა მერცხალი პირველი, რასაც მოჰყოლია ილინი ძირძველი, ტურფა სამგზავნელო ბერძნებშიც წაუღიათ, კობრას და ათენელებს მით ძმობა გაუყვიათ, ბათუმში, თელავში ლხენისგან უცრემლიათ, იქაურ მგოსნებსაც ლექსები უწერიათ, დროთა სვლას აყოლილან GREEN-GIRL (კაკ დელა დარაოგოი), სიკვდილა, დუჩი, ჩუპი, თოლია, დამავოი. ნიკოლს და ჩორი-ჩორის, ბოას და კამელიას, ლორეს და სანზონსკისაც რატომღაც ჩასთვლემია, რა დროს ძილიაო, გაახილეთო თვალეები, ლექსად მოვარდნილან მეგრელი ქალები, სევდიანი, იდუმალი, ცდუნება და კიდევ სხვები და „გზა“ უმაღალაღამაზდა იასამნის მესიჯე-



თურმე მაშინაც იცოდნენ სექსი...


ბით. ჩემო თვალნათელო, ჩემო სანატრელო, ახლაც ხომ დიადია ჩემი სამგზავნელო. ამ ლექსით გაგვიმარჯოს ძველებს და ახლებსაც, თხა — თხაზე მეტსა და თხა — თხაზე ნაკლებსაც. ლიმონა.

• ბიჭოო, ეს მარშრუტის მძლოლები, რა... დღეს ახმეტაში ვიყავი, გაიტენა ხალხით მარშრუტკა, მარა რად გინდა? არ აპირებს წასვლას. ვილაც ქალმა გაალო კარი და დასჭექა: — ცხელ-ცხელი ფენოვანი ხაჭაპურიი! — ცოტა ხანში სხვა მოვიდა: — გემრიელი პონჩიკებიი! — ახლა სხვამ გაალო კარი: — გემრიელი კარტოფილის პერაშეებიი! — ჰოდა, აქ მიმტყუნა ნერვებმა და მძლოლს ვუყვირე: — ე, ბიჭო, სავსეა მარშრუტკა და რალას უცდი, აუცილებლად შილაფლავი უნდა ჩამოატარონ, რომ წავიდეთ-მეთქი? ჰოდა, კი იკადრა მაშინ წამოსვლა. ტვინი მომეხიბლა უკვე, რააა. თან რა სიცხეებია?! ზურაბიშვილმა ტყუილად კი არ თქვა, ამინდსაც სააკაშვილი განაგებსო. გა-და-დე-ქიი! 9717.

• მარი, ჩემი გაშვებული შანსი ის იყო, რომ იგორ ანდრევიჩს, ექიმ-გინეკოლოგს მოვწონდი, მე კი იმისთვის დავინუნე, რუსი რომ იყო და 15 წლით უფროსი. არადა, მთელ ცხოვრებას ფუფუნებაში გავატარებდი, მაგრამ ამ გაშვებულ შანსს მე არ ვჯავრობ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი


მეუღლე მხატვარია და მოგესენებათ, მხატვრების რთული ცხოვრება. მე მასთან ბედნიერი ვარ და რუს იგორს ხანდახან თუ გავისვენებთ, მე და ჩემი მეუღლე. გერასიმე.

მეუღლე



• ერთი დიდი თხოვნა მაქვს. მინდა, დამიბეჭდო ეს წერილი. გოგო მიყვარს და პირისპირ ვერ ვეუბნები. თქვენი საშუალებით იქნებ გავებდო და ვუთხრა: ნანა, მაგრად მიყვარხარ, უკვე დიდი ხანია. იმეღია, არ გამიბრაზდები.

მინდა



• ნანა კიკაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, დედისთვის ერთად.

• მინდა, დაბადების დღე მივულოცო სოფიკო გონგაძეს, ხაშურიდან და ვუსურვო ჯანმრთელობა, კარგად სწავლა.

გკოცნი და გეფერები თინიკო ბიცოლა, ათენიდან.

• მარი, სიხარულო, ამ წერილს ათენიდან გწერ. ძალიან კარგები ხართ ორივე — შენც და „ჟურნალი ჟურნალშიც“. მინდა, „გზის“ საშუალებით დაბადების დღე მივულოცო ჩემს შვილიშვილს: სერგუნი, ბებოს სიხარულო, გილოცავ დაბადების დღეს. დედიკოს და ბებოს სიხარულო, სასახელო და ბედნიერი ბიჭი გამეზარდე. გკოცნით ძალიან ბევრს. დედიკო და მაგული ბებო, ათენიდან. მარი, წინასწარ გიხდით მადლობას.

• დედ-მამისა და მამიდას სიხარულს და სიყვარულს, ძვირფას, სანატრელ სალომე ჩოხელს დაბადების დღეს ვულოცავ, ათენიდან. სიხარულო, სასახელო და საამაყო ყოფილიყავი მთელი შენი ცხოვრება. უფალი გვარავდეს. ყოველთვის გაგეხარებინოს მშობლების გული. დიდი სიყვარულით, ზოია მამიდა.

• ბაიკო მსხვილიძე, დედის პირველი მერცხალო, გილოცავ 27 ივნისს, შენს დაბადების დღეს. წელს ხომ 15 წლის გახდი. ასევე, ვულოცავ ზურა ბიძიას ოქროს იუბილეს. გვარავდეთ უფალი, ძვირფასებო. გაიხარეთ, თქვენი კეთილის მსურველებით. ეკა.

• 24 ივნისს, ჩემს მონატრებულ შვილს, თემურ დევიძეს დაბადებიდან 8 წლის იუბილეს ვულოცავ. ნატო დევიძე, ათენიდან. გკოცნი.

• ნიკა ჯანელიძეს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერ ბავშვობას. გაზრდილიყოს სასახელო ბიჭი. მენატრები და მიყვარხარ, ჩემო პატარავ, ნეტავ, მალე გავიდეს წლები, რათა თქვენთან დავბრუნდე. ჩემო პატარა სიცოცხლეებო, გკოცნით ბევრს, ათენიდან. თქვენზე უზომოდ შეყვარებული დედა.

• ჩემს საყვარელ შვილიშვილს, დაჩი დუგლაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 29 ივნისს. გაიხარდე, ბებო, ჯანმრთელი, დღეგრძელი და ბედნიერი, შენს ძამიკოსთან ერთად. გესახელებინოს მშობლები და ყველა ახლობელი. გკოცნი ძალიან ბევრს და როცა ჩამოვალ, ერთად ვიზიემოთ დაბადების დღეები. ჩაგეხუტეთ გულში, შენ და ნიკას. თქვენი ბებო, სალონიკიდან.

• დაბადების დღის იმ ღამეზე ღამეს, შენი აკვანისთვის ღმერთს უკოცნია, დიდხანს სი-

ცოცხლე შენთვის ცოტაა, დიდი სიცოცხლე დამილოცნია. ეს მილოცვა ეძღვნება ჩემს დაიკოს, სედა აგაჯანოვას. შენი დაიკო, მზია, ათენიდან. იმედია, საქართველოში დაბრუნება მალე შეიძლება. გკოცნით ყველას. მიყვარხართ, გაიხარეთ. მპუაა.

• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ ადამიანს, სედა აგაჯანოვას. ვუსურვებ გახარებას და ღამაზე ცხოვრებას, ქმარ-შვილთან ერთად. გკოცნით და მიყვარხართ. მზია, ათენიდან.

• რუსთავში მცხოვრებ მანანა ლომიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 ივნისს. ბედნიერებას და უღვევ სიხარულს გისურვებ, ჩემო მანჩო. სიყვარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი. გაიხარე, შენს დაჩისთან და ყველა ახლობელთან ერთად. გკოცნი. მენატრები და მიყვარხარ. სალონიკიდან, დარეჯანი.

• ჩემს საყვარელ დისშვილს, რომკა ალიმბარაშვილს ვულოცავ 4 ივლისს, დაბადების დღეს. გენაცვალოს დეიდა, ჯანმრთელი და სასახელო ბიჭი გაზრდილიყავი, ჩემო საყვარელო. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გკოცნი და გეფერები შორიდან. ირმა დეიდა, ათენიდან.

• გამარჯობა და გამარჯვება არ მოგიშალოს ღმერთმა, ჩემო კარგო. მე იმერეთიდან ვარ, მაგრამ დუხჭირმა ცხოვრებამ ემიგრანტად მაქცია. ახლა ათენში ვარ. ჟურნალ „გზას“ ყოველთვის ვკითხულობ და კითხვისას ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს, ჩემს ქვეყანაში ვარ. ვკითხულობ, მაგრამ რატომღაც, თქვენთვის არასდროს მომიწერია. ალბათ, გაგიკვირდება, ჩემო უცნობო, მაგრამ ჟურნალის წყალობით მაინც ნაცნობო მარი და მკითხავ — ახლა რატომღა მწერო? ახლა იმიტომ გწერ, რომ თხოვნა მაქვს. 1-ელ ივლისს ჩემი შვილი 9 წლის ხდება და მინდა, მას ეს დღე თქვენი მეშვეობით მივულოცო. ღმერთმა გაგახაროს და გაგაძლიეროს.

• ჩემს ბუხუნხულა მეგობარს, დალი სიხარულიძეს, 28 ივნისს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარულო, მრავალს დაესწარი ჯანმრთელად და ბედნიერად, შენს ღამაზე ოჯახთან ერთად. მპუა, შენი მავა.

## ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

# გაყიდყდი „პლაშით“ ნაყიდი მედიკონიადყხი ეკვა

მაისის ბოლოს მარტვილში გახლდით, სტუმრად. სამეგრელო ჩემთვის უცხო მხარეა და ბუნებრივია, რაიონული ცენტრის დათვალყერება გადაწყვიტე. მით უმეტეს, რომ 26 მაისი გახლდათ (დამოუკიდებლობის დღე) და ვიფიქრე, იქნებ რაიმე ღონისძიებაც ტარდებამეთქი. ცენტრში ერთად შეგროვილ ხალხს მოვკარი თვალი. აღმოჩნდა, რომ 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალს დგამდნენ. ეტყობა რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ცოტა მოგვიანებით მოეგვარებინა ეს საქმემეთქი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ საქმის ინიციატორი ერთი ჩვეულებრივი ადამიანი, კერძო პირი, ზურაბ ბიგვავა გახლდათ. თვითონაც იქვე იყო და სამუშაოს ხელმძღვანელობდა.

## მარი ჯაშარიძე

— ბატონო ზურაბ, 9 აპრილის შემდეგ 10 წელი გავიდა. ახლა რატომ გადაწყვიტეთ ამ მემორიალის დადგმა?

— როდესაც გასული საუკუნის 80-იან წლებში ეროვნული მოძრაობის ტალღა აგორდა, მარტვილის რაიონში მე ავიღე ინიციატივა, რომ ხალხს სათავეში ჩავდგომოდი და ეროვნულ საქმეში მონაწილეობა მიგველო. მიტინგებისა და შიმშილობის პირველივე დღეებიდან აქტიურად ვმონაწილეობდი ყველა ღონისძიებაში. როდესაც 9 აპრილს თბილისში მიტინგი დაარბიეს, ძალიან განვიცადე და ვინანე, რომ იმ დროს იქ არ ვიყავი... ძალიან დიდი სურვილი მქონდა, მარტვილის ცენტრში 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისათვის მემორიალი დამედგა, მაგრამ მოგესხნებათ, მაშინ ქვეყანასაც უჭირდა და ხალხსაც... გულმა არ მომიტმინა, ჩემი „პლაში“ გავყიდე და მომცრო ქვა ვიყიდე, რომელზეც დავანერე — „აქ დაიდგმება 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი“. მაშინ ჩავიფიქრე, რომ ცოტაოდენ ფულს ვიშოვიდი თუ არა, აუცილებლად მოვიყვანდი ჩანაფიქრს სისრულეში. ეს დღეც დადგა. მართალია, ძალიან ბევრი ფული არ მაქვს, მაგრამ გამოვნახე საშუალება, რომ საქმე ბოლომდე მიმეყვანა. ხალხს მუდამ უნდა ახსოვდეს იმ ადამიანების სახელები, რომლებმაც საქართველოს თავისუფლებას საკუთარი სისხლი და სიცოცხლე შესწირეს.


— წელან ისიც მითხრეს, რომ მარტვილში ძველი ეკლესიის აღდგენასაც აპირებთ.

— მარტვილში არა, ჩემს მშობლიურ სოფელში — ტალერში. აქვე ცოტაოდენ ისტორიულ ექსკურსსაც შემოგთავაზებთ. ჩემი სოფლის სახელი ცოტა უცნაურად მოგეჩვენებათ. მოგესხნებათ, ტალერი მსხვილი ვერცხლის მონეტაა, რომელსაც XVI-XIX საუკუნეში, ევროპასა და საერთაშორისო ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. XIX საუკუნეში სამეგრელოში მიურატების შთამომავლებმა ბანკი დააარსეს და ხე-ტყის



ბიზნესიც წამოიწყეს, სადაც მეგრელი ხალხი იყო დასაქმებული. მუშების ხელფასს კი სწორედ ტალერით იხდიდნენ. ბანკი ჩვენს სოფელში მდებარეობდა. როდესაც გლეხები ხელფასის ასაღებად მიდიოდნენ, ამბობდნენ, ტალერში (ტალერზე) მივდივართო. მას შემდეგ ამ ადგილს ტალერი დაერქვა. სასაფლაოს ტერიტორიაზე წინათ ეკლესია ყოფილა. ის ადგილი ნაგვითა და ღორლით იყო დაფარული. ერთ დღეს სოფლის მოსახლეობა დაირაზმა და ეკლესიის ნანგრევები გავწმინდეთ. რამდენიმე სატვირთო მანქანა დასჭირდა ნაგვის გატანას. ახლა ვცდილობთ, არქივიდან მოვიპოვოთ მასალა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ, როგორი ტიპის ეკლესია იყო აქ წინათ, რომ ზუსტად ისეთი ავაშენოთ. საქმეში არქიტექტორები და ისტორიკოსები ჩავრთეთ. ჯერჯერობით ვერაფერს მივაკვლიეთ, გარდა ეკლესიის ბეჭდისა, რომელიც ჩვენს სოფელში, ერთ-ერთ ოჯახში ინახება. მათი წინაპარი ამ ეკლესიის მსახური ყოფილა და ბეჭედი შემორჩა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ჩემი მონადინება და ფინანსები ვერ გასწვდება ამ საქმეს და თუ დახმარების მსურველი გამოჩნდება, დიდ სიკეთეს გასწევს.

ამ ცხოვრებაში  
გვემლო ჩავიამა,  
ჩ.ი. მას ამ სჭიმღები





# მამაკაცებს კდოსხვებდ სახეხარები ჟანს

საყვარელო, რატომაა, რომ ოთახში მიმოფანტული ჩემი წინდები უნესრიგობაა, ხოლო შენი უსარგებლო „ფინტიკრუშეები“ — ინტერიერის ნაწილი?

რატომაა, რომ ჩემ მიერ მაცივარში დატოვებული ცარიელი თეფში გაკვირვებს, ხოლო შენ, წვნიანი დიდი ქვაბიდან მომცროში, რომ გადაგაქვს, შემდეგ პატარაში და ბოლოს — ემალის ჯამში, ეს არავის უკვირს?

რატომ ხარ დარწმუნებული, რომ ელექტრიკოსის ან სანტექნიკოსის დიპლომი მაქვს?

რატომ ბრაზდები, როცა ქვაბში ინტერესით



ვიყურები ან მაშინ, როცა შენი კულინარიული მიღწევებით არ ვინტერესდები?

რატომ უნდა მომწონდეს ანჯელინა ჯოლი, როცა პამელა ანდერსონი უფრო მომწონს? მერე რა, რომ შენ მას ვერ იტან?

როცა დაღლილი ვარ, რატომ მელაპარაკები

სარკაზმით? და ჩემს დასანახავად, როცა ავად ხარ, სახლის დალაგებას რატომ იწყებ?

რატომ ხმარობ ჩემს გასაპარს ქაფს?

როცა ჩემს ნივთებს გადაარჩევ და ზოგიერთ მათგანს გადაყრი, შემდეგ რატომ აფახულებ თვალებს მიამიტად, თითქოს შენ არაფერ შუაში ხარ?

რატომ მოითხოვ ყოველ დილით, შენთან ერთად ვეძებო შენი სავარცხელი?

რატომაა, რომ სახლიდან გასვლის წინ, 1 საათს სარკესთან ატარებ, მერე კი მსაყვედურობ, რომ ყოველთვის ჩემი ლოდინი გინევს?

რატომ ცოფდები, როცა ჩემს მოჭრილ ფრჩხილებს ნოხზე აღმოაჩენ? როგორ ფიქრობ, თმის ღერი წვნიანში, ნორმალური მოვლენაა?

რატომ რეცხავ შენს წინდებს თეთრ პერანგთან, ხოლო ჩემსას — იატაკის საწმენდ ჩვართან ერთად?


რატომ ხარ დარწმუნებული, რომ სააბაზანოს შეწუნული სარკე ჩემი ნამოქმედარია?

რატომ მოითხოვ, რომ ჩემი ჰანტელები გადაყარო, როცა შენი ჟანგიანი საკერავი მანქანა უქმად დგას კუთხეში?

რატომ გიყვარს შუალამისას იმის გარკვევა, მიყვარხარ თუ არა?


რატომ ეუბნები მეგობარს დღეში ორჯერ, რომ გასუქდი და ვარჯიშისთვის დრო არ გაქვს?

რატომაა, რომ როცა მაღაზიიდან ვრეკავ და გვეკითხები, რა მოვიტანო, მეუბნები, არაფერი გვჭირდებაო, ხოლო შინ მოსული, აღმოვაჩენ ხოლმე, რომ არც კარტოფილი გვაქვს და არც პური?



თუ ცხობილგის დინებას მიჭყუებ, შმასლია იცყოქ

# კრთხვები სახვახვი მამაკახს



რატომ მისწრებ? ფინიშთან ბოლოს მისვლის გეშინია?

როდესაც ტელეფონზე ჩვენი შვილების მშობლებს კითხულობენ, მე რატომ მანვდი ყურმილს?


როცა რამეს აკეთებ, მე უნდა მოგეხმარო. რატომ?

რატომ გგონია, რომ თუ გალიზიანებისას თავს შეიკავებ, ეს მამაკაცური საქციელი არაა?

როდესაც ყველა ქვაბს ახდი, რატომ მეკითხები, რა გვაქვს ვახშმად?

თუ ტელევიზორთან ჩაგეძინება და ჩემს საყვარელ სერიალზე გადავრთავ, მაშინვე რატომ გელვძება?

თუ სახლში რამე გატყდა, რატომაა ჩემი ბრალი და თუ რაიმე შენ გაგიტყდა — ბავშვების?



საყვარელო, რატომაა, რომ შენს ტელეფონში 125 ქალის და მხოლოდ 20 მამაკაცის ნომერია? შენ ხომ მამაკაცთა კოლექტივში მუშაობ?

რატომ ვერ ამჩნევ, რომ ნაგვის ვედრო ხშირად ივსება?

რატომ ბუზღუნებ იმის გამო, რომ დანები დავაჩლუნგე?

რატომაა, რომ როდესაც რაიმე მნიშვნელოვან თემაზე ლაპარაკი მსურს, მეუბნები, არ მცალიაო, თუნდაც ამ დროს რეკლამას უყურებდე?

კითხვაზე — „როგორ გამოვიყურები“, რატომ მპასუხობ ისე, რომ არც შემომხედავ?

რატომ გგონია, რომ თუ შემწვარ კარტოფილს ტაფიდან ხელით შეჭამ, უფრო გემრიელი იქნება?

რატომ ფიქრობ, რომ ჩემში საძიებო მოწყობილობაა „ჩამონტაჟებული“ და შემიძლია, შენი მანქანის გასაღები, სანთებელა და საბუთები ვიპოვო?


კარადაში რატომ ვერ პოულობ პერანგს, როცა ის ცხვირწინ ჰკიდია?

როცა ერთად მივდივართ, ყოველთვის წინ

რატომაა, რომ თუ ავად გახდი და სიცხემ აგინია, საშინლად ოხრავ, მაგრამ მაინც გგონია, რომ რემბო შენთან შედარებით ნამდვილი ლანირაკია?

რატომ გგონია, რომ როცა გალიზიანებული ვარ, ამაში დამნაშავე შენ კი არა, შვილები ან ჩემი შეფია?

*ცხოვრების თავიდან დაწყება მძიმე შედეგს, საერთოდ ამ დაჯიხურებად*



# საზღვარგარეთი იტალიური „პოლიტიკა“ და პოლიტიკით დასაწყობი ორი წელიწადი

სტატისტიკას თუ გადავხედავთ, გაჭირვების გამო საქართველოდან გაქცეულთა შორის, სუსტი სქესის წარმომადგენლები ქარბობენ და ეს არცაა გასაკვირი — უცხოეთში ბავშვებისა და მოზუცთა საპატრონოდ ასარჩევ ადამიანებზე რომ მიდგება საქმე, ქართველ ქალებს ანიჭებენ უპირატესობას. შედარებით ცოტანი არიან ქართველი მამაკაცები, ისინი ან მშენებლობაზე მუშაობენ, ან მანქანის შემკეთებლებად, არც სხვა შავ სამუშაოს თავილოებენ, ოღონდაც სამშობლოში დარჩენილ ოჯახებს მატერიალური კეთილდღეობა არ მოაკლონ. ასეა თუ ისე, ყველა ემიგრანტს თავისი მიზანი აქვს. ბევრი უცოლშვილო ახალგაზრდა წასულა საზღვარგარეთ, თუნდაც იმ მიზნით, რომ დამოუკიდებლად იპოვოს საკუთარი ადგილი ცხოვრებაში და აი, ერთ-ერთი მათგანი **გიორგი თარხნიშვილია**, რომელიც საკუთარ ემიგრანტულ გზაზე მოგვითხრობს...



## ანი აბულავა

### არშემდგარი მსახიობის რომაული „არდადეგები“

ერთი უბრალო ნახალოვკელი, მსახიობობაზე მეოცნებე ბიჭი ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ემიგრაციაში მოხვდებოდა. გიორგი თარხნიშვილი სოსუმის უნივერსიტეტის ფილიალში, ინფორმატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ეს სპეციალობა მისი „სტიქია“ ნამდვილად არ იყო. კომპიუტერთან საათობით ჯდომას, ისევე სცენაზე გამოსვლა ერჩივნა, მაგრამ ოცნებას ფრთები ვერ შეასხა. ღმერთი სწამდა და გაჭირვების მიუხედავად, უკეთესი მომავლის იმედი ჰქონდა. ფერისცვალების ეკლესიის სტიქაროსანს, დამოუკიდებლად, საკუთარი სტაბილური შემოსავლით ცხოვრება იზიდავდა; აქ რომ ვერ მონახა სამსახური, იტალიაში წასვლა გადანწყვიტა. ამას საფუძველიც ჰქონდა: მისი და ნინო იმ დროისთვის უკვე იტალიაში იმყოფებოდა...

### ქართველი კონკიას მღაპარი

მცირე გადახვევას გავაკეთებ და ფილოსოფოს თუკიდიდეს გამონათქვამს მოვიშველებ: „ამბავს მოგიტხრობთ გარნა ისეთს, ზღაპრით მოგეჩვენებათ...“ ნინო თარხნიშვილი ლაკვილაში ერთ იტალიელ მოზუცებულ ქალს უვლიდა და ენის უფრო ღრმად შესწავლა სურდა. მოზუცი იტალიელი მასწავლებლად ნამდვილად ვერ გამოადგებოდა, მაგრამ ნინომ მის ჩიფჩიფში ცოტა რამ მაინც ისწავლა. შემდეგ იყო ფესტივალი და... ფაბრი ლანიე, იტალიელი ახალგაზრდა, რომელიც ნინომ ამ ფესტივალზე გაიცნო. ერთი სიტყვით, „საცა არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი“-ს პრინციპით, ნინო და ლანიე მალევე დაქორწინდნენ.

### ისევ ქართველი თუ გაგიგანს

ორი წლის წინ ჩვენი რესპონდენტი ვეროპის უძველეს ქვეყანას ესტუმრა. ჯერ პესკარაში ჩავიდა, მაგრამ ზღვისპირა ქალაქის უჩვეულო სილამაზით აღფრთოვანებულმა მალე ლაკვილაში გადაინაცვლა. ხალხიც მალევე გაიცნო, იტალიელებიც და მასაგით ემიგრანტები — მოლდავეთიდან, უკრაინიდან და, რაღა თქმა უნდა, საქართველოდან. ქართულ სიბოხსა და სიკეთეს შეჩვეულმა გიორგიმ აღმოაჩინა, რომ იტალიელებთან მხოლოდ სამსახურებრივი ურთიერთობებით უნდა შემოფარგლულიყო, იმასაც მიხვდა, რომ ემიგრაციაში ყოფნისას, ისევ და ისევ, ქართველი თუ გაიგანდა. ავი, თავიდანვე

ასეც მოხდა: ქართველი ქალბატონი დაეხმარა ახალწასულს — ემიგრანტმა დარეჯან ხახალაშვილმა ის საკუთარი შვილივით მიიღო.

„ამ ქალბატონმა დიდი დახმარება გამინია, უცხო გარემოში ცხოვრების ფერხულში ჩამაბა და, რაც მთავარია, ყველაფერს უანგაროდ მიკეთებდა. თანაც სრულიად განსხვავდებოდა საქართველოდან ლუკმაპურის საშოვნელად ჩასული ადამიანებისგან...“ — ამბობს გიორგი თარხნიშვილი. დაბინავებისთანავე, გიორგი სწავლასა და პარალელურად, მუშაობასაც შეუდგა. ლაკვილას მთავარ მოედანზე მალაზიაში გამყიდველად მოეწყო. ეგონა, ენობრივი ბარიერის გამო მუშაობა გაუჭირდებოდა, მაგრამ მოინდომა და შეძლო. ნელ-ნელა ნელში გაიმართა, ბინაც იქირავა და კაპიტალის დაგროვებაც დაიწყო, მაგრამ...

### ერთი ღამის კომპარი

ერთმა ღამემ იტალიაში ჩასვლის დღიდან განუული შრომა წყალში ჩაუყარა. ორიოდე თვის წინ საშინელმა მინისძვრამ მინასთან გაასწორა ლაკვილა. „ღამის 3 საათი იქნებოდა, კედლებმა რყევა და რღვევა რომ დაიწყო, შემინებული გარეთ გამოვვარდი და საშინელი სანახაობა დამხვდა: შენობები დანგრეულიყო, საცოდავად მოზუზული ხალხი ქუჩაში იდგა; მინისქვეშა ბიძგები 3 საათი გრძელდებოდა. ვიდექი ამ დანგრეული ქალაქის ქუჩაში და ღმერთს შევლას ვთხოვდი. ლაკვილა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იმავე ღამეს დატოვა, მეც მალევე წამოვედი იქიდან...“ გიორგი 2 თვე პრაქტიკულად, უმუშევარი იყო, სულ ახლახან დაბრუნდა ლაკვილაში და ისევ თავის საქმიანობას მიჰყო ხელი.



დასთან ერთად

### ქუთაისური ანეკდოტი და იტალიური თევზაობის თავისებურებანი

გიორგი ლაკვილაში ემიგრირებულ ქართველთა შორის, ერთდერთი მამაკაცი იყო, დანარჩენი ორმოცამდე ქალბატონი კი ძირითადად — ბავშვებისა და მოხუცების მომვლელებად მუშაობდნენ. ერთ ახალჩამოსულ ქალბატონზე გიორგის სხვა ქართველებისგან ჩუმად გაეგო, რომ საბუთები წესრიგში არ ჰქონდა. გადაწყვიტა, გახუმრებოდა. ერთ დღეს, იტალიელი სამართალდამცველივით წინ აესვეტა და საბუთები მოსთხოვა. ქუთაისიდან ჩასულ მანდილოსანს ისე შეეშინდა, ქართულად უთქვამს — რაის საბუთები?!

გიორგის თევზაობა უყვარს და „თანამოაზრეები“ იქაც მალევე გაიჩინა. ერთხელაც, თევზაობისას შეამჩინა, რომ იქვე იტალიელი მეთევზეები დაჭერილ თევზებს უკან, წყალში უშვებდნენ. კი გაუკვირდა, მაგრამ არც მათთვის უკითხავს რამე და არც თევ-



რომში, ლედის და დის მასპინძლობისას

ზების უკან გაშვებით შეუწუხებია თავი, სამაგიეროდ, თევზეული მიირთვა გემრიელად. დღემდე მაინც ვერ გაუგია, რატომ ყრიდნენ იტალიელი მეთევზეები ნადავლს ისევ წყალში.

### მონაგრებული ქართული წირვა

გიორგის სამშობლო ენატრება, ქართული წირვა ესიზმრება, მაგრამ სურს, რომ საქართველოში რაღაც კაპიტალითა და კარგი ცოდნით დაბრუნდეს. ემიგრანტს ნოსტალგია, იტალიაში შვილების სანახავად ჩასულმა დედამ შეუშუსუბუქა. იტალიელი სიძე სენტიმენტალური მზერით უყურებდა ქართველი დედა-შვილის ალერსს...

## პარაქანების წავროხის უოფიცი კანდიდატი, რომელიც შიამისაზრითან ქიქარა მუშაობდა

ლელო ჟიჟიაშვილი პროფესიით მხატვარია და მუდამ იმაზე წუნუნებს, რომ ხატვისთვის დრო არ რჩება. სამაგიეროდ, ხშირად შესვდებით სხვადასხვა სიტუაციაში: უცხოელებთან, რომელიმე ქართველ თანამედრობის პირთან ან მის ცოლთან ერთად. ბოლო საპარლამენტო არჩევნებში კი, ყველას გასაოცრად, ლეიბორისტული პარტიდან ბოლნისის რაიონში კენჭს იყრიდა და მანდატის მოსაპოვებლად იბრძოდა. იმ რაიონში გამარჯვება „ნაციონალმა“ იზვიმა, ლელომ კი უცხოეთში წასვლა გადაწყვიტა და ინგლისს მიაშურა. არც იქ უცხოვრია მშვიდად. ემიგრანტი ბედმა გაია მისისაზრის ოჯახში მოახვედრა და მანამდე ამ პოლიტიკოსის მიმართ სიმპათიით განწყობილმა, ოპოზიციონერი სულ სხვა თვალთ დაინახა.

### მარი ჭაშარძემ

— როდესაც არჩევნები წავაგე (თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, მოვიგე), ახლობელს შევეცმიანე და ვთხოვე, — იქნებ, სამსახურის შოვნაში დამეხმარო-მეთქი. შემპირდა, მაგრამ ნორმალური სამუშაო ვერაფრით გამომიძებნა — ამაში ხელი ასაკმა და ინგლისური ენის არასაკმარისმა ცოდნამ შემიშალა. ვინაიდან ასაკს ვერაფერს ვუშველიდი, გადავწყვიტე, ენის შესასწავლად ინგლისში წავსულიყავი. სასწავლო ვიზა მივიღე და ოქტომბერში გავმგზავრე კიდეც. ენის ასათვისე-



ლელო ჟიჟიაშვილის სურათთან

ბლად კოლეჯში სიარულის გარდა, სამსახურიც უნდა მომეძებნა. ვფიქრობდი, რომ ხალხთან კონტაქტი გაცილებით გამოიოლებოდა სწავლის პროცესს. ჩემი ნათესავის წყალობით, რომელიც უკვე დიდი ხანია, იქ ცხოვრობს, სამსახური ვიპოვე — ერთ-ერთი სოლიდური სასტუმროს საბანკეტო დარბაზში, მიმტანად ვმუშაობდი, მაგრამ ვინაიდან სასტუმროს მენეჯერი პორტუგალიელი იყო, პირველ რიგში, თანამემამულეებს ასაქმებდა, შემდეგ — ასაკოვან ინგლისელებს და თუ კიდევ დასჭირდებოდა მიმტანები, ჩვენც გვეძებდა. ეს კი იშვიათად ხდებოდა, რის გამოც, ფაქტობრივად, უმუშევარი ვიყავი... ერთხელ გაზეთში ვნახე განცხადება, რომ კოსმეტიკურ ფირმას გამოფენისთვის კონსულტანტები სჭირდებოდა. დავრეკე. ქალბატონმა მიპასუხა და მითხრა, რომ ადგილები უკვე შევსებული იყო. შეეთავაზე, — უხელფასოდ ვიმუშავე-მეთქი.

— ასე რატომ უთხარო?

— ვიფიქრე, ენას მაინც გავიტენ-მეთქი.

— მიგნივის?

— ჯერ კი გაიოცა, მაგრამ შემდეგ დამიბარა. მეორე დღეს მივედი. სასწრაფოდ გამიკეთა მონაშობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ 4 დღე მათი თანამშრომელი ვიქნებოდი. იქვე გოგონები იდგნენ, რომლებსაც ვიდრე სამსახურში აიყვანდნენ, გასაუბრებია უნდა გაეცლოთ. ერთმა ფრანგმა გოგონამ ჩემს ინგლისურს „უკბინა“: — დამსაქმებელმა თუ იცის შენი „დანგრეული“ ინგლისურის შესახებო? — კი, იცის და მიუხედავად ამისა, მე უკვე თანამშრომელი ვარ-მეთქი, — ვუთხარი.

— რა შედიოდა შენს მოვალეობაში?

— გამოფენაზე მოსული კლიენ-



წინასაარჩევნო კამპანია



ტებისთვის მაკიაჟი უნდა გაგვეკეთებინა და შემდეგ, ვისაც პროდუქცია მოეწონებოდა, იყიდდა. მაკიაჟის არაფერი გამეგებოდა, მაგრამ როგორც მხატვარმა, ამ საქმეს მწვენივრად გავართვი თავი და 4 დღის განმავლობაში ყველაზე მეტი პროდუქცია გაყვიდე. ჩემი მუშაობით ისეთი კმაყოფილები დარჩნენ, რომ ბოლოს, 140 გირვანქა სტერლინგი ხელფასიც კი გადამიხადეს. ხშირად დავდიოდი „სოთბის“ აუქციონზე, სადაც უნიკალური ნივთები გამოჰქონდათ გასაყიდად და მათი დათვალიერება სიამოვნებას მანიჭებდა. საერთოდ, ინგლისელები დიდად მორწმუნეები არ არიან. შესაბამისად, ეკლესიაში იშვიათად დადიან, ისიც — იქაურობის დასათვალისწინებლად. აუქციონზე ვნახე ქანდაკება, რომელსაც ერქვა: „დედა შვილს ლოცვას ასწავლის“. მაშინ მივხვდი, რომ ამის თქმა ყველა ინგლისელზე არ შეიძლება. ერთ დღეს რუსი მხატვრების სურათების აუქციონი იმართებოდა. უცვრად, ერთ ნახატზე სვანური ქუდი შევნიშნე. დავაკვირდი და მასზე გამოსახულ ადამიანებზე გუდაშვილისთვის დამახასიათებელი თვალის ჭრილიც შევნიშნე. ახლოს მივედი და მართლაც, გუდაშვილის „სალამო“ იყო, მაგრამ რატომღაც, ეწერა, რომ რუსი მხატვრის გახლდათ. მომსახურე პერსონალს ვუხმე და ვუხსენი: გუდაშვილი ქართველი იყო და აქ რუსი არ უნდა ეწეროს-მეთქი. ბოდიში მომიხადეს, მაგრამ წარწერა დატოვეს. სურათი 400 ათას გირვანქა სტერლინგად იყო შეფასებული. იქვე ერთი უცნაური სურათიც ვნახე — მწვანედ შეღებილი ტილო 3 ადგილას, დანით იყო გაჭრილი და 200 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირდა.

**— აქედან ჩასულ ქართველებს არ ეკონტაქტებოდი?**

— ემიგრანტებთან ურთიერთობა მეც მქონდა. მათ ერთმანეთთან კავშირი სულ აქვთ, ღონისძიებებს, შეხვედრებს აწყობენ და უმეტესობა ერთმანეთს იცნობს. რაც შეეხება სტუმრად ჩამოსულ ქართველებს, მათ მშობლიური ენის გაგონება მაინცდამაინც არ ახ-

არებთ. ჩემი მეგობარი, მარი ხურციძე ერთ-ერთ პრესტიჟულ მალაზიაში მუშაობს. ტელეფონზე ქართულად ლაპარაკობდა, როდესაც იქ ლევან გაჩეჩილაძე შესულა. თუმცა, ლევანს მშობლიური ენის გაგონებაზე რეაქცია არ ჰქონია — მან ერთ-ერთ სექციას მიაშურა და ყველაზე ძვირად ღირებული საფულე შეიძინა, შემდეგ კი მალაზია ისე დატოვა, ქართველ გოგონას არც გამოლაპარაკებია. ლონდონში გავიცანი 102 წლის ემიგრანტი, ალექსანდრე ბესტაგაშვილი. ის სიცოცხლით ალსავსე ადამიანია და როგორც თავად მითხრა, 1929 წელს ჩასულა ინგლისში. ბატონი ალექსანდრე ქართველების მიერ მოწყობილ ყველა ღონისძიებაში მონაწილეობს და მის გარეშე არც ერთი შეკრება არ ჩაივლის ხოლმე.

**— ბოლოს და ბოლოს, ინგლისური ენა ისწავლე?**

— საფუძვლიანად ვერ შევისწავლე, რადგან სუფთა ინგლისური თითქმის არც გამიგონია, ძირძველ ბრიტანელს იქ იშვიათად შეხვდები. როცა სამშობლოში ჩამოვედი, ჩემს ინგლისურს მცოდნე მეგობართან დავრეკე და ინგლისურად ვლაპარაკე საშინელი აქცენტი გაქვსო, — მითხრა. — სტალინი ლამის მსოფლიოს მართავდა, ქართული აქცენტით და მერა მიჭირს-მეთქი? — ვუთხარი (იციანის).

**— როგორც თავიდან ახსენე, გია მისაშვილთან, ბავშვების აღზრდელად მუშაობდი. როგორ მოხვდი ამ „გაუგუბრობაში“?**

— სამსახურს ვეძებდი და ინგლისურ საიტზე შევედი, სადაც ვაკანსიები ცხადდება. იქ აღმოვაჩინე მისაშვილების ოჯახის განცხადება, რომ ძიძას ეძებდნენ. ისინი ქალაქ სანტ-ოლბანში ცხოვრობენ. დაფურეკე და შევედრებე შევთანხმდით. ამიყვანეს. მისაშვილები კერძო სახლში ცხოვრობენ. მათ ადგილი მისალებ ოთახში, იატაკზე დაგებულ ლეიპზე მიმიჩინეს, რის შედეგადაც, სიცვიისა და სინესტის გამო, სამწვერა ნერვის ანთება დამემართა და დღემდე ვერ განვიკურნე. იმ ოთახში დღევანც იდგა, მაგრამ რატომღაც, იატაკზე

დამანვინეს. არაფერი მითქვამს... ერთ დღეს ბატონმა გიამ კაბინეტი დააღება და რალაც ნიგნები სანაგვე ურნამდე ერთად მივიტანეთ. შევნიშნე, რომ გადასაყრელ ნიგნებს შორის, „ბიბლიაც“ იყო. გაცოცხლები დავრჩი. ნიგნი ნაგვიდან ამოვიღე და ბატონ გიას ვთხოვე, რომ უფლება მოეცა, ამელო. დიდსულოვნად დამთანხმდა. 3 კვირის შემდეგ მითხრეს, რომ ჩემს გათავისუფლებას აპირებდნენ. რას ვეჭვოდი? — ოჯახები ინგრევა და ჩვენ თუ დავშორდებით ერთმანეთს, დიდი ტრაგედია არ არის, ოღონდ, როცა ჩემს გათავისუფლებას საბოლოოდ გადაწყვეტთ, 2 კვირით ადრე მითხარით, სამსახურის შოვნა რომ შევძლო-მეთქი. როდესაც დიასახლისი სამსახურში წავიდა, ბატონმა გიამ მაშინვე მითხრა, — ჩვენი სახლი უნდა დატოვო. გული მწყდება, ქართველებს ერთმანეთს გატანა რომ არ შეუძლიათ... როცა იქ ხარ, აქაურობა გენატრება, ჩამოხვალ და გული იქით მიგინევს. უახლოეს მომავალში ალბათ, ისევ წავალ საზღვარგარეთ და იქ დიდხანს დავრჩები. მოხარული ვიქნები, თუ ჩემს თანამემამულეებს რაიმეში დაგვირდები და ვინმეს დახმარებას შევძლებ.



ალექსანდრე ბესტაგაშვილთან ერთად

# იყიდება!

# იკლისის ნომერი

თქვენ სოციალური გეგმის განხორციელების მიზნით...

**№7** 7 აპრილი

**საქართველოს სახელმწიფო მთავრობის განცხადება**

პრობა

- მკობი მკობი
- მკობი მკობი
- მკობი მკობი
- მკობი მკობი
- მკობი მკობი

პრობა

- მკობი მკობი
- მკობი მკობი
- მკობი მკობი
- მკობი მკობი
- მკობი მკობი

თარგმანი

- მკობი მკობი
- მკობი მკობი
- მკობი მკობი
- მკობი მკობი

წერილები

- მკობი მკობი
- მკობი მკობი

# ერთი ვინმე ეაფლოანიძეილი



## მეა ზიგაშვილი

ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება  
შეგიძლიათ გაგვიზაროთ ელფოსტით  
gza.fantazia@gmail.com

შათირიშვილების სახლთან, ტროტუართან მიმდგარ კარმოლიავებულ „მერსედესზე“ მიყუდებული ყაფლანიშვილი სადარბაზოდან გამოშვალ ზეინაბსა და იორამს უყურებდა. იორამს სიგარეტი გაჩარა პირში და ბოლებბოლებით მოდიოდა. ამის დანახვაზე ნოდარმა ერთი გადისხარხარა და დაიძახა:

— ვაჰ, უკვე?! მოასწრო გარჭობა! გაგი-თავდა სროკი? მომილოცავს!

ზეინაბმაც გაიცინა:

— პირველი რაც იყო, მაგას ებდღვანა! ზუსტად შეასრულა გაიზობის დანიშნული ვადა. პედანტურად! იჯდა, უყურებდა საათს და წუთების ისარმაც რომ მიადლითა თორმეტს, მაშინვე ებდღვანა სიგარეტს.

— ვა-ჰა-ჰა-ჰა! მაგარი ვინმეა! ღვინოზე რა ქნა?

— კაკ ნი სტრანნო, არ გადარეულა. ძალიან უნდოდა, მაგრამ სახლში ღვინო არ აღმოჩნდა. ვისკი მოსინჯა და არ ესიამოვნა. დღეს ვაპირებდი მოტანას მაგისი მიჩვეული სარდავიდან.

— მოიცა, კაცო! ახლა სწორედ მაგ საქმეზე გავივლით. იმისთანა ღვინოებს მოვსინჯავთ, რო!

— მაინც რას აპირებ? ამისი ქეიფი და ზედმეტი დატვირთვა ჯერ არ შეიძლება.

## დასაწყისი იხ. „გზა“ № 18-26

ნებართვა რომ მიიღო, ეგ თითო-ოროლა ჭიქის მონრუპვას ნიშნავს. ქეიფამდე ჯერ ადრეა.

— არა, კაცო, რა ქეიფი! გავიაროთ ჰერზე... მცხეთა, არმაზი... ახალ-ახალი ლამაზი რესტორნებია გახსნილი. ერთი-ორგან იშვიათი ღვინოები მეგულებუა, „მვირფასი კლიენტებისათვის“ შემონახული. დავაჭამ-ნიკებთ, თითო კაი მწვანდს შევჭამთ. ეგაა და ეგა!

— მართალი გითხრა, უკვე ვწუხდები, უხერხულადა ვარ. ამდენი ყურადღება და ამდენი ხარჯი, რაც ჩვენზე გასწიე. — თქვა ზეინაბმა.

— რას ჰქვია, წუხდები! ეს რა სალაპარაკოა ჩვენში?! ბოლო-ბოლო, გარშოვიდან მეგობრები ვართ მე და ეს კაცი, მამ, აბა როგორ?! — გაიცინა, განაგრძო. — მაგასაც რო თავი დავანებოთ, საკუთარი ინტერესებიდანაც გამოვდივარ, ზეინაბ ჩემო! მჭირდება ეს კაცი საქმეში, დროზე უნდა მოვიყვანო ფორმაში. ნაშინდარში სტუმრობა ხომ გადავდე მაგის გულისთვის. ერთად მიწა ჩავიდეთ. ისტორიკოსის თვალი, ხო იცი? რას იტყვის იქაურობაზე.

დროის ამ მონაკვეთში ნოდარი და ზეინაბი ისე საუბრობდნენ, თითქოს იორამი აქვე არ მჯდარიყო და სხვაგან მყოფ ადამიანზე მსჯელობდნენ. იორამს, ეტყობა, კიდევ აწყობდა ასეთი სიტუაცია, არც უცდია საუბარში ჩართვა, თავს კომფორტულად გრძობდა და თვალბმობჭუტული, მთელი

არსებით მისცემოდა მონატრებული თამბაქოს შეუფერხებლად ბოლების სიამოვნებას.

„მერსედესი“ უკვე არმაზისხევიში მიდიოდა. ერთ ადგილას, მტკვრის მხარეს, დაბურულ ხეივანში ჩაუხვია და ფილაქნით მოგებულ პატარა მოედანზე, ძველებური ქართული დარბაზისა და მარნის წამსგავსებით ნაგებ ქვის შენობასთან — რესტორანთან გაჩერდა.

— რაჭველებსაა. ძმები არიან: ბიძინა და გავაშელა. ნახე, რა კაი ხალხია! — ხელი გამალა ნოდარმა გამოგებებული მასპინძლებისაკენ. ორივე საშუალო ტანის, მხარბეჭიანი, მაგრად შეკრული მამაკაცი იყო, ოთხკუთხა, ქვიდან გამოკვეთილი თავებით. ნოდარი გადავიდა და მშურად გადაეხვია ორივეს.

— რავა გაგახარე, ნოდარო ჩემო! რავა გაგახარე! — იმეორებდა გავაშელა, უფროსი ძმა. ნოდარმა იორამი და ზეინაბი წარუდგინა:

— ჩემი უახლოესები არიან! შენი საპატივცემულო ხალხი, ჩემო გავაშელა!

შევიდნენ ერდოიან, გვირგვინიან დარბაზში, შუაში დიდი კერიით. დაბალი, ჩამუგუზლებული ცეცხლი სრწოლავდა კერი-აზე და ლურჯი კვამლი მიინელებოდა ერდომი. იქ, რკინის კანხებისა და კაუჭების მთელ სისტემაზე, შეკიდებული იყო თხის, ლორის, ბურვაკის ფეშხოები, სულუგუნები. თახჩებსა და ნიშებში რამდენიმე სპილენძის თუნგი, ძველებური ქაშანურის დოქები, ჯაშები და ბადიები ეწყო. იდგა მაგრად ნაკეთები, კარგად შეკრული ხის ტაბლები, ჯორკოები და ძელსკამები. ყველაფერი ნაღდი ჩანდა, იფფასიანი ბუტაფორია არსად გეჩხირებოდა თვალში. იორამი ვაყოფილი ათვალეიერება ინტერიერს, თავისთვის ბურტყუნებდა:

— ბიჭოს, როგორ მოხდა? სტილი ბოლომდე დაცულია. ზედმეტი არაფერი. ესენი მართლა კაი ხალხი ჩანან. დიზაინერიც გემოვნებიანი ჰყოლიათ.

— დიზაინერიც თვითონაა გავაშელა, ქეთისუროც და შეფ-პოვარიც. ბიძინა კაი დურგალია და კაი ჰურისმცხოველი. თონც აქვე აქვთ, თავისი, აბა! კიდევ ერთი შეფი ჰყავთ, ბათა! მეგრული! მეგრული კერძის ჩემპიონი! მეგრულს და რაჭულს, რასაც მოინდომებ! უმაღლესი კლასი!

ზეინაბი ერდოსა და კანხებს ათვალეიერებდა.

— ეშერის ფაცხა გასსოვს, იორამ?

— მახსოვს, მაგრამ არ მიწადა გახსენება!

— ოჯალეში, ალექსანდროული. ორივე უნდა გასინჯოთ, იორამ! ზეინაბისთვის ნამდვილი ხვანჭკარაც მოინახება!

დარბაზის თაღში გავიდნენ და მტკვარზე გადამყურე ტერასაზე მოეწყვენ ფართო ტაბლასთან.

— ახლა ჩამოვთვალეთ! — ხელების ფშვენტით აყვირდა ნოდარი. — ბიძინა, ღომი სულგუნით და აუცილებლად კვანარახით... მეგრული ხარჩოც, ძალიან ოსტრი. ლორი ცალკე და ლორიანი ლობიოც. რძეში მოხარშული ციკანი და შემწვარიც — ცალკე. ნიკვი გაქვთ, თქვენებურად?

— ამჯერად კალმასა სოკო გავქ, ნო-

დარის ჭირიმი!

— დავაი კალმახა სოკოც!

იორამმა აღშფოთება ვეღარ დამალა:

— რა გჭირს, ნოდარ? მეორედ მოსვლა? ვინაა ამის მჭამელი?!

— მე ვარ, მე! ნოდარ ყავლანიშვილი! მაშ, აბა როგორ? შენ სულ თითო ლუკმა გასინჯე, გაფიცე! არ მოგეწონება, ნუ შეჭამ! მაგრამ ლუკმა უნდა გასინჯო ყველაფრიდან. ზეინაბიც არ იტყვის უარს, გურმანი ქალია! — და ძმებს გასძახა. — აბა, ჰარიქა, ბიჭებო!

გავაშვებამ გამოსძახა სამზარეულოდან:

— შენ რო გიყვარს, ჩემო ნოდარო! შემოდი, ერთი ნუთი, შენი თვალით გადახედე მასალას!

ნოდარი ადგა და სამზარეულოსაკენ წავიდა, თან გაიძახოდა:

— მიყვარს, აბა არ მიყვარს?! რა სჯობია შენი სამზადის გადახედვას!

სამზარეულოდან მოისმა მისი ყვირილი: „ბათას სიცოცხლე და სიხარული!“ მეგრულმა ბათამაც გადაკოცნა და მერე გავაშვებამ გვერდით პანანინა ოთახში, თავის „კაბინეტში“ შეიყვანა ნოდარი, კარი მიხურა და სეიფიდან საშუალო ზომის მუყაოს ყუთი გამოიღო, გახსნა. ყუთი სავსე იყო დოლარების დასტებით.

— აგერაა ყველაფერი, ჩემო ნოდარო! დიდი საქმე გამოიკეთე და დიდი მადლობელი ვარ! აგაშენოს ღმერთმა!

— იცოცხლე და შენც აგაშენოს ღმერთმა! — ამოიღო მანქანის გასაღებების ასხმა, გამოარჩია ერთი პატარა და ხელში შეაჩუჩა გავაშვებამ ასხმასთან ერთად, — ახლა, ჩემო კუი კაცო, მაგ მანქანაში გაიტანე და ბარდაჩოკში ჩაკეტე! ილიაში ყუთამოდებული ხო არ ვივლი! — გაიცინა. — კარი და სიგნალიზაცია ქე იცი! ჰოდა, ანი აღარაფრის დარდი აღარ გქონდეს, იცოდე!

ნოდარი ისევ ტერასაზე გამოვიდა. აქ ბიძინა და ოფიცინანტი ბიჭი ტვირთავდნენ სუფრას. ნოდარმა და იორამმა დაინწყეს მოტანილი ღვინოების დეგუსტაცია. ზეინაბიც ხალისიანად ჩაერთო ამ საქმეში.

ძეგვის ზედა კიდევზე, ტყიან ფერდობში, მინგრეული გრუნტის გზის აღმართი დასძლია „მერსედესმა“ და გასწორებულ, გახსნილ ადგილზე გავიდა.

— ეს პატარა ნაკვეთი ჩემია. ხედის გულისათვის ვიყიდე. ქობის ჩადგმასაც ვაპირებდი, მაგრამ ახლა ნაშინდართია ვარ დაკავებული... მაგრამ აქ ხედა, ძმაო! ეს მიინდა გაჩვენოთ!

გადმოვიდნენ მანქანიდან და სწორი მონაკვეთის კიდეს გადაადგნენ. ქვემოთ და შორს, დიდ სივრცეზე იხსნებოდა მტკვრის ხეობა. არმაზისხევიდან მოყოლებული, სარკინეთის ქედი, შიომღვიმის ფრიალოები და ნაკვეთები, თვითონ მონასტერი და მისი მღვიმეები. მარცხნივ,

შორს, თითქოს დეკორაციის მეორე პლანი, ქსნის ციხე მოჩანდა და მდინარე ქსნის შენაკადიც მტკვართან.

ზეინაბსა და იორამს თითქმის ერთხმად აღმოხდათ:

— დედაა! რა საოცრებაა!

— აუჰ, რა არი!

თვალს ვეღარ სწყვეტდნენ სანახაობას. ამ დროს, მოშორებით ხეების ქვეშ შეყუჟულ „ჯიბ-ჩეროკის“ ხელი დაუქინა ნოდარმა და ისიც ნელა გამოკოტრიალდა ღიაზე. ჯიბიდან ჯოტო გამოხატა.

— გადმოიყვანეთ! — თქვა ნოდარმა.

ჯოტომ უკანა კარი გააღო და კაფანდარა ლეო გადმოხატა, შიგნით ვილაცას ხელით ანიშნა, გადმოდიო. გადმოძვრა გრძელკეპიანი, ქუდი არ ეხურა, მაგრამ ის ტყავის ქურთუკი ისევ ზედ ეცვა.

— იორამ! ერთი მოიხედე! — დაუძახა ნოდარმა.

იორამმა მოიხედა. სიამოვნებით განათებული სახე უცებ მოერღვა და დაეძაბა.

— დაახურე! — დაიძახა ნოდარმა.

ჯოტომ გრძელკეპიანი ქუდი ჩამოაფხატა მოყვანილს და ოდნავ წაჰკრა, წინ ნაბიჯი ნაადგმევიანა.

— იცანი? — ჰკითხა ნოდარმა იორამს.

— ჰო, ვიცანი. უქუდოდაც ვიცანი! — გამოცრა კრიჭაშუკრულმა იორამმა.

გრძელკეპიანს სახე დაემანჭა, აწრიალდა, ნანყვეტ-ნანყვეტ ალაპარაკდა:

— რა... რა... რა გინდათ? ხომ გადაგიხადეთ? რა? მოკვლა გინდათ?

— ნუ ტლიკინებ შენ! მოკვლა რომ გენდომოდა, დაგადებდით იქვე, შენი ბაზრის სანაგვეზე, — უთხრა წყნრად ჯოტომ.

ნოდარმა ისევ მიმართა იორამს:

— ხო გჯერა ახლა?

იორამი მაგრად არია ამ მისთვის უცხო და მიუღებელმა სიტუაციამ. სახე დაბნეული, უკიდურესად დათრგუნვილი, გაღიზიანებული ჰქონდა. სამართლიანობის აღდგენის მარტივი და პირდაპირი ლოგიკა მისთვის ნათელი და გასაგები გახლდათ, მაგრამ მის ფსიქიკაში გაბატონებული ეთიკური სტერეოტიპისათვის პარადოქსულად მიუღებელი და ზიზღის მომგვრელი იყო ამ სამართლიანობის პრაქტიკული განხორციელება. ტანჯვისაგან სახე მოეღრცა, ჩამავებულ-გაქვავებულმა ამოლერდა:

— ჰო, კარგი, გასაგებია!

— ჰოდა, მორჩა! ამ კაცმა რაც შენგან მოიტაცა, სამართლიანად გიბრუნდება და უნდა მიიღოს! — თქვა ნოდარმა და ჯიბიდან იგივე ასდოლარიანები ამოიღო, ზემოთ ანეული ხელებით, ყველა დასაანახად დათვალა და იორამს გადასცა. იორამი იდგა და ეჭირა ეს კუბურები ნახევრად გათიშული, ზიზღიანი გამომეტყველებით. გაჩნდა უცნაური, იდიოტური პაუზა. ზეინაბმა განმუხტა — გამეხებული სახით გამოსტაცა ფული იორამს, პიჯაკის შიდა ჯიბეში ჩაუტენა და მკვეთრი, მკვანე ხმით იკითხა:

— ჰო, კარგი! ახლა კიდევ რა?!

— ოოო! აი, ზუსტი შეკითხვა! შენ გენაცვალე, ზეინაბო! ჩემი ჯილა ხარ! ახლა კიდევ რა და კიდევ ერთი რამე. ამ კაცმა რაც წაიღო იორამისაგან, დააბრუნა, ხო?! თანხით დააბრუნა.

პაუზა გააკეთა და იქ მყოფნი მოათვალიერა. არავეს სხმა არ ამოუღია, უყურებდნენ. გრძელკეპიანმა ისარგებლა:

— ჰოდა, ზნაჩიტ რასჩოტია! კიდევ რა გინდათ?

— შენ! ზრდილობიანად გელაპარაკებ! რა დარჩა რასჩოტში, არ იცი? აბა, შენი პირით მოგვახსენე!

გრძელკეპიანი დაფეთებული მისჩერებოდა ნოდარს, შიგადაშიგ აკანკალებდა დაძაბულობისაგან, მაგრამ „თავის პირით“ არაფრის თქმას არ აპირებდა.


— კარგი! ჯოტო, გამოიღე ერთი ამ ვაჟკაცის იარაღი. ხო მანქანაში გიგდია?

ჯოტომ გამოიღო ბრეზენტის ნაჭრისაგან შეკერილი, მსხვილი ძეხვის ფორმის საგანი, ხელში შეათამაშა და ნოდარს გადასცა. ნოდარმაც შეათამაშა ხელში, ოდნავ მოსრისა და თქვა:

— მწყრის საფანტია! კაი მიძიმე! სილით რო გაგეტენა, ნაკლებშიმე იქნებოდა. ჰოდა, ახლა შენ თავს დააბრალე, უფრო მიძიმეს მიიღებ კეფაში!

გრძელკეპიანი გამეხებული იდგა, ხმას ვეღარ იღებდა. თვალეში ჩიხში მიმწყვედი ტურის ფეთიანი სიძულვილი უელავდა.

— ფული ხო გადაიხადე? ჰოდა, კიდევ ეს ვალი დაგჩა გადასახდელი, გესმის? ეს კაცი ერთი თვე ტახტზე იწვა, თან ექიმებსა და წამლებში იხარჯებოდა! ეს რალა, ვირი-



ვილო, ამ ვალს გადახდა არ უნდა?!  
ნოდარმა იორამს მიაჩქრა ბრეზენტის „ძეხვი“ და უთხრა:

— იორამ! ახლა ეს კალბასა ამ ახვარს ხეტოქე კეფაში და სრულ რასჩროტში იქნებით. ისე რეხვე, რომ ესეც დანვეს და ეგდოს ერთხანს ტახტზე. გესმის, იორამ?!  
იორამი კინალამ გადაირია, წამსვე ზიზლით მოისროლა „კალბასა“ და გააფთრებით დაიყვირა:

— რას მთავაზობ, ნოდარ, გაგიჟდი?! არ მინდა! მე...ზიზლია! რა სიგაფია?! — ენაც კი წაუბორძიკდა ალყოთების, ზიზლისა და ბრაზისაგან. ამ მომენტით ხელდახელ ისარგებლა გრძელკვიანმა, აქეთ-იქით მდგომ ჯოტოსა და ლეოს გახედა და აყვირა:

— რასპრავას მინყობთ?! ხო გადაგიხადეთ?! რა გინდათ?! მარტოვა გამომიჭირეთ?! მთელმა კოდლამ გინდათ, გადამიართოთ?! ერთი ერთზე რა... — იგრძნო, რომ შეტოვა და დამუხრუჭდა, მაგრამ ნოდარმა უკვე სიტყვაზე დაიჭირა:

— ოო! სტომ! კარგია! კარგი სიტყვა თქვი, შე ნაბოზარო! შენ ერთი ერთზე — ჩესტნი დუელი გაუმართე, არა, იორამ შათირიშვილს?! უკნიდან მიეპარე და ისეთი სთხლოზე, რომ ამ კალბასითაც თავი გაუხეტო, გინდაც მანტიროვცა დაგირტყამს! ახლა ერთი ერთზე — ჩესტნი ბოი მოინდომე?!  
ნოდარს სხვანაირი, ბოროტი აზარტით აენტო თვალევი, ხმა კი პირიქით, დაუნყნარდა და თითქოს მხიარულიც გაუხდა:

— ეგრე იყოს! ერთი ერთზე! შენთან დარტყმის ხოში მაქვს! დავაი!  
გრძელკვიანის აქეთ-იქით დაცეცებულ მზერას ჩაავლო და კიდევ უფრო დამტკბარი ხმით უთხრა:

— ნუ გემინია! ვინც ჩვენს ჩხუბში ჩაერევა, დედამისის მ... ბოდიში მანდილოსანთან, ქმარი იყოს! გაიგე?! სიტყვა სიტყვა.  
გრძელკვიანი ისევ დაფაციცებული ათვალეირებდა გარემოს. შეიძლებოდა ხრამში გადასტომა და დაგორება, მაგრამ ექვევბოდა, რომ ამ ბიჭებს მოასწრებდა. გინდაც მოესწრო, რა გარანტია ჰქონდა, რომ ტყვიას არ მიაყოლებდნენ? ვარიანტი არ იყო, ამათ იარაღი არა ჰქონოდათ, თანაც ინტუიცია კარნახობდა, რომ ესენი ტუფტა მსროლელებს არა ჰგავდნენ და ისევ თავხედურად აჯახა:

— რაღა ჩარევა გინდა! ორი ჩემოდენა ხარ! ცარიელი ხელით როგორ გეჩხუბო?

— უუუ! რა ნაგლი ნაბიჭვარი ხარ! — გამოცრა ნოდარმა, მაგრამ მამინევი დაბრუნდა ცხიერად არხეინი ტონი და დაამატა, — ისე, სწორი ხარ! იყოს თანაბარი შანსი! — და ჯოტოს გადასძახა, — მიეცი ამას ის ტესაქი! ბარდაჩოკშია.


აქამდე ჩუმად მდგარი ზეინაბი, თვალე-  
ბგაფართოებული და პირდაღებული რომ უყურებდა ამ ამბავს, უცებ აფეთქდა:

— რა ხდება, ბოლოს და ბოლოს?! საგიჟეთია?! ნოდარ, რას აკეთებ?!  
ნოდარი მკვეთრად შემობრუნდა, თვალევი ბოროტად დაკვესა და:

— აბა! კრინტი! ქალებს ლაპარაკი! — ეს სიტყვები ისეთი მომცელავი სისასტიკით ისროლა, რომ ზეინაბმა, თითქოს ხელი ჰკრესო, უკან ნაიბორძიკა. მერე შეტრიალდა და მანქანაში შევარდა.

ჯოტომ უსიტყვოდ გამოიღო „ბარდაჩოვიდან“ დიდი სანადირო დანა და ქარქაშიანად გადაუგდო გრძელკვიანს. იმან ჰერში დაიჭირა, ქარქაში გააძრო და გვერდზე მიაგდო. ნოდარმა ვეაყოფილა გაიცინა:

— ჰაა! ახლა ჩემი ხარ! ესე პრავა!  
და ისე არხეინად და ლიად დაიძრა გრძელკვიანისაკენ, თითქოს მონატრებული ძმობილის ჩასახუტებლად მიეშურებოდა. გრძელკვიანი, დაბალი, მაგრამ მაგრად შეკრული მამაკაცი, ადგილზე შეიკუმშა ტყის კატასავით, დანა არც ზემოდან ჩასარტყმელ და არც ქვემოდან ასარტყბო პოზიციაში არ ეკავა, არამედ გვერდულად, თავისუფლად. ეს პროექსიონალის ხვატკა მაშინვე დააფიქსირა ნოდარის მზერამ, მაგრამ არაფერზე დასტყობია. ისევ ისე ლიად, პირდაპირ, მოღიმარი, მოშვევულად მკლავებჩამოყრილი მიეახლა. გრძელკვიანი დაძაბულ მზერას არ სწყვეტდა მის ხელებს და ყოველ წამს მზად იყო, მოქნევისთანავე მუშტის ქვეშ ჩასაყინოთად და ნოდარის გულ-მუცელზე დანიანად შესავარდნად და ამ დროს, ნოდარი ხელელებს გაუწმირველად, მოულოდნელი სისწრაფით, ადგილზე შემობრუნდა და მთელი კორპუსით გვერდიდან შეასკდა გრძელკვიანს. კოორდინაციამოღობილი სხეული წამსვე მის მძლავრ მკლავებში აღმოჩნდა და დანიანი მარჯვენაც ორმაგად გადაგრეხილი. ამას ხედ მოჰყვა ნოდარის ქვასავით თავის თხლელმა გრძელკვიანის მუბღში და ის უკვე ძირს ეგდო გაშხლართული. ჯოტომ გადავარდნილი დანა აიღო, შარვალზე გაისვამოისვა და ქარქაშში ჩააგო. ლეო გაშხ-



ლართულის წამოსაყენებლად გაინია, მაგრამ ნოდარმა დაასწრო მისი დათრევა, ასწია თავის სიმაღლეზე და უროსავით მუშტი ისეთი გაქანებით სთხლიშა ცხვირ-პირში, რომ სისხლი, წვინტილი და ნერწყვი აქეთ-იქით შხეფებდა გასცივდა.

ჯოტო და ლეო შემოთვებულენოდა უყურებდნენ ნოდარს, რომელიც შემოღობილი სახით, კიდევ და კიდევ, გამხეცებით ურახუნებდა სიცოცხლის ნიშანწყალდაკარგულს. და მერე ორივე შეთანხმებულელებივით შეუვარდა შუაში და გამოჰგლიჯეს ცოცხალ-მკვდარი მსხვერპლი. ცხვირპირდანგრეული გრძელკვიანი „ჩეროკის“ უკან დასაჯდომზე შეტენეს. ლეომ საიდნლაც პირსახოცი დააძრო და თავქვეშ შეუფინა, რომ დასაჯდომი სისხლით არ დასვრილიყო, ერთი რაღაც ჩვარიც სახეზე წააფარა.

— რა ვქნათ? — ჰკითხა ჯოტომ ნოდარს.  
— ქალაქში დატოვებ სადმე. იპოვიან, როგორც იორამი იპოვეს! დედისმამისამ, ეგეც ექსპერტიზაზე არ გამექაჩოს!  
ხელი აუქნია, შეგიძლიათ დაიძრათო. „ჩეროკი“ დაიძრა და დაღმართში ჩაუხვია.

ამ დროის მანძილზე „მერსედესში“ შეყუყული ზეინაბი არც განძრეულა, არც ხმა ამოუღია. ყურებით კი ყველაფერს უყურა, თვალი არ მოუწყვეტია განტერბულსა და ნიკაშამოვარდნილს. ახლაც ისევ ისევ იჯდა გაოგნებული. იორამი, მანქანას მიყუდებული, თავჩაქინდრული, გაშვეებული მზერით სადღაც ქვემოთ იყურებოდა, თითქოს ისევ ლანდშაფტს ათვალეირებოდა. ნოდარმა დადარაჯებული, თან თითქოს მხიარული მზერით შეათვალეირა ისინი, საჭესთან დაჯდა, თქვა:

— იორამ, ნავედიო!  
იორამი უსიტყვოდ, გათიშულად ჩაეგდო სავარძელში.

მანქანამ ჩამოათავა მიხვეულ-მოხვეული დაღმართი, სწორზე გამოვიდა და ნოდარმა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო, ჩვეულებრივი, დალაგებული ტონით გააგრძელა, თითქოს წელან შეწყვეტილი მსჯელობა.  
— ჰოდა, ასე! ახლა იმ ბაჯოსაც მივაკითხავ. მე დავუნერ, რაც შენგან უნდა. შენ აღარ გაგრევე მაგებში. იმ კომპენსაციასაც დავადებინებ და მორჩება საკითხი.

— არ მინდა, თუ ძმა ხარ, არაფერი! ერთი დროზე მიმიყვანე სახლში, — მოგუდული, გაღიზიანებული ხმით თქვა იორამმა.  
ნოდარმა გადმოხედა.

— რა იყო? ვერა ხარ კარგად? იორამი უცებ წაიხარა, ხელი სახეზე იტაცა, წაილულულა:  
— გააჩერე! გააჩერე!

ნოდარმა გადმოხედა.  
— რა იყო? ვერა ხარ კარგად? იორამი უცებ წაიხარა, ხელი სახეზე იტაცა, წაილულულა:  
— გააჩერე! გააჩერე!



ნოდარმა გააჩერა და თვითონაც გადახტომა დააპირა, მაგრამ გადასული იორამის ბრაზიანმა, კატეგორიულმა შეძახილმა, — „არ გადმოხვიდე!“ დააშურა ეხეც და ნამომხტარი ზეინაბიც.

იორამი მანქანის უკან, მოფარებულში გავიდა, გულისრევის სპაზმები დაეწყო. ნოდარი და ზეინაბი ჩუმად ისხდნენ. მერე ნოდარმა თქვა:

— კომოციის ნარჩენებია. გადაიღალა დღეს. ნამეტანი მოგვივიდა.

ისევ ჩამოვარდა უხერხული დუმილი. ზეინაბი მანქანის უკანა შუშიდან თვალს ადევნებდა იორამს. მერე უცებ შემობრუნდა და ჩახრინული ხმით იკითხა:

— კი მაგრამ, ნაღდი დამნაშავე ხელში ჩაგვივარდა და პოლიციას რატომ არ გადაეცი?

— მაგას ვერ ვიზამდი, ჩემო ზეინაბ! — ცოტა არ იყოს, მკვახედ თქვა ნოდარმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ იქიდან, საიდანაც მე მაგ დამნაშავე მომართვეს, ველარასდროს ვერაფერს მივიღებ, რო დამჭირდება. ეს ერთი და საკმაოდ მნიშვნელოვანი.

პაუზა. ნოდარმა სიგარეტს მოუკიდა, ზეინაბს გადმოხედა, შემობრუნდა და განაგრძო:

— მეორე — ჩავაბარე, ვთქვათ, პოლიციას. დანებება გაუთავებელი ვალაჯი. ისევ გამოძახებები მონშედ დასაკითხად, მერე სასამართლოებში პრონიალი, გადადეხა, კასაცია, ავერისტი ადვოკატების ტყუილები და კლიაუზები. და ბოლოს რა? ვაცმა არ იცის, რა შეიძლება, დიდი უკუიცი. მაგის გამძლები და გადამტანია იორამი? ვერა ხედავ? ის ჯუმბურა ლანირაკი ტყუილს კი არ გუხმებოდა!

ზეინაბმა ვერაფერი თქვა ამ ლოგიკის დასარღვევად. ვერძობდა, ასეთი იყო რეალობა. მაგრამ ჯიუტად არ უნდოდა ამ რეალობასთან შერიგება. აწეწილად, აშლილად, ხელეების ქნევით ალაპარაკდა:

— აბა, რა გამოდის?! არ არსებობს არაფერი? აბა სადღაა სახელმწიფო?! სადღაა სამართლებრივი სახელმწიფო?! დემოკრატია?!

ნოდარმა გაიცინა:

— სადაა და ქალღმერთი? გაზეთებში! ლოზუნგებში! პარლამენტის ბოზების ენაზე! სხვაგან სად უნდა იყოს? სადაც ტუფტა და სიბანანია, ისიც იქ არსებობს! თქვენ, რა. ორივე ცოლ-ქმარი, სპირტიანი ქილაში ხო არ იხვევით აქამდე?

— კი რა! რაებს ლაპარაკობ, ნოდარ! — დაიყვირა აღშფოთებულმა ზეინაბმა.

— დანყნარდი! მაგ ბრაზბრუხიდან ერთი დემოკრატია მართლად გაჩნდა და მადლობა ღმერთს, რო გაჩნდა! ოღონდ ის დემოკრატია კი არა, თეორიებში ჩანერილი, თქვენნარი წესიერ ხალხს რო აცუცურაკებენ. არა! რეალური, ნამდვილი, მოქმედი, მე რო მესმის, ის დემოკრატია!

— მერე, რა არის ეგ, ერთი გამაგებინე?! ნოდარი მთლიანად შემობრუნდა ზეინაბისაკენ. უჩვეულოდ ანთებული და რალაც შისისმომგვრელიც კი ჩანდა. ზეინაბი უსიამოვნოდ შეიმუშუნა და სავარძლის კუთხე-

ში მიიჭუჭკა.

— მე ვეძახი მაგას, ჩემთვის, ლომების დემოკრატია!

— აა? რა არი ეგ? — დაბნეულად და ცოტა დამცინავად იკითხა ზეინაბმა.

ნოდარი უცებ შეიცვალა, დაადგო პათეტიკა და ჩვეულებრივი ტონით გააგრძელა ახსნა-განმარტება:

— მაპატიე, დაივო! ცოტა შემომრჩა გრადუსი და გავახურე, მაგრამ... რა არი და, უბრალო ცხოვრების წესია, ყველამ იცის ეგ! თუ ტვინით არა, ინსტინქტით მაინც. მაინც ასე ცხოვრობს სუყველა!

— ვერ გავიგე!

— ღმერთმა ასე დაანესა და რას იზამ? ლომები ჭამენ ძროხებს! ხომ დაანესა?! ჩვენ ხო არ მოგვიგონია ეს? ხო ასეა?!

ზეინაბი თვალმდებარეტილი უყურებდა, ხმას არ იღებდა.

— ჰოდა, წინათ ლომობის უფლება მართო ცეკას ჰქონდა და პოლიტიბუროს. ახლა თავისუფლება — ვისაც შრო აქვს და გაქაჩვა, გახდეს ლომი და ილომოს! ამას ვუძახი მე დემოკრატია! ხომაა ეს თავისუფლება და დემოკრატია? თუ შრო გაქვს, გახდი ლომი, ვინ გიშლის? თუ არ გინდა და არა გაქ მაგის თავი, დარჩი ძროხად და იბალახე შენთვის წყნარად. მანამ, სანამ შესაქმელად მოგადგებიან! ძროხად თუ გირჩენია ყოფნა, კი უნდა იცოდე ეგ, რო ადრე თუ გვიან, ლომი შეგჭამს და მერე აფთარი და ტურაც მოგიტანებენ ხელს! მამ, აბა როგორ?! ცხოვრების კანონია!

— არაა ეგ ადამიანების კანონი! მხეცების კანონია! — განინმატებით შესძახა ზეინაბმა.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა! კი, როგორ არა! ადამიანები, ორმოცი საუკუნეა, თუ რა ვიცი, რამდენი, სულ მაგ „ადამიანური“ კანონების მოგონებაში არიან. დღემდე სიფხანდის მეტი მაინც ვერაფერი მოიგონეს. სინამდვილეში, დღესაც მაგ კანონით ცხოვრობენ! არ გამოდის სხვანაირად. ბუნების კანონია! ღვთის დანსებულება! ვნაცვალე მის განგებას! — და ნოდარმა ფართოდ და ალაღად გადაისახა პირჯვარი, რითაც საბოლოოდ გააშტერა და დაამუნჯა ზეინაბი. ცოტა ხანს ასე გაოგნებული და პირდაღებული მისჩერებოდა ნოდარს. მერე უცერად აღშფოთება გამოეხატა სახეზე და ბრაზით ენაბორძიკებულმა, კაპასად დაიწყო:

— ეს... ეს... მე არ ვიცი, ეს რა არის?! იცი, რა...

მაგრამ ამ დროს დაინახეს, რომ იორამი მანქანისაკენ ნამობანცალდა. ნოდარმა დასტაცა ხელი წყლის დიდ მათარას და გადახტა, შეეგება, წყალს ნელ-ნელა უსხამდა, პირს აბანინებდა. ზეინაბი ისევ გამტყვერული და ენაწავარდნილი მისჩერებოდა, როგორ გადაიქცა ეს „მხეცი“ — მორუდუნე, მზრუნველ მეგობრად. მერე, როცა ნოდარი ისევ მანქანაში შემოიყვავა „ბარდაჩოკიდან“ პირსახოცის ამოსაღებად, ზეინაბმა უცერად წაუხისინა:

— არ გაბედო მაგ შენი ფილოსოფიები იორამთან! მეორეჯერ დამართებ კომოციოს! ნოდარი გაიღრქა და მსხვილი კბილები გამოაჩინა, ჩურჩულით უპასუხა:

— ნუ გეშინია! გავალომებ, გავალომებ

იორამს! ჯერ გამოშუშდეს ბოლომდე!

იორამი დიდხანს, ნელა ინშენდა თავპირს პირსახოცით და მერე დაოსებულსა და მომჩვარულს ნოდარის ძლიერი მკლავის შეშველვაც აღარ უუკადრისებია მანქანაში ჩაჯდომისას.

ნოდარმა ჩუმად დაძრა მანქანა და ისე ფრთხილად გადაჰყავდა კოლბოხებზე, თითქოს სითხით სახვე მინის ჭურჭელი ედგა გვერდზე. შიგადამიგ დადარაჯებულად გადახედავდა ხოლმე გათიშულად მიგდებულ იორამს.

სოფელ ნაშინდარის მოედანზე დილაადრიან იკრიბებოდა ხალხი. მოდიოდნენ, იდგნენ, ლაპარაკობდნენ. ზოგი უკან მიდიოდა, მერე ისევ ბრუნდებოდა. ზოგი ახალი ემატებოდა, ზოგიც აკლდებოდა. ერთი მოზრდილი ჯგუფი კი უკლებლივ რჩებოდა, რალაციის მოლოდინში. ეს მოედანი, სოფლის შუაგული — ანუ დღევანდელი ცენტრი — ას ნელსა და მეტსაც მოითვლიდა და იმავე ასწლიან ზომებშივე დარჩენილიყო, რადგან რამდენიმე ძველი ქვითკირის ნაგებობით იყო შემოსაზღვრული. ეს ნაგებობები მრავალი წლის განმავლობაში კი იცვლიდა დანიშნულებასა და შინაარსს, მაგრამ მათი დანგრევა აბა რომელ ჭკუათამყოფელს მოუვიდოდა აზრად? გინდაც მოსვლოდა, არც ისეთი ადვილი დასანგრევი იყო და იდგნენ.

დღეს ერთ-ერთში სოფლის გამგეობა იყო განთავსებული, ერთშიც — სოფლის მალაზია. იქვე იყო დუქანი, სადაც კვირაში ერთხელ ლუდი ამოქონდათ. ადგილობრივი ღვინო და არაყი ხომ ყოველთვის ჰქონდათ და მწვადსაც წვაგდნენ, თუ შემკვეთი გამოჩნდებოდა. იყო სადალაქო და იყო მედპულქტიც, ერთი ფაშაზე და დედაცაცი ფერშლის შემადგენლობით. მოედნის შუაგულში სამი უზარმაზარი ბებერი ცაცხვი იდგა, ფართო და მზეგაუმტარი ჩრდილიანი. ჩრდილიანში ასი წლის წინვე ამოყვანილი თაღოვანიდან წყარო გადმოდიოდა (ამ წყაროსთან საქონელს არ უშვედნენ) და გვერდზე ისევ ასი წლის წინ გამართული ქვის დიდი მაგიდა და ქვისავე გრძელი სკამები იდგა.

გამგებულ ზურისა გარშემო იყო ხალხი შემოჯარული. იყვნენ დარბაისელი, ჩაქანგული გლეხებიცა და ახალგაზრდებიც. სამიოთხი მთლად ბებრუხანა ქვის მერხზე იყო ჩამოჯდარი. განკაცკევეთით იდგა დედაცაცების მცირე გუნდი და შეუჩერებელი რატრატი გაუდიოდათ. აქეთ-იქით დაქროდნენ ბავშვების გუნდები და თან დასდევდათ რამდენიმე ძალი და ლეკვი. ორი-სამი ჭარმაგი ქოფაკი კი იქვე, ქვის მაგიდასა და სკამებთან მიწროდ იდგა, ღირსულად ევათ თავები და ჭკვიანურად უსმენდნენ ხალხის ლაპარაკს. მოედანზე შემოხეტა ორი ცნობისმოყვარე თხაც. ერთხანს ცუტად მიშტერებოდნენ თავჯრილობას, მერე გაბრუნდნენ და წავიდნენ. საქმიანად იკენებოდნენ ქათმებისა და მტრედების გუნდები.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ჟონაჟონ სსპსპიჟონ

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პითხვაბი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

### „პასუხების“ სვაბისაჟარ გაგაქვით თვალი

1. ვის ეძახიან ბრაზილიაში „გალეგოს“?
2. რა არის მკედი?
3. რა არის დაფიონი?
4. რა ფერის სისხლი აქვს ლობსტერს?
5. დაასახელეთ ამერიკული კომპანია, რომლის სტუდიაში შექმნილ ფილმებს XX საუკუნის 40-იან წლებში, ყველაზე პოპულარულ ფილმთა სიაში პირველი 5 ადგილი ეკავათ.
6. „იგი აორმაგებს, ასამაგებს არმიას და ციხესიმაგრეთა აღებაში ეხმარება“, — რის შესახებ ამბობდა ამას მიხაილ სუვოროვი?
7. 1936 წელს მსოფლიოში მხოლოდ 3 მილიონერი იყო: ენდრიუ უილიამ მელონი, ჰენრი ფორდი და... დაასახელეთ მესამე.
8. ტრადიციულად, რა ფერისაა ხელჯოხი, რომლის დახმარებითაც უსინათლო ადამიანები ქუჩაში გადაადგილდებიან?
9. 1944 წელს, ბალტიისპირეთის ფრონტის ჯარებმა, ივანე ბაგრამიანის მთავარსარდლობით, გერმანელთა ფრონტი გაარღვიეს და პირველად მსოფლიო ომის მსვლელობისას, ბალტიის ზღვის სანაპიროზე გავიდნენ. გამარჯვებულმა სარდალმა ბალტიის ზღვის წყლით აავსო ბოთლი და სტალინს გაუგზავნა. ვიდრე კურიერი მოსკოვში ჩაფრინდა, გერმანელებმა კონტრშეტევა განახორციელეს და ბაგრამიანის ჯარებს უკან დაახევინეს. სტალინის კაბინეტში შესულმა კურიერმა, რომელმაც მომხდარის შესახებ არაფერი იცოდა, ბელადს ამანათი გადასცა და უთხრა: „ამხანაგო სტალინ, გენერალმა ბაგრამიანმა ბალტიის ზღვის წყალი გამოგიგზავნათ“. რა უპასუხა სტალინმა?
10. მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრებს გულშემოტკივრობს მიხილ სააკაშვილი?
11. რა არის კანაპი?
12. დაასახელეთ ინგლისის მეფეთაგან უკანასკნელი, რომელიც ბრძოლის ველზე დაიღუპა.

# ანექლოცენი

\* \* \*

— ხომ დამპირდი, სასჯელს გაგინახევრებო?! რატომ მომაცყუე? — ეჩხუბება ნაზიკო ადვოკატს.



— რა გაყვირებს, ქალო?! აბა, მე რა უნდა მექნა, როცა პროცესზე ხმა არ ამომალღებინე, სულ შენ ლაპარაკობდი!..

\* \* \*

ორი მოგზაური ჯუნგლებში დაიკარგა. იპოვეს გამოქვაბული და შევიდნენ. უეცრად, მათ უკან მინა ჩამონვა და შესასვლელი ამოქოლა, გამოქვაბულის სიღრმიდან კი ნაბიჯების ხმა და ღრენა მოისმა. შეშინებულმა მოგზაურებმა რაციით დახმარება ითხოვეს. მასველები ეკითხებიან:

- სად ხართ?
- რომელიღაც გამოქვაბულში ვართ და ვერ გამოვდივართ, თანაც, შიგნით რაღაც მხეცია.
- ჰოოო... თქვენთვის ორი ამბავი გვაქვს: კარგი და ცუდი.
- ჯერ ცუდი გვითხარით.
- თქვენ თოვლის კაცის საცხოვებელში იმყოფებით.
- კარგი რაღაა?!
- შარშან ცოლი გაექცა... ასე რომ, არ შეგჭამთ!

\* \* \*

ქალები პურის რიგში დგანან. ერთი დანარჩენებს ეუბნება: — ფეხმძიმედ ვარ და იქნებ, ურიგოდ გამიშვათ. — კი, ბატონო, მიბრძანდით! ისე, ორსულობის თქვენ არაფერი გეტყობათ და ნუხანდელი ნასიამოვნები ჩვენც კი ვართ!

\* \* \*

დედა შვილს ალვიძებს: — ადექი, შვილო, სკოლაში გაგვიანდება.

— არ მინდა სკოლაში! იქ ისეთი საზიზღარი ბავშვები და აუტანელი მასწავლებლები არიან, რომ მათი დანახვაც აღარ შემიძლია.

— რას იზამ, შვილო, მაინც უნდა ნახვიდე. ბოლოს და ბოლოს, შენ ხომ სკოლის დირექტორი ხარ!

\* \* \*

წყნარი ცეკვაა. ქალი მჭიდროდ ეკვრის კაცს და თან, ეჩურჩულება: — მოგნონთ ჩემი დეკოლტე? მგონი, ძალზე ღრმაა... თქვენ ასე არ ფიქრობთ? — ჰმ... თქვენ რა, მკერდზე თმა გაქვთ? — არა, რას ამბობთ?! — ოოო... მართლაც, ღრმა დეკოლტე გცმიათ!..

\* \* \*

— სარა, იცი, გუშინ ჩემთვის პანდურის ამორტყმა უნდოდათ. — ასე რატომ ფიქრობ? — იმიტომ, რომ ამომარტყეს! — აბა, რატომ ამბობ, უნდოდათო? — აბა, რომ არ ნდომოდათ, ხომ არ ამომარტყამდნენ?!

\* \* \*

ნარკამანი ტაქსის აჩერებს, ჩაჯდება და მძღოლს ეუბნება: — მიდი, ერთი, „ვაჟაზე“ შეუბერე. — არნივი ვნახე დაჭრილი, ყვაეყორნებს ეომებოდა...



\* \* \*

ბორდელში შესულმა კაცმა ქერათ-  
მიან ლამაზმანში 300 ევრო გადაიხა-  
და, ნომერში შევიდა და გახდა დაი-  
წყო. უცებ, სახანძრო განგაში ატყდა,  
ირგვლივ ყველაფერი კვამლში გაეხ-  
ვია. ქერა ლამაზმანმა გაქცევით უშ-  
ველა თავს. კაცი ნომრიდან გამოვარ-  
და და ქალს დაუწყო ძებნა. დერეფან-  
ში მესანძრე შეხვდა და ეკითხება:

— ქერათმიანი ქალი არ შეგხ-  
ვედრია?  
— არა!  
— თუ ნახავ, შეგიძლია, ისიამ-  
ოვნო, გადახდილია!..

\* \* \*

ვეტერინართან მოსაცდელში ორი  
ძალი შეხვდება ერთმანეთს.

— იცი, ბიჭები ქვევს მესროდნენ  
და ერთ-ერთს ვუკბინე. ჩემი საქმე  
ნასულია, ეფტანაზია არ ამცდება.  
შენ რატომღა მოგიყვანეს აქ? —  
ეკითხება ერთი მეორეს.

— როგორ გითხრა, ჩემი პატრონის  
ქალიშვილი აერობიკაში ვარჯიშობს  
ხოლმე, აბსოლუტურად შიშველი. გუშინ  
მეტად საინტერესო პოზაში იყო და  
ვეღარ მოვიტყინე...

— ჰოოო, შენი საქმეც ნასულია!  
— აბა, რა გითხრა, რამდენადაც  
ვიცი, ბრჭყალების დასაჭრელად მო-  
მიყვანეს...

\* \* \*

ებრაელს, რუს კომუნისტსა და  
გერმანელ ფაშისტს ანგელოზი გამო-  
ეცხადა და სამივეს თითო სურვი-  
ლის ასრულებას დაჰპირდა.

— ამქვეყნად ყველა ფაშისტი ამონ-  
ყვითე, — სთხოვა რუსმა კომუნისტმა.

— დედამინაზე ყველა კომუნისტის  
სინსილა გააქრე, — ინატრა ფაშისტმა.

— აბა, მაშინ, მე მხოლოდ ფინ-  
ჯანი ყავა მომართვი, დაგენაცვლე,  
— თქვა ებრაელმა.

\* \* \*

თვითმფრინავის სალონში სტი-  
უარდესა გამოდის და მგზავრებს  
ეკითხება:

— მგზავრებს შორის ვინმე ექი-  
მი ხომ არ არის?

ერთი მგზავრი ადგება და სტი-  
უარდესას პილოტის კაბინაში შე-  
ჰყვება. 10 წუთის შემდეგ, სტიუარდე-  
სა ისევ გამოდის და ხალხს მიმარ-  
თავს:

— მგზავრებს შორის ვინმე მფრი-  
ნავი ხომ არ არის?

\* \* \*

ტიტანიკი“ აისბერგს ეჯახება.  
შტურვალი კაპიტანთან მივა და ეუბ-  
ნება:

— კაპიტანო, თქვენთვის 2 ამ-  
ბავი მაქვს — კარგი და ცუდი.  
— მაშინ, ჯერ ცუდი მითხარი.  
— აისბერგს ვეჯახებით.  
— კარგი რაღაა?  
— წლების შემდეგ 11 „ოსკარს“  
ავიღებთ.

\* \* \*

სვანი დაინახავს, რომ 2 გოგო  
მოდის, მათ დაელოდება და როცა  
მიუახლოვდებიან, ერთ-ერთს ეუბ-  
ნება:



— გოგონი, კანფეტს მოგცემ და  
მკერდზე ხელი მომაკიდებინე, რა!  
რადგანაც გოგონა დათანხმდა,  
გათამამებული სვანი სთხოვს:

— გოგონი, კანფეტს კიდევ  
მოგცემ და უკანალზე მომაფერებინე!  
გოგონა ისევ დათანხმდება. სვანს  
გაუხარდება და კიდევ ერთ კანფეტს

# გონივრულ სასაჩუქრუ

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის

### (პასუხები)

1. თეთრ-ყირმიზ და ქერათ-  
მიან ახალგაზრდა მამაკაცს.
2. მომსხო ძაფი.
3. ასე უწოდებენ გზის  
ამოსვლის წინ ცის კიდურის  
ალისფრად შეღებვას.
4. ცისფერი.
5. „უოლტ დისნეი“.
6. მუსიკის შესახებ.
7. ჯონ დევისონ როკფე-  
ლერი.
8. უსინათლოებს ქუჩაში  
თეთრი სელჯოხით ცნობენ.
9. „ამანათი ბაგრამიანს  
დაუბრუნეთ და გადაეცით, რომ  
ეგ წყალი ზუსტად იქ გადა-  
ღვაროს, სადაც ეგ ბოთლი  
ააგსო“.
10. არგენტინის საფეხბურ-  
თო ნაკრებს.
11. ჩაზნექილი ფირფიტა,  
რომელსაც ფენსაცმლის ჩაც-  
მისას იშველიებენ.
12. რიჩარდ III.

გაუნოდებს. განბილებული გოგო  
დაქალს ეუბნება:

— წამოდი, რა, თორემ სანამ ეგ  
რალაცას მოიფიქრებს, დიაბეტი  
დაგვემართება!

# რეანიფორსობა



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ  
ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტიკის“  
(„სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების  
(კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან  
მოგვანოდლო რედაქციაში მის.: თბილისი, იოსებძის ქ. №49.

# თუკი მინდელსონის მარჯის მოსმენაზე ოცნებობთ...



გასათხოვარ ქაღაფონთა უმრავლესობას ძაღზე აინტერესებს, როგორ უნდა მოიქცეს, სასურველმა მამაკაცმა ხედი და გული რომ სთხოვოს. არსებობს რამდენიმე შედარებით გავრცელებული სტრატეგია, რომლის გათვალისწინებაც მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ...

● თქვენს რჩეულს სულ უფრო და უფრო ხშირად უნდა ელაპარაკოთ მომავალ ქორწინებაზე: თუკი მამაკაცს გადანყვეტილების მიღება უჭირს, ინიციატივა თავად უნდა გამოიჩინოთ და უთხრათ, რომ ქორწილის დღესა და მენდელსონის მარჯის მოსმენაზე ოცნებობთ. როცა ადამიანს ერთსა და იმავეს დაუჩინებთ უმეორებენ, ის ან თანხმდება წინადადებას, ან საერთოდ წყვეტს ურთიერთობას ამგვარ აბეზართან. ასე რომ, სანამ ამ მეტოდს მიმართავდეთ, სათანადოდ უნდა დარწმუნდეთ საკუთარი პოზიციის სიმყარეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ყველაფერი დაკარგოთ.

● მამაკაცს თავი ისე უნდა

შეაჩვიოთ, რომ ვერასოდეს დაგივიწყოთ: თქვენ მისთვის ერთადერთი და განუმეორებელი, ამქვეყნად ყველაზე სასურველი და მშვენიერი უნდა იყოთ. მაგრამ ამავდროულად, ხანდახან, შეუვალი და მიუწვდომელი ქალის ნიღაბი უნდა აიფაროთ და თქვენთვის სასურველი კანდიდატი, ცოტათი გაანვალოთ კიდევ ერთი სიტყვით, ისე უნდა მოიქცეთ, რომ გამუდმებით დაძაბული იყოს და თქვენი დაკარგვის შიში მოსვენებას არ აძლევდეს.

● ქალების უმეტესობას ნებისმიერ წვრილმანზე გაბუტვა სჩვევია. ზოგიერთი კი ისე ოსტატურად ირგებს განაწყენებული ქალის როლს, რომ მიზნის მიღწევას თითქმის უპრობლემოდ ახერხებს. ოღონდ

ამგვარი სტრატეგია ძირითადად მაშინ ამართლებს, თუკი თქვენი რჩეული — უკვე „მოთვინიერებული“ და თქვენი კაპრიზების შესრულებასაც შეევეულია.

მაგრამ არსებობენ ქალები, რომლებიც მამაკაცების „დასაპყრობად“ სულ სხვა მეთოდებს მიმართავენ:

✓ სუსტი, უმწეო ქალი ყოველთვის იწვევდა ისეთი მამაკაცების თანაგრძობას, რომლებსაც სხვებზე ზრუნვა ცხოვრების წესად აქვთ ქცეული. როცა ქალი სამოქმედოდ ამგვარ სტრატეგიას ირჩევს, „მზრუნველი“ მამაკაცი უმეტეს შემთხვევაში, მას თავად სთავაზობს „გულსა და ხელს“.

✓ ზოგიერთ მამაკაცს, მისით აღტაცებული, აღფრთოვანებული ქალის დანახვა ამქვეყნად ყველაფერს ურჩევნია. დიახ, მას უყვარს, როცა ხოტბას ასხამენ, ყოველთვის ყველაფერში ეთანხმებიან და მის ნებისმიერ წამოწყებას მხარს უჭერენ. თუკი თქვენი გული ამ კატეგორიის მამაკაცმა დაიპყრო, ეს აბზაცი კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ და თავად მიხედვით, როგორ უნდა მოიქცეთ.

✓ არსებობენ მამაკაცები, რომლებსაც ძალზე იზიდავთ ინტელექტუალი ქალბატონების საზოგადოება. ასეთ მამაკაცებს ძალიან მოსწონთ, როცა უპირატესობას გრძობენ იმ მეგობრებთან შედარებით, რომლებსაც „სულელი“ ცოლები ჰყავთ. ასე რომ, თუკი მიგაჩნიათ, რომ ნაკითხი, ერუდირებული ქალბატონი ხართ, თამამად შეგიძლიათ, „ინტელექტუალი ქალების მოყვარული“ მამაკაცის ცოლობაზე იქონიოთ პრეტენზია.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, გადანყვეტილების მიღებამდე კარგად უნდა დაფიქრდეთ — ერთი დღით ხომ არ ქორწინდებით! უნდა გახსოვდეთ, რომ ცოლქმრული ცხოვრება დაფუძნებულია სიყვარულზე, ურთიერთპატივისცემასა და ერთგულებაზე... მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ურთიერთგაგება და საერთო ინტერესების არსებობა. ამიტომ ეცადეთ, გაუჩინოთ თქვენს რჩეულს ღირსეული მეგობრობა, გაიზიაროთ მისი სიხარული, გაითავისოთ პრობლემები... რათა მისთვის მართლაც „მეორე ნახევრად“ იქცეთ.

**აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად**  
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

**www.elva.ge**

არასის და ნიგნავის ბაზრის ბაზრის

გამოცემის დასახელება	1გზ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

საბანკო „ელვა.ჯი“  
ქ. თბილისი  
თბილისის ქ. 79/8  
ტელ: 26-26-73; 26-26-74  
ფაქს: 26-26-74  
E-mail: elva@vkontakte.ru



# როგორ მოვუაროთ ქორფლიან სახის კანს



არასოდეს გაინმინდოთ ქორფლით დანინწყდელი სახე წყადეცის წყლით ან სპირტნარევი ღოსიონით. იმ შემთხვევაში, თუ მზის სხივებმა კანი გაგილიბიანათ და ნიოდად დაგვოთდათ, მანონი ან არაჟანი წაისვით. შეგიძლიათ სახის გასანმენდად,

გვირიდის ან ჩაის წაყენიც გამოიყენოთ.

როცა კანის მგრძობელობა მომატებული გაქვთ, შინიდან გასვლის წინ მზისგან დამცავი კრემი წაისვით. თუ ქორფლი მაინც ვერ მოიშორეთ, გულს ნუ გაიტეხთ — სახის კანი დღეში რამდენჯერმე მანწნით, ლიმონის ან კიტრის წვენიოთ გაინმინდეთ.

შეგიძლიათ გამოიყენოთ სპეციალური მათეთრებელი კრემები, მაგრამ კრემს თუ ქუჩაში გასვლის წინ წაისვამთ, სახის კანი გაგილიბიანდებათ და ქორფლიც მოგიმრავლებათ. მათეთრებელი კრემი, წინასწარ დაბანილ ან განმენდილ სახეზე თხელ

ფენად უნდა გადაისვათ და ორი საათის შემდეგ ნოტიო ქსოვილით მოიშორეთ.

*მათეთრებელი საშუალებების დამზადება თავადაც შეგიძლიათ:*

1 ს/კ ლიმონის წვეს დაუმატეთ 6%-იანი ძმარი და 2 ჩ/კ ანადუღარი წყალი. თუ მშრალი კანი გაქვთ, ჩაუმატეთ 2 წვეთი გლიცერინი.

შესანიშნავ ეფექტს იძლევა აგრეთვე ოხრახუშის წაყენი. წვრილად დაჭრილ ოხრახუშს დაასხით მდუღარე წყალი და გაგრილებაამდე გააჩერეთ. ამ ნახარშით სახე დღეში 2-ჯერ გაინმინდეთ.

## სუპერეფექტური ნიღბები ნებისმიერი ტიპის სახის კანისთვის

### ყაზაყის გავზავი წილაზი საწისა და ყელისთვის

წედლი ყაზაყი გრძელ, თხელ ნაჭრებად დაჭერით და გასუფთავებულ სახესა და ყელზე დაიდეთ.

### სტაფილუს წილაზი

სტაფილო წვრილ სახეზე გახეხეთ, აურიეთ ერთი კვერცხის ცილა, დაუმატეთ 1 ჩ/კ ზეითუნის (ან მცენარეული) ზეთი, ცოტაოდენი სახამებელი და მიღებული მასა სახესა და ყელზე წაისვით.

### ვაშლის წილაზი

გათალეთ ვაშლი და სახეზე გახეხეთ. დაუმატეთ 1 ს/კ ზეითუნის (ან მცენარეული) ზეთი და რძე ან არაჟანი. თუ ცხიმიანი კანი გაქვთ, 1 კვერცხის ცილაც შეურით. ■



## აჭმის მურაბა

შეარჩიეთ მწიფე (ოღონდ გადაუმწიფებელი) სახრავი ატამი, გაფცქვენით, ხის ჩხირით დაჩხვლიტეთ და ჩააწყვეთ ცივ წყალში რამდენიმე საათით. შემდეგ გადაიტანეთ მოდუღებულ და გაცივებულ სიროფში, შედგით ცეცხლზე და ადუღეთ 15-20 წთ. ქაფქირით ამოიღეთ ნაყოფი, სიროფი კი ადუღეთ 20-25 წთ. მოხადეთ ქაფი, გააცივეთ და ატამს დაასხით. მეორე დღეს იგივე გაიმეორეთ, მესამე დღეს კი ატამი სიროფთან ერთად მოხარშეთ.

ატამის მოხარშვის მეორე წესიც არსებობს: გათალეთ ატამი, დაჩხვლიტეთ ხის ჩხირით. ჩააწყვეთ სამურაბე თასში, ფენა-ფენა მოაყარეთ შაქრის ფხვნილი და დატოვეთ მთელი ღამე. მეორე დღეს შედგით ცეცხლზე და მოხარშეთ თავისსავე წვენში, ჩვეულებრივი წესით (თუ სიროფი სქელი გამოვიდა, ცოტა მდუღარე წყალი დაუმატეთ).

**მასალად საჭიროა:** 4 კგ ატამი; ამდენივე შაქარი, 12 ჩ/ჭ წყალი (მეორე წესით მოხარშვისას სამი კილო შაქარიც საკმარისია). ■





# წითელი ფანტაზია

## სება კვარაცხელია

წანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება  
შეგიძლიათ გაგვიზაროთ ელფოსტით  
[gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com)

დასაწყისი  
იხ. „გზა“ №23-26

გიგი ღიმილით გასცქეროდა მიმავალს. მთელი დღის განმავლობაში, უამრავი საქმიანი შეხვედრისა და დაძაბული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ნიაზე ფიქრი აეკვიატა და მის ყოველ გახსენებაზე სითბო ეღვრებოდა სხეულში. ერთი სული ჰქონდა, როდის მოსალამოვდებოდა და ნახავდა გოგონას. არც კი ახსოვს, ასე ვნებინანდ ბოლოს როდის ადაგზნო ქალმა. დარწმუნებული იყო, იგი სანოლში არაჩვეულებრივი პარტნიორი იქნებოდა, მაგრამ არ ჩქარობდა. ჯერ ცოტას გაანვალე, წაეთამაშება, აიძულე, გაამძაფროს მისი სურვილები, რათა ნიასაც ისევე მოუნდეს შეხვედრა, როგორც მას... აი, ახლა გოგონა წავიდა და გიგი მიხვდა, როგორ აუმაღლდა განწყობილება. მომხდარით კმაყოფილმა ფართოდ გაიღიმა...

ჩქარი ნაბიჯებით მიმავალმა ნიამ ტუჩები მოიკვნია. საერთოდ რა აზრი აქვს ამ კაცზე ფიქრს? როგორი თავდაჯერებულია, ზემოდან

უყურებს, მბრძანებლობს კიდეც. წარმოგიდგენია?! რა ჰგონია, რადგან მდიდარია, ნიას თავის ჭკუაზე ტარებას შეძლებს? არაფერი გამოუვა, ვის რაში სჭირდება მაგის ფული!.. გონების კარნახის მიუხედავად, ოცნებები ნიას მაინც გიგისკენ ეწეოდა. იმის გაფიქრებაც კი, კიდევე ერთხელ ენახა იგი, მოსვენებას უკარგავდა. იცოდა, ცდუნებას ვერ გაუძლებდა, როგორც უნდა ეცადა და მოენდომებინა. რა მოხდება, ხვალ ადრე რომ დაკეტოს მალაზია და მასთან შეირბინოს? რამეს მოიმიზნებებს. „შენ ხომ გინდა მისი ნახვა. უბრალოდ, შეხედავ და მორჩა, მაშინვე გამობრუნდები და მეტი არაფერი“, — ეჩურჩულებოდა საკუთარ თავს, მაგრამ იმავე წუთს შინაგანი ხმა სანინააღმდეგოს უმტკიცებდა. მხოლოდ შეხედოს, ერთხელ შეავლოს თვალი!.. ნუთუ მხოლოდ ეს

უნდა? მატყუარა! უფრო მეტი უნდა, ვიდრე თვალის შევლება. ამიტომაც აჯობებს, გონებას მოუხმოს და ცდუნებას არ აპყვეს!

— ნაღვლიანმა ღიმილმა გადაურბინა ბაგეებზე. თვალწინ დაუდგა საუცხოო ავტომობილი, რომლითაც ნუხელ შინ მიგრიალდა. და ამისთანა კაცისგან სიყვარულს ითხოვს? კიდევე რა უნდა! ეს ხომ გამორიცხულია. ვინ იცის, გიგის მისნაირი რამდენი გამოუყენებია, მერე კი მიუტოვებია. მას მხოლოდ გასართობად სჭირდება ნია. ეგლა აკლია ასეთ კაცს, სერიოზულად იფიქროს მისნაირ უბრალო გოგოზე. ეჰ... ნუთუ ვერ შეძლებს, თავიდან ამოვიდოს მასზე ფიქრი? მაგრამ უნდა კი? არა, არ უნდა. პირიქით, სიამოვნებას კიდეც, ასე რომ იტანჯება. იგი ყველაფერზე თანახმაა, თუნდაც ერთი ლამის სექსზეც. რა არის ცუდი იმაში, რომ მასაც სურს, ცხოვრებისგან სიამოვნება მიიღოს? ერთხელ იბადება ადამიანი ქვეყანაზე, სანამ უნდა ელოდოს, ვინმე როდის გამოჩნდება და ცოლად შეირთავს? და მერე რა? არავინ იცის, როგორი იქნება ის „ვინმე“. რა გარანტია აქვს, რომ მასავით უფულო და ვალებით გამოტყენილი არ შეხვდება?.. არანაირი. ჰოდა, გაიხაროს, ერთხელ მაინც გაიხაროს ამ უფერულ ყოფაში. ვინ იცის, იქნებ ისე მოეწონოს ახვლედინანს, რომ დიდი ხნით გაგრძელდეს მათი ურთიერთობა? იქნებ ფინანსურადაც დაეხმაროს და ვალებიც გაასტუმრებინოს? არა, რა სისულელეა, ამას ვერაფრით იზამს, მოკვდება და არ გააკეთებს, მორჩა!

ის იყო, შინ მივიდა და ტანსაცმელი გამოიცვალა, რომ კარი ხმაურით გაიღო და მაკა ქარიშხალივით შემოიჭრა.

ნია გახედა, დაქალის გამოჩენას ამწუთას სულ არ ელოდა.

— პრივეტ, — მაკამ ჩანთა მაგილაზე დადო, სკამზე დაჯდა და ფეხი ფეხზე გადაიღო, — როგორ არის საქმე?

— რა ვიცი, ძველებურად, შენკენ?

— ჯერჯერობით ისე, რა, მაგრამ ვიცი, ყველაფერი გადასარევედ იქნება, ამაში ორი აზრი არ არსებობს, ოღონდ შენი დახმარება დამჭირდება.

— რაში? — ნიას ხმა გაუცვიდა, ცუდმა წინათგრძობამ დარია ხელი.

— იცი, რა ხდება, ნი? — შეზარვით დაიწყო. — მართალია, კახასთან ურთიერთობა დავალაგე, მაგრამ უმნიშვნელო პრობლემები მაინც დამრჩა.

— რა მოხდა, აღარ იტყვი? — ნიას საერთოდ არ ედარდებოდა მათი ურთიერთობის ანენვა-დალაგების დეტალები, მაგრამ გული უგრძობდა, რალაც ავისმომასწავლებელი ელოდა. სხვა შემთხვევაში, ასე შორიდან არ მოუვლიდა მაკა მთავარ სათქმელს.

— საქმე ის არის, რომ კახაჩქელა ცოტა განერვიულებულია იმ საღამოს გამო.

კაზინოს გახსენებამ ნია პანიკაში ჩააგდო.

— ის არ არის მიჩვეული, როცა ქალები არაფრად აგდებენ. შენ უარი უთხარი მის საუკეთესო მეგობარს, სასტუმროში გაყოლაზე. ამაზე ძალიან გაბრაზდა — ვილაც ხომ არ ვიყავი, ჩემთვის ეთქვაო. გოდერძი თურმე ჭკუაზე არ არის, ისე მოეწონე. კიდევე ერთხელ შემახვედრეთ ის გოგო, გაიძახის. ამიტომ ახლა უნდა ადგე და ჩემთან ერთად წამოხვიდე. უარი რომ მითხრა, დავილუპები. ხომ იცი, მე სხვა შემოსავალი არაფერი მაქვს, კახაჩქელა მარჩენს. ერთად რომ არ მივიდეთ, სამუდამოდ დამკარგავს, გესმის? გთხოვ, წამომყვი, რა.

— მე მას ყველაფერი ავუხსენი და გამიგო, — გაფითრებულმა ნიამ ნერწყვი ძლივს გადაყლაპა, — რა საჭირო იყო, კახასთან დამენყო თავის გამართლებება?

— მაგრამ შენ მაინც არასასიამოვნოდ მოიქეცი, ხომ მართალია? იცი, კახა ძალიან ჭირვეულია, პატარა ბავშვივითაა... რასაც მოისურვებს, უნდა შეუსრულონ, თორემ მტრისას, თუ გაბრაზდა... დღეს „კაიკი“ არ მომცა, ისე იყო გაცოფებუ-

ლი შენ გამო. კი არ იცის, რომ... რომ შენ...

— რომ მე კაცებში არ დავდივარ, არა? — წარბები შეყარა ნიამ.

— ჰო, ეგ არ მითქვამს, მაგრამ ნუ გეშინია, მე შენ გვერდით ვიქნები, ვერავინ ვერაფერს დაგაძალებს, ოღონდ წამოდი. აგერ ნახავ, რამდენ ფულს დახარჯავს ჩვენი სიამოვნებისთვის, შენც გაგისწორდება.

— მაპატიე, მაგრამ არ შემოძლია... — რა არ შემოძლია?

— პირველ რიგში, შენთან ერთად წამოსვლა და მეორეც... მე ვერ ვიცხოვრებ იმ წესით, როგორც იტყვი შენ ცხოვრობ. ეს ჩემთვის მიუღებელია. ზოგს შეუძლია, ზოგს — არა. ვიცი, დავალებული ვარ შენგან, მაგრამ მაინც უარი უნდა გითხრა.

— ისინი მდიდრები არიან, გესმის? დამიჯერე, მათთან ურთიერთობით ბევრს მოიგებ. ვიცი, რომ წესიერი ხარ, მაგრამ რა მოგიტანა შენმა წესიერებამ დღემდე? ვალების მეტი არაფრ... — იმის გამო, რომ შენი ვალი მაქვს, ჩემთვის არასასურველ მამაკაცს ვერ დავუწვები, — ცივად შეაწყვეტინა ნიამ, — და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს!

— ტყუილად აჭკნობ შენს სილამაზეს, სიხარულს. ოცდაცხრა წლის ხარ, ხომ არ დაგავიწყდა? ოცდაათის გახდები და მე რე არც არავის მოუნდება, დამიჯერე! გგონია, მე მესხალისებოდა ასეთი ცხოვრება? გგონია, ჩემთვის იოლი იყო ამ ნაბიჯის გადადგმა? მაგრამ

ნელ-ნელა შევეჩვიე და მივხვდი, არც ისე ძნელი ყოფილა. არაფერს ვნანობ, რადგან სიცოცხლის გემო ახლალა შევიგრძენი. შენი აზრით, ყოველთვის ასეთი მომხიბვლელი იქნები? გგონია, სილამაზე მარადიულია? ცდები... — არავითარ შემთხვევაში!

— ნია...

— არა, მაკა, არა! მაპატიე, მაგრამ არ შემოძლია. მაგ მამაკაცებთან ერთად არსად მსურს წასვლა. ვიცი, შენი ვალი რომ მაქვს და...

— ჩემი არა, კახასი...

— რა-ა? — გოგონას ხმა ჩაეხრინნა.

— ის ფული, შენ რომ გასესხე, კახას გამოვართვი. ასე რომ, მისი

გმართებს...

ნიას გააკანკალა. აი, თურმე რა ყოფილა! სად დაუგეს მახე! გამოდის, სამი ათასი დოლარი დევიდეს უნდა დაუბრუნოს! სასონარკვეთილმა თვალები დასუჭა. იცინოს თუ იტიროს? რა კარგად ჰქონია საქმე?! არჩევანის უფლებას არ უტოვებენ! ვნახოთ, ვინ — ვის!

— არ შემოძლია, — მტკიცედ თქვა ბოლოს.

— რას ნიშნავს „არ შემოძლია“? — აწრიალდა მაკა.

— იმას, რომ მე სხვა მამაკაცს შევხვდი, რომელსაც მოვწონვარ და რომელიც მომწონს. მას ვერ დავალალებ.

— მართლა? ვინ არის, არ მეტყვი?

ნიამ მოკლედ აუხსნა, რაც მოხდა იმ ღამეს კაზინოში და როგორ გაიცნო გიგი და სანამ თვალებგაფართოებული მაკა რამეს ეტყოდა, დაასწრო.

— ამიტომ, უბრალოდ, არ შემოძლია და მორჩა. ძალიან გთხოვ, მარტო დამტოვე და არაფერი მითხრა! — ნიას ხმა ისე კატეგორიულად ჟღერდა, გაოგნებული მაკა წამოდგა, — მიხარია, თუ ასე გაგიმართლაო, — ნირწამხდარმა ჩაილაპარაკა და უკანმოუხედავად გავიდა ოთახიდან.

გავიდა ორი დღე... სამი... ხუთი... გავიდა ორი კვირა... ნია არავის შეუწუხებია. არც მაკასგან ისმოდა რამე და არც გიგისგან. დაქალი

სულაც არ ედარდებოდა, მაგრამ ახვლედიანზე ფიქრი მოსვენებას უკარგავდა. გული დაუშქიმდა, ჭამის მადა დაეკარგა. წამი არ გავიდოდა, მისი სახე არ დასდგომოდა თვალწინ. მზად იყო, ნებისმიერი სისულელე ჩაედინა, ოღონდ კიდევ ერთხელ ენახა იგი. ყველაფრის ხალისი დაკარგა, ვერაფერს უღებდა გულს.

ბოლოს იმდენად აებნა თავგზა, გადაწყვიტა, მის სანახავად კაზინოში მისულიყო. ხომ დაპატიჟა? ხომ უთხრა, ჩემთვის ყოველთვის სასურველი სტუმარი იქნებიო? ჰოდა, მიიღოს და უმასპინძლოს!

გამოპრანჭულმა და აფორიაქებულმა ტაქსი გააჩერა და მძღოლს კაზინოს მისამართი უკარნახა.

ღმერთო, რას აკეთებს! სად მიდის, რომ მიდის? სურს კი ახვლედიანს მისი ნახვა? იქნებ საერთოდ გადაავიწყდა მისი არსებობა? არა, რას იფიქრებდა ნია, რომ თვითონ დაუწყებდა მამაკაცს ძებნას? სადამდე დავიდა მისი ქალური სიამაყე! მიიღებს კი გიგი? მცირე იმედი მაინც უთბობდა სულს, იმედი იმისა, რომ მამაკაცი ზრდილობის გამო მაინც არ ეტყოდა უარს, საღამო მის გვერდით გაეტარებინა.

ტაქსიმ ოქროსფერი ნათურებით აციმციმებულ კაზინოსთან ჩამოსვა. ნიას მუხლები მოეკვეთა, როცა კართან მისულს შვეიცარმა გზა გადაუჭრა.

— უკაცრავად, ქალბატონო, ვისთან მიბრძანდებით? შვეიცარის შეკითხვა თავაზიანად ჟღერდა, მაგრამ ნია მიხვდა, რომ იგი სულაც არ აპირებდა მის შენობაში შეშვებას.

გოგონა დაბნეული მიაჩერდა ფორმიან მამაკაცს.

— მე... მე მარტო ვარ, — გაუბედავად წარმოთქვა.

— ვწუხვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერ შეგიშვებთ...

— რატომ? დიდი ხანია, თვრამეტის აღარ ვარ, — აღშფოთება გამოთქვა.

შვეიცარმა მსუბუქად აიჩჩა მხრები.

— ვწუხვარ, მაგრამ თანმხლების გარეშე ვერ გაგატარებთ, ასეთია ჩვენი შიდაგანწყობა.

— ღმერთო ჩემო, ასე უცხოეთ-



შიც კი არ იქცევინან! რას ჰგავს ეს ყველაფერი? — ნიამ იგრძნო, როგორ წამოუპილპილდა სახე.

ახლა იგი სრულიად განსხვავებულიად გამოიყურებოდა, ვიდრე იმ საღამოს. ერთადერთი შავი კაბა, რომელიც ებადა, კოსტად მორგებოდა ტანზე და.. წითელი ფეხსაცმელი, რომელიც გიგიმ უსასოვრა. არც მკვეთრი მაკიაჟით ჰქონდა სახე დამძიმებული.

— მე... ერთხელ უკვე ვიყავი აქ... — შეეცადა, მშვიდად ეთქვა.

მამაკაცი არ განძრეულა.

— მამაკაცი, არ შემიძლია. თუ გინდავთ, ტაქსის გამოიძახებთ.

— ერთი წუთით! — ნიამ უკანასკნელი შანსი გამოიყენა. — იცით? მე ბატონმა ახვლედიანმა მთხოვა, მოვსულიყავი... თუ გინდათ, ჰკითხეთ.

შვეიცარმა დაეჭვებით შეავლო თვალი. ერთხანს უყურა, ყოყმანობდა, დაეჯერებინა თუ არა ამ ლამაზმანის ნათქვამი. როგორც იქნა, შეირხა.

— გთხოვთ, დამელოდოთ, ახლავე გავარკვევ? რა გქვიათ?

— ნია.

მამაკაცმა მობილური ამოიღო და დარეკა.

— ბატონო გიგი, თქვენთან გოგონაა მოსული, ნია, — შვეიცარი ყურადღებით უსმენდა ბოსს, თან ნიას თვალს არ აშორებდა.

— მობრძანდით, ბატონი გიგი გელოდებთ, — ღიმილად დაიდვარა შვეიცარი და კარი ფართოდ გამოაღო.

ნიამ შვეებით ამოისუნთქა და შენობაში შეაბიჯა.

მარმარილოს კიბიდან შავ კოსტიუმში გამონყობილი მამაკაცი მასთან შესახვედრად მოიჩქაროდა, მაღალი, მხრებში გაშლილი.

— შენ მოხვედი... — სულ ეს იყო, რაც თქვა.

ნიას იმწამსვე დაავიწყდა იმ მიზეზების ჩამოთვლა, რისთვისაც აქ აღმოჩნდა, იმდენად ააღელვა გიგის დანახვამ, ყველაფერი გადაავიწყდა ამქვეყნიად.

შიშით ახედა მამაკაცს. არა, იგი არც მოქუფრულა, არც გაბრაზებულია, არც ის უცდია გაესხენებინა, ვინ იყო ნია და არც იმაზე გაბრაზებულია, თავისი ფეხით რომ გამოცხადდა მის კაზინოში. ამის მაგივრად მამაკაცი მიუახლოვდა, ისე ალერსიანად ჩახედა თვალებში, თითქოს მართლა სასურველი სტუმარი ყოფილიყო.

— ჰო, — უპასუხა ნიამ.

გიგი მის თითებს ფრთხილად დასწვდა, ტუჩებთან მიიტანა და

ოდნავ შეეხო, თან მზერას არ აცილებდა შავი და უძირო თვალებით.

— წავედით, — ხავერდოვანი ხმით წარმოთქვა ახვლედიანმა, ნიას თითები თავის თბილ მუჭში მოიმწყვდია და დარბაზისკენ გაუძღვა.

როგორც იქნა, გიგამ გამარჯვების გემო შეიგრძნო. ის ზემობდა. მიუხედავად ყველაფრისა, მართალი აღმოჩნდა, თუმცა ამ ჯიუტმა გოგონამ კარგა ხანს ალოდინა... ორი გრძელი კვირა დასჭირდა, რომ აქ მოსასვლელად ძალა ეპოვა. ორი კვირის განმავლობაში მამაკაცი მტკიცედ არწმუნებდა საკუთარ თავს, რომ ნიას ნებისმიერ დროს შეიძლებოდა შემოელო კაზინოს კარი... და მაშინ გიგი აუცილებლად მიიღებდა იმას, რაც ასე ძალიან სურდა. არადა... დღესაც რომ არ გამოჩენილიყო, იგი თავად აპირებდა მასთან მისვლას.

და აი, ნია აქ არის. ახვლედიანი კვლავ აივსო იმ მძაფრი სურვილით, რომლის განუღებაც სულ უფრო და უფრო უძნელდებოდა. ქალმა ალოდინა, მაგრამ ამან უარესად აუშალა საღერღელი.

ამასთან, დღეს საოცრად ელეგანტურად გამოიყურებოდა, ფერებიც გემოვნებით შეეხამებინა, რაც მის ბუნებრივ სილამაზეს მკვეთრად უსვამდა ხაზს. გრძელი, სრიალა თმა აენია და ყელ-კისერი მოელერებინა. მაკიაჟის შერჩევაც სცოდნია, ბაცი ცისფერი ჩრდილები უფრო დიდრონს აჩენს მის წყლიან თვალებს. რა ლამაზია! მის სახეს არ სჭირდება არც ტონალური კრემი და არც მშრალი პუდრი. მხოლოდ თხელი ფენა პომადი უსვია ტუჩებზე. ამ პომადას ერთი კოცნით მოაცილებს. მერე კი... მაგრამ არა ახლა. საღამო მხოლოდ იწყება. არ ღირს, დააჩქაროს მოვლენები. ჯერ მისი ცქერით დატკებება, დაე, კიდევ ერთხელ მოაჯადოს ნიას სილამაზემ. ჯერ მთელი რიგი რიტუალი უნდა შეასრულოს.

გიგამ გოგონა ბართან მიიყვანა და ნაზად გაუღიმა.

— შამპანურს დალევ?

ნიამ უხერხულად დაუქნია თავი, მიუხედავად იმისა, რომ შამპანურს ვერ სვამდა. საკმარისი იყო, ერთი ყლუბი მაინც მოესვია, რომ მერე მთელი ორი დღე ძმარავდა.

— გმადლობ, რომ მოხვედი, — ალერსიანად უთხრა მამაკაცმა და სასმელით აშოშინებული ბოკალი მიანოდა, — თუ გინდა, კონიაკს მოგიტან, ვიცი, ეს არ გიყვარს.

გოგონას ხელი აუკანკალდა, უარის ნიშნად თავი გადააქნია.

— დღევანდელ საღამოს გაუმარჯოს, — ჩურჩულით გააგრძელა გიგამ.

ნია ხმას არ იღებდა. თითქოს მეტყველების უნარი წაერთვა. სასმელი ოდნავ მოსვა და იგრძნო, ცივმა ბუშტუკებმა როგორ აუთრთოლა სხეული, როცა სისხლს შეერია.

— შენ არაჩვეულებრივი ხარ, განუმეორებელი... ისეთი ლამაზი... — აღტაცებული მზერა მის სიტყვებს ადასტურებდა.

— დიდი მადლობა, — ყურებამდე განითვლებულმა თვალები დახარა.

— ვფიქრობ, უმშვენიერესი, დაუვინყარი საღამო გველის, — მომწუსხველი ღიმილით წარმოთქვა ახვლედიანმა.

ამ ღიმილმა თავბრუ დაახვია ნიას. თითქოს ბედნიერების ტალღა დაეჯახა, ისე შეტორტმანდა. ასეთი მამაკაცი ნებისმიერი ქალისთვის შეუცვლელი დასაყრდენი იქნება. წამითაც არ აშორებს გამჭოლ მზერას, რომელიც სასმელზე მეტად ათრობს.

— მამ ასე, როგორც იქნა, მოხვედი, — ხმადაბლა თქვა გიგამ, როცა ბარიდან გამოვიდნენ, — რატომ მალოდინე ამდენ ხანს?

გოგონამ პასუხის გაცემა ვერ შეძლო და უხერხულად აინურა მხრები.

— თუმცა, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, — დაამატა, როცა შეამჩნია მისი რეაქცია, — შენ აქ ხარ და მთავარი ეს არის.

ნელა გაემართნენ დარბაზის სიღრმისკენ.

— მითხარი, — მამაკაცს უცებ დაუსერიოზულდა ხმა, — უკვე მოახსენე შენს დაქალს, რომ მსგავს დახმარებას მომავალში აღარ აღმოუჩენ? იმედი, მეტჯერ არ დამჭირდება შენი გაფრთხილება და კახას გვერდით არ გიხილავ... არასდროს.

ნიამ თავდაჯერებით დაუქნია თავი.

— არა, ნამდვილად აღარ მინდა, მათთან რამე საერთო მქონდეს. ამას ნერტილი უკვე დაესვა.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი.

კახას ხსენებაზე ნიას წამით ჩრდილმა გადაურბინა. „ხომ არ ვუთხრა, რა პრობლემაც მაქვს? იქნებ აჯობებს, იცოდეს, რომ დევიდის ფული მმართველს და ამის გამო მაკა მოსვენებას არ მაძლევს?“ — გაიფიქრა. მაგრამ მეორე წუთს სითამამე არ ეყო, სიმართლე ეთქვა, მისი დაკარგვის შეეშინდა. დღევანდელი საღამო — ეს ოცნება იყო, ხანმოკლე, მაგრამ მშვენიერი ოცნება და ამ ოცნებაში ნია ხელისხელჩაკიდებული მიაბიჯებდა მსოფლიოში საუკეთესო მამაკაცთან ერთად. ის უღიმოდა, ხოლო მის უცნაურად მოელვარე თვალებში იდუმალი სურ-

ვილი იმალებოდა...

ნიას არ შეეძლო ამ ოცნების ერთი ხელის მოსმით განადგურება.

თუმცა, რა? ისედაც იცის, რომ ეს ოცნება წამიერი. სვალინდელი დილა გათენდება და კვლავ მწარე რეალობის წინაშე აღმოჩნდება. ის მხოლოდ ამ საღამოს, რამდენიმე საათით არის პრინციპა, რომელიც ბრწყინავს, ხვალ კი ისევ კონკრეტად გადაიქცევა.

ამასობაში მრგვალ, „რულეტკის“ სათამაშო მაგიდას მიუახლოვდნენ. გიგი ქალს დაჯდომას დაეხმარა, თვითონ კი მის ზურგს უკან დაიკავა ადგილი და ხელებით სკამის საზურგეს დაეყრდნო. ნია გრძობდა, როგორ უხურდა სხეული.

მამაკაცმა ხელისგულზე დაყრილი ჟეტონები მიანოდა.

— ნომერი ამოირჩიე, — შესთავაზა.

ნია მ დაუფიქრებლად დაასახელა ციფრი, მან კი ფსონი დადო. გოგონა სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა წრეზე დატრიალებულ ბორბალს... მაგრამ არ გაუმართლა, ბურთულა სხვა ციფრზე გაჩერდა. ნიას შერცხვა. კრუპიემ კვლავ შესთავაზა ფსონის დადება. მანაც კიდევ ერთი დადო. ამჯერად თავისი დაბადების დღე აირჩია, თუმცა კვლავ წააგო.

— ახლა შენ, — მორცხვად ახედა მის უკან მდგარ გიგის.

მამაკაცმა გაიღიმა, წინ გადმოიხარა და ჟეტონების მთელი კვადრანტი დადო ფსონზე. ნია თვალს არ აშორებდა მორბენალ ბურთულას, დაძაბულმა თითები მომუჭა და შედეგის მოლოდინში მხერა დაძაბა. ცოტაც და... ბურთულა სწორედ იმ ფოსოში ჩავარდა, რომლის ნომერიც გიგიმ აირჩია.

ნიას გაეღიმა, მოერიდა ემოციების სმამალლა გამოხატვას, თორემ ტაშსაც შემოჰკრავდა.

— გინდა, კიდევ სცადო? — მხარზე გიგის ხელის შეხება იგრძნო და გააჟრჟოლა.

— არა, საკმარისია, თორემ ყველაფერს წავაგებ, არ ვარ ილბლიანი...

— მაშინ წავედით, მაღლა ავიდეთ. იქ, ტერასაზე, არაჩვეულებრივი ხედა, მთელი თბილისი მოჩანს. ხომ გინდა, ნახო? — პასუხს არც დაელოდა, ხელი ჩასჭიდა და თან გაიყოლა.



ხედი მართლაც თვალწარმტაც იყო. აქედან ლამის თბილისი ხელისგულივით მოჩანდა. ნიავს საიდნლაც ყვავილების სურნელი მოჰქონდა, რაც უფრო რომანტიკულს ხდიდა გარემოს. ამას დამატებული ვარსკვლავებით მოჭედული ცა და... სრული იდილია იყო შექმნილი განმარტობისთვის. თბილი სიო ნაზად უწნავდა აწეულ თმას.

გიგი მიუახლოვდა, გვერდიდან ოდნავ შეეხო და მკლავი მოხვია... ნია გაირინდა. სიგიჟედვე სურდა, მიჰყრდნობოდა მის ძლიერ მკერდს და მისი მამაკაცური ძალა მეტად შეეგრძნო, მაგრამ არ შერხეულა, რალაც უშლიდა ხელს, რალაც უხილავი... არ უნდა, ასე ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს, ამან შეიძლება უცებ გაანელოს მისი გრძნობები და ამ რომანტიკულმა ურთიერთობამ ხიბლი დაკარგოს.

მაგრამ იმის ძალაც არ შესწევდა, შეეჩერებინა გიგი, რომელიც უკვე მოინწვდა მისკენ.

— აი, თურმე სად ხარ! — გაისმა უცებ ვილაცის ბოხი ხმა.

ნია მოულოდნელობისგან შეხტა, გიგიმ კი დინჯად ჩამოიღო ხელი მისი მხრიდან და მძიმედ მიტრიალდა.

— სულხან... მიხარია შენი ნახვა... — თავაზიანად მიმართა მოსულს.

შუახნის მამაკაცმა ხელი ღონივრად ჩამოართვა.

— აბა, რა ქენი, ჩემს წინადადებაზე იფიქრე?

— რა თქმა უნდა. კარგი იდეაა გოლფ-კლუბი, მაგრამ როგორ გგონია, გაამართლებს? ქართველებს გო-

ლფი არ იზიდავს.

— მერე რა, სასტუმროს უკან უზარმაზარი აუთვისებელი ფართობი გაქვს, შეიძლება გარისკვა. რა გინდა, ფართობი — შენი, ფული — ჩემი. უცხოელებზე გავთვალ-ოთ.

— კარგი, ხვალ კიდევ ერთხელ შევხვდეთ და მოვილაპარაკოთ.

სულხანი ორივეს ღიმილით დაემშვიდობა, ხელს არ შეგიშლითო, ჩაილაპარაკა და გავიდა.

— მაპატიე, — ნაიჩურჩულა ახვლედიანმა.

— ნუ მებოდიშები, მერე რა. სულაც არ მიფიქრია შენი „მითვისება“, შენ ყველას ეკუთვნი, — ეშმაკურად ჩაიღიმა ნიამ.

გიგის შავი თვალები აუელვარდა.

— მაგრამ მშვენივრად გამოგდის... — აღიარა მამაკაცმა და მის თითებს გაეთამაშა, — მითხარი, ამწუთას რა უფრო გასურს? კვლავ სცადო ბედი „რულეტკასთან“? კონიაკი? იქნებ ვაშლი? ან სულაც... — და მისმა ანთებულმა მხერამ ნია აიძულა, განითვლებულიყო, — აქ დარჩენა და კიდევ ცოტა ხანს ამ პეიზაჟით ტკობა? მითხარი, როგორი უნდა იყოს შენი იდეალური სამყარო, რას ისურვებდი?

— იდეალური სამყარო არ არსებობს, — უპასუხა ათრთოლებულმა და შორს გაიხედა.

— არსებობს... აი, აქ, — მტკიცედ თქვა გიგიმ და საჩვენებელი თითი საფეთქელზე მიუკაკუნა.

ნია მვეჯანკურად გადასწია თავი უკან. კიდევ ერთხელ შეაშინა მისმა მიკარებამ.

— მითხარი... — არ ეშვებოდა მამაკაცი.

— ამის ახსნა ორი სიტყვით შეუძლებელია.

— შენც შეეცადე, ორზე მეტი სიტყვით ამიხსნა.

— იქნებ ჯერ გვევანშემა? — გამოსავალს მიაგნო გოგონამ.

— მშვენიერია, რასან ასე გასურს, ასე იყოს, — გიგის ტუჩები ღიმილმა გაუპო, გოგონა წინ გაატარა და ერთობ კმაყოფილი უკან მიჰყვა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# „ძევიპალა“ მილიარდერი და ბილ გეისის დაუდგომელი მოწინააღმდეგე

კომპანიის — Oracle — დამფუძნებლის ერთ-ერთი ბიოგრაფიული წიგნის სახელწოდებაა „რთი განსხვავდება ღმერთი ლარი ელისონისგან?“ პასუხი ამ კითხვაზე იცის ყველამ, ვისაც კი რაიმე შეეხება ჰქონია საინფორმაციო ტექნოლოგიების სამყაროსთან: „ღმერთი არ ფიქრობს, რომ ის ლარი ელისონია...“



გლობალური ეკონომიკური კრიზისი ბევრისთვის ძალზე საზიანო აღმოჩნდა, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ლარი ელისონზე. 64 წლის ამერიკელი მილიარდერი მიიჩნევს, რომ სწორედ დღეს შექმნილი სიტუაცია აძლევს მას შანსს, აიხდინოს დიდი ხნის წინანდელი ოცნება — „მაიკროსოფტის“ დამარცხება და „მსოფლიოში წამყვან კორპორაციად“ „ორაკლის“ გადაქცევა. ამის გაგონება ვიღაცას გაავიწყებს, ვიღაცას გაღიბების საბაბს მისცემს, მაგრამ რაც უნდა თქვან, ამ მისწრაფებაში სრულად ჩანს ელისონის ხასიათი. „მინდა, რომ „ორაკლი“ პროგრამირების სფეროში მსოფლიოში ნომერ პირველ კომპანიად იქცეს, — ამბობს მაგნატი, — და ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ჩვენ შეგვიძლია, დავამარცხოთ „მაიკროსოფტი“ და ძალზე მნიშვნელოვანი და წონადი ფირმა გავხდეთ“.

ეს კაცი არასდროს გამოირჩეოდა მოკრძალებით — გინდ ბიზნესში, გინდ საკუთარი შესაძლებლობების თუ სხვათა

პოტენციალის შეფასებისას, გინდ პირად ცხოვრებაში და გინდა, გატაცება-გართობის ფორმების შერჩევის თვალსაზრისით. ყველაზე მოკლე და საუკეთესო დასასიათება, რომელიც „ორაკლის“ მეპატრონეს შეიძლება მისცე, ესაა — დაუდგომელი მილიარდერი. მისი ბოლო შენაძენი — ენ. „სილიკონის მინდვრის“ (საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი აშშ-ში) ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კომპანიის — Sun Microsystems — 7,4 მლრდ დოლარად ყიდვა ამ კაცის ამბიციების რეალიზაციისკენ გადაღმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

## ჟალის მიჯაჭო და გარემოებაი

„მაიკროსოფტის“ მფლობელს, ბილ გეისსა და ლარი ელისონს შორის პაექრობა 1986 წელს დაიწყო, როცა მათი სახელები პირველად მოხვდა ჟურნალ „ფორბსის“ უმდიდრეს ადამიანთა სიაში. 315 მლნ დოლარის მფლობელ გეისს მაშინ უფრო მაღალი საფეხური ეკავა, ვიდრე ელისონს (185 მლნ). მაგრამ „ორაკლის“ თავკაცს რატომღაც, უკვე მაშინ სწამდა, რომ ცოტა ხანში ყველაფერი სრულიად საწინააღმდეგოდ შეიცვლებოდა. აი, სწორედ იქიდან მოყოლებული, მას ვერაფრით დაუძლევია გეისისადმი სიძულვილი და არ ტოვებს არც ერთ შანსს, მასზე რაიმე სისაძაგლე თქვას. მაგალითად: „ბილ გეისს სურს, რომ ადამიანები მას, როგორც ელისონს (იგულისხმება გენიალური გამოგონებელი) აღიქვამდნენ, არადა, სინამდვილეში ის როგორღაცაა. ძალიან ცდვიანი ის ადამიანები, ვინც მას ამერიკის უჭკვიანეს კაცს უწოდებენ, სიმდიდრე იგივე როდია, რაც ინტელექტი...“



ერთხელ, 2000 წელს ელისონმა მცირე ხნით გაუსწრო გეისს. მაშინ, ერთ წელიწადში მისი ქონება 4 მლრდ დოლარით იმის წყალობით გაიზარდა, რომ ის დროულად ჩაება ინტერნეტვაჭრობაში. ამავე დროს, „მაიკროსოფტმა“, მის წინააღმდეგ გამართული, ანტიმონოპოლიური სასამართლო პროცესის გამო, 10 მლრდ დაკარგა. სხვათა შორის, ელისონი ერთ-ერთ იშვიათთაგანი იყო ენ. „სილიკონის მინდვრის მეგობრებს“ შორის, ვინც დაუფარავად უჭერდა მხარს ბრალდების მხარეს. ეს მხარდაჭერა სარკასტული განცხადებებითაც გამოისატებოდა, მაგალითად: „თუკი სადმე რაიმე პროგრამული ინოვაცია ჩნდება, „მაიკროსოფტი“ უმალ ამის კოპირებას ახდენს და შემდეგ თავისი Windows-ის ნაწილად აქცევს... ეს, ინოვაცია კი არა, ინოვაციების აღსასრულია“. თუმცა ბრალმდებელთა მატერიალური მხარდაჭერა „მაიკროსოფტისთვის“ გაცილებით მტკივნეული იყო: ლარი ელისონმა ჩამოაყალიბა საკუთარი, დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც საიდუმლოდ იკვლევდა გეისის კორპორაციასთან დაკავშირებული ფირმების „სანაგვე ყუთებს“ და კომპიუტერულ „ნაგავში“ კონკურენტის საწინააღმდეგო სამხილებს ექებდა. ამის შედეგად, ელისონის დეტექტივებმა მიაგნეს იმ დოკუმენტების შავ პირებს, რომლებიც ადასტურებდა, რომ „მაიკროსოფტს“ გარკვეული წვლილი მიუძღოდა გადასახადების გადახედვით ნაციონალური კავშირის ექსპერტთა მოსყიდვაში იმ მიზნით, რათა მათ, როგორც დამოუკიდებელ საზოგადოებრივ დამცველებს, ბილ გეისის ინტერესები გაეზარებინათ.

საინტერესოა, რომ მსგავსი ფაქტების გამოშუქების შემდეგ, ელისონს არც უცდია, დაემტკიცებინა, რომ ამ საქმეში მისი ხელიც ერია. „დიას, — თქვა მან, — ამ საკითხით მეც დავინტერესდი და ამაში სამარცხვინოს ვერაფერს ვხედავ. ნახეთ, ისინი რა ხერხებით იბრძოდნენ!...“ „მაიკროსოფტისადმი“ მისი სიძულვილის მწვერვალად კი, ის იხციდენტი უნდა მივიჩნიოთ, რომლის დროსაც, ელისონმა „მარკეტის“ ფირმის საკუთარი ავიაგამანადგურებით ძალზე დაბალ სიმაღლეზე გადაუფრინა ბილ გეისის მამულს, რათა ძრავების გუგუნით „მისაღმებოდა“ კონკურენტი.

რატომ მაინცდამაინც ავიაგამანადგურებით? ისევ და ისევ იმიტომ, რომ ეს — ლარი ელისონია და თუ სხვა მაგნატებს სამგზავროდ, კორპორაციული თვითმფრინავები და დაქირავებული პილოტები ჰყავთ, ლარის — იტალიური „მარკეტი“ და კიდევ რამდენიმე ავიალაინერი აქვს, თავადაა ლიცენზიის მქონე მფრინავი და პირადად თავკაცობს საკუთარ ესკადრილისა... გარკვეული ხნით ლარიმ თავი დაანება გეისის წინააღმდეგ გალაშქრებას და აი, ფინანსური კრიზისის დაწყებისთანავე მისმა პატივმოყვარეობამ კვლავ მძლავრად იფეთქა. ერთი წლის წინ, „ფორბსის“ რეიტინგით, მას მე-14 ადგილი ეკავა (25 მლრდ დოლარი), გეისი მე-3 გახლდათ (58 მლრდ). ბოლო სიაში კი მართალია, გეისი კვლავ პირველია, მაგრამ მისი ზარალიც სოლიდური გახლავთ — 18 მლრდ. ელისონმა კი,



რომელმაც მხოლოდ 2,5 მლრდ დაკარგა, მე-4 ადგილზე გადაინაცვლა, ახლა 22,5 მლრდ დოლარს ფლობს და იმედითაა აღვსილი... არადა, თითქოსდა რა აქვს ამ ორ კაცს გასაყოფი? კი, ბატონო, „ორაკლს“ პროგრამული პროდუქტების ბაზარზე მეორე ადგილი უკავია, „მაიკროსოფტის“ შემდეგ. სამაგიეროდ, თავისი ძირითადი პროდუქტის — მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების (მბმს) სეგმენტში ელისონის კორპორაციას ბაზრის 61% ეკუთვნის. ამასთან, ამ პოზიციას ის უკვე 2 წელია, ინარჩუნებს და ამ მდგომარეობას ჯერჯერობით არაფერი ემუქრება. მბმ სისტემებს იყენებენ: საფინანსო ინსტიტუტები, ბანკები, ავიაკომპანიები, სავაჭრო ქსელები, სახელმწიფო დაწესებულებები, კორპორაციები და ფირმები. კლიენტთა სიები, მონაცემები მანქანა-დანადგარების შესახებ, თანამშრომელთა სააღრიცხვო ბარათები, საფინანსო ანგარიშები და ჩანაწერები, გარიგებათა ანგარიშები, საქმიანი მიმოწერა, იურიდიული და სხვაგვარი დოკუმენტაცია — ყველაფერს ვერც კი ჩამოთვლი. უკანასკნელი მონაცემებით, კორპორაცია „ორაკლში“ 65 ათასი ადამიანი მუშაობს, ხოლო მის კლიენტთა რაოდენობა 145 ქვეყანაში 320 ათასამდე აღწევს.

### განსაკუთრებული ნიჭი

ამბობენ, რომ „ორაკლის“ მრავალწლიანი მდგრადობა ორი ფაქტორითაა განპირობებული: პირველ რიგში, ესაა განუწყვეტელი ინოვაცია, მათ შორის, თავის დროზე სწორად შეფასებული, ინტერნეტის უსაზღვრო პოტენციალი და საკუთარ პროდუქტებში

ლორენს ჯოზფევი — იგივე ლარი ელისონი ნიუ-იორკში 1944 წლის 17 აგვისტოს დაიბადა. ის 19 წლის ქალის „ცოდვილი სიყვარულის ნაყოფი“ გახლდათ. როდესაც 9 თვის ჩვილს უმძიმესი ფორმის ფილტვების ანთება დაემართა, ლარი დეიდა და ბიძამ თავისთან ჩიკაგოში წაიყვანეს და გაზარდეს კიდევ. ლარის მამობილი, ლუის ელისონი აშშ-ში ყირიმიდან ჩასული ებრაელი იმიგრანტი გახლდათ. გვარიც ნიუ-იორკის ერთ-ერთი კუნძულის — ელისის მიხედვით „შეიძინა“, შესაძლოა — თავისი ებრაული წარმოშობის დასაფარავად.

12 წლამდე ბავშვმა არც იცოდა, რომ ნაწვილები იყო, ხოლო მშობელ დედას პირველად, უკვე მონიფულ ასაკში — 1990 წელს შეხვდა, როცა ქალს, ლარის დავალებით, დაქირავებულია მძებრებმა მიაგნეს.

„ლარი ნიჭიერი, მაგრამ ურჩი ბიჭი იყო, რომელსაც ადრეულ ასაკშივე ჩამოუყალიბდა სამყაროს მიმართ საკუთარი დამოკიდებულება. უდავო წარმატებებს მხოლოდ მათემატიკაში აღწევდა. სამედიცინო სკოლაში შესვლას აპირებდა, მაგრამ არა და არ დააყენა საშველი. ბოლოს, ილინოისის უნივერსიტეტში სწავლა დაიწყო, მაგრამ მეორე კურსის დახურვისთანავე თავი დაანება. ამის მიზეზად, დედობილის გარდაცვალება დაასახელა.

ზაფხული კალიფორნიაში, მეგობართან ერთად ლაზლანდარობაში გაატარა. შემდეგ ჩიკაგოს უნივერსიტეტს მიაშურა. მა-

მართველოს დაკვეთით სრულდებოდა. პროექტის სახელწოდება გახლდათ Oracle. ამავე წლებში მას თვალში მოხვდა IBM-ის



სპეციალისტის, ედგარ კოდის სტატია, რომელშიც მონაცემთა რელაციური ბაზების იდეა იყო დასაბუთებული. თვით კოდის ფირმაში ეს იდეა კომერციულად უპერსპექტივოდ მიიჩნეეს. 33 წლის ელისონს სრულიად განსხვავებული აზრი გაუჩნდა, ამიტომ 1977 წელს საკუთარი ჯიბიდან 2.000 დოლარი ამოიღო და ორ მეგობართან ერთად შექმნა კომპანია Software Development Laboratories. 2 წლის შემდეგ მას Relational Software Inc. დაერქვა, ხოლო 1983 წელს Oracle Corporation-ის სახელი მიენიჭა.

ელისონის პირველ კომერციულ ემ-მაკობას ის წარმოადგენდა, რომ მის მიერ შემუშავებულ მბმ სისტემებს Oracle-2 უწოდა: მას კარგად ესმოდა, თუ რაოდენ სპეკტიკურადაა განწყობილი მომხმარებელი ყველანაირი პროდუქციის პირველი ვერსიის მიმართ, ამიტომ შეგნებულ სიყალბეზე წავიდა. ეს ლარის ცხოვრებაში არც პირველი ეშმაკობა იყო და არც უკანასკნელი.

ამ ფანდმა ელისონს გამაოგნებელი წარმატება მოუტანა. 1980 წელს მის კომპანიაში 8 ადამიანი მუშაობდა, ხოლო მისი წლიური შემოსავალი ძლიერწივივით აღწევდა მილიონ დოლარს. მომდევნო 7 წლის მანძილზე რელაზაცია ყოველწლიურად ორმაგდებოდა, 1987 წლისთვის შტატთან თანამშრომელთა რიცხვმა 400-ს მიაღწია, ხოლო ბრუნვა უკვე რამდენიმე მილიარდს აღწევდა. სწორედ მაშინ გადაწყვიტა ელისონმა, რომ ბილ გეიტსთან შერკინების ძალა შესწევდა.

მაგრამ — ამაოდ. 1990 წელს მას ფიასკო ელოდა. „ორაკლი“ ძლიერწივივით გადაურჩა გაკოტრებას. კრიზისი მენეჯმენტში დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია: ადამიანები, რომლებიც საქმიანობას მილიონიან კომპანიაში იწყებდნენ, მრავალმილიარდიან ბრუნვას ვერ გაუმკლავდნენ, საქმე მათგან კვალიფიკაციისა და აზროვნების მასშტაბის სხვა დონეს მოითხოვდა. ელისონმა დაუნდობლად მოიშორა ძველი პარტნიორები, რომლებიც თავიდანვე მოჰყვებოდნენ მას.



ანსამბლი იაპონური არქიტექტურის სტილითაა გადაწყვეტილი

ისეთი კომპონენტების შეტანა, რომლებიც ინტერნეტის უფრო ეფექტიანად გამოყენებას უწყობს ხელს; მეორე ფაქტორს წარმოადგენს ლარი ელისონის იშვიათი ნიჭი — დაარწმუნოს კლიენტები იმაში, რომ მისი პროდუქტის გარეშე მათი ცხოვრება წარმოუდგენელია. და საერთოდაც, მთელი მისი ცხოვრება იმის დადასტურებაა, რომ შეუძლებელია, სახელმძღვანელოებით ისწავლო ბიზნესის წარმართვა. საამისოდ აუცილებელია, ბუნებრივი მიდრეკილება, განსაკუთრებული ნიჭი გქონდეს.

გრამ იქაც მცირე ხანს დაყო, თუმცა სწორედ იქ გადაყარა კომპიუტერსა და პროგრამირებას. 20 წლის ასაკში, კვლავ კალიფორნიაში ამოყო თავი და, როგორც შემდგომ გაირკვა, საკმაოდ დიდი ხნითაც. 13 წლის მანძილზე, შემთხვევით შემოსავალს სჯერდებოდა, რომელიც, ასე თუ ისე, კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სამუშაოდან ჰქონდა. 1970-იანი წლების დამდეგს კომპანიაში — Ampex Corp. — ჩაბმული იყო მონაცემთა ბაზების პროექტში, რომელიც ცენტრალური სადაზვერვო სამ-

სან ზღვაოსანი,  
სან — ღურბალი...

არადა, თვითონაც როდი იყო უცოდველი და შეუმცდარი. მონინალმდეგე გეიტსისა თუ თავისი მეგობრის, კომპანია Apple-ის თავკაცის, სტივ ჯობსისაგან განსხვავებით, ელისონი არასოდეს ყოფილა კორპორაციისა და შრომის მონა. „ცხოვრება ხანმოკლეა“, — ხშირად იმეორებდა ლარი, რომელიც მრავალგვარი ინტერესითა და გატაცებით გამოირჩევა. თვითმფრინავების პარკის გარდა, მას სარბოლო ავტომობილების საუცხოო კოლექცია აქვს. ის იმიტაც გამოირჩევა ბევრისგან, რომ სამსახურში ან სტუმრად, ეგზოტიური Audi A8-ის ან McLaren F1-ის საჭესთან მჯდომი ცხადდება ხოლმე. მისი საყვარელი მანქანა კი — Acura NSX გახლავთ. ამასთან, მას არაერთი მეგობრისთვის უჩუქებია ამ მარკის მანქანა, ამიტომ კალიფორნიელები, როცა გზაზე „აჯურას“ გადაეყრებიან, ფიქრობენ, რომ ის სწორედ ერთ-ერთი იმ ავტომობილთაგანია, რომელიც ვილაცას ლარიმ უსახსოვრა.

ელისონს სამთო ველოსიპედით სეირნობა უყვარდა და ერთხელ ისე დაიმტვრა, რომ ძლივს გადააურჩა სიკვდილს. მილიარდერს იტაცებს სერფინგი, მიუხედავად იმისა, რომ 47 წლის ასაკში, სწორედ კომპანიისთვის კრიზისულ ხანაში, ტალღებზე სრიალისას კისერი მოიტეხა. და მაინც, ყოველივე თქმული ვერაფრით შეეძრება იახტებით მის გატაცებას. ლარი ელისონი ამ სფეროშიც პროფესიონალია. 1998 წელს თავის იახტაზე — Sayonara — მან სიდნეი-პობარტის პრესტიჟული რბოლა მოიგო, თან — უმძიმეს პირობებში: რეგატის მონაწილენი სამინელ შტორმში აღმოჩნდნენ, რომელმაც რამდენიმე გემი შეშუსრა... პოლიკედულ მაგნატ დევიდ გეფენთან ერთად, ის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი იახტის — Rising Sun — მფლობელია: გემის სიგრძე 138 მეტრია, ხოლო მისი აგება 200 მლნ დოლარი დაჯდა.

ახლა მის სახლებს აღარ იკითხავთ?! მხოლოდ კალიფორნიაში უძრავი ქონების ათზე მეტი ობიექტი აქვს, რომლის საერთო ღირებულება 180 მლნ დოლარამდე აღწევს. თუმცა ყველა ერთად, მაინც ჩრდილში ექცევა, ქალაქ ვუდსაიდში მდებარე, მაგნატის მთა-



1998 წელს თავის იახტაზე — Sayonara — მან სიდნეი-პობარტის პრესტიჟული რბოლა მოიგო

ვარ მამულთან შედარებით. 10 ჰექტარზე, ალუბლის ხეებით დაფარულ ნაკვეთზე გამწვანებული ამსამბლი იაპონური არქიტექტურის სტილშია გადაწყვეტილი. მთავარი საძინებლის მომიჯნავე საბაზანოს ერთ-ერთ კედელს კლდის 3D-ტონიანი ნატეხი წარმოადგენს. მამულში სასმელი წყლის ხელოვნურ ტბასაც იხილავთ და XVI საუკუნის ხიდის ასლს, რომელიც ჩინეთიდან ჩაიტანეს და იქაურმა ოსტატებმა ააგეს. ასევე ხელოვნურ ჩანჩქერში ჩამონატეხულია დანადგარი, რომელიც ხელოვნურ ნისლს ქმნის. ნაგებობების ერთმანეთთან დასაკავშირებლად, რამდენიმეკილომეტრიანი მინისქვეშა გვირაბებია გაყვანილი.

ასეთ ფუფუნებაში ცხოვრობს ლარი ელისონი თავის მეოთხე ცოლთან, მასზე 25 წლით უმცროს, პროზაიკოს მელანი კრაფტთან ერთად. ისინი 2003 წლის დეკემბერში შეუღლდნენ და იმ დღეს წყვილის პირადი ფოტოგრაფის ამპლუით, სტუმრებს, სიძის კოლეგა — სტივ ჯობსი მოეკვლინა. ლარის წინა 3 ქორწინება გაყრით დასრულდა და სულში საკმაოდ ღრმა იარები დაუტოვა. მისი სასიყვარულო რომანების შესახებ თელმა ამერიკამ იცოდა. მოდელბისა და ჰოლივუდის ვარსკვლავების გარდა, ელისონი არც საკუთარი კომპანიის თანამშრომლებთან კავშირზე ამბობდა უარს, რაც პოლიტიკორექტულობის სანინალმდეგე ქმედებად მიიჩნევა.

ის არასდროს პირფერობს, არ მაღავს არც საკუთარ სიმდიდრეს და არც მილიარდერულ ახირებებს. არ დადის სამსახურში ჯინსით, როგორც ეს მილიარდერთა კლუბის სხვა წევრებს სჩვევიათ. ელისონს უფრო მეტად, „არმანის“ კოსტიუმები იზიდავს და ფეხსაცმელი, რომელიც ათას დოლარამდე ღირს.

ის ქველმოქმედებასაც მისდევს, ოღონდ ქველმოქმედების ობიექტს მუდამ საფუძვლიანად ირჩევს. მაგალითად, ჰარვარდის უნივერსიტეტისთვის შეწირულობას მიჰყო ხელი, მაგრამ როცა გაათრებულმა ფეინისტებმა ამ პოლიტიკორექტულმა პროფესორმა ამ უნივერსიტეტის პრეზიდენტს, ლარი სამერსს უფერგილო ხუმრობისთვის პოსტის დატოვება აიძულეს, ელისონმა სახსრების გადარიცხვა შეწყვიტა. როგორც ამის თაობაზე კალიფორნიული პრესა წერდა, „ის უარს ამბობს იმაზე, რომ იქცეოდეს ისე, როგორც ამას ამერიკული წარმატების დაუნერეული კანონები უკარნახებს, — მოკრძალებულად გამოიყურებოდეს და მოყვასის კეთილდღეობაზე ორიენტირებული იყოს“.

მოყვანის კეთილდღეობა

ასეა თუ ისე, XX საუკუნის 90-იანი წლებში დასაწყისში ელისონმა გამოცდილ სპეციალისტებს მოუყარა თავი და კომპანია გაკოტრებას გადაარჩინა, ხოლო 2 წელიწადში უწინდელი კაპიტალიზაციის დონესაც მიაღწია.

მსოფლიო აბლაბუდის მემკვიდრეობით ვაჭრობის გაფართოება ცაკვეულ კვარტალებში 76%-მდე სუფთა მოგებას იძლეოდა. გარდა ამისა, ელისონს კიდევ ერთი იდეა გაუჩნდა. წინათ ის სხვა კომპანიების შექმნაზე უარს ამბობდა, ამჯერად კი 180 გრადუსით შემობრუნდა. მას თითქოს ყიდვის ციებ-ცხელება შეეყარა. 2009 წლის დამდეგამდე „ორაკლმა“ სხვადასხვა კომპანიის შექმნისას 35 მლრდ დოლარი დახარჯა!

კომპანიასთან — Sun Microsystems — გარეგება, ამ ხაზის გაგრძელებაა და იმავდროულად, ახალ სიმაღლეზე „ორაკლის“ აყვანის მცდელობაც. ამ გარიგების დასრულების მომენტისთვის, რაც მომავალ ზაფხულს უნდა მოხდეს, Oracle კორპორაციული პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებული ფირმიდან, ისეთი IT-სისტემების გაცელებით ფართო სპექტრის მიმწოდებლად გადაიქცევა, რომლებიც პირდაპირ კონკურენციას გაუწევს IBM-ს, Hewlett-Packard-ს, Dell-ს, Cisco-ს და აგეთვე, Microsoft-ს. უახლესი სახეობის აპლიკაციებსაც „ორაკლი“, კორპორაციის თავკაცის თქმით, „შეძლებს, გამოუშვას ან-ყოფილი სერვერული სისტემები, რომელთა ყველა კომპონენტი იმთავითვე ინტეგრირებული იქნება ერთიმეორესთან“.

Sun Microsystems-ის დასაკუთრების შედეგად, Oracle-ს საშუალება ეძლევა, თავისი კორპორაციული პროგრამული უზრუნველყოფა, წინასწარ ანყოფილი სახით, დააყენოს Sun-ის სერვერებზე, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელის პლატფორმა — Solaris — უკვე ისედაც ყველაზე პოპულარული საოპერაციო სისტემაა „ორაკლის“ მონაცემთა ბაზებისთვის არსებულ შორის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლარი ელისონს იმედი აქვს, რომ აღნიშნული გარიგებიდან სულ ცოტა, ერთი წლის შემდეგ „ორაკლის“ მოგება 1,5 მლრდ დოლარს მიაღწევს, ხოლო კიდევ ცოტა ხანში, უფრო სწრაფი ტემპით ზრდას განაგრძობს. ასეთ პროგნოზს აკეთებს მაგნატი, რომელიც არასდროს გამოირჩეოდა მოკრძალებით...



მეუღლესთან ერთად



# კამერონ დიასის ნამდვილი ბიოგრაფია



ეს ნაზი, სიფრიფანა ქალი ბავშვობიდან ბიჭებთან უფრო მეგობრობდა, ცხოველებს „აგროვებდა“ და ზოოლოგობაზე ოცნებობდა, მაგრამ სამოდელი ბიზნესში მოხვდა და ასე დაიწყო მისი კარიერა. ახალგაზრდობის წლები მოზარდობის სანაზუარანაკლებ ბოზოქარი აღმოჩნდა...

ცხოვრების უმთავრესი მიზანი სულაც არ იყო. კამერონს გართობა, საფეხბურთო გუნდების „მხარდაჭერა“ ჯგუფებში“ მონაწილეობა, კინო და ლამის კლუბები უფრო იზიდავდა, სადაც საკუთარი დანჯღრეული „ფოლკსვაგენით“ დაიარებოდა...

ბავშვობაში ზოოლოგობაზე ოცნებობდა. გოგონას სახლში ზოოპარკი ჰქონდა მოწყობილი, სადაც კატები, ძაღლები, ჩიტები, თაგვები და ორი გველიც კი ბინადრობდნენ. 16 წელი რომ შეუსრულდა, დიასმა ერთ-ერთ ნვეულებზე ფოტოგრაფი ჯეფ დიუნასი გაიცნო, რომელმაც სამოდელი სააგენტო Elite-ში მუშაობა შესთავაზა. კამერონმა სკოლის დამთავრებისთანავე კონტრაქტი გააფორმა და სამუშაოდ იაპონიაში გაემგზავრა.

მაღე მისმა ფოტოსურათებმა ისეთი ჟურნალების პირველი გვერდები დაამშვენა, როგორებიცაა asModelo და Seventeen. კამერონის დღიური შემოსავალი 2.000 დოლარს აღწევდა. დიასის შემკვეთები იყვნენ კელვინ კლანი, Levi's, Coca Cola და Nivea. სწორედ იმ პერიოდში გააბა რომანი ვიდუოპროდიუსერ კარლოს დე ლა ტორესთან და ეს ურთიერთობა 5 წელი გაგრძელდა...

ერთხელ კამერონი მისი მენეჯერის მაგიდაზე ფილმის „ნილაბი“ სცენარს გადაანყდა. მან 12 სინჯი გაიარა და როლი მიიღო. ფილმის პრემიერის შემდეგ მასზე როგორც ახალგაზრდა, ნიჭიერ მსახიობზე აღაპარაკდნენ და წლის ყველაზე იმედისმომცემი მსახიობი ქალის ტიტულით დააჯილდოეს. დებიუტიდან ერთი თვის შემდეგ, კამერონი უკვე „შავი კომედიის“ — „უკანასკნელი ვახშამი“ გადაღებებში იყო დაკავებული. ამ სურათმა მისი უბადლო კომედიური ნიჭი კიდევ ერთხელ წარმოაჩინა. კინოდებიუტიდან ერთი წლის შემდეგ, ჟურნალმა Empire კამერონ დიასი კინოს ისტო-

რიაში ყველაზე სექსუალურ ვარსკვლავთა ასეთულში შეიყვანა.

ახალგაზრდა კამერონმა სამსახიობო ხელოვნების გაკვეთილებზე სიარული დაიწყო. პარალელურად სხვადასხვა ფილმში მონაწილეობდა. ამასთან, ცდილობდა, უკვე ჩამოყალიბებული „ლამაზი გოგონას“ სტერეოტიპი დაემსხვრია და სერიოზული როლები ეთამაშა.


კამერონმა მომდევნო როლი მას შემდეგ მიიღო, რაც მასზე უარი გვინეტ პულტროუმ განაცხადა. პირქუშ რომანტიკულ ფილმში „გრძნობ მინესოტას“ დიასმა კიანუ რივზთან ერთად ითამაშა. „დიასი გარეგნულად სრულიად არ მანყობდა. როდესაც დილის ცვლაში დაკავებული არ იყო, ბოსტნეულს ყიდულობდა და მთელი გადამღები ჯგუფისთვის პასტას ამზადებდა, მაგრამ კულინარიული ნიჭის



კამერონ დიასი 1972 წლის 30 აგვისტოს კალიფორნიის ქალაქ ლონგ-ბიჩში დაიბადა. კამერონის მამა წარმომობით კუბიდანაა, მის ძარღვებში ზანგური და ესპანური სისხლი ჩქეფს. იგი კალიფორნიის ზეთების კომპანიაში ოსტატად მუშაობდა. ნახევრად გერმანელი, ნახევრად ინგლისელი დედა საიმპორტო-საექსპორტო ოპერაციების ბროკერი იყო.

კამერონმა ბავშვობა ლონგ-ბიჩში გაატარა. დასთან — ხიმენასთან ერთად მეტალს უსმენდა, უწმანურად იგინებოდა და მთელ დღეებს მეზობლის ბიჭებთან ერთად ქუჩაში ატარებდა. დედა შვილის მუსიკალურ გატაცებებს გაგებით ეკიდებოდა და ვან ჰალენის, მეტალიკისა და ოზი ოზბორნის კონცერტებზე კამერონთან ერთად დადიოდა.

მართალია, გოგონა საშუალოზე კარგად სწავლობდა, მაგრამ პოლიტიქნიკურ სკოლაში სწავლა კამერონის



ჯიმ კერისთან ერთად

გარდა, მასში თავდაჯერებულობა და მამაკაცური იუმორის გრძნობა მიზიდავდა. კამერონს არანაირი ვარსკვლავური ხუშტურები არ ახასიათებდა, — ისხენებს ფილმის რეჟისორი სტივენ ბეიგელმანი. სწორედ ფილმის „გრძნობ მინესოტას“ გადაღებებზე დაიწყო კამერონისა და მსახიობ მეტ დილანის სასიყვარულო ურთიერთობა, რომელიც 3 წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა.

1997 წელს ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ჩემი საუკეთესო მეგობრის ქორწილი“, სადაც კამერონმა ჯულია რობერტსს გაუწია პარტნიორობა.

1998 წელს დიასმა სურათში „ზოგი რამ მერის შესახებ“ მთავარი

როლი განასახიერა. სხვათა შორის კინოფილმში პატარა ეპიზოდური როლი კამერონის მამამაც შეასრულა. ფილმი წლის ყველაზე შემოსავლიანი კომედია აღმოჩნდა, კამერონი კი ყველა ამერიკელი მამაკაცის საოცნებო ქალი გახდა. ამავე წელს ჟურნალმა People დიასი „მსოფლიოს 50 ულამაზეს ადამიანს“ შორის დაასახელა. 2002 წელს მისი სახელი ამ სიაში მეორედ შევიდა.

ფილმში — „იყო ჯონ მალკოვიჩი“ ნათამაშებმა როლმა კამერონს კრიტიკოსთა პატივისცემა, „ოქროს გლობუსის“, BAFTA Awards-ისა და



„არდადეგები“

SAG Awards-ის ნომინაციები მოუტანა.

2001 წელს ფილმში „ვანილის ცა“ განასახიერებელი როლისთვის მსახიობმა „ოქროს გლობუსის“ პრემია მიიღო (ნომინაციაში „მეორეხარისხოვანი როლების საუკეთესო მსახიობი“). ამ პერიოდში დიასმა წლის ყველაზე პოპულარული მულტფილმი „შრეკი“ გაახმოვანა. 2004 წელს ეკრანებზე მულტფილმის მეორე ნაწილი გამოვიდა, რომლის გახმოვანებაში კამერონ დიასმა 10 მლნ დოლარიანი ჰონორარი მიიღო.

2004 წელს დიასმა ჟურნალ FHM-ის რეიტინგში „ყველაზე სექსუალურ ქალთა ასეული“ მერვე ადგილი დაიკავა, ხოლო 2005 წელს ჟურნალ „მაქსიმის“ ანალოგიურ რეიტინგში 11-ე ადგილზე გავიდა.

ფილმის „ჩარლის ანგელოზები“ მეორე ნაწილში მონაწილეობამ დიასს 20-მილიონიანი ჰონორარი მოუტანა. ამასთან იგი ჯულია რობერტსის შემდეგ მეორე მსახიობი ქალია, რომელიც ფილმში მონაწილეობისთვის 20 მილიონ დოლარს იღებს.



პოლ სკულოფორტან ერთად

## კამერონ დიასის განსაკუთრებული თვისებები

- იგი არაპუნქტუალურია და ხშირად იგვიანებს.
- 18 წლის ასაკში კამერონი ალკოჰოლიზმით იყო დაავადებული. მამის ის ავსტრალიაში ცხოვრობდა.
- 1992 წელს მან სადისტურ პორნოგრაფიაში მიიღო მონაწილეობა. მოგვიანებით ვიდეო რუსული ინტერნეტით გავრცელდა. ამ ინციდენტს ხმაურიანი სასამართლო გარჩევა მოჰყვა.
- კამერონ დიასი ძალზე ცრუმორწმუნეა.
- იგი დასაბანად მხოლოდ Evian-ის მარკის წყალს ხმარობს.
- 2003 წელს ჰავაის კუნძულებზე სერფინგით სრიალის დროს ცხვირი მოიტეხა.
- კამერონ დიასი ვეგეტარიანელია.



მომზადდა ნატო მანჯაშიძემ

ტელენამყვანი ნინო არაზაშვილი შობიანზე იშვიათად დადის, მაგრამ ყოველ სელფასზე, ახალი წიგნის ყიდვის ცდუნებას მაინც ვერ უძლებს. ძალიან უნდა, ჰქონდეს საკუთარი ბინა, რომელსაც თავისი გემოვნებით მოაწყობს, მაგრამ ჯერჯერობით მშობლების ბინაში უწევს ცხოვრება. ნინო იმედს არ კარგავს, რომ ოცნებას ოდესმე აისრულებს.

## მერი კობიაშვილი

— როგორ ფიქრობ, გემოვნებიანი ადამიანი ხარ?

— არა მგონია. ჩემი აზრით, გემოვნება ასაკისა და გარემოების მიხედვით ყალიბდება. დღეს ჩემთვის მნიშვნელოვანია, ვგრძნობდე იმას, რა არის ფასეული მუსიკაში, მხატვრობასა და თანამედროვე ლიტერატურაში. საზღვარგარეთ მოგზაურობით განებივრებული არ ვარ. ამიტომ ამ კვირაში სილნალში პიკასოს სურათების სანახავად მიწა წავიდე. ძალიან მაინტერესებს თანამედროვე მეცნიერება. ტექნიკურ საგნებს კარგად ვსწავლობდი და მუდმივად თვალყურს ვადევნებ თანამედროვე მიღწევებს.

— შენს გემოვნებაში რა რადიკალური ცვლილება მოხდა?

— ჩემში სერიოზული გადაფასებები მოხდა. იყო პერიოდი, როცა ქართულ ფოლკლორს ვსწავლობდი და დღესაც მიმაჩნია, რომ ამაზე ფასეული არაფერი მომისმენია. რაღაც პერიოდის განმავლობაში გატაცებული ვიყავი რუსული რომანსებით, მაგრამ მალე ჯაზე გადავერთე. მერე მოულოდნელად როკმა „გადამიბირა“. ადრე შემეძლო, „ამარკორდი“ მენახა ბევრჯერ და ყოველ ჯერზე აღფრთოვანებული ვყოფილიყავი; ახლა დიდი სიამოვნებით ტრანსტინოს ფილმებს ვუყურებ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ძალადობაა მათში. ბევრი ფილმი მაქვს ნანახი, უამრავი ლიტერატურა მაქვს წაკითხული და მუსიკაც ბევრი მაქვს მოსმენილი. როცა კლასიკას კარგად იცნობ, რა არის ღირებული და რა — არა კარგად ერკვევი.

— ახლა რა მუსიკას უსმენ?

— ყველა ჟანრის მუსიკას უსმენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც „რუსთაველი 2“-ის დილის ეთერში მუსიკალური პროექტის გაკეთება დავინწყე.

— პროფესიით ჟურნალისტი ხარ, რომელიც კარგად მღერის...

— ასე ვერ ვიტყვოდი...

— თავმდაბლობა საჭირო არაა, მართლა კარგად მღერი. ჟურნალისტიკიდან წასვლა თუ დააპირე, რა ჟანრში იმღერებდი?

— მსმენელი ძირითადად რომანსებით მიცნობს. თუმცა უცნაურია, დღეს საკუთარ თავს როკში ვხედავ. თავს სიამოვნებით ჯაზშიც მოვსინჯავდი, ოღონდ თანამედროვე ელემენტებით... როდესაც კონცერტებზე მიწვევენ და მთხოვენ, რამდენიმე სიმღერა შევასრულო, ვუბნები, რომ მარტო

# ნილო აჩაჩაშვილი საქართველოს სანდო მუსიკოსს



## „...ყოველთვის ისე ხებოდა, რომ შავგვრემანები მიყვარდებოდნენ“

ნილო ქათამაძის რეპერტუარსაც სიამოვნებით ვუსმენ. მისი შესრულებით განსაკუთრებით „იების“ მოსმენა მიყვარს...

— გულახდილად გვითხარი, სხვა არსების დილის გადაცემაზე რა აზრის ხარ?

— სამწუხაროდ, სხვა არსებე დილის გადაცემის ყურებას ვერ ვახერხებ... როცა გადაცემა მე არ მიყავს, სხვა წამყვანებს ვაკვირდები, მათ მითითებებს ვაძლევ. თუ შევიტყობ, რომ ჩვენი კონკურენტები, რაიმე საინტერესოს აკეთებენ, ჩვენებს ვთხოვ, რომ მათი გადაცემები ჩამინერონ, თვალი რომ შევავლო და წარმოდგენა მქონდეს.

— შობიანი სანდოს რელაქსაციის საუკეთესო საშუალებაა?

— ქალი ვარ და, რა თქმა უნდა, შობიანი სიამოვნებას მანიჭებს, მაგრამ ჩემი ფინანსები ძირითადად, ჩემი შვილების სწავლა-განათლებაში იხარჯება. მოდას თვალ-ყურს ვადევნებ, მაგრამ სამოსს იშვიათად ვყიდულობ. ჩაცმა ჩემთვის უმთავრესი არაა.

— სახლი საკუთარი გემოვნებით გაქვს მონყობილი?

— ჩემი მშობლების ბინაში ვცხოვრობ და ბუნებრივია, იქ დედაჩემის და მამაჩემის გემოვნებით არის ყველაფერი მონყობილი და გაკეთებული. ძალიან მიყვარს სამზარეულოს გადახალისება. ოთახში, რომელიც მე მეკუთვნის, დიდი როიალი და ბუფეტი დგას. თუ ოდესმე ჩემი სახლი მექნება, ფართობს მაქსიმალურად ავითვისებ. არ მიყვარს ბინაში დიდი სივრცე. როგორც ნესი, ასეთ დროს, კედლებს ღიად ღებავენ, მაგრამ მე თუ-თუნისფერი ძალიან კარგ განწყობილებაზე მაყენებს. უმეტესად აზიური სტილი მომწონს, მაგრამ ოთახებში ფარჩის ფარდებს ვერ დავკიდებ, სხვადასხვა ფერის ნივთებით კი მოვანწყობ.

— შენი ყოფილი მეუღლეები გარეგნულად განსხვავებულები იყვნენ. ისე, როგორი მამაკაცები მოგწონს?

— გარეგნობას მნიშვნელობას არ ვანიჭებ. მამაკაცებში ძირითადად ინტელექტი მიზიდავს. არასდროს მიფიქრია იმაზე, როგორი მამაკაცი მომწონებოდა, მაგრამ ყოველთვის შავგვრემანები მიყვარდებოდა. სასურველია, მამაკაცი თბილი, ყურადღებიანი იყოს და ინტელექტიც ჰქონდეს.

— ყოფილ მეუღლეებთან ურთიერთობა გაქვს?

— რა თქმა უნა, განსაკუთრებ-

ბით, ჩემი შვილების მამასთან ვურთიერთობ. ის შვილების მიმართ ძალიან ყურადღებიანია. მეორე მეუღლეს, როცა ვინმეს კოორდინატები მჭირდება და ვიცი, რომ მან იცის, იმ შემთხვევაში ვურეკავ. ისიც ანალოგიურად იქცევა...

— როგორ ფიქრობ, შესაძლებელია შეგიყვარდება ისე, რომ ოჯახი შექმნა?

— არ მიყვარს, რამის წინასწარ თქმა. ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ოჯახი დაამეგრეოდა. ორივე შემთხვევაში მზრუნველი ცოლი და ძალიან კარგი დიასახლისი ვიყავი. ამას სიამაყით ვამბობ. არ არსებობს საქმე, კარგად რომ არ გამომივიდეს. უგემრიელეს კერძებს ვამზადებ და ხელსაქმეშიც ბადალი არ მყავს... ბევრი ალბათ ფიქრობს, რომ შეცდომები დაფუძვი, რადგან ოჯახი ორჯერ დამეგრია. ზოგს ყველაფერი წინასწარ აქვს ხოლმე გათვლილი. ანგარების გამო ოჯახი არასდროს შემიქმნია. ორჯერვე დიდი სიყვარულით გათხოვდი და ძალიან მინდოდა, რომ ცხოვრების ბოლომდე ის სიყვარული შემენარჩუნებინა, მაგრამ ასე არ მოხდა... მესამე ქორწინებაზე რომ მევიოხებო, პასუხი არ მაქვს, ხვალ ნამდვილად არ ვაპირებ გათხოვებას და მეერ რა მოხდება, ნამდვილად არ ვიცი, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ნაბიჯის კიდევ ერთხელ გადადგმა ძალიან რთული იქნება. ორი შვილი მყავს, რომელთა წინაშეც უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობ.

— ბოლოს, მინტერესებს, რომელ პრესას ეცნობი? რომელ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობ?

— საქართველოში გამოავალი ჟურნალებიდან მხოლოდ „ცხელ შოკოლადს“ ვკითხულობ. თუმცა სხვა ჟურნალებს არაფერს ვერჩი, თან, ყველას წაკითხვასაც ვერ მოვახერხებ.

არ ვარ, რადგანაც ყოველთვის ბუნდობლად ვმღერო. ამიტომაც, რომ ნილო არაზაშვილს ფონოგრამა არა აქვს. სიმღერას რომ ვასრულებ, პირველ რიგში, ამით სიამოვნება უნდა მივიღო.

— ტელევიზორს რომ გადავხედოთ, ბევრმა წარმატებას სკანდალებით მიაღწია. მაგალითად, რუსეთში მოღვაწე თიკა კანდელაკმა...

— შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თიკა ძალიან ნიჭიერი ადამიანია. „მეორე არსზე“ ვმუშაობდი, როცა თიკა ტელევიზიაში მოვიდა. კარგად მახსოვს, რომ ქართული ასოებიც კი არ იცოდა...

— აშკარად ნიჭიერია, სკანდალების მოფიქრებასაც ხომ ნიჭი უნდა. როგორ გგონია, მიზნის მისაღწევად ასეთი გზა გამართლებულია?

— ვფიქრობ, რომ სკანდალით პიარის გაკეთება ღირს, მაგრამ პირადად მე, ასეთ ნაბიჯს ვერ გადავდგამ. მიჩვენებია, ღმერთის მიერ მომადლებული ნიჭის წყალობით გავხდე პოპულარული... მგონია, რომ გამიმართლა. წარმატება ჩემთან ძალიან დიდი შრომის ფასად მოვიდა. სკანდალის მოფიქრებაში დრო არ დამიკარგავს...

— მხატვრული ლიტერატურის კითხვისთვის დრო თუ გრჩება და რომელია შენი სამაგიდო წიგნი?

— იყო წლები, როცა სამაგიდო წიგნები მქონდა... თანამედროვე ლიტერატურა მიყვარს. სიახლეებს ვეძებ. არასდროს გამოვტოვებ ავა მორჩილაძის ახალ ნამუშევარს. გუგამ დოჩინაშვილიც მიყვარს. როგორც კი შევიტყობ, რომ ახალი მოთხრობა დაწერა, მაშინვე ვცნობი. ახალ გამოცემებს ინტერნეტში მუდმივად თვალს ვადევნებ.

— განწყობისთვის რა მუსიკას უსმენ?

— ჯანო კახიძის რამდენიმე სიმღერა მომწონს... მეამაყება, რომ ჯანო კახიძის მსგავსი მუსიკოსი საქართველოს ჰყავდა.



# დაწუნებული სასიძო-საჯავახკროშაი

**ხშირად, მშობლები სასიძოს ან სარძლოს სხვადასხვა მიზეზის გამო იწუნებენ და მათ ვერც გაამტყუნებ — თავისი შვილისთვის ყველას მხოლოდ საუკეთესო ემეტება. ალბათ, ბევრ თქვენგანს დასწყვიტა გული მომავალი მეუღლის მშობლების არაკორექტულობა ნათქვამმა, მაგრამ იმედია, ამის გამო სიყვარული არ დაგინგრევიათ.**

წუნა, რომ ჩემი მშობლები ვაჭრობენ. ამბობდა, — ვაჭრის ქალს სახლში როგორ შემოვიყვანო? სწორედ მისი სიტყვების გამო, მე და ჩემი შეყვარებული ერთმანეთს დავეშორდით. ვფიქრობ, ღმერთმა გადაამარჩინა და დამიფარა, მათ ოჯახში რომ არ მოვხვდი.

როცა საყვარელ ადამიანს და ოჯახს შორის არჩევანის გაკეთება გინევს

## ლიპა ქაჩაია

**ვალვინა, 19 წლის:**

— როცა ოჯახში შედიხარ და გინუნებენ, უნდა შეეცადო, შენი რჩეულის მშობლების ან ნათესავების ნათქვამი გულთან ახლოს არ მიიტანო და იმდენი მოახერხო, რომ შენს დამწუნებლებს თავი მოაწონო. ჩვენ, ახალგაზრდებს შენიშვნების გათვალისწინება არ გვიყვარს და როცა რალაცაზე მიგვითითებენ, ცხვირს ვიბზუებთ ხოლმე. სწორედ ამ ნაბიჯმა დალუბა დედაჩემი, რომელმაც ვერაფრით ამოიგდო გულიდან, რომ თავის დროზე დედამთილმა დაიწუნა. ჰოდა, გადაწყვიტა, მისთვის სიცოცხლე გაეწინარებინა.

**— დედამთილმა რა მიზეზით დაიწუნა?**

— როგორც ყველა მშობელს, ეტყობა, ბებოსაც ეჩვენებოდა, რომ მისი შვილი საუკეთესო გოგოს იმსახურებდა. ამიტომაც, როცა ვაჟმა შინ საცოლედ მიუყვანა და განუცხადა: ეს გოგო დღეიდან ჩემი ცოლიაო, თურმე, დაიბნა, ფერი შეეცვალა. გონს რომ მოსულა, მეზობლისთვის უთქვამს, — ჩემი შვილისთვის უფრო ლამაზი, კარგი გარეგნობის გოგონა მინდოდაო. მოგვიანებით, თურმე, რძალს რალაც შენიშვნებსაც აძლევდა, დედაჩემს კი ყოველსმცოდნეობის პრეტენზია ჰქონია და თან, წუნია დედამთილის სიტყვებს ხომ არ გაითვალისწინებდა? — ეგონა, ის მხოლოდ ცუდს თუ ურჩევდა.

**— ასე რატომ ფიქრობდა?**

— სულ ელანდებოდა, რომ დედამთილი მის ზურგს უკან რალაცას ჩაღრიზობდა და ყველაფერს აკეთებდა, რათა რძალი სახლიდან გაეგდო.

**— შენ ამის გვერა?**

— ამის რომ მჯეროდეს, ყველაფერს სხვანაირად მოგიყვებოდი. ბებო მთელ ქვეყანას მირჩევნია და ვერ დავიჯერებ, რომ წლების წინ „მონსტრი“ იყო... დედას უკვე 3 შვილი ყვავდით, როცა დედამთილზე ჯავრის ამოყრა სერიოზულად განიზრახა და ამას ჩვენი, ბავშვების წყალობით ახერხებდა კიდევ.

**— ეგ როგორ?**

— დედამთილს ჩვენს თავს არ ანდობდა, მის წინააღმდეგ გვაძებდრებ-



და და ისეთი რალაცების თქმას და კეთებას გვაძიქლებდა, რამაც ბებოს ინფარქტი დამართა. საბედნიეროდ, როცა ნამოვიზარდეთ და შავისა და თეთრის გარჩევა ვისწავლეთ, მივხვდით, რომ ბებო ისეთი ტირანი არ იყო, როგორც ამას დედა გვიკვირებდა.

**— დედამთილმა შენ რომ დაგინუნოს, როგორ მოიქცევი?**

— მე უკვე მყავს დედამთილი და თავისი შვილისთვის მასაც ჩემზე უკეთესი გოგო უნდოდა, მაგრამ ახლა, შეიძლება ითქვას, რომ შვილზე მეტად ვუყვარვარ — მე ეს დავიმსახურე!.. დედაჩემის ადგილას, ბებოს კი არ ავითვალწუნებდი, შევეცდებოდი, დამემტკიცებინა, რომ მის შვილს შეუყვარდა ქალი, რომელიც მართლაც, მისი ღირსი და შესაფერისი იყო.

**— საინტერესოა, დედამთილის გულის მოგება როგორ მოახერხე?**

— ამისთვის ბევრი არ მიჩალიჩია — დედამთილის გულის მოსაგებად ტკბილი სიტყვაც საკმარისია!

**თინიჯო, 21 წლის:**

— სადედამთილმ იმის გამო დამი-

**— საიდან გაიგე, სადედამთილო რომ გინუნებდა?**

— ის ქალბატონი ამას დაუფარავად, ყველგან ამბობდა. ჩემი მშობლების საქმიანობას იწუნებდა, თავად კი შიმშილით კუჭი უხმებოდა თურმე. როცა მისი ნათქვამი შემატყობინეს, ძალიან გავბრაზდი და დავიფიცე: ან იქროს კომპიუტერი რომ ამიგონ, მათ ოჯახში ფეხს აღარ შევდგამ-მეთქი. იმ ქალბატონს ჩემი თავი სანატრელი გაუხდა — ახლა ისეთი რძალი ჰყავს, რომელიც სისხლს უშრობს.

**— შეყვარებულმა ასე ადვილად დაგთმო?**

— კარგა ხანი „მენრუწუნებოდა“, მაგრამ დედამისს ჩემი მშობლების შეურაცხყოფას ვერაფრით ვაპატიებდი. მან ისიც კი ვერ მოახერხა, რომ დედამისის საქციელის გამო ჩემთვის ბოდიში მოეხადა, მე კი ასეთი „სუსტი“ კაცების არ მესმის. ჰოდა, მოვიშორე, მან კი ჩემს ჯიბრზე, სხვა შეირთო და ახლა, დღე არ გავა ისე, მათი სახლიდან ყვირილის ხმა რომ არ გამოვიდეს. ხან დედამისი მხვდება ქუჩაში თვალბეჭალურჯებული და ხანაც — მისი „ლამაზი“ ცოლი.

**— ის გოგო უსიყვარულოდ შეირთო?**

— დედამისმა გაურჩია. ხომ არის ბედის ირონია (იცინის)?!. მართალია, მას შემდეგ ვერავინ შევიყვარე და ჯერ კიდევ გასათხოვარი ვარ, მაგრამ ასეც რომ დავრჩე, მისნაირი ქმრისა და დედამთილის გვერდით ცხოვრებას მარტოობა მირჩევნია.

**— დედაშენს სასიძო მოსწონდა? მას პრეტენზიები არ ჰქონდა?**

— არ მოსწონდა და მეუბნებოდა: მათ ოჯახში შესვლას ყველაფერი გერჩინოს. ვიცი, გაგამწარებენ, მაგრამ თუ გიყვარს და შენსას არ დაიშლი, მას შვილად მივიღებო... ჩემებმა ვაჭრობა გაჭირვების გამო დაიწყეს, მაგრამ არ გაბოროტებულან და გააფერისტებულან. ისინი საღი აზროვნებით ბევრ პედაგოგსა და ვითომ განათლებულებს ჩამოიტოვებენ უკან. სხვებისგან განსხვავებით, ჩემი მშობლები შეგნებულნი ადამიანები არიან...

**მიშა, 26 წლის:**

— სასიდედრომ მეც დამიწუნა და

შვილს უსაყვედურა, — ერთი გაუნათლებელი ბიჭია და რამ მოგანონაო? მაგრამ ახლა ჩემს მზეს ფიცულობს.

რა დამსახურებისთვის?

— მე განათლებულ ოჯახს ჩავესიძე. სიმამრი ლექტორია და უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს, სიდედრი ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში, ნორმალურ თანამდებობაზე მუშაობს, ცოლისძმა ერთ-ერთ ბანკში, მენეჯერი გახლავთ, ჩემი ცოლი კი ექიმი-პედიატრია. ჰოდა, წარმოიდგინეთ, მე, გლეხის შვილი, თავადაც გაუნათლებელი და უდიპლომო, ვის მოვეწონებოდი?.. სამაგიეროდ, ისეთი გარეგნობა და ენა მაქვს, საყვარელი ადამიანი მალევე „გავსკვანჩე“ და მან გადამწყვიტა, სახლში მივეყვანე. მისი მშობლებისთვის არაფერი დამიძალავს და ისიც დაუფარავად ვთქვი, რომ თუ არ ჩამისიძებდნენ, სხვა გზა არ დამრჩებოდა, მათი ქალიშვილი სოფელში უნდა წამეყვანა. სასიდედროს არ მოერიდა და თავში ხელი ჩემი თანდასწრებით წაიშინა, სასიმამრომ ვითომ არაფერი შეიმჩნია, მაგრამ იმ დღეს ღვინოში ლამის ჩაიხრჩო. მხოლოდ ცოლისძმა აღმიქვა ნორმალურ სასიძოდ და თავის თანატოლად მიმიჩნია. ცოლის მოყვანის შემდეგ, კიდევ უფრო გამიმართლა და ნათესავის წყალობით ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიაში დავინყე მუშაობა. ახლა იმდენ ფულს ვშოულობ, რომ მეუღლის ოჯახის წევრებსაც ვხმარები, მანქანაც შევიძინე და მალე ბინის ამბავსაც მოვაკვარახჭინებ. სიდედრს თბილი გაიტყვებით თავი ისე შევაყვარე, რომ ზოგჯერ, საკუთარ შვილს ტუქსავს ჩემ გამო და ეუბნება, — ამან ცოლად როგორ მოგიყვანაო?! ხომ მაგარია? აი, ასე, ყველაფერს დამსახურება უნდა (იციან)!  
— სიდედრზე რაიმე ანეკდოტს ვერ მოგიყვები?

— ახლა გინდა, ის ქალბატონი გადაგიკიდო, არა? არაფერი გამოგივა. მე მართლა ხეპრე კი არ ვარ. მინდა, ჩემი ცოლის დედიკოს ვუთხრა: ქალბატონო მარინე, თქვენი შვილი ძალიან მიყვარს და გპირდებით, თავს კიდევ უფრო შეგაყვარებთ!

# „ჩქინი“ „კვამ ჰიში“, მატყუარა სანიძო და მოლაღაშე სოლი

დაოჯახებული ადამიანების სასიყვარულო ლაბირინთებთან დაკავშირებით მესიჯები სშირად მომდის. სამწუხაროდ, დღეს ეს პრობლემა ბევრს აწუხებს. უმეტეს შემთხვევაში, ცოლიანი კაცები აქტიურობენ და პატარა, გამოუცდილი გოგონების „შებმას“ ცდილობენ. როცა მიზანს მიაღწევენ, შეყვარებულს მხოლოდ ამის შემდეგ უმხელენ საკუთარ დიდ საიდუმლოს და აყენებენ არჩევანის წინაშე: ან სხვისი უბედურების ხარჯზე უნდა გაბედნიერდე, ან დაეშორდეთო! სშირად, შეყვარებული და გზაბნეული გოგონა არასწორ გადაწყვეტილებას იღებს, ზოგიერთი მათგანი კი „ლოვეს“ მიერ დაგებული მახეს გვერდს უფლის და საკუთარი კეთილდღეობისთვის სასარგებლო არჩევანს აკეთებს.



„სიყვარული ბრმაა, მაგრამ მაინც, თვითნებურად იქცევა, არ გემორჩილება“

მარიტა, 16 წლის:

— ცოლიანმა კაცმა თავი შემეყვარა და მხოლოდ ამის შემდეგ გამომიტყდა, რომ ოჯახი ჰქონდა. ამ ამბავმა თავზარი დამცა, აღარ ვიცოდი, რა მექნა. ის მამშვიდებდა: ნურაფრის გეშინია, არ მიგატოვებ. ვიდრე შენ ზრდასრული გახდები, მე ცოლს „რაზვოდს“ მივცემ და დაქორწინებასაც შევძლებთო.

— ახლა არ მითხრა, რომ იმ კაცს ისევ ხვდები...

— ჰო, ხვდები და ვიცი, რომ ცუდად ვიქცევი, მაგრამ აზრზე მოსასვლელად და რალაც კონკრეტული გადწყვეტილების მისაღებად დრო მჭირდება.

— შენს ადგილას მას სასწრაფოდ დაეშორებოდი!

— ასეც ნუ იტყვი. ვიდრე სიმართლეს მეტყოდა, მეც შენნაირად ვლა-

პარაკობდი, მაგრამ როცა ამ პრობლემის წინაშე თავადაც აღმოვჩნდი, თითქოს, ძალა გამომეცალა და მოქმედების უნარიც დავკარგე.

— შენი სიყვარულის შესახებ მშობლებმა თუ იციან რაიმე?

— დედამ იცის, რომ შეყვარებული მყავს და მისი გაცნობის სურვილიც ჰქონდა, მაგრამ შაკომ თავი გაიგო: ჯერ ვერ გავიცნობ; როცა დრო მოვა, მას თავად ვესტუმრები, ყოველგვარი მიპატიჟების გარეშეო... მის შესახებ მამამაც იცის, მაგრამ რატომღაც, სასიძოს გაცნობის სურვილი არ გამოუთქვამს (ეტყობა, გრძნობდა რალაცას). ჩემებმა რომ გაიგონ, შაკო ცოლიანია, შეიძლება, ფეხებით ჩამოგვიდონ.

— ეს შენი ბრალი ხომ არაა?

— ჩემი ბრალი ისაა, რომ თავს ვიბრმავებ და მიუხედავად იმისა, რომ უკვე მისი ცხოვრების შესახებ თითქ-

„მუსიხალური აზინდი“  
მუსიხა და აზინდი - თქვენი განწყობისათვის!  
სალოგო ლილუაშვილი  
10:30, 11:30, 18:00, 20:00  
RADIO PALITRA  
FM 103.9  
ჩადიჩი პალიტრა

მის ყველაფერი ვიცი, „ლოვეს“ მაინც ვხვდები. შაკო ძალიან მიყვარს და ასე მგონია, მის გარეშე მოვკვდები.

— **მეგობრები რას გეუბნებიან?**

— ზოგი მეუბნება, — მისი ცოლი „დაიკიდე“ და მხოლოდ საკუთარ ბედნიერებაზე იფიქრო, ზოგი კი მარწმუნებს, რომ სხვის უბედურებაზე აგებული ბედნიერება სუსულასავით დამენგრევა თავზე და რომ ეს ნაბიჯი ცხოვრების ბოლომდე სანანებელი გამიხდება.

— **შენ რომელი აზრისკენ უფრო იხრები?**

— ხან პირველი აზრი მომნონს, ხან — მეორეზე ვფიქრობ და ამიტომაც, ლაბირინთში აღმოვჩნდი...

— **შენს „ლოვეს“ რამდენი შვილი ჰყავს?**

— 2 შვილი ჰყავს — გოგო და ბიჭი.

— **თავად რამდენი წლისაა?**

— 34-ის.

— **გარდა იმისა, რომ ცოლ-შვილიანი, ასაკითაც ბევრად დიდი ყოფილა...**

— ჰო, მაგრამ ეს ჩემთვის პრობლემა არაა. ადამიანს ნებისმიერ ასაკში აქვს სიყვარულის უფლება, სიყვარულმა

ბევრჯერ მიფიქრია და ვიცი, მართლა რომ დაველოდო და ცოლად გავყვე, ეს მისი ოჯახისთვის ძალიან მტკივნეული იქნება, მაგრამ „ლოვეს“ „კლანჭებისგან“ თავის დაღწევასაც ვერ ვახერხებ. მე ცხოვრებაში პირველად (და ალბათ, უკანასკნელად) შემიყვარდა და ამიტომაც ვარ ასე თავგზააბნეული. იმედია, მალე სწორ გადაწყვეტილებას მივიღებ...

**ბიაკო, 18 წლის:**

— ჩემზე 5 წლით უფროსი და თანაც, გათხოვილი გოგონა მიყვარს. მართალია, მას ოჯახი აქვს, მაგრამ ჩემთან ერთად გართობაზეც არ ამბობს უარს. ისე, რომ მიმატოვოს, ამას ვერ გადავიტან. მან ეს იცის და ამიტომაც თავხედობს.

— **მისი თავხედობა რაში გამოიხატება?**

— როცა უნდა, მაშინ მეძახის. შეიძლება, ლამის 3 საათზე ქუჩაში გამომიყვანოს, კილომეტრები ფეხით მატაროს და მაინც არ შემხვდეს — შორიდან ხელს დამიქნევს ხოლმე და მესიჯით მატყობინებს, რომ უკვე ძალიან გვიანია და გარეთ ვეღარ გამოვა. ჰო, იცინე, იცინე, მე კი არ მეცინება...

— **თავს ასეთ სასაცილო სიტუაციაში ნუ ჩაიგდებ და ვერაფერს დაგცინებს. ალბათ, მოგნონს, როცა გეთამაშებიან, შენით ერთობიან...**

— სხვა რომ იყოს, ასეთი საქციელისთვის პასუხს მოვთხოვდი, მის წინაშე კი უძლური ვარ. მეგობრები მეკაიფებიან, — რა იყო, ბიჭო, ჯადო ხომ არ გაგიკეთაო?!

— **რა იცი, იქნებ, მართლა მოგაჯადოვა და ამას ვერ ხელები?!**

— ისევე მეკაიფები, არა?

— **ყველაფერთან ერთად, ეჭვიანიც ყოფილხარ...**

— ჰო, საშინლად ეჭვიანი ვარ და შენ წარმოიდგინე, მის ქმარზე და შვილზეც კი ვეჭვიანობ...

— **შვილიც ჰყავს?**

— კი, 3 წლის ულამაზესი გოგონა ჰყავს. ასე მგონია, ჩემი შვილია და მასზე ჭკუა მეკუტება.

— **გათხოვილი ქალი როგორ შეგიყვარდა?**

— ის ნათესავის ქორწილში გავიცანი. თურმე, მის ქმარს არ ეცალა და მეგობრებთან ერთად მოვიდა. „ხალასტოი“ მეგონა და „ავეკიდე“. ვხვდებოდი, რომ მეკაიფებოდა, რაღაცას მიმაღავდა, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ქმარ-შვილი ჰყავდა.

— **ბეჭედი არ ეკეთა?**

— „კალცო“ არ ეკეთა და რა ვიცი... იმ საღამოს სახლშიც კი მივაცილე და პაემანიც დავუნიშნე. უარი არ უთქვამს. მეორე დღეს შემხვდა და მანქანით ვისეირნეთ. როცა 3-4-ჯერ შეხვდით, მხოლოდ მერე მითხრა, რომ

ქმარიც ჰყავდა და შვილიც. ლამის გული გამისკდა, მეგონა, ცა ჩამოიქცეოდა... ყველაფერი გადავიტანე, მაგრამ მისი სიყვარული გულიდან ვერაფრით ამოვიგდე.

— **მისთვის არ გიკითხავს, ასე რატომ იქცევა?**

— ვვითხე და მიპასუხა: ქმარს ან-გარებით გავყვევი ცოლად, შენ კი, როგორც მამაკაცი, მიზიდავო.

— **მისი ქმარი ფულიანია?**

— ჰო და ცოლს არაფერს აკლებს, ხელისგულზე ატარებს. ისე, ვერ ვხვდები, რა არ აკმაყოფილებს იმ კაცში — ბრედ პიტით ბიჭია...

— **შენ და შენი სატრფო რას აპირებთ?**

— ის ქმართან გაშორებას არ აპირებს, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ცოლად ვერ მოვიყვან, სხვების სასაცილო ვერ გავხდები. ალბათ, ვიქნებით შეყვარებულები მანამ, ვიდრე ერთმანეთი არ მოგვებურდება.

— **განათხოვარი ქალის ცოლად მოყვანა „ტეხავს“?**

— „ტეხავს“, აბა, რა. თანაც, ის ჩემზე უფროსია და შვილიც ჰყავს.

— **რომელიც შენ ძალიან გიყვარს...**

— ჰო, მაგრამ მართლა ჩემი შვილი ხომ არაა?!

— **მინდა, ცოტა ხნით თავი შენი „ლოვეს“ ქმრის ადგილას წარმოიდგინო...**

— ალბათ, ცოლის სიყვარულში, მის გულწრფელობაში დარწმუნებული ვიქნებოდი და ეჭვიც არაფერში შემეპარებოდა. ჰოდა, ამიტომაც, მექნებოდა დიდი და დატოვილი რქა.

— **რომელიც არ დაგამძიმებდა?**

— ის არ დაგამძიმებს მანამ, ვიდრე არ მიხვდები, რომ ვილაცამ რქა დაგადგა... ისე, ცოლის ლალატში ეჭვი თუ შემეპარებოდა, მას აუცილებლად გავეყრებოდი ან...

— **ან რა?**

— რა ვიცი, შესაძლოა, სხვანაირადაც მოვქცეულიყავი. მაგალითად, შეიძლება, მისი აბუნარი თავყვანისმცემელი მომეცილებინა ან სულაც, ცოლი მომეკლა და ციხეში ჩავმჯდარიყავი. ამ შემთხვევაში კაცური კაცის სახელი მაინც შემრჩებოდა.

— **იმედია, შენი ცხოვრება მალე დალაგდება და უღირსი საქციელისგან თავის შეკავებასაც ისწავლი.**

— უღირსი საქციელი ალბათ, სხვისი ცოლის შეყვარებაა, არა? ჰო, მართალი ხარ, — მე სიცოცხლის რა ღირსი ვარ?! იმედია, ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდება გოგონა, რომელიც თვალს ამახვლებინებს და დამავიწყებს ქალს, რომელიც საკუთარ ოჯახს ლალატობს. დარწმუნებული ვარ, ასეთი ანგელოზის გამოჩენამდე არაფერი მემეველება.



კი არც ასაკი იცის და არც სხვა რამ. იგი ბრმაა, მაგრამ მაინც, თვითნებურად იქცევა, არ გემორჩილება.

— **ცოტა ხნით, თავი მისი ცოლის ადგილას წარმოიდგინე...**

— **(მანყვევტინებს) ღმერთმა დამიფაროს!.. არ ვიცი, იმ ქალის ადგილას რას მოვიმოქმედებდი. შეიძლება, თავი მომეკლა. ძალიან გთხოვ, მასზე აღარაფერი მკითხო.**

— **კარგი, მაშინ თავი მისი შვილის ადგილას წარმოიდგინე. რას იზამდი, მამაშენს შენ და დედაშენი ვილაც ქალის გამო რომ მიეტოვებოდა?**

— იმ ქალსაც მოვკლავდი და მამასაც. ჩემი ოჯახის დანგრევის უფლებას არავის მივცემდი!.. ამ საკითხზე

# ვასტანგუნას მამალი...

## ინგა ჩაყელი

ავი ძალღის პატრონს სოფელი რომ აუფანყდება და გულღროძო ცხოველის ჩაქოლას კატეგორიულად მოსთხოვს, არახალია და მსგავსი ამბის შემსწრე ცხოვრებაში ერთხელ მაინც გახდებოდით, მაგრამ მამალს გაეგიჟებინოს ამდენი ხალხი, პირველად ვნახე. ჰოდა, რა მომათმენინებდა, მასზე არ დამენერა?!

მამალი ბიძაჩემის, რაჟიკუნას კარის მეზობლის, ვასტანგუნას საკუთრება გახლდათ და მისი „ნაცნობობის ბედნიერება“ პირადად მქონდა. ვახო ბიძის ბავშვობიდან ვიცნობ, სანახევროდ მის ეზოში ვარ გაზრდილი და რასაკვირველია, ნათესავებთან სტუმრად ჩასული მის სანახავადაც გავრბივარ!

— სა მისვალ, ბოშო, ღმერთი არ გაგინყრეს და ვასტანგუნას ეზოში მარტო არ შეხვიდე! — მომძახხა რაჟიკო ბიძიამ, ჭიჭიკრიდან გასვლა რომ დავაპირე.

— ხომ მშვიდობაა?! — შევედექი შემცბარი.  
— რალა მშვიდობაა, დაზაფრა დიდი და პატარა მისმა მამალმა. შარშან მოათრია წინილები ინკუბატორიდან, დედალმა არ გამოუწყე და რა ექნა, უქათმოდ ხომ არ დარჩებოდა? ჰოდა, იმათში გამოერია ის ჯიშად ამოსანყვეტი: შესახედავად იცოცხლე, ლამაზია — ცეცხლის ენასავით უპრიალებს წითელი ბუმბული, მარა ხასიათში მჭტი ცეცხლი და უბედურება უტრიალობს, ძალიერით იკბინება. არც ქალის გარჩევა იცის, არც მოხუცის და ბოვმის, უცხოს დანახვაზე ხო ირევა და ირევა...

— მამალზე ლაპარაკობ თუ მეგლეზე? — შემეპარა ეჭვი ბიძაჩემის ნათქვამში, რომელსაც სხვა დროსაც მოვუტყუებდვარ. რაჟიკუნას ნარბი არ შეუტოკდებდა, ისე გამოაცხობს ყველაზე დაუფერებელ ამბავს...

— მართლა მეგლეზე ნაჯვარია, ის ასპიტი. მარტო ვასტანგუნას არ ერჩის და მის დანახვაზე მშვიდდება!.. — მითხრა რაჟიკო ბიძიამ და ნამოდგა. — მე გაგყობი! — ხელში კომბალიერით სქელი ჯოხი დაიჭირა: — თუ ამით არ შევეუტყე, არც მე შეპუება, აპა!..

ის იყო, ჩიხში შევედით, რომ ხალხის ხმამალალი ლაპარაკი, უფრო სწორად — ყაყანი შემოგვესმა:

— ა, კიდო მომჩინებნი არიენ ვასტანგუნასას! — ხელი ჩაიქნია რაჟიკო ბიძიამ და ნაბიჯს აუჩქარა...

— არ გადააშენებ მაგ უჯიშოს და უზნეოს, სანამ თოფით არ მოგივარდებნი ეზოში?! — ხელგებს შლიდა გაბრაზებული ვაჟიკუნა ბიძია. — წყაროზე ნაკუზულ ჩემს ცოლს მივარდა და ისე დაუკორტნა გავა, მესამე დღეა, სკამზე ვერ დამჯდარა ქალი...

— ახლა ჩემი თქვით! — გულში მჯიღს იცემდა გალაქტო ჯოხაძე. — ძლიერ ვეღრძე ქალიშვილის ხელის მთხოვნელს, 40 წლის ასაკში მოგვადგა მამალი, სასიძოსთან ერთად. სწორედ ამ დროს მოვარდა ეს მამალიც, დაბარებულიერით. ჰოდა, პირდაპირ ფეხებშუა ეცა იმ საცოდავ ბიჭს, გამოაბდღვნა შარვლის უბე და ცივი ხმით ავივლა. ანი, აქეთ პირს რავა იზამს და დევიღუპეთ!..

— მე ჩემი დარდი მაქ, კაცო! — ჩიოდა ვარდენა კრესელიძე. — ჯერ არ დოვუტენივარ და დოვუკორტნივარ, მარა — რო ეიტყვას ყვიღს ჩემი ფანჯრების ქვეშ, ღამის 2 საათზე, დიღამდე არ ჩერდება და „ნერვოზი“ დამმართა ამ ოჯახქორმა უძილობით... ვერ მევიხელეთ, თვარა, ვატკლიცავ ტყვიას კინკრიხოში და მიჩივლე მერე, ახალ გუბერნატორთან...

— „პრიუტი“ გავრდილი კაცის შვილი არ ვარგა და ქათამი ივარგებს?! — დაასკვნა მოხუცმა ქიონიამ და ვასტანგ ბიძის დაუყვავა: — ოღონდ ეგ დაკალი და ჩემზე იყოს ახალი მამალი, როგორც ნამომეჩიტებიან წლეფანდელი წინილები.

— არ დაკვლაე! — კატეგორიულად განაცხადა ვახო ბიძიამ და გულმოსულმა, მეზობლებს ცხვირწინ მიუჯახუნა ჭიჭიკარი...

როგორც იქნა, მე და რაჟიკო ბიძიამ ეზოში შევალნიეთ. მამალი არსად ჩანდა და არც კომბლის გამოყენება დავგჭირვებია.

— ბიჭოო, სანამ მართლა მკვლელობა არ მოხდება, არ მოიშორებ თავიდან მაგ პატრონძალს?! — შეტევაზე გადავიდა ბიძაჩემი.

— არ დაკვლაე და მორჩა! — ვერც შემამჩნია გაჯიუტებულმა კაცმა.



— არ დაკვლაე და, ერთ დღეს, რომელიმე გამნარებული მეზობელი შენ გაგიროფავს მაგ გასივებულ თავს. მამალია, ქათამი... შეიღის მოკვლას ხომ არ გთხოვს ვინმე?..

— არც ერთი შვილი არ გამომდგომია მასავით! 4 ბიჭი გავზარდე, დაკრეს ფეხი და გავარდენ ქალაქში. მხოლოდ საახალწლოდ თუ მომიკითხავენ, ისიც იმიტომ, რომ ღვინო და საკვლავი წაზიდონ... ხომ გასსოვს, გასულ ზამთარს ყაჩაღები დამეცნენ და მამალს რომ არ „ევაკუაცა“, ქონებას ქონებად გაზიდავდნენ და სულსაც არ შემარჩენდნენ! — მოიხედა ჩვენკენ ვახო ბიძიამ და გახარებულმა ჩამიკრა გულში. მერე ცოლს გასძახა და როცა ელიკო ბიცოლამ სუფრა სახელდახელოდ გამალა, მამლის გმირობის ამბავი მიამბო:

— ძალიან ვეცადეთ, მაგრამ საქათმეში შესვლას ვერ დავაჩვიეთ. ძალით რომ დევიჭირეთ და შევესვით გაღიაში, სულ თავ-პირი ურტყა „სეტყას“ და დასისხლიანდა. მის მერე მივუშვით ნებაზე. ახლა განვრთნილი პატრულიერით, მთელი ღამე წინ და უკან დადის. მარტო ჩემს ეზოში კი არა, უზანში რა ხდება, ის არ გამეუპარება. საყაჩაღოდ გადმომხტარი კაციც არ დარჩენია შეუმჩნეველი და როცა ის უბედური აპირებდა, დანარჩენებისთვის გველო შიგნიდან ჩარაზული კარი, მიაფრინდა სახეში და იქვე წამოაგდებინა ცალი თვალი. იმის ღრიალმა მე კი არა, მთელი უზანი გააღვიძა და გამოაქცია ჩემი ეზოსკენ. ნამოვარდი, ვტაცე თოფს ხელი და ჯერ ისევე სანახევროდ მიძინარემ რომ გვეისროლე, თვალდათხრილის საშველად გადმომხტარ მეორე ყაჩაღს გავარტყი დუნდათში და გავავორე იქვე. ამასობაში, ახტა ჩემი მამალი ყორღზე, გადაველო ჭიშკარს და მესამე ყაჩაღს, რომელიც თურმე, ნაკუზული მიძგრებოდა ბურჩებში, უკნიდან ეტავა. ექიმმა თქვა: წასულია მაგის საქმე, რახან აქამდე ვერ მოასწრო ცოლის მოყვანა, ანი აღარაფერში სჭირდებაო!.. მოკლედ, სიცოცხლე თუ არა, სიმწრით დაგროვილი ქონება შემინარჩუნა ამ მამალმა და ახლა ნაჯახით თავი რომ წავაცალო, მისი ხორცი შემერგება?!.

— ძალიერით რომ დააბა?! — ვითომ ვიპოვე გამოსავალი.

— შენ გგონია, არ ვცადე?! — საესებით სერიოზულად მიპასუხა ვასტანგუნა ბიძიამ. — კოპერფიღია თუ ვინცხა დოზანა, ის ვერ გასწინდა იმ კვანძს, მე რომ დავადე, ბოდინებით, ფეხზე... ხუთ წუთში ეიშვა... ჭკვიანია, მარტო ბოროტს და ავი გულით მოსულს ერჩის!

— ბოროტი ვარ, მე, გულშამ ბარძაყი რომ გამომაგლიჯა?! — ეწყინა რაჟიკო ბიძიას.

— საჩხუბრად ხომ მოდიოდი, — წყალი რატომ მიუშვი ჩემი ბოსტინიდან შენი ნაკვეთისკენო?

— მერე, მაგ რა იცოდა, ბოშო, მამალმა?! — გადარიდა ბიძაჩემი.

— შემოგხედა სახეზე და მისვდა, რომ დანახვრას მიპირობდი... აპა, ამ გოგოს რატომ არ ერჩის?! — გამოიშვირა ჩემკენ თითი.

— რა იცი, რომ არ ერჩის?! — არ შეეპუა ბიძაჩემი.

— აგერ არ ტრიალებს, მშვიდად, მის ფეხებთან?

მამალი მართლაც, ჩვენ სიახლოვეს მშვიდად კენკავდა ნამცეცხს... ეს შარშან ზაფხულს მოხდა და ახლა შემთხვევით არ გამსწენება მამალი: შემოდგომაზე რომელიღაც გამნარებულ მეზობელს დაუჭერია და მართლა წაუტლია მისთვის თავი...

თურმე, ვასტანგ ბიძია დღემდე არ ელაპარაკება მეზობლებს, მათ შორის — არც ჩემს რაჟიკუნა ბიძიას...

ოფა. ყველა მიყვარს. ძალიან მომწონს ანანო, როგორ შეიძლება, ირაკლი არ გიყვარდეს?! არაჩვეულებრივია დათო, მიუხედავად იმისა, რომ პატარა მანკიერი თვისებები მაინც აქვს... ყველანი განსაკუთრებულნი არიან და ეს სცენარის ავტორების დიდი დამსახურებაა. თითოეული პერსონაჟი არაჩვეულებრივად სახასიათო სახეა, განსხვავებული, მისაღები და საყვარელი.

— შეიძლება, ამ პერსონაჟებისგან ვინმე რაიმე ისწავლოს? —

— მაგ კუთხით თუ მივუდგებით, შეიძლება, მეტისმეტად კრიტიკულიც ვიყო. მათგან თითქოს ბევრს ვერაფერს ისწავლი. დიდად მისაბაძი არც ერთი არ არის. თითოეულის ტიპში, შეფარვით, მაგრამ მაინც, მანკიერ თვისებებს ესმება ხაზი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ გულუბრყვილობას, მიაძინებთ...

— რას იტყვით დებზე?

— იმავეს. ქეთავანი ეჭვიანი და ქმარს ამით სისხლს უშრობს. მეორე ლლონტი — თამარი სხვისი ნივთების მიმსაკუთრებელი, ავი, კაპასია... ეს, რასაკვირველია, ცუდია და კარგს ვერაფერს გასწავლის, მაგრამ ყველაფერი ისე კარგად აქვთ სცენარისტებს იუმორით გადმოცემული, რომ ზოგადად, მაინც კეთილი ტიპები არიან...

— მთავარ გმირზე — ირაკლიზე რას გვეტყვი?

— ძალიან საყვარელი ადამიანია. კლინიკის მთავარი ექიმი, პროფესორია, მაგრამ ამავე დროს — ლოთი. სულ სვამს და სერიალში ეს ძალიან ხაზგასმულია, რაც, სიმართლე რომ გითხრათ, არ მომწონს. რიდაცით ხომ უნდა იყოს გმირი მისაბაძი?! მაგრამ მაინც მოგვწონს „შუა ქალაქში“. მოდი, ვთქვათ, რატომ მოგვწონს. კარგი ტიპები არიან?... კი, არიან, მაგრამ მართო ეს საკმარისი არ არის. ეს ყველაფერი ძალიან ქართულია. თითოეული პერსონაჟი მხიარული და ხალისიანია. ეს ხომ სუფთა ქართული ხასიათის შტრიხებია?! მე მასში ვხედავ ძალიან ჩემულს და ეს მომწონს. მაგრამ თუ კრიტიკული ვიქნები, ისეთი, როგორც ჩემი მეგობრებისა თუ საკუთარი თავის მიმართ ვარ, დიდად მისაბაძი და მოსაწონი არც ერთი არ არის. თუმცა, ამ სერიალს ასეთი თვალთ ალბათ არც ვუყურებთ. უბრალოდ, ვერთობით და განწყობილებას ვიქმნით. უცხოურ სერიალებს ეს დატვირთვა არ აქვს. ისინი ბოროტებას, აგრესიას, შურს, ლაღატს თესავს და აღვივებს ადამიანში — ე.ი. ყველა იმ უარყოფით თვისებას, რომელიც ბევრ ჩვენგანში მიძინებულია. და ეს ჩემთვის, სრულიად მიუღებელი.

P.S. ტელეკრანის შესახებ წერილების ციკლს შემდეგ ნომერში დავასრულებთ. ამჯერად, სტუდენტებს დაუთმობთ ასპარეზს — შევითყოთ, თუ რას ფიქრობენ ტელეჟურნალისტებზე მათი მომავალი კოლეგები. თქვენც ჩართეთ დისკუსიაში, დაგვირეკეთ რედაქციაში, გამოგვიგზავნეთ მესიჯი ნომერზე: 8(93)93.23.63 ან მოგვწერეთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com.



მომღერალმა ემ ძიიმ, იგივე მიხეილ კახიანმა მეგობარი მუსიკოსებისგან ბენდი ჩამოაყალიბა და კლუბ „დეჟავუში“ მსმენელს ცოცხალი მუსიკით გაუმასპინძლდა. კონცერტი ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. საღამომ ემოციურად ჩაიარა: ენერგიულ შემსრულებელს დამსწრე საზოგადოებაც ენერგიულად შეხვდა...

# სოსხალი მუსიკა ნარკომანიის წინააღმდეგ

## ეთო ყორღანაშვილი

ინი ნიკლაური, „ჯეოსტარის“ ნახევარფინანსისტი:

— ემ ქეის მეგობარი ვარ. ერთმანეთს მუსიკამ დაგვაკავშირა და დუეტიც ჩავწერეთ. ჰოდა, ახლა სადაც კი მისი კონცერტი იმართება, ყოველთვის ასე შემატყობილებულად ვლერი (იციან) ალბათ, უზარმაზარ დარბაზში, უამრავი მაყურებლის წინაშე რომ მემღერა, ამაზე მეტად ვმყოფილი და ენერჯისგან დაცლილი არ ვიქნებოდი. ემ ქეიმ დაამტკიცა, რომ საქართველოში ცოცხალი მუსიკა არსებობს!

## — ნინო, ნარკოტიკებთან თუ გქონა შეხება?

— „ლოთი“ შეხება მქონია. ღვთის წყალობით, ჩემ ირგვლივ მყოფთაგან თუკი ვინმე ამ სენით იყო დაავადებული, ყველა განიკურნა — ზოგი ტაძრის მეშვეობით, ზოგი — აქტიური მკურნალობის შედეგად. მინდა, ეს საღამოც ერთგვარი მინიშნება იყოს იმ ხალხისთვის, ვინც თავს იღუპავს და ამას ვერ ხედავს...

## — დათო ჩანოშვილი, „სინათლის წელიწადის“ დრამერი:

— ემ ქეი ჩვენი მეგობარია. როცა ნარკომანიის წინააღმდეგ კონცერტის ჩატარება გადაწყვიტა, მე, ჩვენი ჯგუფის ლიდერი — გიგი გგუ-

ლაშვილი და გიტარისტი — დიტო კვინტრაქე მოგვიწვია. ფაქტობრივად, ემ ქეის სოლო კონცერტი იყო — ჩვენ კი მონაწილე მუსიკოსები.

## ზაზა ჯოჯოშა, „რემს“ ბას-გიტარისტი:

— ჩვენი მუსიკალური ჯგუფი 2002 წელს შეიქმნა და მას შემდეგ სტილი, შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა. დღესდღეობით, „რემსში“ 4 კაცი ვართ. როცა ემ ქეიმ კონცერტისთვის ბენდის შექმნა გადაწყვიტა, მეგობრები მოგვიწვია. რა თქმა უნდა, მის შემოთავაზებას სიამოვნებით დავთანხმდით. ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა — ხალხიც კარგად შეგვხვდა... ახალგაზრდებო, არ მიეკაროთ ნარკოტიკს — ცუდია!

## ემ ძიი (მიხეილ კახიანი):

— იდეა სპონტანურად მომივიდა: გამახსენდა, რომ 26 ივნისი ნარკომანიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა და გადავწყვიტე, ამ დღისთვის კონცერტი მიმეძღვნა. რადგანაც ბენდი არ მყავს, მის „შესავრულად“ მეგობრებს დავურეკე. რეპეტიციებს დაახლოებით, 12-13 დღის განმავლობაში გავდიოდით. ასეთ მოკლე ვადაში 12 სიმღერის „გარჩევა“ რთულია და რა თქმა უნდა, პატარა-პატარა ლაფსუსები იყო, მაგრამ საბოლოო ჯამში, მათი დაკვირვება ვმყოფილი ვარ. მსმენელიც საკმაოდ ემოციური იყო!

— შენი შემოქმედების ასეთი ტრანსფორმირება რამ გამოიწვია? საზოგადოებამ ჰიპ-ჰოპის სტილის სიმღერებით გაგიცნო, ახლა კი პოპროკს მღერის.

— ბავშვობიდან კონცერტებზე ისე გამოვდიოდი, როგორც კლასიკური პიანისტი. იმ პერიოდში, როცა სიმღერების წერა დავიწყე, საქართველოში ჰიპ-ჰოპი იყო პოპულარული და გადავწყვიტე, ამ ჟანრში მეც გამეკეთებინა რაღაც. ახლა პოპროკი მომწონს. ვფიქრობ, მუსიკოსმა ის უნდა გააკეთოს, რაც სიამოვნებს — „შეკვეთებზე“ არ უნდა იმუშაოს...

**გულახდილი საუბრები**  
 890-009-717

<b>მაგთიდან</b>	<b>ჯეოსელიდან</b>
44-22-23	70-72
44-22-24	700-488
44-22-25	700-814

1 წუთის ფასი  
 28 თეთრიდან 1 ლარამდე

24 საათი 18 წლიდან



# პრესლანჩი პრეზიდენტის აპარტამენტში



გასულ კვირას, სატია შამუგიამ სასტუმრო „მერიოტში“ ჟურნალისტები პრეზიდენტის აპარტამენტში მიგვიწვია. „ნარცისო როდრიგესის“ ახალი სუნამოს პრეზენტაცია თავად ნარცისომ ასეთ გარემოში ინებო... და მეც პრეზიდენტის სეცნომერში (აპარტამენტში) იმ დღეს, რასაკვირველია, პირველად აღმოვჩნდი. რა თქმა უნდა, ირგვლივ ყველაფერს ყურადღებით ვათვალიერებდი. მთავარი ის იყო, რომ მისაღები ოთახი, საძინებელი, სააბაზანო ახალი სუნამოსა და სხეულისთვის განკუთვნილი მრავალფეროვანი პარფიუმით იყო სასესე.

პრესლანჩი თავად სატიამ გახსნა, მერე კი ასპარეზი სტუმარ ქალბატონს, „ბიპიას“ ჯგუფის ტრენინგ-მენეჯერს, კატია აკერმანს დაუთმო. ქალბატონი კატია ფრცლად და ამომწურავად საუბრობდა დიზაინერ ნარცისო როდრიგესსა და მის შემოქმედებაზე.

ჭულში დევს ამ ბრენდის სუნამოები, ტანის საცხები და ტუალეტის წყალი...

— როგორც შევტიყვევო, ნარცისო როდრიგესი მიშელ ობამას დიზაინერი ყოფილა...

— დიას, ის აცმევს მიშელ ობამას, ამერიკის პირველ ლედის, ჰოლივუდის ვარსკვლავებს: კლერ დენისს (რომელმაც განაცხადა, რომ მხოლოდ ნარცისო შეუკერავს მას კაბას...) ანჯელინა ჯოლისი, მონიკა ბელუჩის, უმა თურმანს. ერთი სიტყვით, უმაღლესი დონის პროფესიონალია. მისი სამოსიც შესაბამისად, საკმაოდ ძვირია. ნარცისო ნიუ-ჯერსიში, კუბელი ემიგრანტის



ტრენინგ-მენეჯერი — კატია აკერმანი

## ლალი შანია

### სატია შამუგია:

— დღეს მართლაც, მნიშვნელოვანი დღეა. მინდა, სიამაყით აღვნიშნო და ნშირად გავიმეორო ის ფრაზა, რომ ისეთი ცნობილი ბრენდი, როგორც „ნარცისო როდრიგესია“, უკვე საქართველოშია და მხოლოდ „ისი-პარის“ მაღაზიებში იყიდება.

### ეს რისი შედეგია?

— ეს არის ჩვენი ხანგრძლივი თანამშრომლობის შედეგი. „ნარცისო როდრიგესი“ „ბიპიას“ ჯგუფში შედის. ეს ჯგუფი სამ ბრენდს — „ჟან-პოლ გოტიეს“, „ისი მიაკისა“ და „ნარცისო როდრიგესს“ ფლობს. „ისი მიაკისა“ და „ჟან-პოლ გოტიეს“ წარმომადგენლები რამდენიმე წელია, რაც გახვდით. ახლა კი „ნარცისო როდრიგესიც“ გაჩნდა ჩვენს ქსელში. თვით ბრენდის სტრატეგიაა — არ გავრცელებდეს ყველა ქვეყანაში. მაშინ, როდესაც „ნარცისო როდრიგესი“ პირველ ხუთეულში შევიდა, წარმოიდგინეთ, რომ იქ საფრანგეთიც (პარიზიც) კი ვერ მოხვდა. დღეს-დღეობით „ნარცისოს“ პარფიუმერია მხოლოდ 30 ქვეყანაში ვრცელდება. მიხარია, რომ მსოფლიოს ამ 30-ეულში მოხვდა პატარა საქართველოც. გვაქვს ქალისა და მამაკაცის ხაზი. წელს საზაფხულოდ, ნარცისომ გამოუშვა ახალი სუნამო — „ესენსი“,

რომლის პრეზენტაციაც თვით ბრენდთან ერთად, დღეს მოხდა.

### — მაინცდამაინც პრეზიდენტის აპარტამენტში რატომ ჩატარდა პრესლანჩი?

— იმის გამო, რომ არის სუპერლუქს-ბრენდი, რომელსაც აქვს თავისი მოთხოვნები. მას მერე, რაც ნება დაგვრთეს, საქართველოში შემოგვეტანა „ნარცისო როდრიგესი“, მათ თავიანთი მოთხოვნების პაკეტი წარმოგვიდგინეს. ამასთან, აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო ტრენინგებიც. დღეს პრესლანჩი ჟურნალისტებთან მოვანყვეთ, გუშინ და გუშინდელ კი ჩატარდა ტრენინგები ჩვენი გოგონებისთვის, ვინც მომხმარებელს უნდა შესთავაზოს „ნარცისო როდრიგესის“ პროდუქცია. თქვენ უკვე ნახეთ, რომ პრეზიდენტის აპარტამენტის ყველა კუთხე-კუნ-

ოჯახში დაიბადა და დიზაინერის პროფესიით ადრეული ასაკიდანვე დაინტერესდა. მალე მოდის სამყაროში არნახულ წარმატებას მიაღწია. მას მერე, რაც არაერთხელ საუკეთესო დიზაინერად აღიარეს, 2003 წელს პირველი პარფიუმით შექმნა. მისი შემოქმედება ევროპული ტრადიციებისა და ლათინურამერიკული შტრიხებით არის გაჯერებული. მისი სტილი კი — მკაფიო ქალური სილუეტებია, საოცრად ელეგანტური, მიმზიდველი და თანამედროვე შტრიხებით აღსავსე. არაფერია მის ნამუშევრებში ზედმეტი. მის მიერ შექმნილ არომატს ეს საოცარი სინაზე, იდუმალება, პარმონიულობა ახასიათებს...

### — ამ აპარტამენტში შემოსვლა რთული არ იყო?

— ეს ხომ ქვეყნის ინტერესშიც არის: პრესტიჟის საკითხია!.. ასე რომ, აქ დაუბრკოლებლად შემოვედით, იმიტომ, რომ ნარცისოს ასე უნდოდა. მოთხოვნა იყო, რომ აპარტამენტი ცოცხალი ყვავილებით მორთულიყო — აქური სივრცე ლილეების არომატით უნდა ყოფილიყო გაჯერებული. ჩვენ ყველა ეს მოთხოვნა შევასრულეთ.



პრეზიდენტის აპარტამენტის საძინებელი

განვაგრძობთ „გზის“ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს უფლის მოციქულებთან დაკავშირებით. მოგვითხრობს ბრძანებრივი მასპარი (აბაშაძე):

— აუღას ისუაროცეოთის რაოტის შექცე, მოცაქსუოთა ნათეოი კრებულოი აუღას ნაყუოარ არხეუოთა მატათა მოცაქსუოთა შექცეო. თუოთის ზეჯარ აბლოოების შექცე, მოცაქსუოებში სოინის მათზე, ერთ სხეოში აფენენ შეკრებოინი რა მაცხოვრის ათეამისაძებარ სუეკემინსეკეოქოს — სუოიოქმირას მოეოოინენ. მათათნ ერთაო იპოოეებოინენ ეოოოარქმინსეო რეოთისმშობეოი, მენეოთსაქებეოე რეოებო რა ქრისტეს მიძეეოებო — სუოო 20 ეკაძეოე როეოოოც „მოცაქსუოთა საქმეებშია“ მოთსოოიბეოი, იმ რეოებში შეკრებეოო ძეებს შოინის პეგრე წაძეოცა რა თეჯე თუნა აღსრუოეებუოთეოი „საბოთეოი წერიოის“ წინასწარქმეეეეეოეებო თუოთის ეკაძეეეო აუღასზე, ზეენ ეო თოორძეე მოცაქსუოთა რასში, მის ნაყუოარ, თუთაუოო თუნა აფინსოთი რირხეუოთი ეკა, ვინც მუეოამ ზეენათნ იეო მამინ, როცა თუეოთი იესო ქრისტე ზეენ შოინს იპოოეებოიბო. პეგრე მოცაქსუოებ ქრისტეს მიძეეეოთა კრებუოთიდან ეკაძეოინი მატათა რა იოსტოის, ბარსაბარო ქოდეებუოთი, რა მიძეოთეს თუეოოს „თუეოოო, მენ იცო, რომ თაეოინეე ზეენათნ იეო ეს თოი რა მენ ეკაძეოინე, მათ შოინის რომეოთი რეეეეეინოთი მოცაქსუოთეოი. თუეოთის ნებოთ, წეოთი მატათას ერთეო. აქეეარაო შეეოსო თუეოთის მიწეოინი ცხოვრების რეოოინსეოთი რეოოინსეოთა მოცაქსუოებისა

# იუდას ნაცვლად არჩეული მატათა, ანდრია პირველწოდებული, „ძენი ქუხილისანი“ და მათე მახარებელი

## შორენა მერკვილაძე

თავდაპირველად, მატათა იესო ქრისტეს სამოციქულათაგანი იყო. მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ, მოციქულებრივი მოღვაწეობის დასაწყისში, მატათა სხვების მსგავსად, ერთხანს იერუსალიმში ქადაგებდა, შემდეგ კი იქადაგა ანტიოქიაში, კაზადოკიაში; ანდრია პირველწოდებულის მესამე მოგზაურობის დროს, მასთან ერთად ქადაგებდა ედესაში, სევსტაიასა და ეთიოპიაში. ერთ-ერთი გადმოცემით, მატათა მოციქული ანდრია პირველწოდებულთან და სიმონ კანანელთან ერთად, ღვთისმშობლის ნილხვედრ ქვეყანაში — საქართველოშიც იმყოფებოდა და აქვე აღესრულა. თუმცა, არსებობს მეორე გადმოცემაც, რომლის თანახმადაც, ის კვლავ იერუსალიმში დაბრუნდა, სადაც ძელზე გაკრული ჩაქოლეს. მოციქულთაგან უფალმა პირველად, ანდრიას მოუწოდოდა და სწორედ ამიტომ იწოდება იგი პირველწოდებულად. ანდრია და იოანე ღვთისმეტყველი — იოანე ნათლისმცემლის მოწაფეები იყვნენ. როდესაც უფალმა ნათელ ილო მდინარე იორდანეში და იოანემ წარმოთქვა მაცხოვარზე, — ამა, ტარიგი ღმრთისა, რომელმან აღიხვენ ცოდვანი სოფლისანიო, — ისინი თან გაჰყვნენ იესო ქრისტეს, მაგრამ ვიცით, რომ ნათლისღების შემდეგ, უფალი უდაბნოში გავიდა, სადაც ორმოცი დღე დაყოლოცვითა და მარხვით. ანდრია და იოანე კი გალილეაში დაბრუნდნენ, რადგან გალილეეეეეები იყვნენ. როდესაც უფალი უდაბნოდან დაბრუნდა, გალილეის ზღვის ნაპირას მოუწოდოდა ანდრიასა და მის ძმას — სვიმონს, პეტრედ წოდებულს: „მოვედი და შემომიდექით მე და გყვენ თქვენ მესათხვეველ კაცთა“ — ანუ ადამიანთა მებადურებად გაქცევითო. ძმებმა მამინევე მიატოვბო თეეზაობა და მაცხოვარს გაჰყვნენ. როგორც ვიცით, ანდრია პირველწოდებულს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყნის მოქცევა ზედა წილად. მას თავად ღვთისმშობელმა სთხოვა, საქართველოში წამოსულიყო, მანამდე კი მოციქული დალოცა და თან გამო-

ატანა ხელთუქმნელი ხატი, რომელიც ფიცარზე ყოვლადწმინდა ქალწულის პირისახის მიდებით გამოისახა. ეს ხატი აწყურის ღვთისმშობლის ხატის სახელწოდებითაა ცნობილი.

მოციქული საქართველოსკენ გამომართა — ჯერ საბერძნეთსა და მცირე აზიაში იქადაგა, შემდეგ შავიზღვისპირეთს მიაღწა და სოფელ დიდჭარიდან საქართველოში შემოვიდა (ამ ადგილას ახლაც დგას ანდრია პირველწოდებულის მიერ აგებული ეკლესია), აჭარიდან მესხეთში გადავიდა და აწყურას მიაღწა. ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი შეეუსრა კერპები, აწყურში ეკლესია მოაწყო, იქვე დააბრძანა ყოვლადწმინდა ქალწულის ხატი და კლარჯეთისკენ განაგრძო გზა. იქადაგა არტაან-კოლაში, პართეთში, სომხეთში და იერუსალიმში დაბრუნდა. მოგვიანებით, ანდრია პირველწოდებული კვლავ დაბრუნდა საქართველოში, სვიმონ კანანელთან და მოციქულ მატათასთან ერთად, ქრისტიანობის განსამტკიცებლად.

ანდრია პირველწოდებულმა მოციქულებრივი მოღვაწეობა საბერძნეთში, ქალაქ პატრაში დაასრულა, სადაც მოწამებრივად აღესრულა — ამ ქალაქის კერპთაყვანისმცემელი მმართველის ბრძანებით, ჯვარს აცვეს. მოციქული სისხარულით შეხვედა განაჩენს და თავისით ავიდა ჯვარზე. მმართველის ბრძანებით, ანდრია ძელზე ჩამოკიდდა, რათა მისთვის ტანჯვა გაეხანგრძლივებინათ. მოციქული 2 დღე ქადაგებდა ჯვრიდან ქრისტიანობას. მესამე დღეს, აღმშფოთებულმა ხალხმა მისი ჯვრიდან ჩამოხსნა მოითხოვა, რადგან უკვე მოესწროთ მოციქულის შეყვარება. ისინი ყვიროდნენ: „რისთვის იტანჯება ეს წმინდა კაცი, მეგობარი უფლისა?“ ხალხის მღელვარებით შეშინებულმა მმართველმა მოციქულის ჯვრიდან ჩამოხსნა ბრძანა, თავადვე მივიდა ჯვართან ჯარისკაცებთან ერთად, მაგრამ წმინდანი ცოცხალი აღარ იყო. მოციქული ანდრია ქრისტეს შობიდან დაახლოებით, 70-ე წელს აღესრულა.

ანდრიასა და პეტრეს შემდეგ უფალმა იოანესა (ღვთისმეტყველად წოდებულს) და იაკობს, ზებედეუს ძეებს



ანდრია პირველწოდებული

მოუწოდა. იოანე და იაკობი მართალი იოსების ქალიშვილის — სალომეს შვილები იყვნენ. მიწიერი, ადამიანური გაცემით, ისინი მაცხოვრის ხორციელი ნათესავებიც გახლდნენ. უფალმა მათ თევზაობისას მოუწოდა, როდესაც მამასთან, ზებედესთან ერთად ნავში ბადეს აკვრებდნენ. ძმებმა „მყისვე მიატოვეს ნავიც და მამაც და იესოს გაჰყვნენ“. იოანე უფლის საყვარელ მოციქულად იწოდება — ის სიყვარულითაა უპირატესი. მასში იყო სული, რომელიც შემდეგ, სულიწმიდის მადლით გაღვივდა და უდიდეს ღვთისმეტყველად იქცა (ამიტომაც ეწოდა ღვთისმეტყველი). თანაც, უფლის მოციქულებს შორის იოანე გახლდათ ყველაზე ახალგაზრდა, დანარჩენები მაცხოვარზე უფროსი ასაკისანი იყვნენ. ამიტომაც, მაცხოვარი იოანეზე განსაკუთრებულად ზრუნავდა და ის გამოჩენულად შეიყვარა. იოანე და იაკობი ღირსნი შეიქნენ თაბორის მთაზე უფლის ფერისცვალების ხილვისა. საიდუმლო სერობაზე პეტრე მოციქულმა თავად ვერ შეჰბუდა და იოანეს სთხოვა, მაცხოვრისთვის ეკითხა, — ვინ იქნებოდა მისი გამცემი? იოანე მკერდზე მიეყრდნო ქრისტეს და ჰკითხა: „ვინ არს, რომელი მიგცემს შენ?“ მაცხოვარმაც მამინვე „აუხსნა კითხული და პურითა მოასწავა გამცემელი“.

ვიციტ, რომ უფლის ჯვარცმისას, როდესაც ყველა მონაფემ, შემინებულმა მიატოვა მაცხოვარი და ისინი მიმოიფანტნენ, მხოლოდ იოანე არ მოსცილებია მოძღვარს, მასთან ერთად შეუდგა გოლგოთის გზას, შემდეგ კი ჯვრის კვარცხლებთან იდგა და ღვთისმშობელთან ერთად ტიროდა. სწორედ მაშინ ჩააბარა უფალმა თავის საყვარელ მონაფეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და ამ დროიდან მოყოლებული, ის ერთგულად ემსახურებოდა და ზრუნავდა წმინდა ქალწულზე. ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ, იოანე ღვთისმეტყველი, თავის მონაფესთან, პროხორესთან ერთად, თავის ნილხვედრ ქალაქ ეფესოში გაემართა, „სახარების“ საქადაგებლად. მის ქადაგებას მრავალი სასწაული ახლდა თან და მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. ამის გამო შეიპყრეს, იმპერატორის სამსჯავროზე წარადგინეს და ქრისტეს აშკარა აღიარებისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ უფალმა დაიცვა თავისი რჩეული — წმინდა მოციქულს მომავლდინებელი შხამით სავსე ფიალა გამოაცლევინეს, მაგრამ ცოცხალი გადარჩა. შემდეგ, ადულეზული ზეთით სავსე ქვაბში ჩააგდეს და იქიდანაც უვნებლად ამოვიდა. ამის მერე კუნძულ პატმოსზე გადაასახლეს, სადაც მრავალი წელი დაყო. თავისი ქადაგებითა და სასწაულებით, უამრავი ადამიანი მოაქცია. სწორედ ამ დროს გამოუცხადა უფალმა ცათა სასუფეველის საიდუმლოებანი და დაწერა „გამოცხადება“ — აპოკალიფსი, რომელშიც ეკლესიისა და სამყაროს მომავალი და დასასრულია გაცხადებული. ბოლოს ის კვლავ ეფესოში დაბრუნდა.

იოანეს გარდა, ყველა მოციქული მონაწირედა აღესრულა. თუმცა, ქრისტეს სარწმუნოებისთვის წმინდა იოანემ ბევრი ტან-

ჯვა განიცადა. ის ღრმა მოხუცებულობისას აღესრულა — დაახლოებით, 110 წლის ასაკში. ბოლოს იმდენად დაამძიმა წლებმა, რომ ქრისტიანთა თავყრილობაზე სიარულიც უჭირდა და მოწვევები დაატარებდნენ. მხოლოდ ამ სიტყვებს იმეორებდა: „შვილნო, იყუარებოდე ურთიერთას“.

როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, მონაფეები ქალაქგარეთ გაიყვანა, სამარე გაათხრევინა, ჩანვა შიგ და მშვიდად განუტევა სული. ყოველწლიურად, 8 მაისს, უფლის საყვარელი მოციქულის საფლავიდან მტვერი ამოდიოდა; მორწმუნენი ამ მტვერს აგროვებდნენ — მას კურნების ძალა შესწევდა. ამ სასწაულის მოსახსენიებლად, წმინდა ეკლესიამ იოანე ღვთისმეტყველის ხსენება 8 მაისსაც დაანესა.

იოანე ღვთისმეტყველის ძმა — იაკობ ზებედეს ძე ესპანეთში ქადაგებდა, შემდეგ კვლავ იერუსალიმში დაბრუნდა, სადაც უშიშრად ქადაგებდა ქრისტეს სჯულს და ამხელდა ფარისევლების, მნიგნობრების გულგრილობას. იუდეველებმა შეიპყრეს იგი და სიკვდილით დასაჯეს — თავი მოჰკვეთეს. ეს მოხდა ქრისტეს შობიდან დაახლოებით, 42 წელს. იაკობი უფლის მოციქულთაგან პირველი აღესრულა მონაწირედა.

უფლის მიმართ მზურვალე რწმენის გამო, იოანესა და იაკობს „ძენი ქუხილისანი“ ეწოდათ. „სახარებიდან“ ვიციტ, როდესაც ამარიტელების სოფელმა მაცხოვარი არ შეინყნარა, იაკობმა და იოანემ უფალს სთხოვეს — მოგვეცი ნება, ვთქვათ და ზეციდან ცეცხლი გარდამოვა და დანავს მათო. აი, ასეთი მომხრენი იყვნენ ისინი უფლის რწმენაში და ამიტომაც ეწოდათ „ძენი ქუხილისანი“.

უფლის მოციქულები — იაკობ აღფესი და მათე (მახარებელი) — ძმები იყვნენ. მათე მეზვერე, მეზაფე — გადასახადების ამკრები გახლდათ. იმ დროს მეზვერეობა ყველაზე ცოდვილ ხელობად მიიჩნეოდა და მეზაფეები ხალხსაც სძულდა, რადგან დამპყრობელ რომაელთა იმპერიას ემსახურებოდნენ. თანაც, თითოეული მათგანი ანგარებით, სახელმწიფოს მიერ დაწესებულზე გაცილებით მეტ გადასახადს კრებდა. ერთხელ, როდესაც მათე საზვერესთან იჯდა, უფალი მიუახლოვდა და უთხრა: შემომიდეგ მე! მათემ მაშინვე მიატოვა საზვერე ადგილი და უფალს გაჰყვა. იმდენად გახარებული იყო, რომ გადანყვიტა, სახლში მიეწვია ქრისტე და საკადრისად გამასპინძლებოდა. უფალმა მიიღო მისი მიპატიჟება და შინ ეწვია. მასთან უამრავი ადამიანი შეიკრიბა, უმეტესობა მეზვერე იყო. იქვე იყო რამდენიმე მნიგნობარი და ფარისეველი, რომლებმაც უთხრეს იესოს მონაფეებს: „რაი-

სათვის მეზვერეთა და ცოდვილთა თანა ჭამს მოძღვარი თქვენი?!“ უფალს მათი სიტყვები ესმა და მიმართა: „არა უხმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა, ხოლო თქვენ წარვედით და ისწავლეთ, რაი არს: წყალობაი მნებავს და არა მსხვერპლი, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“.

ამ დროიდან მოყოლებული, მათე არასოდეს განშორებია მაცხოვარს. მოციქულებზე სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ, სხვა მოციქულებს მსგავსად, ერთხანს იერუსალიმში იმყოფებოდა, იერუსალიმსა და მის შემოგარენში ქადაგებდა ქრისტეს სჯულს. როდესაც დადგა ჟამი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში „სახარების“ საქადა-



მათე მახარებელი



მატათა

აგებლად მოციქულთა გასვლისა, ახალმოქცეულმა ქრისტიანმა იუდეველებმა სთხოვეს, წერილებით გადაეცა მათთვის იესო ქრისტეს საქმეები და მოძღვრება, რათა მისი იქ არყოფნის ჟამსაც შესძლებოდათ მათი მოხსენიება. მათე მოციქული, მოციქულთა თანხმობით, სიხარულით შეუდგა ამ უდიდესი და საპასუხისმგებლო საქმის შესრულებას. მის მიერ აღწერილი უფლის საქმეები და მოძღვრება, „მათეს სახარების“ სახელწოდებითაა ცნობილი. მათეს „სახარება“ დაიწერა უფლის ზეცად ამაღლებიდან 8 წლის შემდგომ. ეს „ახალი ალექსის“ წიგნებიდან ყველაზე ადრე დაწერილი საღმრთო წიგნია და ამიტომაც, მათ შორის პირველი ადგილი უკავია.

იერუსალიმიდან წასვლის შემდეგ, მათე მოციქულმა „სახარება“ იქადაგა: მაკედონიაში, სირიაში, სპარსეთში, პართაში და ეთიოპიაში.

მათე მოციქული მხოლოდ თვითონ ისწავნიდა საკუთარ თავს მათედ, დანარჩენი მოციქულები კი მას ლევის ანუ — ლომს ეძახდნენ, როგორც მას უფალმა უწოდა. მათე მახარებელი არ მალავდა თავის წარსულს: როდესაც თავს იმ სახელით მოიხსენიებს, რომელიც მეზვერეობის დროს ჰქონდა, სურს გვიჩვენოს, თუ საიდან შეუძლია უფალს ადამიანის გამოყვანა და გამოსნა...

**P.S. უფლის მოციქულებზე საუბარს „გზის“ მომდევნო ნომერში განვაგრძობთ.**

# იქნება თუ არა ახალი ომი საქართველოსთან?

„არა უგვიანეს 30 ივნისისა, ეუთოს მისიამ საქართველო უნდა დატოვოს, რადგან რუსეთმა მისი იქ დარჩენის ყველა მცდელობას, ასევე, საქართველოში გაეროს მისიის გაგრძელების თაობაზე რეზოლუციის პროექტსაც დაადო ვეტო. იმავდროულად, გასული წლის აგვისტოში, რუსულ-ქართული ომის ხელმძღვანელმა — ნიკოლაი მაკაროვმა, რომელიც წელს, 29 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით, „კავკასია-2009“ სწავლებებს უმეთაურებს, განაცხადა, რომ „საქართველო იარაღს აუღარუნებს და თავისი ტერიტორიული პრობლემების ნებისმიერი საშუალებით გადაწყვეტისთვის ემზადება“.



ისმის კითხვა: თუ ომის დაწყებას მართლა საქართველო აპირებს, მაშინ რუსეთი რატომღაც ცდილობს, რეგიონიდან ის უცხოელი დამკვირვებლები გააძევოს, რომლებიც უსათუოდ დააფიქსირებდნენ, რომ ომი საქართველომ დაიწყო?

მომავალი ომის საკვანძო წერტილს ახალგორში წარმოადგენს. თბილისიდან სულ რაღაც, 30 კმ-ით დაშორებული ეს რაიონი ჩვენმა ჯარებმა გასული წლის აგვისტოში დაიკავეს და რუსეთის მიერ ხელმოწერილი ყველა შეთანხმების მიუხედავად, ის საქართველოსთვის დღემდე არ დაუბრუნებიათ. თუ ომს რუსეთი დაიწყებს, ახალგორი თბილისზე შეტევის აშკარა პლაცდარმი გახდება, ხოლო თუ ამ ნაბიჯს პირველი საქართველო გადადგამს, მაშინ ეს წერტილი სააკაშვილის პირველი სამიზნე იქნება.

ის ჟურნალისტები (ოღა ალენოვა — „კომერსანტიდან“ და ლენა მილაშინა — „ნოვია გაზეტადან“...), რომლებმაც ახალგორში ჩასვლა მოახერხეს, ძირითადად, იქაურ უსიხარულო სიტუაციას

აღწერენ. ახალგორში ნორმალური ცხოვრება სამხრეთ ოსეთის „მეამბოხეთა“ მხრიდან ძარცვა-მკვლელობებმა შეცვალა, თავად რაიონი კი სამხედრო ბაზად იქცა: სწორედ იქიდან გაიქცა საქართველოში სერჟანტი გლუხოვი, ხოლო მას შემდეგ, რაც მარტში, სიმთვრალისა თუ დოკლაპიობის გამო, საბრძოლო სანქციების საშინელი აფეთქება მოხდა, რაიონიდან ბოლო მცხოვრებლებიც გაიხიზნნენ.

ახალგორში შექმნილი სიტუაცია, ანუ მოსახლეობის საყოველთაო ძარცვა-გლეჯა თუ ადმინისტრაციის მეთაურებად სისხლის სამართლის დამნაშავეების დემონსტრაციული დანიშვნა, ერთი შეხედვით, შეიძლება, სამხრეთ ოსეთის მართვის თავისებურებად განვიხილოთ, მაგრამ ამ ყველაფერს სხვა ახსნაც აქვს: თუ რუსეთს საქართველოზე თავდასხმა ახალგორიდან აქვს გამიზნული, მაშინ ცხადია, მას ზედმეტი მოწმეები არ სჭირდება. რაიონიდან მათი გამოძევება კი ოსი „მეამბოხების“ ბრმა იარაღად გამოყენებით ბევრად ადვილია. თანაც,

მერე რუსეთს შეუძლია, „მეამბოხეთა“ მიერ გადამწვარი სახლები მსოფლიოს ისე წარუდგინოს, როგორც საქართველოს აგრესიის მტკიცებულება.

აგვისტოს ომი ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში დაიწყო. სამხრეთ ოსეთის „მეამბოხები“ ქართულ სოფლებს რამდენიმე წლის განმავლობაში, ტყვიას ისევე უშენდნენ, როგორც ჰამასი — ისრაელს, საპასუხო ცეცხლი კი „ქართველი ფაშისტების უნაბუსო დარტყმად“ გამოაცხადეს. რეგიონში უწესრიგობები იმდენად დიდხანს მიმდინარეობდა, რომ მათ უკვე ყურადღებასაც აღარ აქცევდნენ. ივლისში, რუსეთის ჯარებმა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დაიწყეს სწავლებები, 1-ელი აგვისტოდან კი ცეცხლი გაძლიერდა, მაგრამ მსოფლიო ამით არ დაინტერესებულა. რამდენიმე დღის შემდეგ, პრეზიდენტმა კოკოითიმ გარდაუვალ ომთან დაკავშირებით დაწყებული მოსახლეობის ევაკუაციის დასრულებების თაობაზე გამოაცხადა (თუმცა, მოგვიანებით, კოკოითი იმასაც იტყვის, რომ ქართველები მშვიდობიან, მძინარე ცხინვალს დაესხნენ თავს) და ისიც აღნიშნა, რომ ქართული აგრესიის შემთხვევაში, საპასუხო დარტყმას ქართულ ქალაქებზე მიიტანდა. თუმცა, გაერო და ეუთო ამ ყველაფერს კვლავაც უსასრულო სერიალის ერთ-ერთ მორიგ სერიად თუ აღიქვამდნენ.

7 აგვისტოს, სალამოს, როცა ორმხრივ სროლაში გამოყენებული იარაღის კალიბრი 122 მილიმეტრამდე გაიზარდა, ოსი „მეამბოხები“ კი უკვე სოფელ ნულის ალებას ზეიმობდნენ, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ცეცხლის ცალმხრივი შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა. ისმის კითხვა: რატომ გააკეთა ეს, თუ რამდენიმე საათის შემდეგ თავადვე დაარღვევდა დროებით ზავს და ცხინვალს „გრაფით“ შეუტევდა? პასუხი ისაა, რომ იმავდროულად, საქართველოს საგარეო საქმეთა



# იოსებ სტალინი

## ფრაგმენტები ვლადიმირ ჯარკოვის წიგნიდან „გენერალისიმუსი“

სამინისტრომ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს — მეთუ ბრაიზას, რუსებზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენის თხოვნითაც მიმართა. როგორც ჩანს, იმ მომენტში, ომის შესაჩერებლად, პრემიერ პუტინთან პრეზიდენტ ბუშის ერთი ზარიც კი საკმარისი იქნებოდა, მაგრამ ბუშს საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ არც კი მოახსენეს. როცა სააკაშვილმა აღმოაჩინა, რომ რუკის გვირაბს რუსული ტანკები უახლოვდებოდა და 152-მილიმეტრიანი არტილერია ქართულ სოფლებს მიწასთან ასწორებდა, მიხვდა, რომ იმ მომენტში გადაწყვეტილება თავადვე უნდა მიეღო. ამ გადაწყვეტილებამ საქართველოს მშვიდობა კი გადაარჩინა, მაგრამ ეტყობა, თავად სააკაშვილი დალუბა — მას შემდეგ მხოლოდ ქართველი ოპოზიციონერები როდი უთვლიან ამ ომს დანაშაულად. დასავლეთსაც ისე არაფერი სურს, როგორც თვალის დახუჭვა იმ ფაქტზე, რომ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების, გაეროსა და ეუთოს სრულმა სიბრძავემ მიგვიყვანა ომამდე, რომლის შეჩერებაც ბუშის ერთ ზარს ისევე შეეძლო, როგორც სარკოზის უბრალოდ ჩამოსვლამაც კი შეაჩერა ჩვენი ჯარების მიერ თბილისის დაპყრობა.

ამკარაა, საქართველოდან გაეროსა და ეუთოს მისიების გაძევებით კრემლი ისეთი საინფორმაციო ვაკუუმის შექმნისკენ ისწრაფვის, როგორც ომის წინ იყო.

საქართველოსთან აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის პოლიტიკა უფრო მშვიდობიანი ნამდვილად არ გამხდარა. პირიქით, ამ ომიდან ერთ წელიც კი არ იყო გასული, როცა უკრაინასთან და ბელორუსიასთან „რძისა და გაზის ომებში“ ჩაება. თუ საქართველოსთან ომის დაწყებამდე დანარჩენ სამყაროსთან მიმართებაში რუსეთის პოზიცია იყო — „მათ ჩვენ არ ვუყვარვართ“, ახლა — „ისინი ჩვენ თავს დაგვესხნენ“ გახდა. პრობლემა ისაა, რომ ომისთვის კრემლის მზადყოფნა რეალური სარგებლის მიღებასთან არანაირად არაა დაკავშირებული (მაგალითად, უკრაინასთან „გაზის“ ომის შემდეგ რუსეთს მრავალმილიონიანი ზარალი მიადგა, ხოლო საგონებელში ჩავარდნილი ევროპის გაზის ბალანსში „გაზპრომის“ წილი 31-იდან 16 პროცენტამდე შემცირდა). უბრალოდ, კრემლი ცდილობს, მსოფლიო დაარწმუნოს — ომი მე კი არა, ჩემმა მტრებმა დაინყესო.

ამკარაა, რაც უფრო დაუსჯელად გრნობს თავს კრემლი, მით უფრო დიდია ომის ალბათობა. ეუთოს ჩინოვნიკები კონფიდენციალურ საუბრებში გვთხოვენ, 30 ივნისს ეუთოს მისიის მიერ საქართველოს დატოვების ფაქტი არ „გამწვავოთო“, არადა, პრაქტიკულად, სწორედ ასე გახდება ომი გარდაუვალი.

ცნობილი რუსი მწერალი და სამხედრო მოღვაწე ვლადიმირ კარპოვი თავის სქელტანიან წიგნი — „გენერალისიმუსი“ — იოსებ სტალინის ცხოვრება-მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, დოკუმენტებსა და ამ მოვლენების მომსწრე-მონაწილეთა მოგონებებზე დაყრდნობით გადმოგვცემს. ავტორი თავადაც ბევრი ისტორიული ამბის მომსწრე გახლდათ — საბჭოთა შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში ჯერ კიდევ სტალინის დროს მუშაობდა და თუმცა პირადად ბელადთან კონტაქტი არ ჰქონია, დიდ ინფორმაციას ფლობდა.

ვლადიმირ კარპოვი II მსოფლიო ომის მონაწილეთა, ორჯერ აქვს მინიჭებული „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება. ახალგაზრდობაში კი, სამხედრო სასწავლებლის კურსანტობისას, სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლებულიც გახლდათ — ბელადის შურაცხყოფის პრალდებით — და შემდეგ, ფრონტზე, ენ. „საჯარმო ბატალიონის“ („შტრაფბატ“) შემადგენლობაში იბრძოდა, რაც თითქმის კამიკაძეობას ნიშნავდა...

ავტორის თქმით, წიგნზე მუშაობის დაწყებისას, ის მიზნად ისახავდა იოსებ სტალინის რეალური სახის, მისი პიროვნების მასშტაბურობისა და ნამოღვაწარის მიუკერძოებლად წარმოჩენას და ამას მხოლოდ ფაქტებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით აკეთებდა.



ვლადიმირ კარპოვი II მსოფლიო ომის მონაწილეთა, ორჯერ აქვს მინიჭებული „საბჭოთა კავშირის გმირის“ წოდება. ახალგაზრდობაში კი, სამხედრო სასწავლებლის კურსანტობისას, სამხედრო ტრიბუნალის მიერ გასამართლებულიც გახლდათ — ბელადის შურაცხყოფის პრალდებით — და შემდეგ, ფრონტზე, ენ. „საჯარმო ბატალიონის“ („შტრაფბატ“) შემადგენლობაში იბრძოდა, რაც თითქმის კამიკაძეობას ნიშნავდა...

„ამ წიგნზე მუშაობისას ძალას მმატებდა არა მარტო ის, რომ დიდძალი მასალა მქონდა ხელთ, არამედ ისიც, რომ ნამუშევარი ვიყავი გენერალურ შტაბში 1947-დან 1953 წლამდე — სტალინის სიკვდილამდე. მართალია, პირადად მას არ შევხვედრივარ, მაგრამ ხშირად მინახავს და მომისმენია კიდევ ბელადისთვის. კარგად ვიცნობდი ატმოსფეროს, რომელიც სტალინის უშუალო ხელმძღვანელობის დროს გენშტაბში სუფევდა. და საერთოდ, ჩემი ცხოვრების პირველმა ნახევარმა იმ წლებში ჩაიარა, როდესაც ყველაფერს „დიდი ბელადი და მასწავლებელი“ განაგებდა.

...არ ვისახავ მიზნად არც სტალინის გამართლებას და არც მის ძაგებას. ჩემი წიგნი წარმოადგენს მოზაიკას, რომელიც ჩემი და სხვა ავტორების მიერ შეკრებილი, სტალინის ნაღ-

ვანის ამსახველ ამბებს აერთიანებს“, — წერს „გენერალისიმუსის“ შესავალში ავტორი.

### ზვის დასაწყისი

რამდენიმე ფაქტი იოსებ ჯულაშვილის (სტალინის) ბიოგრაფიიდან:  
 — დაიბადა 1879 წლის 21 დეკემბერს რუსეთის იმპერიის ტფილისის გუბერნიის ქალაქ გორში, მენაღე ბესარიონისა და ეკატერინე ჯულაშვილის ოჯახში;  
 — 1894-დან 1899 წლამდე სწავლობდა ტფილისის სასულიერო სემინარიის (გაირიცხა);  
 — 1899 წლიდან მუშაობდა ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში და მალევე ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში;  
 — 1902 წლის აპრილში პირველად

დააპატიმრეს და გაამწესეს ბათუმის ციხეში — რევოლუციური გამოსვლებისა და არალეგალურ გაზეთ „ბრძოლაში“ გამოქვეყნებული სტატიებისთვის, 1903 წელს კი 3 წლით გადაასახლეს აღმოსავლეთ ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიის სოფელ ნოვია უდაში; სწორედ იქ ყოფნისას მიიღო პირველი წერილი ვლადიმირ ლენინისგან;

— 1904 წლის 5 იანვარს გაქცევით დააღწია თავი სასჯელის მოხდას, კავკასიაში დაბრუნდა და აქტიურად მიჰყო ხელი რევოლუციური შინაარსის ლიტერატურის დამზადება-გავრცელებას;

— 1905 წლის დეკემბერში პირველად შეხვდა ლენინს — ფინეთში, ბოლშევიკური პარტიის კონფერენციაზე; შემდგომ წლებში მუშაობდა ბაქოში;

— 1908 წელს მეორედ დააპატიმრეს და ვოლოგდის გუბერნიაში გადასახლეს, მაგრამ 8 თვის შემდეგ კვლავ გაქცევით უშველა თავს;

— 1910 წელს მესამედ დააპატიმრეს, ნახევარი წელი ციხეში გაატარა, მერე სოლვიჩეგოდსკში გადასახლეს, მაგრამ იქიდან გაიქცა და 1911 წელს არალეგალურად ჩავიდა პეტერბურგში: ცოტა ხანში კვლავ დაიჭირეს და გადასახლების ადგილას დააბრუნეს;

— 1912 წლის თებერვალში კვლავ გაქცევით დააღწია თავი სასჯელის მოხდას: ამავე წლის მაისში გამოვიდა გაზეთ „პრავდის“ პირველი ნომერი, რომელსაც, სხვებთან ერთად, სტალინიც ამზადებდა;

— 1912 წლის აპრილში — ე.ი. „პრავდის“ გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, კვლავ დააპატიმრეს და 3 წლით, ნარიმის მხარეში გადასახლეს: ამავე წლის პირველ სექტემბერს კვლავ გაიქცა;

— პეტერბურგში, იატაკქვეშეთში, „პრავდის“ გამოცემას ხელმძღვანელობდა და სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიაშიც მონაწილეობდა: ნოემბერსა და დეკემბერში ჩადიოდა კრაკოვში (პოლონეთი), სადაც ლენინი და ბოლშევიკთა სხვა თავკაცები ცეკას თათბირებს ატარებდნენ;

— 1913 წლის თებერვალში — მორიგი პატიმრობა: ურჩობითა და შეუპოვრობით გამორჩეული რევოლუციონერი ამჯერად, უკიდურეს ჩრდილოეთში, თითქმის პოლარულ წრესთან — ტურუხანის ოლქში გადასახლეს, სადაც 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე დაყო;

— 1917 წლის 2 მარტს კვლავ პეტერბურგში ამოყო თავი: ამავე წლის აპრილში პარტიის ცეკას წევრად აირჩიეს; 4 ივნისს, როცა დროებითი მთავრობის მეთაურის, კერენსკის ბრძანებით, მუშათა დემონსტრაციას ტყვიები დაუშინეს, ბოლშევიკთა პარტია არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა, ხოლო ლენინის უსაფრთხოების

უზრუნველყოფა პირადად სტალინს დაავალეს;

— ოქტომბრის რევოლუციის მზადებისას, ბოლშევიკებმა შექმნეს „სამხედრო-რევოლუციური ცენტრი“, რომლის 5-კაციან შემადგენლობაში იოსებ სტალინიც შეიყვანეს.

### მოავალი ახლართმთავრის პირველი ნახიჯაბი

სტრატეგიული მასშტაბის პირველი მოვლენა, რომელშიც სტალინი არა მარტო მონაწილეობდა, არამედ გადამწყვეტი როლიც ითავა, 1918 წელს ქალაქ ცარიცინთან მოხდა. არადა, იქ გაჩაღებული ბრძოლის დასაწყისში, მომავალი გენერალისიმუსი არა როგორც მხედართმთავარი, არამედ როგორც სასურსათო კომისარი გვევლინება...

საქმე ის არის, რომ ყველა მხრიდან ფრონტით გარშემორტყმული პეტროგრადი სრულიად მოწყვეტილი იყო იმ გუბერნიებს, საიდანაც პურითა და სხვა პროდუქტით მარაგდებოდა. შიმშილი არა მარტო დედაქალაქს, არამედ თვით რევოლუციას ემუქრებოდა. უკრაინასა და ხორბლით მდიდარ დონისპირეთს დენიკინის არმია აკონტროლებდა, ამიტომ ბოლშევიკთა პარტიის ცეკამ გადაწყვიტა, ე.წ. სასურსათო კომისრად გაეგზავნა სტალინი ცარიცინში, რომლის გავლითაც, ვოლგისპირეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან პროდუქტის ტრანსპორტირება იქნებოდა შესაძლებელი.

1918 წლის 6 ივნისს საგანგებო კომისრის სტატუსით ჩასული სტალინი სალონ-ვაგონში დაბინავდა და, ერთიმეორის მიყოლებით, მისთვის პატაკების ჩასაბარებლად, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელთა გამოძახებას მიჰყო ხელი, მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილდა და სამხედრო პირებსაც სთხოვდა ანგარიშს.

თავდაპირველად, მათთვის გაუზგზავარი იყო, სამხედრო საკითხებში სასურსათო კომისრის ჩარევა, დამორჩილებასაც არ აპირებდნენ, მაგრამ...

ჩრდილოეთ კავკასიის ოლქის სარდალი, მეფის რუსეთის არმიის ყოფილი გენერალი სნესარევი, რომელიც რევოლუციის სამსახურში ჩადგა, უნარიანად უძღვებოდა თავის საქმეს. ლენინი სათანადოდ აფასებდა ასეთ ადამიანებს, თუმცა შესაძლო ლალატის თავიდან ასაცილებლად, ყველა შენაერთში პარტიის ერთგულ კომისრებს ნიშნავდა. ლენინზე გაცილებით დიდი ეჭვით შესცქეროდა ძველ კადრებს იოსებ სტალინი...

ცარიცინში მოქმედი ოფიცრებისგან მის მიმართ ერთობ ცივი დამოკიდე-

ბულების შემხედვარემ, მან ლენინს გაუგზავნა ტელეგრამა, სადაც ითხოვდა, ცეკას მისთვის სამხედრო საქმეებში ჩარევის უფლება მიეცა. თავდაპირველად, ეს სთხოვნა არ შეისმინეს. სტალინმა პურითა და სურსათით დატვირთული რამდენიმე ემულონის პეტროგრადში გაგზავნა მოახერხა, რითიც დიდი დახმარება გაუწია რევოლუციურ ხელისუფლებას და საკუთარი ავტორიტეტიც აიმაღლა. ივლისის დამლევისთვის კი კონტრრევოლუციურმა არმიამ ცარიცინს შეუტია და შეეცადა, ქალაქის ალებით, რუსეთის ჩრდილოეთი ნაწილი სამხრეთისთვის მოეწყვიტა. ცარიცინის დაკარგვა ბოლშევიკებისთვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა.

11 ივლისს სტალინი ლენინს სწერდა: „საქმე იმით რთულდება, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის შტაბი სრულიად მოუზადებელია კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად. ამის მიზეზი მხოლოდ ის კი არ არის, რომ ჩვენი „სპეციალისტები“ ფსიქოლოგიურად არ არიან მოზადებული კონტრრევოლუციასთან გაბედულად საბრძოლველად, არამედ ისიც, რომ ისინი „შტაბის“ მუშაკები არიან, რომლებსაც მხოლოდ „ნახაზების ხაზვა“ შეუძლიათ, ხოლო ოპერატიული მოქმედების სახელმძღვანელოდ, აბსოლუტურად გულგრილი რჩებიან... ყველაფერ ამას გულხელდაკრული ვერ ვუყურებ. ამიტომ, ყველა ლონეს ვისმარ მდგომარეობის გამოსასწორებლად, თუნდაც საამისოდ, ჩინოსანთა და ოფიცერთა გადაყენება იყოს საჭირო, თუმცა ამაში ფორმალური მხარე მიშლის ხელს. ცხადია, ყველა ხელმძღვანელი ორგანოს წინაშე ჩემი მოქმედებისთვის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ“.


ცარიცინი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. მის სიახლოვეს, ფრონტზე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. რაც უფრო მწვავედებოდა სიტუაცია, მით უფრო გაბედული ხდებოდა მომავალი ბელადი. 20 ივლისიდან ის ფაქტობრივად, ქალაქში ყველა ქმედების წარმმართველი და ხელმძღვანელი გახდა. სწორედ ამ დღეს ის დაუკავშირდა მოსკოვს და აუხსნა, რომ ქალაქისა და მთელი მხარის ხელმძღვანელობის სისტემა, შექმნილი მდგომარეობისთვის შეუფერებლად, უგერგილოდ იყო მოწყობილი. ამის საპასუხოდ, ცენტრმა სტალინს „მთელი სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის“ სათავეში ჩადგომა დაავალა.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო სტალინის დაპირისპირება ტროცკისთან, რომელიც ახალგაზრდა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავჯდომარე, ფაქტობრივად, მთელი სამხედრო ხელისუფლების თავკაცი გახლდათ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ჩინური „პორუა“

ჩინურმა სადიზაინერო კომპანიამ — Tong Jian — რომელიც ადრე ადგილობრივ ავტომწარმოებლებთან — Brilliance, Chery და Geely — თანამშრომლობდა, საკუთარი ავტომობილი წარმოადგინა. სიახლეს S11 ჰქვია და გარეგნულად მოდელებს — Audi R8 და Ferrari F430 — ჰგავს, ხოლო ჩინური მანქანის ძარაზე წაწერილი სახელწოდება — S11 — მხილველს რიცხვ „911“-ს აგონებს. როგორც ცნობილია, კომპანია „პორუა“ ეს რიცხვი ერთ-ერთი თავისი სპორტავტოს სახელწოდებად გამოიყენა. სიახლე სრულამძრავიანი სისტემით, 5-საფეხურიანი სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფითა და ჰიბრიდული აგრეგატი-თაა აღჭურვილი, რომელიც 2,4-ლიტრიან ბენზინის ძრავასაც მოიცავს. ამ ეტაპზე უცნობია გამოყენებული ავუმულატორების ტიპი, ელექტრო-მოტორების სიმძლავრე და ავტომობილის სვლის თადარიგი. ფირმა Tong Jian, რომელსაც „ალმოსავლურ პორუა“ ქცევა აქვს განზრახული, ბაზარზე სერიული S11-ის გაყვანას 2011 წლისთვის გეგმავს. ■



## „სიტროენის“ კომპიუტერული მოდელი



ჟენევის მოტორშოუზე წარადგინეს. გავრცელებული ცნობის თანახმად, ასეთი მანქანა სულ 6 ეგზემპლარად აიწყო. სავარაუდოდ, საშუალო მოტორის მქონე სუპერავტოს — Citroën GT — სერიული ვერსია პროტოტიპის მრავალ ნიმუშს შეინარჩუნებს, მათ შორის, კარბონის კონსტრუქციას და ფუტურისტული ინტერიერის ზოგიერთ ელემენტს. ზოგიერთი მონაცემით, სიახლე კომპანია „ფორდის“ ან GM-ის 500 ცხ.დ. სიმძლავრის მქონე, 8-ცილინდრიანი ძრავათი აღიჭურვება. Citroën GT-ის შესახებ უფრო დანვრლებითი ინფორმაცია სექტემბერში გავრცელდება. სუპერავტოს პირველი საგზაო ვერსია ივლისის დასაწყისში, გუდვუდში დაგეგმილ სისწრაფის ფესტივალზე იქნება წარდგენილი. Citroën GT წინასწარი მონაცემებით 1,1 მილიონი გირვანქა სტერლინგი ეღირება. აღსანიშნავია ისიც, რომ სუპერავტოს „კომპიუტერული“ ვერსია „თოლიას ფრთების“ ტიპის კარით, 21-დუმიანი ბორბლების დისკებით, აქტიური აეროდინამიკური ელემენტებით და ჰიბრიდული აგრეგატი იყო აღჭურვილი. ■

კომპანია „სიტროენი“ წარმოებაში კომპიუტერული სუპერავტოს — GT — ჩაშვებას გეგმავს, რომელიც პირველად თამაშში — GranTurismo 5 — პლატფორმისთვის — PlayStation 3 — გამოჩნდა, ხოლო მისი სრული ზომის მაკეტი 2008 წელს,

## „იაგუარის“ ახალი კუპე



ივლისში დაგეგმილ სისწრაფის ფესტივალზე, რომელიც გუდვუდში ჩატარდება, კომპანია „იაგუარი“ კუპეს — XKR — სპეციალურ მოდიფიკაციას წარადგენს, რომელსაც Goodwood Special ეწოდება. სიახლე ღია მწვანედ შეიღებება. კუპეს 510 ცხ.დ. სიმძლავრის მქონე, 5-ლიტრიანი V8 მოტორი დაუყენდება. გავრცელებული ინფორმაციით, Jaguar XKR-ის სპეცვერსიაზე მოტორის სიმძლავრე გაიზრდება, მაგრამ მანქანის დინამიკური მაჩვენებლების შესახებ ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი. ■

## რუნის მაისური „ბენტლის“ კაპოტზა

ლონდონის გარეუბანში შემდგარ ბაზრობაზე, სადაც ხალხი მათთვის გამოუსადეგარ ნივთებს პირდაპირ მანქანების კაპოტიდან ყიდის, კაბრიოლეტი, Bentley Continental შენიშნეს, რომლის მფლობელმა ცოლ-ქმარმა გასაყიდად ტანსაცმელი გამოიტანა, მათ შორის, ცნობილი „მანჩესტერელების“ — რიო ფერდინანდისა და უეინ რუნის მაისურები. როგორც შემდგომში გაირკვა, მათ ეს ნაბიჯი მატერიალურმა კრიზისმა გადაადგმევინა. აღნიშნული ბაზრობა ახლომდებარე რაიონებში მცხოვრებთა შორის პოპულარობით სარგებლობს. ხშირად, მყიდველები ავტომობილებზე გამოფენილ ნივთებს შორის ანტიკვარებს, უჩვეულო სუვენირსა და ტანსაცმელს ძალზე იაფად ყიდულობენ. ■





	1 ღებუმა	2 კორიდის მონაწილე		3 სასულე	4 ტყის ავსული		5 მოდღვეის პრეზიდენტი	6 ფრანგული ავტომობილი
		7 ვისიმე სიტყვათა მარავი						
				8 ბეღა, იღბალი	9 თვით- მკვლელობა			
		10 თავისუფალი ფორმის ნარკვევი		11 ნატოს გენერალური მდივანი		12 ჩეხური ავტომობილი		13 გადამწვევი მეტევა მტერზე
14 კუბის დედაქალაქი			15 კულკანური მასა		16 ქვეყანა აფრიკაში	17 საკომუ- ნიკაციო ნაგებობა		18 ღვთისმშობ- ლის მამა
				19 შხამიანი ბუზი			20 ღრმა ორმო	
				21 რთული ორგანული ნივთიერება			22 გიტარის ნაწილი	
23 ქართველი მსახიობი ქალი				24 დიდი და სქელი შალი			25 ლატვიის დედაქალაქი	
26 რუსული ფეხღვან- მავალი			27 კატისებრთა ოჯახის ცხოველი	28 შხის ქოლვა			29 ... ტაიღერი	
	30 კვიპროსის დედაქალაქი	31 ყვავილი	32 მამაკაცისდ- მი მამართვა ინგლისში		33 თხის ხმანიობა	34 თხის ჯღვი		
				35 ავტომობი- ლის დარას ტიპი	36 ჩამონა- თვალი			
	37 ღარიბული სახლი					38 აქლემის ნაწიერი		
			39 ... კუპერი					
	40 ... კოლე- ლიშვილი	41 ჩინეთის დედაქალაქი						
				42 სპოროვანი მცენარე		43 ნაცვალ- სახელი		



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. სკომოროხი; 2. სოხუმი; 3. მუზა; 4. რელიგია; 5. ლიბია; 6. ფიუზელაჟი; 7. ჟოკეი; 8. ლამბი; 9. ლელო; 10. პანოი; 11. იაგუარი; 12. აგარაკი; 13. ტაეპი; 14. კომოლა; 15. ენისეი; 16. ირიბი; 17. დანია; 18. რესტორანი; 19. ნამუსი; 20. ურმული; 21. ნიამორი; 22. ლეპტოპი; 23. კობრა; 24. სურა; 25. ნიქარა; 26. თალგამი; 27. სირ; 28. ჭოგრიტი; 29. პელე; 30. ტერაკოტა; 31. სტატია; 32. რკო; 33. ხვალ; 34. ეღვა; 35. იუდა; 36. სარი; 37. საღვადორო; 38. მალარია.

სურათებზე: სოფია კომოლა; სტივენ სპილბერგი.



# შორისკობი

(2 - 8 ივლისი)

### ვეჩი:

ახალი საქმიანობის წყალობით, თანამოაზრეებსა და მეგობრებს შეიძენთ. ბრმად ნურავის ენდობით, ყველა ინფორმაცია გადაამოწმეთ. დასვენების დღეები მშობლებთან ერთად გაატარეთ.

### კუჩრე:

გავლენიან პირებთან ურთიერთობისას, სიცრუე და თაღლითობა არ გაგივით. უმჯობესია, საკუთარი დანაშაული აღიაროთ. საქმეების დამოუკიდებლად მოგვარება გაგიჭირდებათ.

### ტყუპი:

ფულის დაბანდებასა და ძვირად ღირებული ნივთების შეძენას არ გირჩევთ. ამ კვირაში ნუ განმარტოვდებით — შეხვდით მეგობრებს, ახლობლებს და დახმარებისთვის მშობლებს მიმართეთ.

### კირჩხობი:

ელექტრო და მექანიკურ ხელსაწყოებთან სიფრთხილე გამოიჩინეთ. თუ საყვარელ ადამიანს უსაფუძვლო ეჭვიანობით არ დატანჯავთ, მასთან იდეალური ურთიერთობა გელით.

### ღიმი:

დასვენების დღეებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. სამსახურში უამრავი ისეთი საქმით დაიტვირთებით, რომელიც მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვს.

### ქაფხუდი:

კონსულტაციებისა და რჩევებისთვის უამრავი ადამიანი მოგმართავთ. მათ მიმართ მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინეთ. კვირის მეორე ნახევარში მეგობრებთან ერთად გაერთეთ.

### სახსრობი:

ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ და წარმატებასაც იოლად მიაღწევთ. კვირის ბოლოს რომანტიკული სიურპრიზები გელით. თავი შეიკავეთ აზარტული თამაშებისაგან.

### ვიწიფი:

შორეული ნათესავებისგან სასიამოვნო ინფორმაციას შეიტყობთ. ეს პერიოდი სიურპრიზებითა და რომანტიკული შეხვედრებით იქნება სავსე. დაქორწინებულებს დიდი გამოცდა ელით.

### მთვინე:

კოლეგებთან კონსენსუსს რომ მიაღწიოთ, დიპლომატიასა და სიჭიროს. კარგი პერიოდია საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად. კვირის ბოლოს ფულის ფლანგვას არ გირჩევთ.

### თხილ:

საყვარელი ადამიანის გულის მოსაგებად, მატერიალური დანახარჯი გელით. საკუთარი იდეები ხელმძღვანელობას გააცანით. დასვენების დღეები მეგობრებთან ერთად, ბუნებაში გაატარეთ.

### ვეჩხუდი:

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას. თუ თქვენი მატერიალური მდგომარეობა ოჯახის წევრებზე და მოკიდებულია, ეცადეთ, ამ პერიოდში მათთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ.

### თევზი:

მეგობრებთან გართობასა და საყვარელ ადამიანთან ერთად დროს გატარებას გირჩევთ. კარგი იქნება, თუ რამდენიმე დღით მასთან ერთად, ქალაქგარეთ გაემგზავრებით.

## პატარა ბენიოსობენ

გაზაით „კვირის პალიტრის“ არქივიდან



2 წლის შოთიკო ჟორჯოლიანი დედამ ბაზრობაზე წაიყვანა.  
— ცხელი შოთი, ცხელი შოთი!.. — ჩამოატარა ვიღაცამ პური.  
— დედიკო, მე ცხელი ლომ ალ ვალ?  
— „გააპროტესტა“ შოთიკომ.



პატარა ნინო და თეკლა ეზოში თამაშობდნენ. უეცრად, ნვიმა წამოვიდა.  
— თან წვიმს, თან — მზეა?! — გაუკვირდა ნინოს.  
— ასეთ დროს ამბობენ, მზე პირს იბანსო, — აუხსნა ბებომ.  
ცოტა ხნის შემდეგ თეკლა უფროსებს ეკითხება:  
— მზე რას ჭამს?  
— არაფერს, — უპასუხა მამიდამ.  
— აბა, პირი რატომ უნდა დაიბანოს?



3 წლის ბაქარ ხაჩიძეს დაიკო შეეძინა. ბაქარი დედას ეკითხება:

— დედიკო, ეგ ბაია მუცელში იჯდა?  
— კი, — უპასუხა დედამ.  
— მერე მუცელში სკამი გაქვს?



ქობულეთიდან დაბრუნებულ 3 წლის ილონა ჯიქიას ბებო ეკითხება:  
— როგორ მოგეწონა, ბებო, ზღვა?  
— კალგი იყო, მხოლოდ ბევრი მალილი უქნიათ.



3 წლის ხათუნა ფეიქრიშვილის ბიძა ბორჯომში გაემგზავრა.  
— მერე კოკა-კოლაშიც წავა? — იკითხა ხათუნამ.



4 წლის გიორგი ტაბიძე გულამოსკვნილი ტირის. მაგული ბებო ეკითხება:

— რა იყო, ბებო, ვინ გაგაბრაზა? გიორგი ეუბნება:  
— აუ, ახლა ამანაც გაიგო, რომ ვტირიი!



7 წლის გიორგი ღვინიაშვილმა დილის 8 საათზე გაიღვიძა:  
— ასე ადრე რატომ ადექი? — ჰკითხა დედამ.  
— სიზმარი დამთავრდა და აბა, რა მექნა?! — უპასუხა გიორგიმ.



3 წლის მავო კაპანაძემ სოფელში ყოფნისას დაინახა მეზობლის ძროხა, რომელიც იწვა და იცოხნებოდა. გოგონა ბებიას მიუბრუნდა და ჰკითხა:  
— ბები, ძროხას შენ მიეცი ჩემი საღეჭი რეზინი?..



# დედაქალაქი და მისი ქოპონიმები

## ნოღარ კოჲლაშვილი

### ნარიყალა

ზოგიერთი მეცნიერისა და მკვლევრის ვარაუდით, „ნარიყალა“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და „ციტადელს“, „შიდაციხეს“ ნიშნავს, მაგრამ ეს მცდარი მოსაზრებაა. სიტყვა „ყალა“ არაბულ ენაშიც გვხვდება და „ციხესიმაგრეს“ ნიშნავს.

ვინაიდან ქართულ-სპარსული ლექსიკონი ხელთ არ გვაქვს, მოვიშველიებთ რუსულ-სპარსულ ლექსიკონს, სადაც „ციტადელის“ ასეთი განმარტებებია მოცემული: „კალე“, „დეჟო“, „მაჰდე“, „მარქაზი“. როგორც ვხედავთ, „ნარინი“ ამ ჩამონათვალში არ არის. ამგვარად, „კალა“, „ყალა“ — ციხესიმაგრეს ნიშნავს; არაბებამდე ამ უბანს „ციხეს“, „ციხის უბანს“ ეძახდნენ.

ახლა „ნარინს“ მივუბრუნდეთ. სპარსულ-რუსულ ლექსიკონში (კვლავ იმის გამო, რომ სპარსულ-ქართული არ გვაქვს) ვკითხულობთ: „ნარინი —

- 1) ცეცხლოვანი, ცეცხლისმფრქვეველი;
- 2) ჯოჯოხეთური;
- 3) ბოროტი სული,

დემონი“. ცალკე „ნარინ“ (რადგან სპარსულში „ი“ მსაზღვრელ-საზღვრულის მაჩვენებელია) ნიშნავს: 1) მამრობით სქესს; 2) ხვადს, მამაცს, ძლიერს.

ასე და ამგვარად, „ნარიყალა“ არა — „ციტადელი“ და „შიდაციხე“, არამედ — სალექსიკონო განმარტებების მიხედვით — შეგვიძლია ვთარგმნოთ რამდენიმენაირად, კერძოდ: „მამალი ციხე“, „მამაცი ციხე“, „ცეცხლოვანი ციხე“, „ჯოჯოხეთური ციხე“.

„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ მიხედვით, დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე, ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე ისტორიულ წყაროებში, პირველად IV საუკუნეშია მოხსენიებული „კალას“ სახელწოდებით. შემდგომში ის „შურისციხედ“

იხსენიება, უფრო გვიან — „ქალაქის ციხედ“, „თბილისის ციხედ“ და „ნარიყალად“. მეცნიერთა ვარაუდით, ციხის ადგილზე ძველთაგანვე (ჩვენ.აღ-მდე XIII-XII საუკუნეებში) არსებობდა დასახლება. ციხე ფეოდალური ქალაქის დომინანტს, მის ძირითად თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენდა; მრავალი შემოსევის შედეგად, არაერთხელ დანგრეულა, აღუდგენიათ და ასევე მრავალჯერ გადაუკეთებ-

ათ. XVII საუკუნის 40-იან წლებამდე იქ იყო: სამეფო სასახლე, ეკლესია, აბანოები და სხვა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობები. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ციხის ერთ-ერთ შენობაში დენტის საწყობის აფეთქების შედეგად, თითქმის ყველა ნაგებობა დაინგრა. დღემდე ყველაზე კარგად შემონახულია დასავლეთ ნაწილში მდებარე, ე.წ. „სტამბოლის გოდოლი“.

P.S. როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა შორის არის მეფე, მეტსახელად ნარინი — დავით VI (1245-1299 წწ). სიტყვა „ნარინი“ სულხან-საბას ასე აქვს განმარტებული: „მეფის პირი“, „მეფური შეხედულებისა“; მარი ბროსე ამ სიტყვას კიდევ ერთ მნიშვნელობას სძენს — „მახვილგონიერი“; ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ დავით VI ნარინიც გამოირჩეოდა ამ თვისებით... ■



**იაპონური სენსაცია**

**სუდოკუ**

„ბჰის“ №26-ში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	2	8	6	5	7	3	1	9
1	5	9	3	8	4	2	7	6
3	7	6	1	9	2	4	5	8
2	9	4	7	6	8	5	3	1
8	6	5	4	3	1	9	2	7
7	3	1	5	2	9	6	8	4
9	8	3	2	1	6	7	4	5
5	1	7	9	4	3	8	6	2
6	4	2	8	7	5	1	9	3

9	4	3	8	7	1	5	2	6
2	5	1	4	6	9	7	8	3
8	7	6	2	3	5	9	4	1
4	6	7	3	9	2	8	1	5
1	8	5	7	4	6	2	3	9
3	9	2	5	1	8	6	7	4
5	3	8	9	2	4	1	6	7
6	2	4	1	5	7	3	9	8
7	1	9	6	8	3	4	5	2

4	3	2	1	7	5	9	8	6
1	6	7	3	8	9	5	4	2
8	5	9	2	4	6	3	7	1
7	8	1	9	5	3	6	2	4
5	4	3	6	2	7	1	9	8
9	2	6	4	1	8	7	5	3
3	9	8	5	6	4	2	1	7
2	7	5	8	3	1	4	6	9
6	1	4	7	9	2	8	3	5

\* მარტივი

6		7		2				
	9	5		3				
			2				7	
	6	3		7		5		
	1			4		9		
	5			8		6		
2			9					
		1		3	4			
		8		5			6	



\*\* საშუალო


	9			3				4
		5		9				6
2				4				
1	2					4		
	6			7		5		
	8			2		6	7	
			3					2
9			8		7			
6			7				1	

\*\*\* რთული

	8			1	5			
		9	7	6		4		
	1			9			8	
		7		5		6		
		4			7	8		
3			6				1	
		5		4	3	2		
		1	9				5	

# ფოტოკუჩიოზები





## "მის თინეიჯერი"

### გაფხულის სეზონი



კონკურსი მის თინეიჯერი უკვე დაიწყო!

იმისათვის, რომ სმა მისცეთ თქვენს რჩეულს, SMS ველში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8886.


თამაშდება: ტურისტული საგზური, ძვირფასი სამკაული საიუველირო მაღაზია „დელფოსისგან“, პერსონალური პორტფოლიო, ფოტოსესია ჟურნალ „ბომონდში“, კონტრაქტი სამოდელო სააგენტოსთან, თინეიჯერული ხაზის გერმანული კოსმეტიკა „ველედასაგან“, სოლარიუმ „ერგოლინის“ აბონემენტი, სამედიცინო ცენტრ „მედისა“ და ფიტნეს კლუბ „პრაიმ ფიტნესის“ სასაჩუქრე კუპონები, შუზკაფე „მადონას“ ფეხსაცმელი, საჩუქარი მაღაზია „ნაფნაფისგან“ და კიდევ ბევრი ძალიან კარგი პრიზი.

კონკურსანტთა ფოტოები იბეჭდება ჟურნალ „ოსკარში“ და განთავსდება ინტერნეტპორტალზე: [www.ambebi.ge](http://www.ambebi.ge) კონკურსანტების სილამაზეზე ზრუნავს სალონი „ნიცა დე ლუქსი“ და სტილისტი ლუდა.

დასმარა უნს რჩეულს გახდეს გაფხულის სეზონის გამარჯვებული!



სალონა სალავაია, 15 ლის



ვახი უაპარიფილი, 15 ლის



თაქო კოვალაფაფილი, 16 ლის



თაონა გელაია, 19 ლის